პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!
წლიწადი მეექვსე

კომუნისტი

საქ. კომუნისტური პარტიის ცენტრალური და თბილისის კომიტეტების და სრულიად საქართველოს მუშათა, გლეხთა, წითელარმიელთა და მეზღვაურთა დეპუტატების საბჭოების
ცაკის ორგანო

რედაქცია
თბილისი, კამოს (ყოფ. დიდი მთავრის) ქ. № 68, მეორე სართული
რედაქციაში საქმისათვის მოლაპარაკება შეიძლება ყოველდღე, გარდა კვირა-უქმეებისა, 10—11 ს.
ტელეფონები:) რედაქტორის 14—76
) მდივანის 10—58
ღამის მორიგეს 13—80

მთავარი კანტორა
თბილისი, რუსთაველის პროსპექტი, 34; ტელეფონი № 10—49
ხელისმოწერის ფასი: მუშა-მოსამსახურეთათვის 90 კ., დაწესებულებებისათვის—1 მან. და 20 კაპ.,
განცხადებები: ნონპარელის სტრიქონი—40 კაპ., ტექსტში—ორჯერ მეტი, სამგლოვიარო—10—15—20 მან. დოკუმენტების დაკარგვა—1 მ., განცხადებების მიღება სწარმოებს შუადღის 4 საათამდე.
სტამბის ტელეფონი 13—80
ექსპედიციის 5—48.

დ ღ ი უ რ ი

— სირიაში გრძელდება აჯანყებულთა გამოსვლები ფრანგების წინააღმდეგ.
— ბულგარეთის მენშევიკურ პარტიაში დიდი უთანხმოება აქვს ადგილი.
— გერმანიაში მკრთალათ ჩატარდა „არმიის და ფლოტის დღე".
— სახალხო არმია განაგრძობს შეტევას.
— ნიჟეგოროდის ბაზარზე სპარსეთიდან ჩაიტანეს დიდძალი საქონელი.

კვირა, 5 სექტემბერი 1926 წ. ყოველდღიური გაზეთი ფასი 5 კაპ. № 202 (1747)

„კომუნისტი"
მიიღება ხელის მოწერა
სექტემბრისათვის
კანტორა—რუსთაველის პროსპ. № 34, ტელეფ. № 10—49

ახალგაზრდათა საერთაშორისო დღე

ახალგაზრდობის მოძრაობა მუშათა კლასის საერთაშორისო მოძრაობის განუყოფელი ნაწილია. და თუ მიმდინარე კვირის განმავლობაში ჩვენ ამ საკითხს განცალკევებით ვაყენებთ, ეს მხოლოდ იმიტომ, რომ უფრო მეტი სიძლიერით აღვნიშნოთ ამ საკითხის უაღრესი მნიშვნელობა პროლეტარიატის განმანთავისუფლებელ ბრძოლისათვის.

მშრომელი ახალგაზრდობისა და ბავშვთა მოძრაობის საკითხი მრავალ საყურადღებო ამოცანებს სახავენ ჩვენს წინაშე. ცნობილია, რომ კაპიტალისტურ სახელმწიფოებში დიდებთან ერთად ბურჟუაზია ახალგაზრდობისა და ბავშვების დაუზოგავ ექსპლოატაციას აწარმოებს.

ახალგაზრდობისა და ბავშვების შრომა უმთავრესად არაკვალიფიციური შრომაა, რაც კაპიტალისტურ წყობილების პირობებში ექსპლოატაციის მეტ შესაძლებლობას ქმნის. ამიტომაა, რომ საბჭოთა კავშირის საზღვრებს გარეთ ეგრედ წოდებულ ცივილიზაციის ქვეყნებში და კიდევ უფრო ამ ქვეყნების კოლონიებში, სადაც შრომა მძიმე პირობებშია ჩაყენებული, ახალგაზრდობა განსაკუთრებული სიმწვავით განიცდის ამ სიმძიმის საშინელებას.

მცირეწლოვანთა 12—15 საათის სამუშაო დღე არც ისე იშვიათი მოვლენაა, თუნდაც კაპიტალისტურად ისეთ დაწინაურებულ ქვეყანაში, როგორიც ამერიკის შეერთებული შტატებია. ასეთივე მდგომარეობაა ევროპის ყველა სახელმწიფოებში. ინგლისის ქვანახშირის მრეწველობაში, მარტო მიწის ქვეშ მომუშავეთა ბავშვების რიცხვი 50.000 აღემატება. კოლონიებში კი, როგორც უკვე ვსთქვით, მდგომარეობა კიდევ უფრო აუტანელია. ჩინეთის მხოლოდ ერთ ქალაქში, შანხაიში 170.000 ბავშვი მუშაობს, რომელთა ერთი მერვედი 10 წლისაზე ნაკლები ხნისაა.

ადვილი წარმოსადგენია, თუ რას უქადის მომავალში ახალგაზრდობისა და ბავშვების ასეთი აუტანელი შრომის პირობები მუშათა კლასის ფიზიკურ კეთილდღეობას. ამიტომ ბრძოლა ახალგაზრდობის ფრონტის განმტკიცებისათვის მსოფლიო კაპიტალიზმის დამხობის მიზნით, არის ამავე დროს ბრძოლა მუშათა კლასის ფიზიკურად დაუძლურებისა და დაკნინების წინააღმდეგ.

მეორე მხრივ ახალგაზრდობის მოძრაობის სწორი, რევოლიუციონური გზით წარმართვას, აქვს უდიდესი მნიშვნელობა ოქტომბრის რევოლიუციის საბოლოო მიზნის გამარჯვებისათვის. მუშათა კლასის მთლიანი ფრონტის ამოცანა, რომლისთვისაც ასე თავგამოდებით იბრძვის დღეს კომუნისტური პარტიები, თავის თავად გადაიჭრება იმ შემთხვევაში, თუ მსოფლიო მშრომელი ახალგაზრდობა, პროლეტარიატის მომავალი თაობა კომუნისტურ გავლენის ქვეშ მოვაქციეთ და თუ ეს ახალგაზრდობა მუშათა კლასის რევოლიუციურ კლასთა ბრძოლის იდეებზე აღვზარდეთ.

საერთაშორისო პროლეტარიატის სოლიდარობას, მუშათა კლასის ერთიანი ფრონტის შექმნას, იმ მიზნით, რომ ეს ერთიანობა დაუპირისპიროთ კაპიტალისტურ მსოფლიოს, წინ ეღობება ბურჟუაზიის მოსყიდული აგენტები მეორე ინტერნაციონალიდან, რომლის გავლენაც, სამწუხაროთ, ჯერ-ჯერობით საკმაოთ დიდია ევროპის მუშათა წრეებში. პროლეტარიატის გამთიშველ, რევოლიუციურ აღტყინების მომდუნებელ გავლენას მშრომელი ახალგაზრდობის შორის საერთაშორისო მენშევიზმი თავის ფილიალურ განყოფილებით, ახალგაზრდათა ყვითელი ინტერნაციონალის საშუალებით აწარმოებს.

ამიტომ ჩვენთვის ბრძოლა ახალგაზრდათა საერთაშორისო დღისათვის წარმოადგენს ბრძოლას მსოფლიო პროლეტარიატის ახალი კადრების იდეურათ დაპყრობისა და კომუნისტურ ინტერნაციონალის გაძლიერებისათვის.

ყვითელი ინტერნაციონალის მოღალატურ მოქმედების გამოაშკარავება, რეფორმიზმის ორგანიზაციულად დაკნინება ერთ და იმავე დროს უნდა სწარმოებდეს ორი მიმართულებით: ერთი მხრივ ბრძოლა მეორე ინტერნაციონალის გავლენის ქვეშ მყოფ მუშათა კადრების იდეურათ გამოფხიზლებისათვის და მეორე მხრივ ბრძოლა მეორე და მესამე თაობის, ახალგაზრდობისა და ბავშვების კომუნისტურ გავლენის ქვეშ მოსაქცევად. ერთიც და მეორეც ერთნაირად საბედისწერო იქნება მსოფლიო მენშევიზმის გავლენის ძირის გამოსათხრელად.

ასეთია ახალგაზრდათა და ბავშვთა საერთაშორისო მოძრაობის ამოცანა კაპიტალისტურ ქვეყნების პირობებში.

ამ საერთო ამოცანებთან ერთად საბჭოთა კავშირის ახალგაზრდობას აქვს მთელი რიგი უაღრესი მნიშვნელობის თავისი სპეციფიური ხასიათის ამოცანები. საბჭოთა წყობილების პირობებში ახალგაზრდობის შრომა დაცულია თვით სახელმწიფო კანონმდებლობით და პროფესიულ კავშირთა მეთვალყურეობით. ამ მხრივ საბჭოთა კავშირის პროლეტარიატის ფიზიკური კეთილდღეობა დაზღვეულია ყოველგვარ საშიშროებისაგან.

სამაგიეროთ ჩვენი ახალგაზრდობის წინაშე სდგას უაღრესი მნიშვნელობის სამეურნეო ამოცანა. საბჭოთა კავშირის ინდუსტრიალიზაცია მთავარ პირობას წარმოადგენს სოციალისტურ მშენებლობის წარმატებით განვითარებისათვის. ამხანად ჩვენი მრეწველობა ძირითად კაპიტალის გადახალისება - განახლების ამოცანის წინაშე დგას. აქ ახალგაზრდობას უთუოდ დიდი სამსახურის გაწევა შეუძლია.

ქვეყნის ინდუსტრიალიზაცია არის არა მარტო მატერიალურ შესაძლებლობის საკითხი, ის აგრეთვე ცოცხალი, კვალიფიციურ მუშა ხელის საკითხია. საბჭოთა მრეწველობის ერთ-ერთი მტკივნეული ძარღვი სწორედ იმაში მდგომარეობს, რომ ჩვენ ღარიბათ ვართ კვალიფიციურ მუშა ხელზე. ახალგაზრდათა ორგანიზაციის მოვალეობას შეადგენს ხელი შეუწყოს კვალიფიციურ მუშაკების ზრდას ჩვენი მეურნეობის ყოველ დარგში. კომკავშირმა მიზნად უნდა დაისახოს, რომ თითეულ მისმა წევრმა თითო სპეციალობა იცოდეს.

ასეთივე ამოცანა დგას სოფლის ახალგაზრდობის წინაშეც. ახალი თაობა უნდა გადაიქცეს გლეხის ეკონომიური და კულტურული ჩამორჩენილობის შეურიგებელ მტრად. ახალი სამეურნეო ფორმების შემოღება-განმტკიცება, სოფლის-მეურნეობის ინტენსიფიკაცია, პირველყოვლისა, ახალგაზრდა გლეხობის საქმეა.

ამიტომ ახალგაზრდათა და ბავშვთა მიმდინარე კვირეულის განმავლობაში პარტიის და კომკავშირის თითეულ ორგანიზაციამ უნდა დასვას კითხვა, რა გააკეთა მან ახალგაზრდობის პოლიტიკურ გათვითცნობიერების და პროფესიულ-ტეხნიკურად განათლების დარგში?

საზეიმო განწყობილებასთან ერთად, რომელიც ბუნებრივად სჩვევია ჭაბუკობას, მათ ამ კვირაში არ უნდა დაივიწყონ ახალგაზრდათა მოძრაობის საჭირ-ბოროტო საკითხების გაშუქება და სათანადო პრაქტიკულ გზის დასახვა ახლო მომავალ მუშაობისათვის.

ეს კვირეული უნდა გადაიქცეს პარტიისა და კომკავშირის ორგანიზაციათა მუშაობის გენერალურ შემოწმებათ ახალგაზრდათა შორის მუშაობის დარგში.

გაუმარჯოს! ახალგაზრდათა საერთაშორისო მეთორმეტე კვირეულს!

კონფლიქტი აღმოსავლეთ-ჩინეთის რკინის-გზის ხაზზე

(„პრავდას" მოწინავე წერილი)

როგორც მოსალოდნელი იყო, ხანმოკლე გამოდგა ის შედარებით მშვიდობიანი პერიოდი, რომელიც დამყარდა აღმოსავლეთ - ჩინეთის რკინის გზაზე წარსულ წელში მომხდარი იმ კონფლიქტის მოგვარებით, რომელიც წარმოიშვა მანჯურიის ხელისუფლების მიერ რკინის გზის მმართველობის ხელში ჩაგდების გამო. ამჟამად ჩან-ძო-ლინი კვლავ შეეცადა საბჭოთა კავშირის იმ უფლებების დარღვევას, რომელიც დამყარებულია ჩინეთთან დადებულ ხელშეკრულებაზე აღმოსავლეთ - ჩინეთის რკინის გზის მართვა-გამგეობის შესახებ.

ჯერ-ჯერობით ძნელია იმის თქმა, თუ რით აიხსნება მუკდენის მბრძანებელის ეს ახალი აგრესიული ნაბიჯი. შესაძლოა, რომ იმის შემდეგ, რაც მან თავი დააღწია უშუალო საფრთხეს, რომელიც მას ელოდა სახალხო არმიის მხრივ და გაამაგრა თავისი მდგომარეობა პეკინში, ეხლა კვლავ განზრახვა აქვს შეუდგეს თავისი აგრესიული პროგრამის განხორციელებას მანჯურიაში. შესაძლოა აგრეთვე ისიც, რომ ამჟამად ჩან-ძო-ლინი არ ისახავს ასეთ ფართო ამოცანებს და განზრახვა აქვს, რომ მთელ რიგ ძალმომრეობითი ღონისძიებებით შეასუსტოს აღმოსავლეთ - ჩინეთის რკინის გზის ეკონომიური ძლიერება, რომელმაც უკანასკნელ თვეებში მნიშვნელოვნად გაუსწრო წინ იაპონიის კუთვნილ სამხრეთ-მანჯურიის რკინის გზას იმ ტვირთის გადაზიდვის რაოდენობით, რომელიც მოაქვთ არა იაპონიის დაირენში, არამედ საბჭოთა ვლადივოსტოკში. ის გარემოება, რომ ჩან-ძო-ლინმა ხელთ იგდო აღმოსავლეთ-ჩინეთის რკინის გზის საკუთრება—გემები, რომლებიც დასცურავდენ მდინარე სუნგარზე და აღმოსავლეთ-ჩინეთის რკინისგზის ტვირთს ზიდავდენ, გვაფიქრებინებს, რომ ზემოაღნიშნული მიზანი მაინცდამაინც არ იყო უცხო მანჯურიის დიქტატორისათვის, როცა მან გამოსცა თავისი ბრძანება იმის შესახებ, რომ ფლოტილია გადასცემოდა მანჯურიის სამხედრო - საზღვაო ხელისუფლებას.

ამავე დროს, ფინანსიური გასაჭირი მუკდენის მთავრობისა, რომელიც ინახავს მრავალრიცხოვან დაქირავებულ ჯარს და აწარმოებს ფართო სამხედრო ოპერაციებს, აიძულებს ჩან-ძო-ლინს ფულის შოვნისათვის მიმართოს მრავალ სხვადასხვაგვარ წყაროს. ის სუბსიდიებს და სესხი, რომლებსაც იგი იღებს სხვადასხვა უცხოეთის სახელმწიფოებიდან, ძლივძლივობით ფარავს მუკდენის დიდ ხარჯებს. აღმოსავლეთ - ჩინეთის რკინის გზის შემოსავალი მეტად გემრიელი ლუკმაა ჩან-ძო-ლინისათვის და ამიტომ სცდილობს იგი, რომ როგორმე ჩაიგდოს ხელში. რასაკვირველია, იმ მოთხოვნილებას, რომ აღმოსავლეთ-ჩინეთის რკინის გზის სამოსწავლო განყოფილების ლიკვიდაცია მოხდეს და მისი ფუნქციები გადაეცეს ჩინეთის მთავარ-მმართებელთან (ხარბინში) არსებულ სახალხო განათლების სამმართველოს, სხვათა შორის მიზნად აქვს, რომ დახუროს ის სკოლები, რომლებიც აღმოსავლეთ-ჩინეთის რკინის გზის სამმართველომ მოაწყო. მაგრამ, ვინაიდან სკოლებთან ერთად მანჯურიის ხელისუფლებას უნდა გადაეცეს ის თანხები, რომლებიც გადადებულია ამ სკოლების შესანახად, ჩან-ძო-ლინის განათლებისადმი საეჭვო სიყვარულის გამო ძნელი არაა გაგება იმისა, თუ როგორ იქნება გამოყენებული აღმოსავლეთ-ჩინეთის რკინის გზის მიერ განათლების საჭიროებისათვის გადადებული თანხები.

თეთრგვარდიელების გაზეთები, რომლებიც ხარბინში გამოდიან, არ მალავენ ჩან-ძო-ლინის მოქმედების ასეთ მიზანს.

საბჭოთა კავშირის მთავრობამ არა ერთხელ დაუმტკიცა ჩინეთს, კერძოდ, ავტონომიურ მუკდენის მთავრობას, რომ მას სურს მასთან კეთილმეზობლური ურთიერთობის დაჭერა და მრავალრიცხოვანი ფაქტებით დაადასტურა რომ იგი განმსჭვალულია ჩინეთის დამოუკიდებლობისა და სუვერენულ უფლებათა პატივისცემის გულწრფელი სურვილით. ეს პოლიტიკა, დამყარებული ჩინეთის ხალხის იმ უფლებათა ცნობაზე, რომელსაც სისტემატიურად ფეხქვეშ სთელავენ იმპერიალისტურ ბურჟუაზიულ სახელმწიფოთა მთავრობები, სრულიადაც არ ნიშნავს იმას, რომ საბჭოთა მთავრობა მზადაა უსიტყვოდ დაეთანხმოს საბჭოთა კავშირისა და ჩინეთის შორის დადებულ ხელშეკრულებათა მათ მხრივ დარღვევას. საბჭოთა კავშირის უფლებანი აღმოსავლეთ-ჩინეთის რკინისგზის მართვისა გათვალისწინებულია 1921 წ. 31 მაისს ჩინეთის ცენტრალურ მთავრობასთან დადებულ ხელშეკრულებით და იმ ხელშეკრულებით, რომელიც დაიდო მანჯურიის ავტონომიურ მთავრობასთან 1924 წ. 20 სექტემბერს. ამ შეთანხმებაში პირდაპირაა ნათქვამი, რომ საკითხი იმ გემების შესახებ, რომლებიც სუნგარზე დასცურავენ, გადაწყვეტილ უნდა იქნას განსაკუთრებული დიპლომატიური აქტით; ყველა საკითხები კი, რომლებიც ეხებიან აღმოსავლეთ-ჩინეთის რკინისგზის ცხოვრებასა და მუშაობას, გადაწყვეტილ უნდა იქმნან მხარეთა შეთანხმებით. არავითარი დიპლომატიური დოკუმენტებით არაა გათვალისწინებული ჩინეთის ან მანჯურიის მთავრობის ასეთი უფლება, რომ თავისი ნებით, საბჭოთა მთავრობასთან წინასწარ შეუთანხმებლად შესცვალონ აღმოსავლეთ-ჩინეთის რკინისგზებზე არსებული მდგომარეობა.

როგორც ნოტაშია ნათქვამი, რომელიც გარეშე საქმეთა სახალხო კომისარიატმა გადასცა ჩინეთის საქმეთა რწმუნებულს მოსკოვში, საბჭოთა კავშირის მთავრობა უარს არ ამბობს, რომ ეხლაც იქმნას განხილული ყველა სადაო საკითხები, მაგრამ გადაჭრით უარს აცხადებს იცნოს ჩან-ძო-ლინის მოქმედებათა კანონიერება.

როგორც აღმოსავლეთ-ჩინეთის რკინის გზის ფლოტილიის საკითხი, ისე საკითხი იმ სკოლების მმართველობისა, რომლებიც რკინის გზის ხარჯზე იმყოფებიან, განხილულ უნდა იქმნას ნორმალურ დიპლომატიური გზით. ეხლა მუკდენის მთავრობაზეა დამოკიდებული შექმნილი კონფლიქტის შემდგომი განვითარების ხასიათი და მისი გადაწყვეტის საშუალების ამორჩევა. საბჭოთა კავშირის მთავრობას არ შეუძლია არ დაინახოს ჩან-ძო-ლინისა- და მისი გენერლების მოქმედებათა გამომწვევი ხასიათი, მაგრამ იგი გამსჭვალულია მტკიცე სურვილით, რომ კეთილმეზობლური ურთიერთობა შეირჩინოს ჩინეთის ხალხთან და ჩინეთის ცენტრალური და ადგილობრივ მთავრობებთან, შესაფერ პასუხს გასცემს მუკდენელთა მოქმედებას, არ გაჰყვება პროვოკაციას და შეეცდება დაიცვას როგორც საბჭოთა კავშირის, ისე ჩინეთის მშრომელი ხალხის ინტერესები.

გადმოცემულია ტელეგრაფით.
მოსკოვი, 4 აგვისტო.

საქართველოს
ეროვნული
ბიბლიოთეკა

ინგლისი ემზადება ჩინეთის ინტერვენციისათვის

პრიმა-დე-რივერა სენსაციების გამოქვეყნებით იმუქრება

ბელგიის მთავრობამ გადასწყვიტა არ იცნოს ძველი რუსეთის ელჩის რწმუნებულება

საკავშირო პროფსაბჭომ კიდევ გადაუგზავნა გაფიცულ მემაღაროელებს სამი მილიონი მანეთი

ჩინეთის ქაოსი

ინგლისის ინტრიგები

ლონდონი, 3 სექტემბერი. კონსერვატიული „დეილი ტელეგრაფი" მოწინავე წერილში ჩინეთში შექმნილ მდგომარეობის შესახებ სწერს:

„ფინიუ-სიანსა და კანტონის მთავრობას შორის ნამდვილ კავშირს შეუძლია შექმნას საფრთხე, რომლის წინააღმდეგ შეუძლებელი გახდება შესაფერი ძალის დაპირისპირება, ვინაიდან ჩან-ძო-ლინი და უ-პეი-ფუ კვლავ აშკარა მეტოქეობას უწევენ ერთმანეთს".

გაზეთი მოითხოვს, რათა ინგლისმა აუცილებლად გამოიჩინოს ინიციატივა და მოაწყოს შეერთებული ინტერვენცია ჩინეთში ინგლისის, შეერთებულ შტატების და იაპონიის მხრით.

ხანკოუს ფრონტზე

პეკინი, 3 სექტემბერი. **ცნობები ხანკოუს ფრონტზე ბრძოლის მსვლელობის შესახებ, კვლავინდებურად ერთი მეორის საწინააღმდეგოა.** პეკინის მთავრობა უარჰყოფს ცნობას კანტონის ჯარების მიერ უჩ-ჟანისა და ხანთანის დაკავების შესახებ. **შესაძლებელია ეს ქალაქები ჯერ-ჯერობით არ იყოს აღებული, მაგრამ,, როგორც გადმოგვცემენ, ბრძოლა უჩ-ჟანთან მაინც გრძელდება.**

უცხოელთა კონცესიების დასაცავად ხანკოუში გამოცხადებულია მოხალისე-უცხოელთა გაწვევა და ნაპირზე გადმოსხმულია მეზღვაურთა რაზმები. საკონცესიო ტერიტორია გავსებულია სამხედრო და საუწყებო თანამდებობის პირთა ლტოლვილ ოჯახებით. იუწყებიან, რომ კანტონის მთავრობა შეპირებია კონსულებს უცხოელთა დასაცავად ყოველგვარ ღონისძიების მიღებას.

უნდა აღინიშნოს, რომ იაპონიის სააგენტოები გუშინ ავრცელებდენ ხმებს უჩ-ჟანის საბოლოოდ აღების შესახებ და აზვიადებდენ კიდეც კანტონის ჯარების გამარჯვებას. მაგრამ, როგორც ეტყობა, ეს ცნობები ნაადრევია.

გაფიცვა შანხაიში

პეკინი, 3 სექტემბერი. **შანხაიში გაფიცვა გრძელდება. გაფიცვაში მონაწილეობას იღებს 20.000 მუშა.**

სუნ-ჩუან-ფანის პოზიცია

პეკინი, 3 სექტემბერი. სუნ-ჩუან-ფანის დამოკიდებულება კანტონის მთავრობის ჩრდილოეთის ექსპედიციასთან ჯერ კიდევ გამოურკვეველია. გრძელდება სუნ-ჩუან-ფანის ჯარების თავმოყრა ხუ-ნანის მომიჯნავე პროვინცია ცზან-სიში. მის გამგებლობაში მყოფ ხუთი პროვინციის მოსახლეობისადმი მიმართულ დეკლარაციაში, სუნ-ჩუან-ფანი აცხადებს, რომ მისი ეს ღონისძიება აიხსნება „ცზიან-სიში წესრიგისა და მშვიდობიანობის დაცვის" აუცილებლობით.

ნ ა ღ მ ე ბ ი

პეკინი, 3 სექტემბერი. (დაგვიანებულია) **კანტონის არმიამ აცნობა საზღვარგარეთის კონსულებს, რომ მდინარე იანხეში ჩაშვებულია ნაღმები ხან-კოუსა და იო-ჩოუს შორის.** ამის გამო მდინარის ამ ნაწილში შეწყვეტილი უნდა იქნეს ნაოსნობა სამხედრო მოქმედების განმავლობაში. კანტონის მთავრობა არ ჩათვლის თავის თავს პასუხისმგებლად იმ ზარალის გამო, რომელიც მოუვა იმ გემებს, ვინც ამ ცნობას არ დაემორჩილება. კანტონის სამხედრო ძალების მეორე ცნობა ამბობს: ყველა ის გემები, რომლებიც ეპირებიან შეასრულონ თავისი რეისი იო-ჩოუმდე, უნდა გაიჩხრკოს, რადგან არის ეჭვი, რომ ჩრდილოეთ არმიის რამდენიმე გემმა გაიარა მდინარეს ზევით უცხოეთის დროშებით. გამვლელ გემებს მისცემენ გაჩერების ნიშანს, უარის თქმის შემდეგ გემს დაუწყებენ სროლას. კანტონის ხელისუფლების ამ ცნობის გამო ბევრი საზღვარ-გარეთი სამხედრო გემები გაიგზავნა ხანკოუდან შანხაიში.

კანტონში

პეკინი, 3 სექტემბერი. კანტონიდან იუწყებიან, რომ საზოგადო ორგანიზაციათა კონფერენციას უარუყვია ინგლისელების მიმართ ბოიკოტის მოხსნა და კომპრომისული შეთანხმება ამ საკითხზე ჰონკონგთან. კონფერენციამ წინადადება მისცა მთავრობას შეუდგეს ვამპოაში ნავთსადგურების აგებას, რაც გაფიცულთ მისცემს სამუშაოს, და მოწოდებით მიმართა კანტონის მოსახლეობას ნაწილი თავიანთ ყოველთვიურ შემოსავლიდან გადარიცხონ გაფიცულთა დამხმარე ფონდში.

კონფლიქტი ალმ. ჩინეთის რკინისგზაზე

საუბარი ამხ. რუძუტაკთან

მოსკოვი, 4 სექტემბერი. საბჭოთა კავშირის დეპეშათა სააგენტოს თანამშრომელთან საუბარში გზათა მიმოსვლის სახ. კომისარმა ამხ. რუძუტაკმა სთქვა:

„უკანასკნელი ამბები აღმოსავლეთ-ჩინეთის რკინისგზაზე ძალიან დიდ გაოცებას იწვევს ჩვენში.

საბჭოთა კავშირი აღმოსავლეთ-ჩინეთის რკინის გზაზე მეტად მშვიდობიან პოლიტიკას აწარმოებს და თავისი მოქმედებით საკმაოდ დაამტკიცა, რომ იგი მტაცებლურ მიზნებს არ ისახავს.

საბჭოთა ადმინისტრაცია აღმოსავლეთ - ჩინეთის რკინისგზაზე მუშაობდა ჩინეთის ადმინისტრაციასთან კონტაქტში და არავითარი საბაბი არ მიუცია ასეთი მტაცებლური მოქმედებისათვის. საბჭოთა ადმინისტრაცია ალმ.ჩინეთის რკ. გზაზე დაუღალავად იღებდა და იღებს ყოველგვარ ზომებს ყველა სადავო საკითხების მოსაგვარებლად. რაც შეეხება ალმ.-ჩინეთის რკ.გზის და ფლოტის, აგრეთვე სასკოლო და სხვა საკითხებს, — საკითხები როგორც სადავო, უნდა განეხილა მუკდენის კონფერენციას, რომელიც ორთავე მხარის თანხმობით გადადებულ იქნა და რომლის მოსაწვევად საბჭოთა კავშირი ყოველთვის იღებდა ზომებს..

მუკდენის ხელისუფლების ასეთი მოქმედება და მოთხოვნილებანი მეტად დიდ ზიანს აყენებს ჩინეთისა და საბჭოთა კავშირის მეგობრულ განწყობილებას.

პ ი ლ ს უ დ ს კ ი ს პ ო ლ ი ტ ი კ ა

მუშების ხმა.

ვარშავა, 3 სექტემბერი. **დომბროვსკის რაიონის მუშები წარუდგენ სილეზიის სამთა-მადნო მუშების გადაწყვეტილებას გამოაცხადონ გაფიცვა იმ შემთხვევაში, თუ რომ 4 სეტემბრამდე არ იქნება დაკმაყოფილებული მათი მოთხოვნილება ხელფასის მომატების შესახებ.**

კონფლიქტის წინ.

ვარშავა, 3 სექტემბერი. **ოფიცრების და უნტერ-ოფიცრებისთვის ჯამაგირის მომატებამ გამოიწვია უკმაყოფილება სახელმწიფო მოსამსახურეებს შორის, რომლებიც მეტად მცირე ჯამაგირებს ღებულობენ.**

სახელმწიფო მოხელეების მცირე კავშირმა დაადგინა გამართოს მოლაპარაკება მოხელეების მდგომარეობის გაუმჯობესების შესახებ. **მოლაპარაკება შესაძლოა დამთავრდეს კონფლიქტით,** ვინაიდან მთავრობა, თანახმად ბერტელის განცხადებისა, არ ფიქრობს გაზარდოს ხარჯები.

კიდევ სამი მილიონი მანეთი გაფიცულ მემაღაროებს

ძმური დახმარება კვლავ გაგრძელდება

მოსკოვი, 4 სექტ. დღეს შესდგა სრულიად საკავშირო პროფკავშირთა საბჭოს პრეზიდიუმის სასწრაფო სხდომა, რომელზედაც დადგენილ იქნა გადაეგზავნოს ინგლისის მემაღაროელების აღმასკომს 3 მილიონი მანეთი უკვე შემოსულ შემოწირულებებიდან და ავანსი მოსალოდნელ შემოწირულებათა ანგარიშში.

ამავე სხდომაზე მიღებულ იქნა სრულიად საკავშირო პროფკავშირთა საბჭოს მოწოდება სამთამადნო მუშების გენერალურ ფედერაციისადმი. მოწოდებაში ნათქვამია:

„ძვირფასო ამხანაგებო! სრულიად საკავშირო პროფკავშირთა საბჭოს პრეზიდიუმმა თავის გაფართოებულ სხდომაზე—პროფკავშირების ცეკას წარმომადგენლების და სრ. საკ. პროფკავშირთა საბჭოს პლენუმის ყველა წევრთა თანადასწრებით 31 აგვისტოდან წინადადება მიეცა საბჭოთა კავშირის ყველა პროფკავშირებს, რათა მათ კავშირის წევრთა გაფართოებულ კრებაზე დასვან საკითხი თქვენი სასარგებლოდ ჯამაგირიდან 1 % ანარიცხის გადადების შესახებ, სანამ თქვენი ბრძოლა არ დამთავრდება. ვიცით რა საბჭოთა კავშირის მუშების მხურვალე თანაგრძნობა თქვენი გმირული ბრძოლისადმი და მათი სურვილი ამ ბრძოლას ყოველმხრივ შეუწყონ ხელი, ჩვენ დარწმუნებული ვართ იმაში, რომ ჩვენი წინადადება მხურვალე გამოძახილს იპოვის ჩვენი პროფ. კავშირების წევრთა 8 ნახევარ მილიონ მასაში.

იცის რა ეხლანდელი თქვენი უკიდურესი გაჭირვება, სრულიად საკავშირო პროფკავშირთა საბჭომ გადასწყვიტა გადაუგზავნოს ინგლისის სამთამადნო მუშების აღმასკომს შემოსულ შემოწირულებები და აგრეთვე მოსალოდნელ შემოწირულებათა ანგარიში ავანსი, სულ 3 მილიონი მანეთის რაოდენობით.

გისურვებთ წარმატებას თქვენს ბრძოლაში"!

ხ ი კ ს ი ს პ რ ო ვ ო კ ა ც ი ა

კლაინსის განცხადება

ლონდონი, 3 სექტემბერი. მაკდონალდის მთავრობის ყოფილმა მინისტრმა **კლაინსმა,** მანჩესტერში გამოსვლის დროს, პროტესტი განაცხადა საკავშირო პროფკავშირთა ცენტ. საბჭოს დელეგაციის ინგლისში დაუშვებლობის გამო. ჯოინსონ ხიკსის უარს დელეგაციისათვის ვიზის მიცემაზე კლაინსი ახასიათებს, როგორც წვრილმან პროვოკაციულ ჩარევას ინგლისის მშრომელთა საერთაშორისო დამოკიდებულების დამყარების უფლებაში. საკავშირო პროფსაბჭოს ცენტ. საბჭოს დელეგაციის დაუშვებლობა, სთქვა კლაინსმა, არ გააძლიერებს კონსერვატიულ მთავრობას და არც დაასუსტებს მუშათა პარტიას, მხოლოდ კომუნისტებს მისცემს განგაშის ატეხის ახალ საბაბს. თუ თემთა პალატის კონსერვატიულ წევრებს უფლება აქვთ იმოგზაურონ რუსეთში, რუსეთის პროფმოძრაობის ბელადსაც აქვს უფლება ინახულოს ინგლისი. თუმცა მე ყოველთვის უფრო რუსეთთან სავაჭრო კავშირის დამყარებას ვაფასებდი,—მაინც პროტესტს ვაცხადებ ასეთი ჩარევის წინააღმდეგ ორგანიზაციულად მოწყობილ შრომის თავისუფლების შეზღუდვის წინააღმდეგ.

მოსკოვისაკენ

ლონდონი, 3 სექტემბერი. მუშათა მოძრაობის მემარცხენეთა ფრთის ორგანო „სენდეიჰ უორკერი"-ს გამომცემელი ვილიამ ვოლი 4 სექტემბრის მოსკოვში მიემგზავრება.

სტერლინგის კურსი

ლონდონი, 3 სექტემბერი. ნიუიორკში სტერლინგის კურსის გაუმჯობესებას ლონდონის საქმიანი წრეები მიაწერენ ინგლისის მთავრობის მიერ შეერთებულ შტატებში ქვა-ნახშირის შესყიდვის შემცირებას, რის გამო იქ შეიქმნა ისეთი შთაბეჭდილება, რომ გაფიცვას მალე მოეღება ბოლო.

კუკის წერილი ჩერჩილისადმი

ლონდონი, 3 სექტემბერი. რეიტერის სააგენტო იუწყება: „სამ სექტემბერს მემაღაროეთა ფედერაციის მდივანმა კუკმა მიმართა ფინანსთა მინისტრს ჩერჩილს წერილით, რომელშიაც სთხოვს მას მოიწვიოს კონფერენცია მაღაროს მეპატრონეებთან მოლაპარაკების გასამართად და თითონაც დაესწროს მას.

კუკი აღნიშნავს, რომ ფედერაცია მზად არის დაიწყოს მოლაპარაკება შეთანხმების დასადებათ მთელი ინგლისისათვის იმ მიზნით, რათა დაწეულ იქნეს სამუშაო ძალის ღირებულება, რაც სანახშირო მრეწველობის ერთ-ერთი გადაუდებელი ამოცანაა.

მთავრობის ცნობა, რომელიც ამის გამო იქნა გამოქვეყნებული, ამბობს, რომ კუკის წერილი საკმარისია იმისათვის, რათა მთავრობამ სთხოვოს მაღაროს მეპატრონეებს განაახლონ მოლაპარაკება მაღაროს მუშებთან. მთავრობის ცნობით მოლაპარაკება მეპატრონეებთან კუკის წინადადების გარშემო უკვე სწარმოებს.

ახალი რწმუნებულება

ლონდონი, 3 სექტემბერი. ინგლისის მემაღაროეთა სადელეგატო კონფერენციამ 557.000 ხმის უმრავლესობით 225.000 ხმის წინააღმდეგ მიიღო გადაწყვეტილება მიანდოს ფედერაციის აღმასკომს—აწარმოოს მოლაპარაკება კონფლიქტის ლიკვიდაციის შესახებ საერთო ინგლისის მასშტაბით ხელშეკრულების დადების გზით.

კონფლიქტის გარშემო

ლონდონი, 4 სექტემბერი. მემაღაროეთა აღმასკომმა მთავრობას მიმართა თხოვნით, რათა უკანასკნელმა მოიწვიოს და დაესწროს სამთამადნო მუშათა ფედერაციასა და მაღაროს მეპატრონეთა ასოციაციის კონფერენციას, და განაცხადა სურვილი ნაციონალურ მასშტაბით შეთანხმებაზე მოლაპარაკების დაწყების შესახებ.

ც უ დ ი დ რ ო დ ა უ დ გ ა თ

პარიზ, 3 სექტემბერი. ბელგიის მთავრობამ უარი განაცხადა იცნოს რუსეთის მეფის მთავრობის წინანდელი დიპლომატიური წარმომადგენლები და კონსულები.

მუშების მიტინგი

ბერლინი, 3 სექტემბერი. **გერმანიისა და ჩეხო-სლოვაკიის საზღვარზე ქალაქ იოჰან გეორგენ შტადტში (გერმანია) შესდგა გერმანელ და ჩეხო-სლოვაკელ მუშების მიტინგი, რომელსაც დაესწრო გერმანელ ერცგებირგფოგტლანდის ოლქიდან 20.000 მეტი მუშა და მუშა-ქალები, ჩეხო სლოვაკიის კომუნისტური პარტიის მერვე საოლქო ორგანიზაციის წევრები, ფრონტოვიკების წითელი კავშირის და ქალების წითელი კავშირის რამდენიმე ათასი წევრი.**

მიტინგის შემდეგ გაიმართა **ფრონტოვიკების კავშირის ადგილობრივ ორგანიზაციის საზეიმო მსვლელობა. მიღებულ იქნა საპროტესტო რეზოლიუცია პოლიციურ და სასამართლოს ტერორის წინააღმდეგ, პოლიტიკურ ტუსაღების განთავისუფლების მოთხოვნით.**

ს ა ბ ჭ ო თ ა პ რ ე ს ა

ხელფასის თავის დროზე გასტუმრება

შრომის ნაყოფიერების გადიდების ერთ-ერთ მთავარ პირობას წარმოადგენს სამუშაო ხელფასის დროზე გასტუმრება. უდავოა, რომ ხელფასის დაგვიანება იწვევს მუშებს შორის ნერვიულობას, შრომის დისციპლინის შესუსტებას, სამუშაო დროს გაცდენას, მუშა-ხელის სულიერ და ფიზიკურ ენერგიის მოდუნებას და საერთოდ წარმოების დეზორგანიზაციას. მთელ რიგ ღონისძიებათა წყალობით, რომელნიც იქნენ მიღებული ხელისუფლების, სამეურნეო და პროფორგანიზაციების მხრით, ჩვენი მრეწველობისათვის 1924—25 წ. და ა. წ. პირველ მეოთხედში შეიქნა ისეთი პირობები, როცა ხელფასის დაგვიანების ფაქტები თითქმის მთლიანად წარსულს ჩაბარდა. მაგრამ ბოლო ხანებში მდგომარეობა რამდენიმედ შეიცვალა. — აქა - იქ ადგილი აქვს ხელფასის დროზე გაუსტუმრებლობას. ეს მოვლენა აიხსნება არა მარტო ობიექტიური მიზეზებით (წარმოების გაშლასთან დაკავშირებული მრეწველობის ფინანსიური ხელმოკლეობა, სახელმწიფო ფინანსების საერთო მდგომარეობა, რომელსაც თან სდევს კრედიტების შეკვეცა და ფინანსიური ვალდებულებათა დაგვიანებით შესრულება), არამედ სამეურნეო ორგანოების უთავბოლობითაც. ამაზე **„ეკონომიჩესკაია ჟიზნ"** სწერს:

„სამეურნეო ორგანიზაციები, რომელნიც მოხვდენ ხელფასის მხრივ დავალიანებულთა ნუსხაში, მცირედი გამოკლებით, თავის ფინანსიურ საშუალებებს ხარჯავენ ისე, რომ შესაფერ ანგარიშს არ უწევენ პირველ რიგში ხელფასის გაცემის უზრუნველყოფის აუცილებლობას. აქვთ რა, მაგალითად, ზედმეტი დამზადებული მასალები, რომელთა გამოყენება არ შეიძლება, წარმოებები თავს იკავებენ მათი რეალიზაციისაგან, ამავე დროს კი ჰყვებიან ხელფასის მხრივ დავალიანებულთა კატეგორიაში. ამასთან ერთად შემჩნეულია სახელშეკრულებო დისციპლინის შესუსტება სახელმწიფო წარმოებათა შორის ანგარიშების გასწორების საქმეში. შემდეგ, არის მთელი რიგი შემთხვევები, კაპიტალურ სამუშაოთა დარგში უხეირო მანევრებისა, როცა ხელფასის გაცემის ინტერესებს უკანა რიგში აყენებდენ საამშენებლო გეგმების ფორმალურ შესრულების წინაშე".

მრეწველობის ფინანსიურ სიძნელეთა ობიექტიურ მიზეზების მოსპობასთან ერთად, საჭიროა სასტიკი ბრძოლა გამოეცხადოს სამეურნეო ორგანოების უმომჭირნეობას და უთავბოლო მოქმედებას, რომელიც ართულებს ხელფასის დროზე გასტუმრების საქმეს. „ეკონომიჩესკაია ჟიზნ" ამ მხრივ შემდეგ ზომებზე მიგვითითებს:

„1) შემდეგისათვის არ უნდა იქნას დაშვებული ხელფასის ფონდების სხვა საწარმოო და სამეურნეო მიზნებისათვის გამოყენება, თუნდაც საბრუნავ საშუალებათა დიდ საჭიროებას განვიცდიდეთ; 2) ადგილი არ უნდა ექნეს კაპიტალურ მშენებლობისადმი ფორმალურ-ბიუროკრატიულ დამოკიდებულებას, თუ ამ მშენებლობის მსვლელობა არ შეესაბამება წარმოების რეალურ საშუალებებს; 3) საჭიროა გაძლიერებულ იქნეს სახელმწიფო შეკვეთათა კომიტეტის მეთვალყურეობა სახელმწიფო შემკვეთელთა მიერ ურთიერთ ვალდებულებათა პირიან განაღდებაზე; 4) საჭიროა კონტროლის გაძლიერება ხელფასის დროულ გაცემაზე და უფრო გადაჭრილი ზომების მიღება იმ სამეურნეო მუშაკების წინააღმდეგ, რომელთა დაუდევრობის და უთავბოლობის მიზეზით ხდება ხელფასის დაგვიანება".

პოლონეთისა და ლიტვის კომპარტიის ცენტრ. კომიტეტების მიმართვა ყველა მშრომელთადმი

მოსკოვი, 4 სექტემბერი. პოლონეთის კომპარტიის ცკკა და ლიტვის კომპარტიის ცკა საერთო მოწოდებით პოლონეთისა და ლიტვის მუშებისა, გლეხებისა, ჯარისკაცებისა და ყველა მშრომელთა მიმართ, მოაგონებს მათ, რომ ბურჟუაზიული ქვეყნები ახალ სისხლისმღვრელ ომს ამზადებენ. პილსუდსკი, რომელსაც ზურგს უმაგრებს ინგლისი და რომელსაც აღფრთოვანებით მხარს უჭერენ პოლონეთის მემამულენი, ახალი იმპერიალისტური ომისათვის ემზადება. პირველ რიგში პილსუდსკი ისწრაფვის დაიპყროს ლიტვა, რომ გაიმაგროს ზურგი შემდგომ დაპყრობათა მოხდენისათვის. იმ დროს, როდესაც ლიტველი კლერიკალები, ლატველი პრემიერი ულმანისი, ესერი ჩერნოვი და სხვანი ამზადებენ ლიტვაში ნიადაგს ლიტვის პოლონეთისათვის შესაერთებლად, და მის საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ ერთ-ერთ დასაყრდნობ პუნქტად გადასაქცევად, პილსუდსკი აგროვებს ფაშისტურ ძალებს და თავის ჯარებს ლიტვის საზღვარზე ლიტვის დასაპყრობად. ომი ეხლა ბეწვზე ჰკიდია. ასეთ პირობებში ლიტვისა და პოლონეთის შორის მოსალოდნელ ომს არ შეიძლება შევხედოთ ისე, როგორც ჩვეულებრივ ომს ბურჟუაზიულ სახელმწიფოთა შორის, რომლებიც დაინტერესებული არიან სხვისი მიწა-წყლის დაპყრობით. ამ ომში, ერთის მხრით ჩვენ ვხედავთ საერთაშორისო იმპერიალიზმის ერთ რაზმთაგანს—პოლონეთს, რომელიც ინგლისის ვასალი, მონა-მორჩილი ხდება, მეორეს მხრით კი — პატარა ნეიტრალურ ლიტვას, რომელიც ამ შემთხვევაში იცავს თავის დამოუკიდებლობას და ამით ძალაუნებურად ხელს უშლის პოლონეთ-ინგლისის გეგმებს.

ლიტვა ამ ომში, თუ იგი წინააღმდეგობას გაუწევს პოლონეთს, იბრძოლებს თავის დამოუკიდებლობისათვის, იმპერიალიზმის წინააღმდეგ. პოლონეთი კი იბრძოლებს ლიტვის დასაპყრობად, ლიტვის ხალხის დასამონებლად და საერთაშორისო იმპერიალიზმის საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ შეტევის შესამზადებლად. ლიტვის დამარცხება ამ ომში იქნება იმპერიალისტების გაძლიერება, ეს იქნება ნაბიჯი—მთელი ბალტიის მხარის სახელმწიფოთა იმპერიალისტურ სახელმწიფოთა კოლონიად გადაქცევისათვის.

პოლონეთის კომპარტია და ლიტვის კომპარტია კატეგორიულად ილაშქრებენ ახალი სისხლის - მღვრელი ავანტიურის წინააღმდეგ და მოუწოდებენ ლიტვისა და პოლონეთის მშრომელთა მასებს დაიწყონ ბრძოლა ახალი ომის პროვოკაციის თავიდან ასაცილებლად.

ამხანაგო მუშებო, გლეხებო და ჯარისკაცებო და ლიტვის ყველა მშრომელებო, მზად იყავით, რომ ღირსეული პასუხი გასცეთ პოლონეთის იმპერიალისტურ ზრახვებს. ამხანაგო პოლონეთის ჯარისკაცებო, მაგრად დაიჭირეთ ხელში თქვენი, თოფები და დადექით ლიტვის დამოუკიდებლობის, მუშებისა და გლეხების დაცვის სადარაჯოზე და იბრძოლეთ პოლონეთის იმპერიალისტური ზრახვების წინააღმდეგ.

„ამხანაგო პოლონეთის ჯარისკაცებო", — ნათქვამია მიმართვაში,—თუ პილსუდსკი გეტყვით თქვენ იბრძოლოთ ლიტვის წინააღმდეგ, თქვენი ლოზუნგი უნდა იყოს: „არც ერთი ტყვია არ ვესროლოთ ჯარისკაცებს, ლიტველ მუშებსა და გლეხებს!".

ნუ გახდებით პილსუდსკის, პოლონეთის ბურჟუაზიის და მემამულეების ბრმა იარაღად, ლიტვის დამონებისა და ინგლისის იმპერიალიზმის გასამარჯვებლად. მომართეთ თქვენი ხიშტებით ბურჟუაზიისა და მემამულეების წინააღმდეგ.

ამხანაგო მუშებო და პოლონეთის ყველა მშრომელნო! პროტესტი განაცხადეთ მიტინგებზე, კრებებზე და პრესაში პილსუდსკის ახალი ომისათვის მზადების წინააღმდეგ. მხოლოდ ყველა მშრომელთა ფართო მოძრაობას პილსუდსკის ავანტიურის წინააღმდეგ, პოლონეთის მიერ ლიტვის დაპყრობის წინააღმდეგ, საბჭოთა კავშირთან ომის შემზადების წინააღმდეგ, შეუძლია იხსნას ქვეყანა ახალ უბედურებათა და სისხლის - ღვრისაგან.

ერთა ლიგის სესიის წინ

ლიგას ნიადაგი ეცლება

პარიზი, 3 სექტემბერი. ეხება რა ესპანეთის მიერ ერთა ლიგის მუშაობაში მონაწილეობის მიღებაზე უარის გამოცხადებას, „ფიგარო" სწერს, რომ იმ შემთხვევაში თუ ესპანეთი გამოვიდა ერთა ლიგიდან იგი იძულებული იქნება ეძიოს თავის მოკავშირეები, რომ ამრიგად ევროპაში შექმნას ჟენევის სულის საწინააღმდეგო ძალა. **აქამდე ერთა ლიგას ხელს უშლიდენ ამერიკიდან, ეხლა კი პირველად ირყევა მისი ნიადაგი ევროპაში.**

არგენტინის პოზიცია

ბერლინი, 4 სექტემბერი. არგენტინის წარმომადგენელმა ჟენევაში ჟურნალისტებთან საუბრის დროს აღნიშნა არგენტინის მონაწილეობის შესაძლებლობა ლიგის მომავალ სესიაზე. არგენტინის პრეზიდენტს—ალვეარს განზრახული აქვს დაუცადოს კონგრესის გადაწყვეტილებას.

ნიღაბ ქვეშ

სტოკჰოლმი, 3 სექტემბერი. კონსერვატიული „სვენსკა დაგებლადეტ", მოწინავე წერილში ეხება ესპანეთის ერთა ლიგიდან გასვლის შესაძლებლობას და წინადადებას აძლევს შვეციის დელეგატს არ მიიღოს მონაწილეობა ლიგის სესიაში, რათა თავიდან აიცილოს ყოველივე პასუხისმგებლობა იმ გადაწყვეტილებისათვის, რომლის გამოცნობა წინდაწინვე შეიძლება, მიტომ, რომ **დიდი სახელმწიფოები თავიანთ ეგოისტურ მიზნებს ემსახურებიან.**

გაზეთი სწერს: „**ყოველივე იმას, რის დასაცავათ ლიგა მოწოდებულია, ხიფათი მოელის. 6 წლის წინეთ მსგავს ხიფათის შესაძლებლობას ყველანი ეჭვით შეხედავდენ. ეხლა კი დიდი სახელმწიფოები ლიგის ნიღაბ ქვეშ უფრო თავისუფლად აჭახრაკებენ თავიანთ საქმეებს, ვიდრე წინათ.**

ესპანეთის პოზიცია

პარიზი, 4 სექტემბერი. ჟენევიდან მიღებული ცნობებით, ერთა ლიგის საბჭო დღეს ისმენს საბჭოში მუდმივი ადგილის გამნაწილებელ კომისიის მოხსენებას. ლიგის ცნობაზე ესპანეთს ჯერ არ გაუცია პასუხი. ესპანეთის წარმომადგენელი დღეს გაემგზავრება ჟენევიდან.

ერთა ლიგის წინააღმდეგ

ვარშავა, 3 სექტემბერი, **ვარშავაში არა სასიამოვნო ცნობები მოდის ჟენევიდან.** გაზეთების კორესპონდენტები სწერენ „ღრუბლებზე, რომლებიც ლიგას დასწოლია და იმ მძიმე ბრძოლაზე, რომლის გადახდაც მოუხდება პოლონეთის დელეგაციას".

გაზეთი „პორანნა ვარშავსკა" უკმაყოფილოა ზალესსკის პოლიტიკით ჟენევაში და ამ პოლიტიკას „მორჩილების და ბრმად დაჯერების პოლიტიკას" უწოდებს.

გაზეთი „კურიერ პორანნი" უკმაყოფილოა ზალესსკის მიერ პარიზში გამოქვეყნებულ განცხადებით პოლონეთის ერთა ლიგისადმი აბსოლუტურ ერთგულებაზე და აღნიშნავს, რომ ზალესსკიმ დაიჭირა უარყოფითი პოზიცია საბჭოთა კავშირის წინადადების მიმართ თავდაუსხმელობაზე ხელშეკრულების დადების შესახებ.

მდგომარეობა უცვლელია

ბერლინი, 4 სექტემბერი. რადგან დამოკიდებულება ესპანეთთან ჯერ არაა გამორკვეული, **მდგომარეობა ჟენევაში უცვლელია.**

„ივნინგ ნიუზ"-ის მადრიდელ კორესპონდენტის ცნობით, ესპანეთი არ აპირებს ლიგიდან გამოსვლას, თუმცა მის დელეგატებს მიცემული აქვთ სესიისაგან განზე დგომის ინსტრუქციები.

ერთა ლიგის დელეგაცია

ბერლინი, 4 სექტემბერი. ერთა ლიგის დელეგაციის წევრებს ჰქონდათ პირველი წინასწარი თათბირი საგარეო საქმეთა სამინისტროს კომპეტენტურ პირებთან. დელეგაცია დაბრუნდება ჟენევაში მაშინვე, რა დროსაც დამტკიცებული იქნება ყველა ინსტანციების მიერ ერთა ლიგაში გერმანიის შესვლა და მისთვის საბჭოში მუდმივი ადგილის დათმობა, რაც მოსალოდნელია მომავალ შუა კვირაში.

ფ რ ა ნ გ ე ბ ი ს ი რ ი ა შ ი

დამასკის გარშემო

პარიზი, 3 სექტემბერი.,„ჰიუმანიტე" იუწყება, რომ დამასკის გარშემო ხელახლად გაჩაღდა ბრძოლა. აჯანყებულები თავს დაესხნენ ქალაქს; ხელში ჩაიგდეს ტყვეები, სამხედრო იარაღი და გამაგრდენ მაგორის უბანში.

დრუზების აჯანყება

ანგორა, 3 სექტემბერი. ეგვიპტის გაზეთების ცნობით, **ხორანში იფეთქა დრუზების აჯანყებამ. პარტიზანული რაზმები თავს ესხმიან დრინს. აჯანყებულთა გამარჯვების შემდეგ მათ შეუერთდათ ახალი ტომებიც.** საფრანგეთის ცნობა დრუზების ზოგიერთი ტომის წყალობით დამორჩილების შესახებ სინამდვილეს არ შეესაბამება.

ბრძოლა სუეიდუში

ანგორა, 3 სექტემბერი. სირიის ბეჭდვითი სიტყვის ბიუროს ცნობით, საფრანგეთს ჯარებმა 9 აგვისტოს დასტოვეს სუეიდუ, რომელიც ხელახლად დაიჭირეს 5 დღის ბრძოლის შემდეგ.

დე-ჟუვენელის ნაცვლად

პარიზი, 3 სექტემბერი. ჰავასის სააგენტოს ცნობით, საფრანგეთის წარმომადგენლად ოსმალეთში დანიშნეს დაშნო, სირიაში—კი უმაღლეს კომისრად—პანსო.

ყ ვ ი თ ლ ე ბ ი ს წ ი ნ ა ა ღ მ დ ე გ

ვენა, 3 სექტემბერი. ბუქარესტში შესდგა რუმინეთის რეფორმისტულ პროფკავშირების ყრილობა. **ოპოზიციამ გაილაშქრა რეფორმისტულ პროფკავშირის ბიუროკრატიის ოპორტუნისტულ მოღვაწეობის წინააღმდეგ.** მუშათა მასების განწყობილების ზეგავლენით ყრილობა იძულებული გახდა მიეღო **ოპოზიციის მიერ წარმოდგენილი რეზოლიუცია** იმის შესახებ, რომ საკითხი პროფმოძრაობის მთლიანობის შესახებ შეტანილი ყოფილიყო ყრილობის პროგრამაში. მთლიანობის საკითხს ირგვლივ გამართულ კამათზე. დაწვრილებითი ცნობები ჯერ არაა გამოქვეყნებული.

დ ი ქ ტ ა ტ ო რ ი ს ბ ა ქ ი - ბ უ ქ ი

ლონდონი, 4 სექტემბერი. „დეილი ნიუზი" იუწყება, რომ იტალიის ელჩის საპატივცემულოთ ესპანეთის გარეშე საქმეთა მინისტრმა სან-სებასტიანოში გამართა ბანკეტი, რომელსაც დიდი მნიშვნელობა ეძლევა. ბანკეტის შემდეგ მინისტრი გაემგზავრა მადრიდში პრიმო-დე-რივერას მიერ მოწვეულ კაბინეტის სხდომაზე დასასწრებლად. მინისტრის განცხადებით, კაბინეტის გადაწყვეტილებები უფრო დიდ სენსაციას მოახდენენ ვიდრე დიქტატურის დამყარების დროს იყო; მზადდება ისტორიული მნიშვნელობის ამბები.

საკავშირო პროფსაბჭოს მიმართვა ტრედიუნიონთა გენერალურ საბჭოსადმი

მოსკოვი, 4 სექტემბერი. საკავშირო პროფკავშირთა ცენტრ. საბჭოს მიმართვაში ტრედიუნიონების კონგრესისადმი, ნათქვამია:

საკავშირო პროფკავშირთა ცენტრ. საბჭო 8½ მილ. შეკავშირებული მუშების სახელით ძმურ სალამს გიძღვნით თქვენ და თქვენი სახით მთელ ინგლისის პროლეტარიატს; განსაკუთრებით მხურვალე სალამს უძღვნიან საბჭოთა კავშირის მუშები სამთამადნო მუშების მამაც რაზმს, რომლებიც მიუხედავად კაპიტალის გააფთრებული შეტევისა კვლავ განაგრძობენ ბრძოლას. საკავშირო პროფკავშირთა ცენტრ. საბჭო გამოსთქვამს იმედს, რომ პირველი მისი საქმე იქნება მემაღაროეთა დახმარება; იგი გამოთქვამს მწუხარებას, რომ მისი დელეგაცია ვერ ესწრება კონგრესს, რომელსაც უდიდესი მნიშვნელობა აქვს. კონსერვატიულმა მთავრობამ არ დაუშვა საკავ. პროფკავ. ცენტრ. საბჭოს დელეგაცია, ხოლო დიდი სიამოვნებით დაუშვა ამსტერდამისა და ამერიკის შრომის ფედერაციის წარმომადგენლები, რომლებიც გაფიცვის მიმართ შტრეიკბრეხერობას ეწევიან და სპეკულიაციას ეწევიან მემაღაროეთა უკიდურესი გაჭირვებით. კონსერვატიულმა მთავრობამ არ დაუშვა საბჭოთა კავშირის მუშები, რომლებიც საშინელი გაჭირვების პირობებში თავის უკანასკნელ გროშს იღებენ კლასიური ძმების დასახმარებლად და ამით კონსერვატიულმა მთავრობამ გამოაშკარავა, რომ იგი კონტროლ ქვეშ აყენებს ტრედ-იუნიონების პოლიტიკას.

საბჭოთა კავშირის მუშები ფიქრობენ რომ ამაში დამნაშავეა პროფკავშირთა ლიდერების (ტომასის და სხ.) ქვემძრომი პოლიტიკა. საკუთარი ისტორიული გამოცდილების მიხედვით, რომელიც გაიარა ჩვენმა მუშათა კლასმა, ჩვენ ჯეროვნად ვაფასებდით გენსაბჭოს ბელადთა გამცემლურ ტაქტიკას. ეს იყო ჩვენი პროლეტარული მოვალეობა. საყოველთაო გაფიცვა თქვენ მიგიყვანდათ სრულ გამარჯვებამდე, რომ იგი არ ჩაეშალა გენსაბჭოს ბრძანებას. საკავ. პროფკავ. ცენტრ. საბჭო მწუხარებით აღნიშნავს, რომ ინგლის-საბჭოთა კომიტეტის თათბირზე ინგლისის წარმომადგენლებმა კატეგორიული უარი სთქვეს მემაღაროეთა საკითხის განხილვაზე.

საკავ.. პროფკავშირთა ცენტრ. საბჭომ დაადგინა, გადასდოს კიდევ 3 მილიონი მან. მემაღაროეთა დასახმარებლად იმ მომავალი შემოსავლის ანგარიშში, რომელიც შემოვა კავშირების ანარიცხებიდან.

ჩვენ ღრმად დარწმუნებული ვართ, რომ ინგლისის ტრედ-იუნიონების კონგრესი შეეცდება ინგლის-რუსეთის კომიტეტის კიდევ უფრო განმტკიცებას, რომელიც პროფმოძრაობის მთლიანობისა და ძმური კავშირის სიმბოლოს წარმოადგენს.

ბულგარეთის მენშევიკთა შორის

ვენა, 3 სექტემბერი. ბულგარეთის სოციალ-დემოკრატიის კრიზისი გრძელდება. ცენ. კომიტეტის დადგენილებამ მემარჯვენე ოპოზიციის ბელადების გამორიცხვის შესახებ გამოიწვია სასტიკი პროტესტი ზოგიერთ ორგანიზაციის მხრით. მაგალითად, ვარნისა და დუბნიხის ორგანიზაციებმა საბოლოოდა გასწყვიტეს კავშირი ცენტრალურ კომიტეტთან და გამოაცხადეს თავისი თავი ავტონომიურად. სხვა ორგანიზაციების მთელმა რიგმა მაგ. რუსაში, შუმენში და ფილიპოპოლში მიიღეს რეზოლიუცია, რომელშიაც ნათქვამია, რომ ისინი დარჩებიან პარტიაში მხოლოდ იმიტომ, რომ განაგრძონ ბრძოლა ცენტრალური კომიტეტის წინააღმდეგ.

საბჭ. კავშ. და ავღანისტანი

კაბული, 3 სექტემბ. საბჭოთა კავშირსა და ავღანისტანს შორის ნეიტრალიტეტის დაცვის შესახებ დადებულ ხელშეკრულებაზე ხელის მოწერის შემდეგ საბჭოთა წარმომადგენლობაში მოხდა მრავალრიცხოვანი მიღება, რომელზედაც დაესწრო ასზე მეტი სტუმარი, მათ შორის ყველა მინისტრები და ავღანისტანის უმაღლესი ხელისუფლების სამხედრო მინისტრი მუხამედ-ვალი-ხანისა და გარეშე საქმეთა მინისტრის მახმუდ თარზის მეთაურობით. მიღებას დაესწრენ,— ოსმალეთის ელჩი, საელჩოს მთელი შემადგენლობით, და ქაბულის საბჭოთა კოლონიის წარმომადგენლები.

ზივარ-ფაშას მხილება

ანგორა, 3 სექტემბერი. ქაირიდან მიღებული ცნობით, საპარლამენტო კომისია, რომელიც ახდენდა გარეშე საქმეთა სამინისტროს რევიზიას, თავს წააწყდა მთელ რიგ საბუთებს, რომლებიც ჩირქსა სცხებენ ზივარ-ფაშას, კერძოთ ოაზის ჯერაბუბას იტალიისთვის დათმობასთან დაკავშირებით.

„არმიისა და ფლოტის დღე“

ბერლინი, 3 სექტემბერი. **„გერმანიის არმიისა და ფლოტის საზეიმო დღე“ ნიურენბურგში მკრთალად ჩატარდა.** დემონსტრაციაში მონაწილეობას ღებულობდენ უმთავრესად ფაშისტური ორგანიზაციები. დემონსტრაციებს წინ უძღოდენ ყოფ. სამეფო საგვარეულოს წარმომადგენლები, მათ რიცხვში რუპრეხტ ბავარიელი და ვილჰელმის შვილი—ოსკარ პრუსიელი.

ნიურენბურგის მუშები აღშფოთებული, არიან პროფკავშირებისა და სოციალ-დემოკრატების უარით მიეღოთ კომუნისტების წინადადება კონტრ-დემონსტრაციის გამართვის შესახებ.

ცხრა იანვარი

ვენა, 3 სექტემბერი. **28 აგვისტოს ვენის შვიდ კინოში აჩვენებდენ საბჭოთა კინო-სურათს „ცხრა იანვარს“.** სურათმა მოახდინა დიდი შთაბეჭდილება, განსაკუთრებით მაყურებელი საზოგადოების პროლეტარულ ნაწილზე. პრესა ხაზგასმით აღნიშნავს, რუსეთის ხელოვნების განსაკუთრებულ მიღწევებს მასიური სცენების დადგმების მხრით.

კაპაბლანკა-ალიოხინის მატჩი

ლონდონი, 3 სექტემბერი. რეიტერის სააგენტოს ატყობინებენ, ბუენოს-აირესიდან (არგენტინა), რომ **ალიოხინს გამოუწვევია კაპაბლანკა მსოფლიო ჩემპიონის სახელწოდებაზე.** მატჩი გაიმართება 1927 წელს ბუენოს-აირესში. არგენტინის საჭადრაკო კლუბს დაუნიშნავს ჯილდოთ 10.000 დოლარი და უკისრია მატჩის მონაწილეთა ყოველგვარი საგზაო ხარჯები.

უკანასკნელი ცნობები

ვენის საერთაშორისო გამოფენა

ვენა, 3 სექტემბერი. გაიხსნა ვენის საერთაშორისო საშემოდგომო გამოფენა. საბჭოთა კავშირის სრულუფლებიან წარმომადგენლობისა და სავაჭრო წარმომადგენლობის თანდასწრებით შესდგება საბჭოთა პავილიონის გახსნა, რომელზედაც წარმოდგენილია რუსეთის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკისა, უკრაინის სოც. საბჭ. რესპუბლიკის და სხვა საბჭოთა რესპუბლიკების ექსპორტის უმთავრესი დარგების პროდუქტები. საბჭოთა პავილიონი აუარებელ ხალხს იზიდავს.

ჩრდილოეთ ბავარიის საოლქო კონფერენცია

ბერლინი, 3 სექტემბერი. გერმანიის კომპარტიის მუშაკთა ჩრდილო-ბავარიის საოლქო კონფერენციამ ერთხმად მიიღო რეზოლიუცია, რომელშიაც სრულ თანხმობას უცხადებს სრულიად გერმანიის პარტმუშაკთა კონფერენციის დადგენილებებს. ასეთივე რეზოლიუცია მიღებული იქნა ერთხმად გერმანიის კომპარტიის ტიურინგიის საოლქო კომიტეტის მიერ.

საბჭოთა დიპლომატიის აქტიურობის ზრდა

ლონდონი, 3 სექტემბერი. „დეილი მეილის“ დიპლომატიური კორესპონდენტი ხაზს უსვამს საბჭოთა დიპლომატიის აქტიურობის ზრდას ცენტრალურ აზიაში და აცხადებს:

„ავღანისტან-საბჭოთა ხელშეკრულების თავზე არდასხმის შესახებ საოცარი სიმპტომატიური მზგავსება აქვს ოსმალეთ-სპარსეთის ხელშეკრულებასთან“. შემდეგ კორესპონდენტი დასძენს: „მოსკოვის მიერ აბუჩად აგდება ერთა ლიგისა აშკარა დამამტკიცებელია იმისა, რომ მას მტრული განზრახვები აქვს ბრიტანეთის იმპერიისა და კერძოთ ინდოეთის წინააღმდეგ“.

„დეილი ტელეგრაფის“ ბომბეელი კორესპონდენტი იუწყება, რომ ინდოეთი ავღანისტან-საბჭოთა ხელშეკრულებას აფასებს ისე, როგორც საბჭოთა გავლენის ფარგლების გაფართოებას ინდოეთის საზღვრებზე. შემდეგ კორესპონდენტი იუწყება, რომ ინდოეთის სამხედრო წრეებში სერიოზულ მნიშვნელობას აძლევენ „უკანასკნელ ამბებს“.

დეპუტატის ბინის გაჩხრეკა

ვარშავა, 3 სექტემბერი. გლეხთა დამოუკიდებელ პარტიის დეპუტატის—ბალინის ბინაზე, პოლიციამ და პროკურატურამ მოახდინა გაჩხრეკა, მიუხედავათ იმისა, რომ სეიმის თავმჯდომარეს არ მიუცია მათთვის გაჩხრეკის სანქცია.

მუშა-ახალგაზრდობის დაპატიმრება

ვარშავა, 3 სექტემბერი. ღამით ხუთშაბათიდან პარასკევს პოლიციამ დააპატიმრა 100 ახალგაზრდა მუშა. მათ ბრალდებათ კომკავშირში მონაწილეობა.

პოლონეთის მემაღაროელთა მოთხოვნა

ვარშავა, 3 სექტემბერი. პოლონეთის მემაღაროე მუშათა წარმომადგენელი პერეესოვსკი და დეპუტატი სტანჩიკი გამოცხადდენ მთავრობის თავმჯდომარე ბარტელთან და განუცხადეს, რომ თუ მაღაროს მუშათა მოთხოვნილება ხელფასის გადიდების შესახებ არ იქნა დაკმაყოფილებული 6 სექტემბრამდე, ქვა-ნახშირის ყველა მაღაროებში დაიწყება მემაღაროელთა გაფიცვა.

ბავშვების ჩამოსვლა ჩეხო-სლოვაკიიდან

მოსკოვი, 3 სექტემბერი. 3 სექტემბერს პოლონეთ-საბჭოთა საზღვარზე ჩეხო-სლოვაკიიდან ჩამოვა 68 ბავშვი. ეს ბავშვები გაგზავნილი იყვნენ ჩეხო-სლოვაკიაში 1921 წ. პოვოლჟიაში შიმშილობის დროს. ბავშვების შესახვედრად სადგურზე გაემგზავრა სპეციალური კომისია.

რუსი ემიგრანტები

ლონდონი, 3 სექტემბერი. პარიზში დატუსაღებულია ორი რუსი ემიგრანტები, რომლებიც ყალბ სტერლინგებს ასაღებდენ.

ლოპეცის დაკარგვა

მექსიკა, 3სექტემბერი. მუშათა დაცვის საერთაშორისო კავშირის მექსიკის განყოფილება (რემედასის მხგავსია), მექსიკაში და ცენტრალურ ამერიკაში აწყობს მასიურ საპროტესტო დემონსტრაციას გავანის შრომის ფედერაციის მთავარ მდივანის ალფრედ ლოპეცის დაკარგვის გმო.

ლოპეცი ივლისში დაიბარა პოლიციის უფროსმა, რომელიც დაემუქრა მას, რომ სასტიკად დასჯის, თუ იგი თავის მოქმედებას არ შესწყვეტავს. ლოპეცმა უარი განუცხადა ამ მოთხოვნილებაზე და რამოდენიმე დღის შემდეგ დაიკარგა.

ზოგიერთი მუშები ამტკიცებენ, რომ ლოპეცი წყალში იქმნა გადაგდებული.

ამერიკელი მუშების შრომის ნაყოფიერება

ვაშინგტონი, 3 სექტემბერი. შრომის სამინისტროს ცნობებით, ამერიკელი მუშების შრომის ნაყოფიერება უკანასკნელი ათეული წლის განმავლობაში არაჩვეულებრივად გაიზარდა. ყველაზე უფრო გაიზარდა საავტომობილო მრეწველობაში, სადაც 1926 წ. მუშის ერთი საათის შრომის ნაყოფიერება თითქმის სამჯერ აღემატება 1914 წლის შრომის ნაყოფიერებას. რკინისა და ფოლადის მრეწველობაში შრომის ნაყოფიერება გაიზარდა 50 პროც.-ით, ქაღალდის მრეწველობაში — 34 პროც.-ით, ფეხსაცმელების — 17 პროც.-ით.

გერმანია ერთა ლიგაში

ბერლინი, 3 სექტემბერი. ერთა ლიგის საბჭომ ერთხმად დაადგინა, ჩაითვალოს გერმანია ერთა ლიგის საბჭოს წევრად, ერთა ლიგაში შესვლის დღიდან.

არამუდმივ ადგილების რიცხვი საბჭოში გადიდებულია ცხრამდე.

კუკის წერილის გარშემო

ლონდონი, 4 სექტემბერი. ინგლისის ბურჟუაზიული პრესა უკეთებს კომენტარიებს კუკის წერილს ჩერჩილისადმი აცხადებს, რომ განცხადება მემაღაროეთა უკან დახევას ნიშნავს. ფრაზა „სამუშაო ძალაზე გაწეულ ხარჯების გაიაფება“, გაზეთების აზრით საშუალებას იძლევა გახსნილ იქნას დისკუსია სამუშაო დღის ხანგრძლივობისა და ხელფასის შესახებ.

მიღებულ ცნობებიდან სჩანს, რომ კუკის წერილი შედეგია იმ კამათის, რომელიც სწარმოებდა ფედერაციის აღმასკომში მთელი დღის განმავლობაში და აგრეთვე იმ მოლაპარაკების, რომელიც „შორიდან“ სწარმოებდა მთავრობასა და ფედერაციას შორის და რომელშიაც მაკდონალდმა მთავარი როლი ითამაშა.

ტომსკის განცხადება

მოსკოვი, 4 სექტემბერი. საკავშირო დეპ. სააგენტოს წარმომადგენელთან საუბარში ამხ. ტომსკიმ განაცხადა: „ინგლისის პროფკავშირთა ყრილობის ბელადების ვალია თამამად და აშკარად განაცხადონ, რა გააკეთონ მათ იმისათვის, რომ საბჭოთა პროფკავშირების დელეგაციას მისცემოდა ნებართვა ყრილობაზე დასწრებისა. რას ფიქრობენ ისინი ამის შესახებ და როგორ უპასუხებენ კონსერვატიულ მთავრობას ამ აქტს“.

პილსუდსკის გამგზავრება

ვარშავა, 3 სექტემბერი. პილსუდსკი გენერალ რიდსმიგლისთან ერთად გაემგზავრა ვილნოდან მესამე ცხენოსან ბრიგადის მანიოვრებზე დასასწრებლად, რომელიც მოხდება ბისტრიცა-პოდზრდნეს რაიონში მანიოვრებს ხელმძღვანელობს გენერალი კუბი.

დიუნკირხენის ნავთ-სადგურში

პარიზი, 3 სექტემბერი. 4.500 მუშიდან, რომლებსაც ლოკაუტი გამოუცხადეს დიუნკირხენში, 3.000 მუშამ სამუშაო იშოვავ სხვა ქალაქებში.

გაფიცულთა სასარგებლოდ ფულის ყულაბებით შეგროვება

მოსკოვი, 4 სექტემბერი. 3 სექტემბერს მოსკოვის მუშა-ქალთა საგუბერნიო კომიტეტმა მოაწყო ინგლისელ მემაღაროეთა სასარგებლოდ ფულის ყულაბებით შეგროვება. პირველმა დღემ კარგად ჩაიარა, რის გამოც ყულაბების რიცხვი მომატებულ იქნა. ფულის შეგროვება გაგრძელდება 8 სექტემბრამდე.

ამხ. ჩაპლინი სოხუმში

სოხუმი, 4 სექტემბერი. დღეს საქ. ა. ლ. კავშირის სოხუმის ორგანიზაციის მრავალ რიცხოვან კრებაზე მოხსენებით გამოვიდა საკავშირო ა. ლ. კავშირის ცეკას მდივანი ამხ. ჩაპლინი. ახალგაზრდობამ მოხსენების შემდეგ ოვაციები გაუმართეს მას.

რეინგოლდის განცხადება

ბერლინი, 3 სექტემბერი. „ვოლფი“-ს სააგენტო იუწყება, რომ დრეზდენის მწარმოებელთა წარმომადგენლების თათბირზე საპროგრამო სიტყვით გამოვიდა ფინანსთა მინისტრი რეინგოლდი, რომელმაც აღნიშნა, რომ მოსალოდნელია მთელი რიგი რეფორმები ფინანსების მართვის საქმეში.

დაუესის გეგმის შესახებ რეინგოლდმა განაცხადა, რომ გერმანია შეასრულებს თავის ვალდებულებებს ეკონომიურ შესაძლებლობათა ფარგლებში. „მაგრამ დადგება დრო, განაცხადა მან, როდესაც მთელი ქვეყანა გაილაშქრებს ვეგმით გათვალისწინებულ ვალების გადახდის წინააღმდეგ“.

საბერძნეთის ახალი მთავრობის ცნობა ინგლისის მიერ

ლონდონი, 3 სექტემბერი. „დეილი ტელეგრაფის“ დიპლომატიური კორესპონდენტი უკეთებს რა კომენტარიებს საბერძნეთის ახალი მთავრობის ინგლისის მიერ ცნობას, აცხადებს: „ფართო წრეებში არ იციან, რომ ლონდონი თავის დროზე თავს იჭერდა პანგალოსის მთავრობის ცნობისაგან“. შემდეგ კორესპონდენტი დასძენს, რომ „კონდილისი—ინგლისის ძველი მეგობარია და მისი მთავრობის სათავეში ყოფნის დროს განახლდება ინგლის-საბერძნეთის მეგობრობის ძველი ტრადიციები, რომელიც დარღვეული იყო პანგალოსის დროს“.

დახმარება მემაღაროებს

მოსკოვი, 4 სექტემბერი. იაროსლავიდან, ვლადიმირიდან, ტამბოვიდან, სარატოვიდან და სხვა ქალაქებიდან მოდის ცნობები, რომ წარმოებებსა და დაწესებულებებში გამოაქვთ დადგენილებანი ინგლისელ მემაღაროეთა სასარგებლოდ სამუშაო ხელფასიდან 1 პროცენტის გადარიცხვის შესახებ.

მელითონეთა დახმარება გაფიცულ მემაღაროებისადმი

მოსკოვი, 4 სექტემბერი. მელითონეთა კავშირის ცეკამ მოწოდებით მიმართა კავშირის ყველა წევრებს, რომ მხარი დაუჭირონ საკავშირო პროფკავშირთა ცენტრ. საბჭოს წინადადებას—გაფიცულ მემაღაროეთა სასარგებლოდ ხელფასის 1 პროც. გადარიცხვის შესახებ.

საბჭოთა კავშირში

რ უ ს ე თ ი

მეკობრეები

მოსკოვი, 4 სექტემბერი. გზათა სახალხო კომისარიატმა მიიღო ცნობები, რომ საბჭოთა სავაჭრო ფლოტის კუთვნილ გემს „სანდვიჩენი“-ს, რომელიც აბრეშუმით დატვირთული ვლადივასტოკში მიდიოდა, კანტონის ახლო დაეცენ მეკობრეები. გემის ადმინისტრაციის ენერგიული მოგერიების წყალობით, მგზავრები და ტვირთი გადარჩენილ იქნა.

ფასების დაკლება

მოსკოვი, 4 სექტემბერი. საკავშირო ვაჭრობის სახალხო კომისარიატის კოლეგიამ დადგენილება გამოიტანა, რათა **აუცილებლათ მიღწეულ იქნას პურის ფასების დაკლება** 1925—26 წლის ფასების წინააღმდეგ და განმტკიცდეს ფასები ტეხნიკურ კულტურებზე.

საგანათებო სეზონისათვის

მოსკოვი, 4 სექტემბ. საგანათებო სეზონისათვის მოსკოვის პროფსაბჭომ ხელშეკრულება დასდო ნავთის სინდიკატთან 700.000 ფუთი ნავთის მიწოდებაზე.

საერთაშორისო რადიო გამოფენა

მოსკოვი, 4 სექტემბ. ფოსტა-ტელეგრაფის სახალხო კომისარიატმა მიიღო მოპატიჟება გერმანიიდან, რომელიც გამოგზავნილია საბჭოთა ყველა რადიო ფილმების სახელზე — მიიღონ მონაწილეობა საერთაშორისო რადიო გამოფენაში, რომელიც ეწყობა ბერლინში სექტემბერში.

75 რადიო სადგური

მოსკოვი, 4 სექტემბ. ელექტრონის სუსტი დენის ქარხნების ტრესტი დაიწყებს ოქტომბერში 75 რადიო სადგურის დადგმას საბჭოთა კავშირის სხვადასხვა ქალაქებში.

სესხი გერმანიის კინოში მომუშავეთა სასარგებლოდ

მოსკოვი, 3 სექტემბერი. გერმანიის კინოში მომუშავეთა კავშირმა მიმართა საბჭოთა კავშირის ხელოვნების მუშაკთა კავშირს, მისცეს მას სესხი 3,000 მარკის რაოდენობით გერმანიის კინოში მომუშავეთა დახმარების აღმოსაჩენად, რომლებიც დღეს-დღეობით მოკლებული არიან სამუშაოს. ხელოვნების მუშაკთა კავშირის ცეკამ დააკმაყოფილა გერმანიის კინოს მუშაკთა კავშირის თხოვნა და გადაგზავნა გერმანიაში 3.000 მარკა.

პურის დამამზადებელი კამპანია

ხარკოვი, 4 სექტემბერი. უკრაინის პურის დამამზადებელ ორგანიზაციების ხელმძღვანელებთან საუბრის დროს, გამოირკვა, რომ აგვისტოს თვეში დამზადებათა ტემპის შენელება გამოწვეული იყო პურის ნათესების მომკილ, მისი გულწრფელობით და მომხმარებელ კოოპერაციების და სოფლის ამხანაგობათა შორის ხელშეკრულების დადების შეგვიანებით. უკანასკნელ ხანებში დამზადების საქმე შესამჩნევად გამოცოცხლდა. დამზადებული ხორბალი კარგი ხარისხისაა. პურის რაოდენობის დასამზადებელ რაიონებში ვაგონების ნაკლულევანებას აქვს ადგილი.

შემოსავლის კვალობაზე გადასახადის რეფორმა

მოსკოვი, 3 სექტემბერი. საკავშირო ფინსახკომში საბჭოთა ტელეგრაფის სააგენტოს თანამშრომელს განუცხადეს, რომ პირველი ოქტომბრიდან დაწყებული არსებითი ცვლილებები იქნება შეტანილი შემოსავლის კვალობაზე გადასახადში. გუქმებულია ძირითადი შემოსავლის კვალობაზე გადასახადი. გადასახადი დაფუძნებული იქნება ევროპის პროგრესიული შემოსავლის დაბეგვრის სისტემის მიხედვით, მაგრამ მასში შეტანილი იქნება დაბეგვრის კლასობრივი დიფერენციაცია; გადასახადები იქნება სამნაირი კატეგორიის. გადასახადის ძირითადი პრინციპი არის: მუშა-მოსამსახურეების დაბეგვრის შემცირება და არამშრომელი ელემენტების დაბეგვრის გადიდება. შემოსავლის კვალობაზე გადასახადის აკრეფის ვადა ჯერ დადგენილი არ არის, მაგრამ ფიქრობენ, რომ შენარჩუნებული იქნება გადახდის და დროების სამი ვადა. მუშა-მოსამსახურეები, როგორც ეხლა, გადაიხდიან შემოსავლის კვალობაზე გადასახადს ყოველთვიურად.

„ბურევესტნიკი“

მოსკოვი, 4 სექტემბ. სახელმწიფო ნაოსნობის ცენტრალურ სამმართველომ მოისმინა გზათა სახალხო კომისარიატის კომისიის მოხსენება გემ „ბურევესტნიკი“-ს დაღუპვის შესახებ. კომისია ავარიის ძირითად მიზეზათ სთვლის იმ გარემოებას, რომ ნავთსადგურის ქვიშიანი ნაწილი ღამით არ არის განათებული. შემდეგ კომისია არკვევს, რომ ნავთსადგურის ორ ნაწილათ—საზღვაო და სამდინაროთ დანაწილება, რომელთაც ორი სახალხო კომისარიატი განაგებს, ხაზებზე ჰქმნის მთელ რიგ სიძნელეებს, რომელთა ნამდვილი მიზეზები ნავთსადგურის ტერიტორიის სხვადასხვა ადმინისტრატიულ ნაწილებში უნდა ვეძიოთ.

კომისიამ შეიმუშავა ღონისძიებანი გემებზე მეთაურთა შემადგენლობის შესარჩევათ. უფროსის თანამდებობაზე დანიშვნის წინ, სავსებით უნდა იქნეს შემოწმებული დანიშნულ პირის ცოდნა-გამოცდილება, განსაკუთრებულ გამომცდელ კომისიის მიერ.

ლენინგრადი, 4 სექტემბ. 4 სექტემბერს „ბურევესტნიკი“ თოკის საშუალებით გამოსწიეს ნაპირისაკენ, სადაც სწარმოებს მისი ტეხნიკური დათვალიერება.

სამხედრო რევოლიუციონურ საბჭოს განკარგულებით ლენინგრადის საზღვაო ბაზისის უფროსი ახდენს დაღუპულ წითელ მეზღვაურთა ოჯახების აღრიცხვას „სახელმწიფო მდინარეთა ნაოსნობის“ მიმართ სარჩელის წარსადგენად, რომ დაენიშნოს პენსია დაღუპულთა ოჯახებს. ამავე დროს ირკვევა ღირებულება ავარიის დროს დაღუპულ სამხედრო ტანთსაცმელებისა, რომელზედაც საჩივარი წარედგინება „სახელმწიფო მდინარეთა ნაოსნობას“.

უცხოელთა დელეგატები

ინგლისის მემაღაროები და გერმანიის მუშა-ქალთა დელეგაცია საგუბერნიო პროფსაბჭოს სხდომაზე

ლენინგრადი, 4 სექტემბ. ინგლისის მუშა-ქალთა დელეგაცია დაესწრო საგუბერნიო პროფსაბჭოს პრეზიდიუმის სხდომას. მისალმა რა სტუმრებს, საგუბერნიო პროფსაბჭოს თავმჯდომარემ უგაროვმა აცნობა მათ ინგლისის მთავრობის ახალ შემოტევის შესახებ საბჭოთა კავშირის მუშების წინააღმდეგ; აცნობა მათ ინგლისის პროფკავშირების ყრილობაზე დასასწრებლად ამხ. ტომსკის ინგლისში შესვლის აკრძალვა. დელეგაციის სახელით გამოვიდენ მოხუცი მემაღაროე ლეიხემი და გერმანიის დელეგაციის მდივანი ანა შულცი. „ჩვენი სალამი“ — სთქვა ლეიხემმა, ეს არ არის არც მეფის სალამი, არც პარლამენტის და არც მით უმეტეს სალამი გარეშე საქმეთა მინისტრისა.

ჩვენი სალამი ინგლისის მემაღაროების და მთელი ინგლისის მუშების სალამია. ჩვენთვის მეტად სამწუხაროა, რომ ტომსკის არ შეუძლია დაესწროს ყრილობას.. მაგრამ განსაკუთრებით დღეს ვგრძნობთ, რომ მუშათა კლასს შორის ნაციონალური ზღუდე ისპობა.

გერმანიის დელეგაციის მდივანმა შულცმა მადლობა გადაუხადა ლენინგრადის მუშებს მიღებისათვის და მოუთხრო მათ გერმანიის მუშა-ქალთა მდგომარეობის შესახებ.

წ ი თ ე ლ ი ფ ლ ო ტ ი

მოსკოვი, 4 სექტემბერი. წითელი არმიის სამხედრო და საზღვაო ძალების უფროსმა, საბჭოთა კავშირის რევოლიუციონურ სამხედრო საბჭოს წევრმა მუკლევიჩმა მისი თანამდებობაზე დანიშვნის გამო გამოსცა ბრძანება, რომელშიაც ნათქვამია:

„უგზავნი რა ჩემს პირველ სალამს ფლოტების და ფლოტილიების პირად შემადგენლობას, მის ყურადღებას მივაქცევ უკანასკნელ ცნობებზე, რომლებიც მოდიან უცხოეთიდან და რომლებიც გვეუბნებიან ჩვენი მუშურ-გლეხური ქვეყნის წინააღმდეგ ახალ შემოტევის მზადებაზე. ამიტომ თვითეული ხომალდის და თვითეული მეზღვაურის სამხედრო უნარის გასაძლიერებელი ღონისძიებანი უნდა გაორკეცდეს, გასამკეცდეს. ამიტომ ჩვენ იძულებული ვართ ვიყოთ ფხიზლად ჩვენს სადარაჯოზე და ყოველ საათობით გავსინჯოთ ზარბაზნებისა და ვინტოვკების კლიტეები, წინააღმდეგ შემთხვევაში შეიძლება მოულოდნელად თავს დაგვატყდეს საფრთხე და ვერ შევასრულოთ დასახული ამოცანა, რომელიც მოითხოვს, რომ ვიყოთ მშვიდობიანად მომუშავე მუშების და გლეხების ერთგული და ფხიზელი დარაჯი“. შემდეგ მუკლევიჩი, მიმართავს რა ბრძანებაში მეთაურებს, პოლიტმუშაკებს და წითელ მეზღვაურებს, ამბობს:

„ვხელმძღვანელობ რა საბჭოთა კავშირის რევოლიუციონურ საბჭოს დირექტივებით მე მოვითხოვ მეთაურებიდან: როგორც მათდამი რწმუნებულ ხომალდების და სიმაგრეების, აგრეთვე მათზე დაქვემდებარებულ პირადი შემადგენლობის მებრძოლი თვისებების ასაწევად, განსავითარებლად და სრულ საყოფად ყოველდღიურ, დაბეჯითებით და სისტემატიური მუშაობას, მოვითხოვ ინიციატივას, აქტივობას და უნარის სავსებით გამოყენებულ იქნას თვითეულზე მინიჭებულ უფლება და საშუალებები ისე, რომ ადგილი არ ექნეს პასუხისმგებლობის წინაშე შიშს და უფროსის ზურგის უკან ამოფარების ცდას; მოვითხოვ ახალგაზრდა მეთაურებისადმი და მათი შემდეგი პრაქტიკული მომზადებისადმი ყურადღებით მოპყრობას, მათ დაწინაურებას სამსახურში, წითელ მეზღვაურებსა და უმცროს მეთაურთა შემადგენლობის შორის წარმოებულ პოლიტიკურ-საგანმანათლებლო მუშაობაში უშუალოდ მონაწილეობის მიღებას და რევოლიუციონურ დისციპლინის ასაწევად და განსამტკიცებლად მუშაობას.

პოლიტმუშაკებიდან მოვითხოვ: გაძლიერებულ მუშაობის წარმოებას წითელი მეზღვაურების პოლიტიკური შეგნების ასაწევად, რევოლიუციონური ნებისყოფის გასაკაჟებლად, ფლოტის პარტიულ და კომკავშირის ორგანიზაციების გასამაგრებლად; მოვითხოვ მეზღვაურთა რიგებში ბოლშევიკურ-ლენინურ ურყევ პრინციპების ჩანერგვას და მეთაურების მხარის დაჭერას მათ სამოსწავლო-სამხედრო და აღმზრდელობითი მუშაობაში.

წითელ მეზღვაურებიდან: მათზე დავალებული საქმის სიყვარულით შესწავლას, ჩაბარებულ სახალხო ქონებისადმი მზრუნველობით მოპყრობას, შეგნებას, თავდაჭერას და მტკიცე დისციპლინას.

ყველასგან: შეთანხმებულ და შემოქმედებით მუშაობას საზღვაო ძალების შემდეგი გაძლიერება-განვითარებისათვის და არსებულ ნაკლის გამოსწორებისათვის, რევოლიუციის საქმისთვის და მუშურ-გლეხური მთავრობისათვის უანგარო თავდადებას, გამუდმებულ ვარჯიშობას და წითელი არმიის ხმელეთის ძალებთან მჭიდრო კავშირს. ეს მოთხოვნილებანი ყველამ უნდა შეიგნოს და შეასრულოს“.

საბჭოთა ინჟენრების გამარჯვება

ზაპოროჟიე, 4 სექტემბერი. შესდგა საოლქო აღმასკომის და ქალაქის საბჭოს გაერთიანებული პლენუმი, რომელზედაც მოხსენება გააკეთა „დნეპროსტროის“ მშენებელმა პროფ. **ალექსანდროვმა**. პლენუმს დაესწრო ამერიკელი პოლკოვნიკი კუპერი, რომელმაც მოკლე სიტყვით მიმართა პლენუმს. სხვათა შორის მან სთქვა:—**„ჩვენმა ინჟენერმა—ვერ ნახეს ვერავითარი შეცდომა „დნეპროსტროის“ მშენებელ კომისიის მუშაობაში. ანგარიშები, გეგმები და ნახაზები, რომლებიც თქვენმა კომისიამ ჩამოიტანა ამერიკაში, ბევრად უკეთესი აღმოჩნდა ჩემს მიერ ოდესაში ნახულ ანგარიშებსა და ნახაზებზე.** ამ ანგარიშების ადგილობრივ შემოწმების დროს, ჩვენ დავრწმუნდით, მის აბსოლუტურ სისწორეში.

ჩემის აზრით, დნეპრის ჰიდრო-სადგურის მოწყობას აქვს უდიდესი მნიშვნელობა უკრაინისათვის. ეს ელექტრო-სადგური უძლიერეს სადგურათ ჩაითვლება ევროპაში, ხოლო ერთ-ერთ თვალსაჩინო ადგილს დაიჭერს მსოფლიოს უძლიერეს სადგურთა შორის“.

პლენუმმა მიიღო რეზოლიუცია, რომლითაც იგი სთხოვს საბჭოთა კავშირის და უკრაინის მთავრობებს დააჩქარონ დნეპრის ჰიდრო-სადგურის მუშაობა.

ნიჟეგოროდის ბაზრობაზე

მოსკოვი, 4 სექტემბ. 1-ლ სექტემბრამდე ნიჟეგოროდის ბაზრობაზე წარმოდგენილია აღმოსავლეთის საზღვარგარეთული 306 ფირმა, მათ რიცხვში 230 სპარსული, 60 დასავლეთ-ჩინური, 3 ავღანური, 10 ოსმალური, 1 მონღოლური და ორიც ირაქის. შარშან მთელი ბაზრობის პერიოდში წარმოდგენილი იყო საზღვარ-გარეთული მხოლოდ 302 ფირმა.

აღმოსავლეთის საზღვარ-გარეთულ ყველა ფირმებს დღემდე ჩამოუტანიათ 5,371 ტონა (15,7%) საქონელი, აქედან 2.637 კოლონიალური საქონელია, 1060 ტონა სამრეწველო და 1.773 ტონა ნედლეული, უმთავრესად საფეიქრო მრეწველობისათვის.

საერთო საბაზრო საქონლის შემოზიდვაში, სახელმწიფო ორგანოების შემდეგ, პირველი ადგილი უჭირავს აღმოსავლეთის საზღვარ-გარეთულ სამ ფირმას (56,1%).

ჯერ-ჯერობით მოუხერხებელია აღმოსავლეთის ვაჭრების მიერ შემოზიდულ საქონლის საერთო რაოდენობის შედარება შარშანდელთან, რადგან აღმოსავლეთის ვაჭრების საქონელი ბაზარზე დაგვიანებით შემოდის.

მაგალითად, სულ რამდენიმე დღეა, რაც შევიტყეთ, რომ სპარსული ნედლეულის ნაწილი დატვირთულია ბაქოში და იგზავნება ნიჟნი-ნოვგოროდში. ნაწილი ნედლეულისა დასავლეთ ჩინეთიდან, დაახლოვებით 3 მილიონ მან. ღირებული, ალბად მიღებული იქნება ბაზრობის ბოლოს.

უნდა აღინიშნოს, რომ წელს მოხდა ზოგიერთი ცვლილება აღმოსავლურ საქონლის შემადგენლობაში: შარშან 85% მეტი მოდიოდა საბაკალეიო-კოლონიალურ საქონელზე; წრეულს კი საბაკალეიო საქონელი შემოზიდულია უფრო მცირე რაოდენობით, ვიდრე ნედლეული.

მიღებულ საქონლის გასაღების მიზნით, აღმოსავლეთის ვაჭრები ინტენსიურად აწარმოებენ საქონელს შესასყიდავ ოპერაციებს: 1-ლ სექტემბრამდე მათ მიერ შესყიდულია 4.812.000 მან. საქონელი. ყიდულობენ უმთავრესად საფეიქრო და საკვებ ნაწარმებს. შესყიდვაზე დახარჯულ 4.812.000 მანეთიდან 3.039.000 მან. მოდის საფეიქრო საქონელზე, ხოლო დანარჩენი 1.066.000 მან. საკვებ პროდუქტებზე, როგორიცაა, უმთავრესად, შაქარი. შარშან შესყიდვაზე დაიხარჯა 4.641.000 მან. ამნაირად აღმოსავლეთის ფირმების ბრუნვამ ბაზრობის 30 დღის განმავლობაში უკვე გადააჭარბა შარშანდელ ბრუნვას.

როგორ მივიდა ახალი ოპოზიცია ტროცკიზმამდე

ერთ-ერთი მომენტთაგანი, რომელიც პარტიის დიდ ყურადღებას იქცევს ცეკას და ცენტრალურ საკონტროლო კომისიის ივლისის პლენუმის შემდეგ, უეჭველია. არის ის „გარდაქმნა“, ის იდეური ტრანსფორმაცია, რომელიც განიცადა ახალმა ოპოზიციამ ასეთი მოკლე ხნის განმავლობაში.

მე-14 ყრილობის შემდეგ, რომელზედაც ახალი ოპოზიცია პირველად გამოვიდა აბჯარ-ასხმული, მხოლოდ ნახევარ წელზე ცოტა მეტმა ხანმა განვლო. მაგრამ ამ ხნის განმავლობაში ახალმა ოპოზიციამ გაიარა ისეთი მანძილი და განიცადა ისეთი ცვლილებანი და გარდაქმნა, რომლის მაგალითი ძალიან ძნელად მოინახება ჩვენი პარტიის ისტორიაში.

ასეთი მცირე ხნის არსებობა და ასეთი დიდი ცვლილებები! ამ მოკლე ხნის განმავლობაში ოპოზიციამ მოახერხა მთლიანად უარეყო ლენინიზმის პრინციპები, რომლებსაც იგი იცავდა წინედ, და ჩვენი პოლიტიკის ყველა ძირითად საკითხებში სრულიად უვნებლად დაცურებულიყო ლენინიზმის პოზიციიდან ტროცკისტულ პლატფორმაზე [1]).

ახალი ოპოზიციის ასეთი თავბრუდამხმელი ევოლიუცია გაუგებარ, საოცარ რამედ გვეჩვენება. როგორ მოხდა, რომ ასე სწრაფად და შეუჩერებლად განიცადა ასეთი იდეური „გადაგვარება“? როგორ შეეძლოთ მათ, რომელნიც სულ ერთი წლის წინედ განსაზღვრავდენ ტროცკიზმს, როგორც „იდეურ ამბოხებას ბოლშევიზმის წინააღმდეგ“. როგორც მიმდინარეობის არა მარტო არაბოლშევიკურს, არამედ ანტიბოლშევიკურს, როგორც წყაროს მემარცხენე საფრთხისა ჩვენს პარტიაში [2]), რომელთან ყოველგვარ თანამშრომლობას ბოლშევიზმიდან გადახვევად აცხადებდენ, როგორ შეეძლოთ მათ, მოეხდინათ ასეთი სწრაფი გადახვევა და სავსებით და მთლიანად მიმხრობოდენ ამ მიმდინარეობას? როგორ მოხდა, რომ ის იდეოლოგია, რომელიც გამოცხადებული იყო, როგორც მენშევიზმის განსაკუთრებული ფორმა, როგორც გამოხატულება ჩვენს პარტიაზე წვრილ-ბურჟუაზიული გავლენისა, „ლენინიზმის რევიზიისა“ და სხვ., ეხლა გახდა იმათ იდეოლოგიად, რომლებიც ერთი წლის წინედ ასეთის აღტყინებით და გამძაფრებით იბრძოდენ მის წინააღმდეგ?

რაშია საქმე?

არ იქნებოდა მართალი ამ გადახვევის ახსნა მხოლოდ ფრაქციონული პოლიტიკის მოსაზრებით, ან უფრო სწორედ, პოლიტიკანობით, ოპოზიციის მისწრაფებით, რომ შეაგროვოს და რაც შეიძლება მეტი ძალები აამოქმედოს ცეკას წინააღმდეგ, ვინაიდან ეხლა ჩვენს წინაშე სდგას უფრო მეტი რამ, ვიდრე უბრალო ბლოკი ახალ და ძველ ოპოზიციის შორის, ბლოკი, რომელშიაც ყოველი მხარე ინარჩუნებს თავის დამოუკიდებელ პოლიტიკურ ფიზიონომიას. ის, რაც მოხდა და რაც ხდება ჩვენს თვალწინ, ეს—ახალი ოპოზიციის მიერ ძველის „ჩაყლაპვაა“, ეს—პირველის უკანასკნელში „გათქვეფაა“.

ახალმა ოპოზიციამ დაჰკარგა თავისი პოლიტიკური „სახე“; ტროცკისტულმა ოპოზიციამ უმთავრეს ნაწილში იგი შეინარჩუნა, მაგრამ ზოგიერთ საკითხებში მანაც ისესხა ზოგი რამ ახალი ოპოზიციის არსენალიდან.

რაში მდგომარეობს ამ სწრაფი და ღრმა ევოლიუციის კანონზომიერება, რა არის ამ ევოლიუციის მამოძრავებელი ძალა? რითაა გამოწვეული ახალი ოპოზიციის მიერ ასეთი სწრაფი „გამოცვლა ფრონტისა“ და მისი გზის ასეთი რადიკალური შეცვლა, ტროცკიზმისაკენ დახევა?

უეჭველია, რომ ახალი ოპოზიციის ეს ევოლიუცია თავის ძირითად საფუძველში გამოწვეულია იმით, რომ მას სურს **გადასინჯოს ლენინის მოძღვრება პროლეტარიატისა და გლეხობის ურთიერთობის შესახებ.**

პროლეტარიატისა და გლეხობის ურთიერთ დამოკიდებულების საკითხი, მოძღვრება პროლეტარიატის მიერ გლეხობისათვის ხელმძღვანელობის გაწევის შესახებ, პროლეტარული დიქტატურის თეორიის — ლენინიზმის ამ დასაყრდნობი საფუძვლის—ძირითად ნაწილს შეადგენს. სავსებით ნათელია, რომ სულ პატარა „ცვლილების“ შეტანა ამ მოძღვრებაში, ლენინიზმის მცირეოდნად „შესწორება“ ამ ძირითად საკითხში,—სულ ერთია მარჯვნივ თუ მარცხნივ სწარმოებს ასეთი შესწორების შეტანა—მთელი პოლიტიკური ხაზის გამრუდებას გამოიწვევს.

ახალი ოპოზიცია მე-14 ყრილობის დროს შეეცადა ლენინიზმის „შესწორებას“ სწორედ ამ საკითხში. მე-14 ყრილობის შემდეგ, რომელზედაც ლენინიზმის რევიზიის ეს ცდანი გადაჭრით იქმნა გაკიცხული, იგი არ დაკმაყოფილდა ამ საკითხის არასწორი დასმით, განაგრძო ბრძოლის წარმოება ამ ნიადაგზე პარტიის პოლიტიკის წინააღმდეგ, გააშვა ეს ბრძოლა, პარტიის ლენინურ ხაზს დაუპირდაპირა თავისი ხაზი, და **შემდგომი ბრძოლის პროცესში გახსნა საკითხის ასეთი დასმიდან გამომდინარე პოლიტიკურ დასკვნათა კვანძი.**

ასეთ პირობებში ახალი ოპოზიცია უფრო უნდა დაშორებოდა და მართლაც დაშორდა ლენინიზმს. იგი აუცილებლად უნდა დაქანებულიყო და მართლაც დაექანა ტროცკიზმისაკენ.

რა ანსხვავებს ტროცკიზმს ლენინიზმიდან? უპირველესად ყოვლისა, რევოლიუციაში გლეხობის როლის არასწორი შეფასება და ამასთან დაკავშირებით პროლეტარიატისა და გლეხობის ურთიერთობის საკითხის არასწორი დაყენება. ეს პრობლემა, რევოლიუციის მამოძრავებელ ძალთა პრობლემა ისეა გადაჭრილი, რომ ტროცკიზმი აქ უკვე წარმოადგენს ჩვენი პარტიის მიერ ნილაბ-ახდილ და იდეურად დამსხვრეულ ანტილენინურ მოძღვრებას. ტროცკიზმისათვის გლეხობა, უპირველეს ყოვლისა, არის მასა წვრილ-მესაკუთრეთა, რომელნიც სწორედ იმის გამო, რომ ისინი წვრილი - მესაკუთრენი არიან, მუშათა კლასის მიერ ხელისუფლების დაპყრობის შემდეგ აუცილებლად მის და სოციალისტურ რევოლიუციის წინააღმდეგ უნდა ამხედრდენ. იგი ვერ ამჩნევს იმას, რომ ეს წვრილი-მესაკუთრენი იმავე დროს წარმოადგენენ მშრომელთა მასებს, რომელნიც „გაერთიანებულნი არიან მშრომელთა საერთო ინტერესით —გაინთავისუფლონ თავი მემამულისა და კაპიტალისტისაგან“ და ამ უკანასკნელი გარემოების გამო პროლეტარიატსა და გლეხობას შორის არსებობს „ინტერესთა მტკიცე ერთიანობა მთელი რევოლიუციონური ბრძოლის განმავლობაში“. (ლენინი). გლეხობისადმი ასეთი დამოკიდებულება და რევოლიუციაში მისი როლის ასეთი შეფასება ჩამოყალიბებულ იქმნა იმ დებულებაში, რომელიც პირველად 1905 წ. წამოაყენა ტროცკიმ და გაიმეორა 1922 წელს. შემდეგი სიტყვებით: როგორც კი პროლეტარიატი ხელისუფლების დაპყრობის შემდეგ დაიწყებს „შეჭრას“ ბურჟუაზიულ საკუთრებაში „იგი მტრულად დაეჯახება არა მარტო ბურჟუაზიის სხვა დასხვა ჯგუფებს..., არამედ **გლეხობის ფართე მასებსაც, რომელთა დახმარებით მან ჩაიგდო ხელისუფლება**“ [3]) და რომ ამიტომ დასავლეთ ევროპის მუშათა კლასის „პირდაპირი სახელმწიფოებრივი დახმარების“ გარეშე რუსეთის მუშათა კლასი დიქტატურის შენარჩუნებას ვერ შესძლებს.

აქედან სათანადო დასკვნა პოლიტიკურ ხაზშიაც, რომელიც ახასიათებს ტროცკიზმს: „გლეხობაზე გადახტომა“, მისწრაფება **უიმისოდ და მის წინააღმდეგ** გადაწყვეტილ იქმნას ჩვენი რევოლიუციის მნიშვნელოვანი საკითხები. ყოველივე ეს სავსებით შორდება ლენინურ პოლიტიკას, რომელიც გამომდინარეობს პროლეტარიატის და გლეხობის მასების „ინტერესთა მთლიანობიდან“ და რომელიც აშენებულია იმაზე, რომ ეს მთლიანობა იქმნას განმტკიცებული, პროლეტარიატის მხარეზე იქმნას გადაყვანილი გლეხობის ფართო მასები, ხელმძღვანელობა გაეწიოთ მათ, სულ უფრო და უფრო ჩაბმულ იქმნან ისინი სოციალისტური აღმშენებლობის საქმეში.

გლეხობისადმი ასეთი დამოკიდებულება აშკარავდებოდა ჩვენი რევოლიუციის მნიშვნელოვან ეტაპებზე, როდესაც ამხ. ტროცკი აწარმოებდა თავის განსაკუთრებულ დამოუკიდებელ ხაზს.

1905 წელში ამან ჰპოვა გამოხატულება პერმანენტული რევოლიუციის თეორიაში და ლოზუნგში: „უმეფოდ, ხოლო მთავრობა მუშური“ [4]). 1918 წელს ბრესტის მოლაპარაკების დროს იგი გამოაშკარავდა ლოზუნგში: „არც ომი, არც ზავი“, მისწრაფებაში, რომ გლეხობის განწყობილების მხედველობაში მიუღებლად გადაეწყვეტა საკითხი, რომელსაც მაშინ უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა, — საკითხი ჯერ კიდევ გაუმაგრებელ საბჭოთა სახელმწიფოს სტრატეგიისა იმპერიალიზმის მიმართ. 1921 წელში ახალ ეკონომიურ პოლიტიკაზე გადასვლისას, ამან იჩინა თავი. იმ ხაზის სახით, რომელსაც ამხ. ტროცკი გვისახავდა პროფკავშირების შესახებ დისკუსიის დროს [5]). გლეხობის მიმართ **ანტილენინური ხაზი იჩენს** თავს სრული სიცხადით აგრეთვე იმ სამეურნეო პოლიტიკაში, რომელსაც ამხ. ტროცკი იცავს დაწყებული 1923 წლიდან, რომელსაც ეხლა აწვდის პარტიას ინდუსტრიალიზაციის პრობლემის დაყენებასთან დაკავშირებით: მისი აზრით, სოციალისტური მრეწველობის განვითარება-გაფართოება უნდა მოხდეს გლეხობის მეურნეობის შევიწროებით, მისგან რესურსების შეუჩერებელი „ამოქაჩვით“—მაღალი ფასებისა და გადასახადების საშუალებით.

ჩვენი ქვეყნის შინაურ მდგომარეობის შეფასება და სამეურნეო პოლიტიკისა და საბჭოთა აღმშენებლობის შესახებ, ამხ. ტროცკის მიერ წამოყენებული (ეხლა სრულის ერთსულოვნობით და თანხმობით ამხ. კამენევთან და ზინოვიევთან) წინადადებანი ცეკას და ცენტრალურ საკონტროლო კომისიის უკანასკნელ პლენუმზე მოწმობენ იმას, რომ დაცულია ამხ. ტროცკის ხაზის „თანმიმდევრობა“ და რომ თავის ძირითად შეცდომებს პროლეტარიატისა და გლეხობის ურთიერთობის საკითხის შესახებ იგი კვლავ იმეორებს ეხლაც.

მაგრამ თუ წინედ ჩვენი რევოლიუციის გზების ტროცკისტულმა შეფასებამ თავისი თეორეტიული გამოხატულება ჰპოვა „პერმანენტულ რევოლიუციის“ თეორიაში, ეხლა იგი ჰპოებს „პირველ ყოფილ სოციალისტურ დაგროვებაში“, რომელიც ამხ. პრეობრაჟენსკიმ განავითარა უკანასკნელ ხანებში. ამხ. პრეობრაჟენსკის წილად ხვდა მაღალ საფეხურამდე აეყვანა ტროცკიზმი და მოეცა გარდამავალი ხანის ტროცკისტული თეორია, რომელიც შორდება ლენინის თეორიას ჩვენი სოციალიზმისაკენ სვლისა. ამხ. ტროცკის ძირითადი შეცდომები გლეხობის მიმართ აქ ზოგადდება და ვრცელდება „ყველა ქვეყნებსა და ერებზე“ კაპიტალიზმიდან სოციალიზმზე გადასვლის პერიოდში.

გლეხურ მეურნეობა, მეურნეობა ღატაკი და საშუალო გლეხისა, ამ თეორიაში ერთ კატეგორიაშია შეყვანილი კაპიტალისტურ და კულაკურ მეურნეობასთან ერთად, „კერძო მეურნეობის“ კატეგორიაში, რომელიც თლიანად **უპირდაპირდება და მხოლოდ** უპირდაპირდება—ჩვენი ეკონომიკის სოციალისტურ სექტორს.

ამის მიხედვით ამხ. პრეობრაჟენსკი გლეხობის მეურნეობის მიმართ იმავე ეკონომიურ ხაზს გვაწვდის, როგორც კაპიტალისტურ და კულაკურ მეურნეობის მიმართ: ამ მეურნეობის „ექსპლოატაციის“, მისი შევიწროებისა, მისგან რესურსების „ამოქაჩვისა“ მაღალი ფასებისა და გადასახადების საშუალებით, პოლიტიკას მისი **„თანდათანობითი განდევნისა“**.

განა ეს შეხედულება გლეხობაზე თავისებური განახლება არაა იმ შეხედულებისა, რომელსაც ებრძოდა ლენინი? განა ამ პოლიტიკას აქვს რამე საერთო ლენინის პოლიტიკასთან, პოლიტიკასთან სოციალისტურ მრეწველობის გლეხობის მეურნეობასთან მჭიდრო კავშირის დამყარებისა კაპიტალიზმის **წინააღმდეგ, სოციალიზმის ასაშენებლად?** განა ეს სავსებით არ ეწინააღმდეგება ლენინის დებულებას—გლეხობის მეურნეობის „გარდაქმნისა“, **გადამუშავებისა** (და არა თანდათანობით განდევნისა) საზოგადოებრივ სოციალისტურ ნიადაგზე გადაყვანისა?

⁂

როგორც ცნობილია, ახალი ოპოზიციის ისტორია, (ჩვენ აქ არ ვეხებით მის „წინა ისტორიას“), მისი გამოკვეთა, მისი მოწყვეტა პარტიის ლენინურ უმრავლესობიდან იწყება მისი გამოსვლით სოფლის მოსახლეობის სოციალურ დაჯგუფების საკითხის შესახებ.

თავის ბრძოლას პარტიის ხაზის წინააღმდეგ ოპოზიცია იწყებს ამ დაჯგუფების შემცდარი შეფასებიდან. ამ შეფასების არსებითი მხარე კი მდგომარეობს ამ დაჯგუფების გადაჭარბებისა და კაპიტალისტური ელემენტების როლის გაზვიადებაში სოფლად. კულაკი და არა საშუალო გლეხობა ხდება ოპოზიციისათვის ჩვენი მიწადმოქმედების ცენტრალურ ფიგურად.

დაჯგუფების ამ შეფასებამ თავისი გამოხატულება ჰპოვა ამხ. კამენევის გამოსვლაში ერთი წლის წინედ, როცა მან აიღო ცენტრ. სტატისტ. სამმართველოს არასწორი ცნობები და ამტკიცებდა, რომ სოფლის კულაკური ზედაფენები თავის ხელში აგროვებენ ზედმეტი პურის უდიდეს ნაწილს. პური, როგორც ცნობილია,—სოფლის ძირითადი პროდუქციაა. ასეთი მტკიცება, ამგვარად, ნიშნავდა მხოლოდ შემდეგს: **კულაკური ზედაფენა არის სოფლის ძირითადი ეკონომიური ძალა;** დიფერენციაციის პროცესი ისე შორს წავიდა, რომ საშუალო გლეხობამ დაჰკარგა თავისი ძველი მნიშვნელობა გლეხობის ძირითადი ფენისა, და რომ სოფელში ერთი მეორეს უპირდაპირდება ორი კლასი—ღარიბი გლეხობა და კულაკი.

უეჭველია,—და მეც მაშინვე მომიხდა ამაზე მიმეთითებია ერთ-ერთ ჩემს წერილში [6]),—რომ ასეთ შეფასებას სათანადო პოლიტიკური დასკვნები უნდა გამოეწვია, ისეთი დასკვნები, რომლებსაც ძირეულად უნდა შეეცვალათ ჩვენი პოლიტიკა.

მაგრამ, როგორც შემდეგში გამოირკვა, ამ შეფასებით როდი გათავდა საქმე, და დანაწილების ეს შეფასება განვითარდა არალენინური წარმოდგენით გლეხობის განვითარებისა — პროლეტარული დიქტატურისა და ძირითად საწარმოო საშუალებათა ნაციონალიზაციის დროს.

ლენინი, ახალ ეკონომიურ პოლიტიკაზე გადასვლის დროს ამბობდა, რომ „ვაჭრობის თავისუფლება კაპიტალიზმის ზრდას ნიშნავს“.

ლენინი აქ მიუთითებდა იმ უდავო გარემოებაზე, რომ, როცა ჩვენ დაუშვებთ ვაჭრობის თავისუფლებას ჩვენს ქვეყანაში, სადაც სჭარბობს წვრილი გლეხური მეურნეობა, რომლის მოთხოვნილებათა დაკმაყოფილება სავსებით და მთლიანად არ შეუძლია ჯერ-ჯერობით ჩვენ სოციალისტურ მრეწველობას, ჩვენ ანგარიში უნდა გაუწიოთ კაპიტალიზმის აუცილებელ ზრდას ამ წვრილი მეურნეობიდან.

მაგრამ სავსებით ცხადია, რომ ლენინისათვის ეს სრულიადაც არ ნიშნავდა იმას, რომ გლეხური მეურნეობა **ჩვენში** სავსებით „en masse“ უნდა განვითარდეს კაპიტალისტური ტიპის მიხედვით ვინაიდან ლენინმა თავის გამოსვლებში ახალი ეკონომიური პოლიტიკის შესახებ, განსაკუთრებით წერილში—კოოპერაციაზე, აღნიშნა, რომ პროლეტარიატის ხელშია (და იწყებენ ზრდას) საშუალებანი და შესაძლებლობანი ამ კაპიტალისტური ტენდენციის დასაძლევად, საშუალებანი იმისა, რომ ამ „თავისუფალ ვაჭრობის პირობებში და მისი მეოხებით იქმნას უზრუნველყოფილი გლეხური მეურნეობის სხვაგვარი, არაკაპიტალისტური ტიპის განვითარება, უშუალო გადასვლა მისი საზოგადოებრივ სოციალისტურ მეურნეობაზე“.

ოპოზიციამ დაამახინჯა ლენინის ეს სწორი დებულება ვაჭრობის თავისუფლებისა და კაპიტალიზმის შესახებ და სცდილობდა, რომ ეს დამახინჯება ნამდვილ ლენინიზმად გაესაღებია.

რომ გადავავლოთ თვალი ახალი ოპოზიციის ყველა გამოსვლებს სოფლის საკითხის შესახებ, რას მივიღებთ მისი მსჯელობის ღერძად? მთელ რიგ ელემენტარულ და პირველი შეხედულებით მეტად „დამაჯერებელ“ „მარქსისტულ“ დებულებებს: ჩვენს ქვეყანაში არის ვაჭრობის თავისუფლება, სოფლად ჩვენ გვაქვს წვრილი საქონლის მეურნეობა. წვრილ წარმოებას კი, ვაჭრობის თავისუფლების დროს არ შეუძლია განვითარდეს სხვაგვარად, თუ არ კაპიტალისტური გზით. ზედა ფენები ძლიერდებიან, ხდებიან კაპიტალისტებად და წვრილ კაპიტალისტებად, ქვედა ფენები კი ღატაკდებიან და პროლეტარიატის რიგებში გადადიან. ასეთია ძირითადი ტონი ყველა „შეფასებათა“. „ანალიზთა“ და სხვ., რომელსაც ოპოზიცია აძლევს სოფლის მდგომარეობას და მის სამეურნეო ზრდას. გლეხობა განხილულია სწორედ ამ საერთო დებულებათა თვალსაზრისით.

ასეთი შეფასების დროს საშუალო გლეხობა — ძირითადი ფენა გლეხობისა, თვითონ გარდაიქმნება და ხდება მხოლოდ და მხოლოდ კაპიტალიზმისათვის **მასაზრდოებელ ძალად.** იგი გარდაიქმნება იმ ფენად, რომელსაც ღრღნის დაჯგუფების პროცესი, იმ ფენად, რომლის ზედა ნაწილი არის კულაკის „უმცროსი ძმა“, ხოლო ქვედა ფენა კი უერთიანდება ნახევრად პროლეტარებს და პროლეტარებს, ე. ი. ის იქცევა ისეთ რამედ, რასაც დამოუკიდებელი მნიშვნელობა არა აქვს და ცოტად თუ ბევრად არსებითი როლის თამაში არ შეუძლია ჩვენი პოლიტიკის განსაზღვრის დროს.

მაგრამ ყველაზე უფრო უმთავრესია, ის, რომ სოფლის განვითარების ასეთი შეფასების დროს, **სოფლის სამეურნეო ზრდა აუცილებლად უთანაბრდება კაპიტალიზმის ზრდას** და იგი ხდება უშუალო საფრთხედ პროლეტარულ დიქტატურისათვის. რას წარმოადგენს ასეთი შეფასების დროს სოფლის სამეურნეო გამაგრება? იგი ნიშნავს დაჯგუფების პროცესის გაძლიერებას და კაპიტალისტური ზედაფენების ზრდას. ჩვენი პოლიტიკის ყოველი ზომა კი, რომელიც სოფლის საწარმოო ძალების აღსადგენად არის მიმართული, აუცილებლად უნდა იქმნას განხილული (და მართლაც ასე იხილავს ოპოზიცია), როგორც **დათმობა** კაპიტალისტური ელემენტების მიმართ.

ჩვენ აქ არ შეუდგებით ახალი ოპოზიციის „აღმოჩენათა“ არსებით განხილვას. იგი სავსებით და ყოველ მხრივ განიხილა, გამოაშკარავა და მას ღირსეული შეფასება მისცა მე-14 პარტყრილობამ. ჩვენ მიუთითებთ ახალი ოპოზიციის „გამოკვლევათა“ მხოლოდ ძირითად და ყოვლისა განმსაზღვრელ შეცდომაზე, რომელიც გლეხობას შეეხება. ეს ძირითადი შეცდომა, რომელიც იწვევს პოლიტიკური ხაზის აუცილებელ „გახრას“, მდგომარეობს იმაში, რომ სოფლის განვითარება განიხილება **გამოცალკევებულად, თავის თავად, გაუთვალისწინებლად იმ გავლენისა და იმ ზემოქმედებისა, რომელსაც ახდენს პროლეტარიატის დიქტატურა თავისი სამეურნეო და პოლიტიკური ორგანოების მთელი სისტემით იმ პროცესებზე, რომელნიც სოფელში სწარმოებს.**

---

[1] ჩვენ აქ გვერდს უხვევთ ახალი ოპოზიციის მუშათა ოპოზიციასთან იდეური კავშირის საკითხს. ეს თემა უეჭველია, ცალკე განხილვას საჭიროებს.

[2] „ამხ. ტროცკის წერილი გვიჩვენებს, რომ იგი არა ბოლშევიკიდან ანტიბოლშევიკი ხდება! მართლაც, ის, რაც ჩვენ გვაქვს ტროცკიზმის სახით, ეს არის იდეური ამბოხება ბოლშევიზმის წინააღმდეგ... „ვისაც სურს ეხლა პარტიის შენება ტროცკისთან კავშირში, იმ ტროცკისთან თანამშრომლობით, რომელიც გულახდილად გამოდის ბოლშევიზმის წინააღმდეგ, იგი ღალატობს ლენინიზმის საფუძვლებს“. გ. ზინოვიევი. „სამი ხელმეორე დაზღვევის აუცილებლობის შესახებ. პრიბოი“. 1925 წ.... 1925 წელი!!!

[3] ტროცკი ლ. „1905 წელი“, პირველი გამოცემის წინასიტყვაობა.

[4] „პერმანენტიკოსების“—კი 1905 წელში უნდოდათ ჩვენთვის თავზე მოეხვია ლოზუნგი: „ძირს მეფე, ხოლო მთავრობა მუშური“. სადღაა გლეხობა? განა თვალში არ გეცემათ ფაქტი გლეხობის როლის სრული შეუგნებლობისა და გვერდის ახვევისა ისეთ ქვეყანაში, როგორიცაა რუსეთი? თუ ეს გლეხობის გადახტომა არაა, მაშ რაღაა? გ. ზინოვიევი. ლენინიზმი. სახელმწიფო გამომცემლობა. 1926 წ. გვ. 137. „ამხ. ტროცკი არ ესმოდა რევოლიუციის კონკრეტიული გზები ჩვენს ქვეყანაში. გლეხობის ნამდვილ მნიშვნელობის ჩვენს რევოლიუციაში ეხლაც არ ესმის მას“. იქვე. გვ. 140.

[5] პროფკავშირების შესახებ დისკუსიის სახით პარტიულმა აზრმა წინასწარ განჭვრიტა სამხედრო კომუნიზმიდან ახალი ეკონომიური პოლიტიკაზე გადასვლის საკითხი. რაში ხედავდა მაშინ ხსნას ამხ. ტროცკი? იგი მაშინ ეძიებდა მაგრად მოგვეჭირა სამხედრო კომუნიზმის ქანჩები. ეს იყო კიდევ და კიდევ გლეხობის ჯეროვანი ვერ შეფასება, გარეგანი ფორმებით, „წაბიძგების“ მეთოდებითა და „ზევიდან ადმინისტრატიული ბრძანებლობით“ გატაცება. მოკლებულმა შესაძლებლობას, რომ შეეჭნო პროლეტარიატისა და გლეხობის ურთი-ურთობის შეცვლა და ამ ცვლილების მნიშვნელობა, ამხ. ტროცკი კვლავ ურჩევდა პარტიას ისეთ გზებსა და ისეთ მეთოდებს, რომელთა შეთვისებით პროლეტარიატის დიქტატურა აუცილებლად დაემხობოდა“. ლ. კამენევი. „პარტია და ტროცკიზმი“. [illegible] 1925 წ. გვ. 52.

[6] „არის თუ არა საშუალო გლეხობა ცენტრალური ფიგურა სოფლად?“ „პრავდა“ სექტემბერი, 1925 წ.

გერმანიის მუშათა მეორე დელეგაცია

დელეგაციის დაბრუნება

გუშინ დილის 10 ნახ. საათზე ფოთის მატარებლით თბილისში დაბრუნდა გერმანიის მუშათა მეორე დელეგაცია. დელეგაციას სადგურზე შეხვდნენ ადგილობრივი პასუხისმგებელი ამხანაგები და პროფმუშაკები.

დელეგაცია გააცილეს მუშათა ახალ კლუბში, სადაც დელეგაციის საპატივცემლოთ გამართა ბანკეტი.

პროფსაბჭოს სახელით დელეგაციას მისასალმებელი სიტყვით მიმართა ამხ. ღლონტმა.

ამხ. ღლონტის სიტყვა

ამხანაგებო! ჩვენ დიდათ მოხარული ვართ, რომ დელეგაცია დაწვრილებით გაეცნო საქართველოში წარმოებულ საბჭოთა აღმშენებლობას. ერთ რამეს ვსთხოვ ჩვენ დელეგაციას: თავიანთ მოძმეებს სისწორით უამბონ ყოველივე ის, რაც აქ, საქართველოში საკუთარი თვალით ნახეს.

ვისურვებთ, რომ შექმნილიყოს ისეთი მდგომარეობა, რომ გერმანიის მუშათა კლასი სათავეში მოექცეს თავის სახელმწიფოს და წარმართოს ის იმ გზით, რომელიც სასარგებლო იქნება გერმანიის და საერთაშორისო მუშათა კლასისათვის.

გაუმარჯოს გერმანიის მუშათა დელეგაციას! გაუმარჯოს მთელი ქვეყნის მუშათა კლასს და მსოფლიო რევოლუციას.

ამხ. ზესერის სიტყვა

საპასუხო სიტყვა წარმოსთქვა დელეგაციის წევრმა ზესერმა, რომელმაც დელეგაციის სახელით მადლობა გადაუხადა საქართველოს პროლეტარიატს გულითადი შეხვედრისათვის.

ჩვენ მოვიარეთ საბჭოთა კავშირის სამრეწველო ქალაქები და რაიონები და დაწვრილებით გავეცანით აღმშენებლობითი მუშაობას და დავრწმუნდით, რომ რასაც საზღვარ-გარეთული ბურჟუაზიული და „სოციალისტური“ გაზეთები სწერენ საბჭოთა კავშირის შესახებ, ყველაფერი ეს ცილისწამება და ჭორი ყოფილა.

ჩვენ დავრწმუნდით, რომ თქვენ შეგწევთ მშენებლობის უნარი და, რომ **საბჭოთა კავშირში საუკეთესო ნიადაგია შექმნილი სოციალისტური მშენებლობისათვის.**

ჩვენ მოვალეთ ვსთვლით ჩვენ თავს თქვენი ბრძოლისა და მიღწევების შესახებ უამბოთ გერმანიის მუშათა კლასს და საბჭოთა კავშირის პროლეტარიატთან ერთად ვიბრძოლოთ მუშათა მთლიანი ფრონტის შესაქმნელად და სოციალიზმის განსახორციელებლად.

დელეგაციის გამგზავრება

გუშინ, შუადღის 12 ნახევ. საათზე დელეგაცია საქართველოს სამხედრო გზით გაემგზავრა მინერალურ წყლებზე, იქიდან როსტოვში, რის შემდეგ დელეგაცია დაბრუნდება კვლავ მოსკოვში.

ამხ. კერბერის განცხადება

საბჭოთა კავშირში მიღებული შთაბეჭდილებების შესახებ დელეგაციის თავმჯდომარემ კერბერმა განაცხადა შემდეგი:

მე დიდათ მოხარული ვარ, რომ საშუალება მომეცა პირადათ გავსცნობოდი საბჭოთა კავშირის მდგომარეობას და ამასთანავე შემეფასებია ღირსეულად მთელი ბურჟუაზიული სიყალბე და ჭორი მუშათა და გლეხთა სახელმწიფოს შესახებ.

ჩვენ დავათვალიერეთ მოსკოვი, ლენინგრადი, ბაქო და თბილისი—შეეხო რა მოგზაურობის საერთო შთაბეჭდილებებს ფრიც კერბერმა აღნიშნა, რომ მეურნეობის აღდგენის საქმე ჩქარი ტემპით მიმდინარეობს, რაც ნათლად მტკიცდება ყოველივე იმიდან, რაც ჩვენ საკუთარი თვალით ვნახეთ.

საბჭოთა კავშირის მუშათა კლასი—სთქვა კერბერმა—სცდილობს გარდაქმნას თავისი საზოგადოება არა მარტო პოლიტიკურათ, არამედ ყოფა-ცხოვრების მხრივაც.

ჩვენ ვიცით, თუ როგორ გაანადგურა საბჭოთა კავშირის მეურნეობა მსოფლიო იმპერიალისტურმა და სამოქალაქო ომმა. მიუხედავათ ამისა, საბჭოთა ხელისუფლებამ შესძლო დანგრეული მეურნეობის აღდგენა.

აქ, საქართველოში ჩვენ ვნახეთ მუშებისა და გლეხების ხელი-ხელ ჩაკიდებული მუშაობა.

საბჭოთა კავშირის პროლეტარიატი არ ზოგავს ძალ-ღონეს, რომ აღადგინოს და განავითაროს თავისი მრეწველობა და მტკიცე ნიადაგი შეუქმნას ახალ სოციალისტურ მშენებლობას.

თქვენი მრეწველობის გაცნობამ ჩვენთვის ცხადი გახადა, რომ საბჭოთა რეჟიმის საშუალებით სწარმოებს გეგმიანი აღმშენებლობითი მუშაობა.

დიდათ გაგვანცვიფრა ჩვენ ქალთა მდგომარეობის გაცნობამ. უნდა ითქვას, რომ ჩვენ მხოლოდ ბაქოში შევიგნეთ, თუ რა მნიშვნელობა აქვს თავისუფლებას აღმოსავლეთის ჩაგრულ ქალებისათვის. ქალთა შორის წარმოებულ მუშაობას უნდა მივესალმოთ.

საუკეთესო შთაბეჭდილება დასტოვა ჩვენზე ეროვნული საკითხის სისწორით გადაჭრამ. ამიერ-კავკასიის რესპუბლიკების დათვალიერების დროს ჩვენ გვქონდა საუბარი მუშებთან. მუშები დიდათ კმაყოფილი არიან არსებული ხელისუფლებით. ყოველივე ამის შემდეგ დელეგაცია ღრმათ დარწმუნდა იმაში, რომ **საბჭოთა ხელისუფლება არის მშრომელი კლასის სურვილების გამომხატველი.**

გავეცანით აგრეთვე პროფმოძრაობის ისტორიას, ახალგაზრდათა მდგომარეობას, სწავლა-განათლების საქმეს და მივედით იმ დასკვნამდე, რომ გერმანიის მუშებისა და საბჭოთა კავშირის მუშების მდგომარეობა დიდათ განსხვავდება ერთი-მეორისაგან.

ჩვენ ღრმად დავრწმუნდით, იმაში რომ თქვენ აშენებთ სოციალიზმს და იმედია, დაწყებულ საქმეს ბრწყინვალეთ დააგვირგვინებთ.

ჩვენ მრავალი დაბრკოლებები გვეღობებოდა საბჭოთა კავშირში გამომგზავრების წინ. ბურჟუაზიული და „სოციალისტური“ პრესა სასტიკ კამპანიას აწარმოებდა ჩვენს წინააღმდეგ. ბევრს პარტიიდან გამორიცხვით დაგვემუქრენ, ზოგიერთ ამხანაგებზე ეს „ზომა“ უკვე განახორციელეს. ეს ჩვენ არ გვაშინებს.

გერმანიაში დაბრუნებისას ჩვენ ვიტყვით სიმართლეს საბჭოთა კავშირის შესახებ და გავაქარწყლებთ იმ ჭორებს, რომლებსაც გერმანიის მუშათა წრეებში ავრცელებენ.

მუშათა საერთაშორისო მოძრაობა

ჩინეთი

საგაფიცვო მოძრაობა უკანასკნელი 8 წლის განმავლობაში

ზედმიწევნით სწორი სტატისტიკური ცნობები მუშათა მოძრაობის შესახებ ჩინეთში არ მოიძებნება. ნაწილობრივ ავსებს ამ ნაკლს რამდენიმე ახალგაზრდა ჩინელ პროფესორის მიერ საგაზეთო მასალების მიხედვით შედგენილი გამოკვლევა საგაფიცვო მოძრაობის შესახებ ჩინეთში უკანასკნელი 8 წლის განმავლობაში. მართალია, ეს ცნობები არ არის სრული, მაგრამ მაინც საგულისხმო და საინტერესოა, როგორც ჩინეთის მუშათა მოძრაობის უეჭველი ზრდის მაჩვენებელი.

ამ ცნობების მიხედვით გაფიცვების ყველაზე მეტ რიცხვს ჩინეთში უკანასკნელი რვა წლის განმავლობაში ადგილი ჰქონდა შემდეგ ცხრა რაიონში:

რაიონი	გაფიცვების რაოდენობა.	გაფიცვები შანხაის ამბებთან დაკავშირებ.	სულ
შანხაის	270	104	374
ხანკოუს	37	4	41
სიუ-ჩეოუს	29	5	34
პეკინის	20	1	21
ტიან-ცზინის	18	1	19
უსი	10	2	12
ცინ-დაო	6	2	8
გონ-კონგ	6	0	6

ამ ციფრებში არ არის შესული გაფიცვები სხვა რაიონებში, მაგალითად კანტონისა და ხუნანის მაღაროებში, კერძოთ კი—გონკონგის უკანასკნელი გაფიცვა. გაზეთების ცნობების მიხედვით აღრიცხულ გაფიცვების საერთო რაოდენობა უდრის 698, აქედან 563 გაფიცვას ადგილი ჰქონდა შანხაის ამბებამდი, დანარჩენს კი—ამ ამბების შემდეგ. მაგრამ ზემოთ მოყვანილი ცხრილი საკმაოდ ნათლად ააშკარავებს კავშირს მრეწველობის განვითარებასა და საგაფიცვო მოძრაობის ზრდას შორის: რამდენადაც უფრო მეტად არის განვითარებული მრეწველობა ამა თუ იმ რაიონში, იმდენად მეტია გაფიცვათა რიცხვი.

გაფიცვები შეიძლება გაიყოს ორ ნაწილათ: ეკონომიური (აქ შეიძლება ცალკე გამოიყოს იმ გაფიცვების ჯგუფი, სადაც მუშებმა წამოაყენეს ადამიანურათ მოპყრობის მოთხოვნილება) და პოლიტიკური. ყველა ეს სამივე მომენტი—ეკონომიური მოთხოვნილებები, უკეთესი მოპყრობის მოთხოვნა და პოლიტიკური მოთხოვნილებები,—ყველა ესენი განსაკუთრებით ნათლად იჩენენ თავს გაფიცვებში, რომლებსაც ადგილი ჰქონდათ შანხაის ამბების შემდეგ.

შანხაის ამბებამდი, გაზეთების ცნობით, ადგილი ჰქონდა 563 გაფიცვას. აქედან 330 ანუ 58,61% გამოწვეული იყო მხოლოდ ეკონომიური მოთხოვნილებებით. 110 გაფიცვა გამოიწვია უკეთესი მოპყრობის მოთხოვნებმა; 45 გაფიცვის დროს წამოყენებული იქნა წმინდა პოლიტიკურ მოთხოვნილებები. დანარჩენ გაფიცვათა მიზეზები გამოურკვეველია. ეკონომიური და პოლიტიკური მოთხოვნილებები ხშირად გაერთიანებულია.

შანხაის ამბების შემდეგ, იმავე ცნობებით, ადგილი ჰქონდა 135 გაფიცვას, რომელთაგან მხოლოდ ერთს ჰქონდა წმინდა ეკონომიური ხასიათი. გაფიცვების დანარჩენი რიცხვი ან წმინდა პოლიტიკური მოთხოვნილებებით იყო გამოწვეული ან პოლიტიკური მოტივები სჭარბობდენ.

გაფიცვების ლიკვიდაცია ხდება ან უშუალო მოლაპარაკების საშუალებით მუშებსა და ადმინისტრაციას შორის, ან შუამავლების საშუალებით. არსებული ცნობების მიხედვით გაფიცვათა 85%-ის ლიკვიდაცია მოხდა პირველი გზით. შუამავალთა ჩარევას სხვადასხვა ხასიათი ჰქონდა. 75 შემთხვევაში შუამავლობა იკისრა ადგილობრივმა ხელისუფლებამ, 49 შემთხვევაში—გილდიებმა და მუშათა კავშირებმა და 33 შემთხვევაში—ცალკე გავლენიანმა პირებმა. უკანასკნელ ხანებში შუამავლობას კისრულობენ პროფკავშირები.

41 გაფიცვის დროს ადგილი ჰქონდა შეტაკებას გაფიცულებსა და პოლიციას შორის, თავდასხმას გაფიცულებზე, გაფიცულების მიერ მანქანების დაზიანებას.

შედეგების მხრივ გაფიცვები შეიძლება გაიყოს 4 კატეგორიათ: 1) მუშების გამარჯვებით დამთავრებული, 2) ურთიერთ დათმობით დამთავრებული, 3) დამარცხებით დამთავრებული, 4) გამოურკვეველი ან საეჭვო შედეგებით დამთავრებული.

შანხაის ამბებამდი, არსებული ცნობებით, მუშების გამარჯვებით დამთავრდა გაფიცვების 50,2%, კომპრომისით—6,39%, დამარცხებით—7,11 პროცენტი, გამოურკვეველი ან საეჭვო შედეგებით—36,23%. გარკვეული ცნობები მოიპოვება მხოლოდ 359 (შანხაის ამბებთან დაკავშირებულ გაფიცვების ჩართვით—396) გაფიცვის შესახებ. ამ გაფიცვების შედეგი ასეთია:

გაფიცვების რიცხვი	მუშების გამარჯვებით დამთავრდა	კომპრომის შედეგით	მუშების დამარცხებით
359	283—78,83%	36—10,03%	40—11,14%
ანუ შანხაის ამბებთან დაკავშირებული გაფიცვების ჩართვით:			
396	284—71,72%	71—17,93%	41—10,35%

უნდა აღინიშნოს, რომ 1921 წლიდან დაწყებული, თითქმის ყოველი გაფიცვის დროს მუშები აყენებენ მუშათა კავშირების ცნობის, კრებებისა და სიტყვის თავისუფლების და თვით გაფიცვების თავისუფლების მოთხოვნილებას.

ყველაზე მეტი რიცხვი გაფიცვებისა აღნიშნული პერიოდის განმავლობაში მოდის საფეიქრო მრეწველობაზე ან მასთან პირდაპირ თუ არაპირდაპირ დაკავშირებულ დარგებზე. ფეიქართა გაფიცვების რიცხვი უდრის 167 (შანხაის ამბებთან დაკავშირებულ გაფიცვების ჩათვლით კი—199); შემდეგი ადგილი უჭირავთ გაფიცვებს, რომლებიც გამოცხადებულ იქნენ რკინისგზის ტრანსპორტთან დაკავშირებულ დარგებში—122 გაფიცვა. გაფიცვების ყველაზე ნაკლები რიცხვი (20 გაფიცვა) მოდის მძიმე ინდუსტრიაზე (ლითონის მრეწველობა, სამთო საქმე და სხვ.).

ყველაზე მეტი რიცხვი გაფიცვებისა ერთ წარმოებაში მოდის იაპონურ საფეიქრო ფაბრიკებზე შანხაიში, სადაც ცალკე ფაბრიკებში გაფიცულთა რიცხვი აღწევს 15-ტი (აღნიშნული პერიოდის განმავლობაში). ეს აიხსნება ჩინელ მუშების საშინელი ექსპლოატაციით ამ ფაბრიკებში, ერთის მხრივ, და მეორეს მხრივ ძლიერი პროფესიონალური ორგანიზაციების შექმნით, რაც მუშების თვითშეგნების მნიშვნელოვანი ზრდის მაჩვენებელია. გარდა ამისა, დიდი როლი ითამაშა აგრეთვე საერთო ანტი-იმპერიალისტურმა და კერძოთ ანტი-იაპონურმა მოძრაობამ.

რა ხდება უცხოეთში

მღვდლების ბუნტი მექსიკაში

რა მოხდა?

უცხოეთის გაზეთები სავსეა მექსიკიდან მიღებული სენსაციური ცნობებით.

მექსიკა ამჟამად სამღვდელოებისა და სახელმწიფოს შორის სასტიკი ბრძოლის ასპარეზს წარმოადგენს. მექსიკის მთავრობამ, რომელიც მუშათა პარტიის ხელშია, გამოსცა დეკრეტი საეკლესიო ქონებათა კონფისკაციის შესახებ. ამის საპასუხოდ მექსიკის მთავარმა ეფისკოპოსმა რესპუბლიკის პრეზიდენტი კაიესი განრისხა ეკლესიიდან და მოუწოდა სამღვდელოებას თავისებური გაფიცვისაკენ—აკრძალა ყოველგვარი მღვდელთ-მსახურება. ეს კიდევ ცოტაა, სამღვდელოებამ ეკონომიური ბოიკოტი გამოუცხადა სახელმწიფოს: იგი მოუწოდებდა მორწმუნეთ, რომ შემნახველი სალაროებიდან გაეტანათ თავიანთი ანაბარები. მთელი ქვეყნის კათოლიკურმა ეკლესიამ ბრძოლა დაიწყო კაიესის მთავრობის წინააღმდეგ. რომის პაპამ მექსიკის მთავარ ეფისკოპოზს კანდინალის ხარისხი მიანიჭა.

როგორც ყოველთვის მექსიკაში, ისე ეხლაც საქმე ვერ დამთავრდა სისხლიანი ინციდენტების გარეშე. აღმოჩენილ იქმნა კაიესის მოკვლის განზრახვა. სამღვდელოების ერთ-ერთ დემონსტრაციაზე რამოდენიმე კაცი იქმნა მოკლული. ამ ამბავმა, რასაკვირველია, უცხოეთის მთავრობათა ჩარევაც გამოიწვია. ამერიკა და ინგლისი პროტესტს აცხადებენ კაიესის მთავრობის ზომების წინააღმდეგ, რამდენადაც საქმე ეხება მღვდლებს, რომლებიც ამ ქვეყნების ქვეშევრდომები არიან და იმ საეკლესიო ქონების კონფისკაციის წინააღმდეგ, რომელიც ამერიკის და ინგლისის ქვეშევრდომებს ეკუთვნის.

მაგრამ მიუხედავად ამისა, კაიესის მთავრობა მაინც რჩება ხელისუფლების სათავეში. მოსახლეობის მშრომელი მასები მხარს უჭერენ მას, მიუხედავად იმისა, რომ კატოლიციზმს მათ შორის, განსაკუთრებით გლეხობის შორის ღრმა ფესვები აქვს გადგმული. უდიდესმა დემონსტრაციამ, რომელიც მუშათა პარტიამ მოაწყო მექსიკაში, 100.000 მონაწილე მიიზიდა; ასეთი დემონსტრაცია იშვიათად უნახავს მექსიკას.

სარწმუნოებრივი ბრძოლის ეკონომიური სარჩული

არ შეიძლება იმის ფიქრი, რომ მექსიკის მთავრობა ანტისარწმუნოებრივ პოლიტიკას ატარებს, ამ სიტყვის ნამდვილი მნიშვნელობით. კიდევ უფრო ნაკლებ შეიძლება ლაპარაკი იმ მუშათა და გლეხთა მასების ანტი-სარწმუნოებრივ განწყობილების შესახებ, რომლებიც ამ საკითხში კაიესის მთავრობას უჭერენ მხარს. ამას მოწმობს ერთი მეტად დამახასიათებელი ეპიზოდი, რომელიც ქალაქ კორდობში მოხდა. მუშათა დემონსტრაციის დროს, რომელიც კაიესის მომხრეებმა მოაწყვეს, ეკლესიის ზარებმა უცებ დაიწყეს „ანგელუსის“ რეკვა. დემონსტრანტებმა, ძველი სარწმუნოებრივი ჩვეულების მიხედვით, შეჩერდენ, მოიხადეს ქუდები და დაიწყეს ლოცვა და შემდეგ კვლავ გასწიეს წინ ყიჟინით: „გაუმარჯოს კაიესს!“.

მექსიკის მთავრობისა და მუშათა პარტიის ბრძოლა მიმართულია არა იმდენად სარწმუნოების წინააღმდეგ, რამდენადაც ეკლესიის—როგორც სოციალური ძალის წინააღმდეგ, რომელიც მსხვილი მემამულეების და უცხოეთის კაპიტალის დასაყრდენია. აი, სწორედ ამაშია ამ საკითხის არსებითი მხარე. კაიესის მთავრობის წინააღმდეგ ამჟამად იერიშზე მოაქვს ერთდროულად სამღვდელოებას, მემამულეებსა და უცხოეთის კაპიტალს. კაიესის მთავრობა კი, რომელსაც სოციალისტურ გაზეთებში ახასიათებენ, როგორც ნამდვილ მუშურ-გლეხურ მთავრობას, ნამდვილად იცავს მექსიკის ახალგაზრდა ბურჟუაზიის ინტერესებს, რომელიც სცდილობს თავი დააღწიოს ინგლისისა და ჩრდილოეთ-ამერიკის იმპერიალიზმის ბასრი კლანჭებისაგან. ეს მტკიცდება მექსიკის პოლიტიკური და ეკონომიური განვითარების მთელი ისტორიით უკანასკნელი ათეული წლების განმავლობაში.

ეკლესია—მსხვილი მემამულეების დასაყრდენი

მხედველობაში უნდა იქნას მიღებული, რომ ბრძოლა ეკლესიის წინააღმდეგ მექსიკაში დიდი ხანია სწარმოებს, მრავალი წლის წინედ, სანამ ხელისუფლება გადავიდოდა კაიესის და მისი წინამორბედის ობრეგონის ხელში, რომლებმაც მექსიკის „მუშათა“ მთავრობა შექმნეს. ჯერ კიდევ პრეზიდენტ სუარეცის დროს (1857 წ.) მიღებულმა კონსტიტუციამ, შეზღუდა მაშინ არსებული სამოსამართლო პრივილეგიები ეკლესიისა და უფლება ქონების ფლობისა; ამავე დროს აკრძალულ იქმნა კათოლიკური სასულიერო ორდენების (საზოგადოებების) არსებობა მექსიკაში. 1873 წ. ეს, ეკლესიის წინააღმდეგ მიმართული დადგენილებანი გაფართოებულ იქმნა და გამოცხადებულ იქმნა ეკლესიის სახელმწიფოსაგან გამოყოფა. როგორც 1857 წელს. დადგენილებანი, ისე 1876 წ. კანონი მიღებულ იქმნა გლეხობის მასების ზეგავლენით, რომლებიც ეკლესიას უყურებდენ, როგორც თავის უმთავრეს მტერს, ვინაიდან იგი მხარს უჭერდა მსხვილი მემამულეების ფეოდალურ პრივილეგიებს.

მაგრამ ეკლესიის პრივილეგიების წინააღმდეგ მიმართულ კანონმდებლობის განვითარება შეჩერდა დიაცის დიქტატურულ მმართველობის ეპოქაში, რომელიც 1876-დან 1910 წლამდე გაგრძელდა. დიაცის დიქტატურის დროს აგრარული ფეოდალიზმი განვითარდა უცხოეთის კაპიტალის დახმარებით.

ჯერ კიდევ დიაცამდე მექსიკა იყო ქვეყანა მსხვილ მფლობელთა („გაციენდები“), ყოველი მემამულე ფლობდა არა ნაკლებ 10.000 გეტარისა (გეტარი თითქმის დესეტინას უდრის). გაციენდარიებს უმიწაწყლო გლეხები თითქმის ბატონ-ყმურ მდგომარეობაში ჰყავდათ ჩაყენებული დიაცის მმართველობის დასასრულს მექსიკაში იყო 834 მსხვილი მემამული, რომლებიც ფაქტიურად მთელი მექსიკის ბატონ-პატრონები იყვნენ. მთელი მორელოსის შტატის ტერიტორია, რომელზედაც სცხოვრობდა 180.000 მოსახლე, 20 გაციენდარის მფლობელობაში იმყოფებოდა.

მსხვილ მემამულეთა საკუთრების შექმნის პროცესი ხდებოდა გლეხთა სათემო მიწების წართმევით. მხედველობაში უნდა იქმნას მიღებული, რომ თეთრკანიანთა მოსახლეობა მექსიკაში სულ 15 პროც. შეადგენს. გლეხობა კი უმთავრესად შესდგება ინდოელებისა და მეტისებისაგან. 1890 წ. დიაცმა გაატარა კანონი გლეხობის სათემო მიწების მფლობელობის, ეგრედ წოდებულ „ეხიდოსის“ მოსპობისა და მიწების წვრილ ინდივიდუალურ ნაჭრებად დანაწილების შესახებ. ამ ზომის მიზანი იყო გაადვილებინა მიწების გადასვლა მემამულეთა ხელში, რაც მართლაც მოხდა. 12 მილიონი გლეხიდან 9—10 მილიონი „პეონების“ მდგომარეობაში ჩავარდენ, რომელნიც ფაქტიურად ბატონ-ყმურ დამოკიდებულებაში იყვენ მემამულეთაგან.

მემამულეებისა და სამღვდელოების კავშირი იყო უშუალო. თვით ეკლესიის მფლობელობა 5 მილიარდი მექსიკანური დოლარი ღირს (მექსიკანური დოლარი დაახლოებით 1 მანეთს უდრის). გარდა ამისა, სოფლებში სამლოცველოები ჩვეულებრივ მემამულეთა სახლებში არიან მოთავსებული და მღვდელი მემამულის კაპელლანია (კარის მღვდელი). მათი ინტერესები მჭიდროთ არიან დაკავშირებული და მოსახლეობის თვალში მღვდელი მემამულეთა ბატონობის ერთი ორგანოთაგანი არის.

დიაცის ჩამოგდების შემდეგ 1910 წ. და მთელ რიგ გადატრიალებათა შემდეგ, რომლებსაც ადგილი ჰქონდა 1910 და 1914 წ., აგრარული რევოლუციის იდეა პირველ რიგში დადგა. ჯერ კიდევ 1915 წ. კარანცას მთავრობის დროს, რომელსაც ნაწილობრივ მხარს უჭერდენ ეხლანდელი კაიესის მთავრობის მონაწილენიც, გამოქვეყნებულ იქმნა კანონი, რომლითაც გაუქმებულ იქნა გაციენდარების მიერ დატაცებულ გლეხთა მიწების მფლობელობა და უფლება მიეცათ გლეხებს შექმნათ თავიანთი „ეხიდოსები“ (სათემო მიწები). ამ აგრარულმა რევოლუციამ თავისი გამოხატულობა ჰპოვა 1917 წ. კონსტიტუციაში.

1917 წლის კონსტიტუცია, რომელიც ეხლანდელი „მუშური“ მთავრობის პოლიტიკის საფუძველია, ერთდროულად იყო მიმართული მემამულეების, ეკლესიისა და მექსიკის შინაურ საქმეებში უცხოელების ჩარევის წინააღმდეგ. კაიესის თებერვლის დეკრეტი უცხოელ-მღვდელთა გადასახადების შესახებ და ივლისის დეკრეტი ეკლესიის ქონებათა ჩამორთმევის შესახებ, მხოლოდ კონსტიტუციის დადგენილებათა ცხოვრებაში გატარებას წარმოადგენს.

რა არის მუშათა მთავრობა

ჩვენ უკვე ვილაპარაკეთ მექსიკის შრომის ფედერაციის თავმჯდომარის და მთავრობის შინაური პოლიტიკის მთავარი სულის-ჩამდგმელის მორონესის გამოსვლის შესახებ. მისი სახით მთავრობა მჭიდრო კავშირს ამყარებს მუშათა რეფორმისტულ ორგანიზაციებთან. ფედერაციის დახმარებით მთავრობა ებრძვის მსხვილ მემამულეთა ბატონობას და ამავე დროს ახრჩობს გლეხთა აჯანყებებს, როდესაც ისინი მიმართულია „თავისი“ მემამულეების წინააღმდეგ, რომელნიც მთავრობასთან კავშირში არიან. მთავრობა გამოდის მუშათა ინტერესებისა და მექსიკის ეროვნული ღირსების დამცველათ მაშინ, როცა საქმე ეხება იმ ოლქებს, სადაც უცხოეთის კაპიტალია გაბატონებული, და ამავე დროს, მკაცრად სჯის რკინისგზელთა ბელადებს. იგი ატარებს დეკრეტს იმის შესახებ, რომ ყველა წარმოებებში უპირატესობა უნდა მიეცეთ მექსიკის ქვეშევრდომებს. ასე, მაგ. მთავრობამ ვერა-კრუცის პროვინციის ყველა მწარმოებლებს მოსთხოვა, რომ მექსიკის ქვეშევრდომები მათ წარმოებებში ყველა მოსამსახურეთა 80%-ზე ნაკლებს არ უნდა შეადგენდეს.

სწორედ ეს ნაციონალისტური ტენდენციები შეადგენენ კაიესის მთავრობის ძალას. მას მხარს უჭერს ადგილობრივი ლიბერალური ბურჟუაზია, იგი, მიუხედავათ ზოგიერთი რეპრესიული ზომებისა, სიმპატიით სარგებლობს გლეხების, მუშებისა და მოსამსახურეების მნიშვნელოვან ნაწილში. მაგრამ, რასაკვირველია, ეს მთავრობა დიდხანს ვერ იარსებებდა, რომ მას გადამჭრელი ბრძოლა გამოეცხადებია უცხოეთის კაპიტალისათვის. მთავრობა უცხოეთის კაპიტალის მიმართ კომპრომისის პოლიტიკას აწარმოებს. მაგრამ რომ შეინარჩუნოს თავისი რეპუტაცია მექსიკის უცხოეთის კაპიტალისაგან „განმანთავისუფლებელისა“, კაიესი ატარებს მთელ რიგ ზომებს, რომელნიც მიმართული არიან არა იმდენათ თვით უცხოეთის კაპიტალის წინააღმდეგ, რამდენათაც მათ დამხმარეთა წინააღმდეგ, რომელნიც ძალიან სძულს მოსახლეობას.

ანტი-ეკლესიური ბრძოლა, რომელიც ეხლა სწარმოებს მექსიკაში, ამგვარად არის უცხოეთის კაპიტალის წინააღმდეგ ადგილობრივი, მექსიკის ბურჟუაზიის ბრძოლის ერთი სახე. მუშათა კლასი ამ ბრძოლაში კაიესის მხარეზე სდგას, მაგრამ უფრო გათვითცნობიერებულ რევოლუციონურ ჯგუფებს შეგნებული აქვთ ამ მთავრობის მატყუარა „მუშური“ ხასიათი და ქმნიან თავის დამოუკიდებელ კლასიურ ორგანიზაციებს, რომელთა სათავეში სდგას მექსიკის კომუნისტური პარტია.

„ტ“. ხ. გ.

პარტიული ცხოვრება

აფხაზეთის საოლქო კომიტეტის პლენუმი

სოხუმი, 4 სექტ. 3 სექტემბერს სოხუმში შესდგა საოლქო კომიტეტის გაფართოებული პლენუმი, რომელზედაც საოლქო კომიტეტის მდივანმა სტურუამ გააკეთა მოხსენება საკავშირო კომპარტიის ცეკას და ცენტრალურ საკონტროლო კომისიის ივლისის პლენუმის შესახებ. მოხსენების შემდეგ მიღებული იქნა შემდეგი რეზოლუცია:

„საქართველოს კომუნისტურ პარტიის (ბ) ორგანიზაციის აფხაზეთის საოლქო კომიტეტის გაფართოებულმა პლენუმმა სოხუმის ორგანიზაციის აქტივთან ერთად მოისმინა, რა ამხ. სტურუას მოხსენება საკავშირო კომპარტიის (ბ) ცეკას და ცენტრალურ საკონტროლო კომისიის ივლისის პლენუმის შედეგების შესახებ, სავსებით და მთლიანად უერთდება საკავშირო კომპარტიის (ბ) ამიერ-კავკასიის საოლქო კომიტეტის გაფართოებული პლენუმის რეზოლუციას მხარს უჭერს ლენინის პარტიის მთლიანობას.

მხოლოდ მთლიან დისციპლინით—შეკავშირებულ პარტიას შეუძლია მიგვიყვანოს სოციალიზმის საბოლოო გამარჯვებამდე“.

რეზოლუციის წინააღმდეგ ხმა მისცა ერთმა და თავი შეიკავა ერთმა.

შევამჭიდროვოთ რიგები ლენინურ ცეკას ირგვლივ

საქ. კ. პ. (ბ) ლეჩხუმის მაზრის თემკომის მდივნების და გაფართოებულმა თათბირმა ქალაქის ორგანიზაციის აქტივთან ერთად მოისმინა რა მოხსენება საქ. კ. პ. ცეკას და ც. ს. კ. ივლისის პლენუმის შედეგების შესახებ, გაფართოებული თათბირი სავსებით უერთდება პლენუმის გადაწყვეტილებებს და აღნიშნავს, რომ ეს გადაწყვეტილებანი გამომდინარეობენ პარტიის ფოლადისებური ბოლშევიკური მთლიანობის ლენინური გაგებიდან.

თათბირი სასტიკად გმობს და გაოცებით აღნიშნავს ამხ. კამენევის, ზინოვიევის, ლაშევიჩის და ახალი ოპოზიციის სხვა წარმომადგენლების მოქმედებას, რომლებიც ცდილობდენ დაერღვიათ პარტიის მთლიანობა და მიმართეს მთელი რიგ ანტიპარტიულ საშუალებებს, რომ ჩამოეყალიბებინათ პარტიის შიგნით ფრაქცია.

ყოველივე ამის შემდეგ თათბირი სცნობს, რომ ასეთი უპრინციპო პოლიტიკური ბლოკის შექმნას მიზნად აქვს დასახული იერიში მიიტანოს საქ. კ. პ. (ბ) ც. კ. უმრავლესობის წინააღმდეგ. პარტია უარყოფდა ყოველთვის, ეხლაც და მომავალშიც უარყოფს ყოველგვარ ფრაქციათა შექმნის ცდას.

ოპოზიცია და ჯგუფობრიობა, რომელიც აღმართულია საქ. კ. კ. პ. (ბ) ც. კ. უმრავლესობის წინააღმდეგ ნიშნავს პარტიის მთლიანობის შებღალვას და ჩვენი ეკონომიურ განვითარების შეფერხებას ჩვენი ორგანიზაციის აქტივი მოუწოდებს მაზრის მთელ პარტიულ და კომკავშირთა მასას გააღრმაონ და განამტკიცონ პოლიტიკური სწავლა, კიდევ უფრო მჭიდროთ შემოკრბენ ლენინურ პარტიისა და მისი ცენტრალური კომიტეტის გარშემო.

გაუმარჯოს ჩვენ სახელოვან ფოლადისებურ მთლიან ბოლშევიკურ პარტიას.

გაუმარჯოს საქ. კ. პ. (ბ) ც. კ.

გაუმარჯოს მე-3 კომუნისტურ ინტერნაციონალს და მის მთლიანობას.

რ. კუპუხიძე

სავსებით ვიზიარებთ ც. კ. დადგენილებას

პარასკევს, 3 სექტემბერს, პოლიგრაფტრესტის 1-ლ სტამბაში შესდგა საქ. კომპარტიის მე-4 რაიონის მე-3, მე-5 და მე-60 კომუჯრედების შეერთებული კრება, რომელზედაც ამხ. პ. საყვარელიძემ მოხსენება წაიკითხა საკავშირო კომპარტიის ცენტრალური კომიტეტისა და ცენტრალური საკონტროლო კომისიის უკანასკნელი პლენუმის მიერ მიღებულ რეზოლუციების შესახებ.

მომხსენებელმა ვრცლად გააშუქა პლენუმის რეზოლუცია ამხ. ლაშევიჩის, ბელენკის, ზინოვიევის და სხვათა შესახებ და შეეხო ოპოზიციის წარმოშობის ისტორიას, მის მიზნებს და მოქმედებას მე-14 პარტყრილობამდე და მას შემდეგ.

დასასრულ მომხსენებელმა მოუწოდა პარტიის წევრებს—მტკიცედ დახვდენ პარტიის მთლიანობის სადარაჯოზე და მედგრად ებრძოლონ ყოველგვარ მოვლენას, რომელიც კი მიმართული იქნება ამ მთლიანობის შესარყევად და მშრომელთა ხელისუფლების საზიანოდ.

მომხსენებელს მისცეს მრავალი საყურადღებო შეკითხვები, რომელზედაც მან დამაკმაყოფილებელი პასუხი გასცა.

კამათის დასასრულს კრებამ ერთხმად მიიღო შემდეგი რეზოლუცია:

„მე-3, მე-5 და მე-60 უჯრედების შეერთებულმა კრებამ, მოისმინა რა ამხ. პ. საყვარელიძის მოხსენება საკავშირო კომპარტიის ცენტრ. კომიტეტის და ცენტრალური საკონტროლო კომისიის უკანასკნელი პლენუმის დადგენილების შესახებ ოპოზიციის წარმომადგენლების—ამხ. ლაშევიჩის, ბელენკის, ზინოვიევის და სხვათა მიმართ, სცნობს მის დადგენილებებს—ოპოზიციის გამთიშველ მოქმედების წინააღმდეგ, მართებულ და სწორ ღონისძიებათ.

კომუნიზმისთვის მებრძოლ ქვეყნებში და კომუნისტური პარტიაში სხვადასხვა მიმართულების და სხვადასხვა გზით მოსიარულე ფრაქციებისა და ჯგუფების არსებობა დაუშვებელია.

პარტიის ყველა წევრისთვის, მით უმეტეს ხელმძღვანელ ამხანაგებისთვის, სავალდებულო და აუცილებელია იმ პოლიტიკური ხაზის სისწორით დაცვა, რომელიც აიღო მე-14 პარტყრილობამ და მისი გამრუდება არ ეპატიება არავის.

ამიტომ სავსებით ვიზიარებთ ც. კომიტეტის უკანასკნელი პლენუმის გადაწყვეტილებებს და პირობას ვსდებთ, რომ არავითარ შემთხვევაში და არასოდეს არ დავუშვებთ პარტიის გათიშვას ან მასში სხვადასხვა ჯგუფების ორგანიზაციულად ჩამოყალიბებას.

გაუმარჯოს საკავშირო კომ.-პარტიას და მის ცენტრალურ კომიტეტს.

ბიუროების გადარჩევის მოლოდინში

უჯრედების ბიუროების ხელახალ გადარჩევის წარმატებით ჩატარებისათვის, რომელიც თბილისის ორგანიზაციაში იწყება 10 სექტემბრიდან, უაღრესი დიდი მნიშვნელობა აქვს არჩევნების წარმოების წესს. მთავარი, რაც აქ უნდა ახსოვდეთ ორგანიზაციებს, არის ფართო შინაპარტიულ დემოკრატიის დაცვა.

ამიტომ დიდი ყურადღება უნდა მიექცეს საარჩევნო კრების დროის მოხერხებულად შერჩევას, საანგარიშო მოხსენებების წინასწარ დამუშავების წამოყენების წესს და სხვა.

უჯრედის კრება არ უნდა დაინიშნოს მუშაობის გათავებისთანავე. გამოცდილობით ვიცით, რომ დამშეული და დაქანცული აუდიტორია, ყოველთვის ნაკლებ აქტივობას იჩენს. ბიურო უნდა შეეცადოს კრების ისეთ დროს მოწვევას, როცა ერთი მხრივ წევრთა დიდ უმრავლესობას შეეძლება გამოცხადება და მეორე მხრივ კრებაც მოქანცული და მშიერი არ იქნება. ამიტომ ამ შემთხვევაში ბიურომ, კიდევაც რომ დაარღვიოს ჩვეულებრივი წესი (თუ კი ამას საქმე მოითხოვს) და კრება დაწყებულ პარტიულ დღის გარეშე მოიწვიოს, უკეთესია, თორემ უარესი არ იქნება.

ამას გარდა ბიურომ წინდაწინვე უნდა დაამუშაოს საანგარიშო მოხსენება. მოხსენება უნდა იყოს რაც შეიძლება მოკლე, საქმიანი და მიდგომილი. არც თვითდამცირება და თავის შებრალებაა საჭირო მოხსენების დროს, როგორც ამას წარსულში არაერთხელ ჰქონია ადგილი და არც ყოყოჩობა და თავის ქება.

ამასთანავე განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს ბიუროში ახალი კანდიდატების წამოყენებას. მხოლოდ გამონაკლის შემთხვევაში თუ მოხდება, თორემ ერთხელ და სამუდამოთ უნდა განდევნილ იქნას პრაქტიკიდან უჯრედის აქტივზე ბიუროს კანდიდატების სიების შემუშავება.

უნდა ვეცადოთ კანდიდატები თვით კრებამ წამოაყენოს, რომ მომავალი ბიურო უფრო ავტორიტეტული და გავლენიანი იყვეს. აქტივზე კანდიდატების სიის შემუშავება დასაშვებია მხოლოდ კოლექტივების ბიუროების არჩევნების დროს.

ამასთან ერთად, უჯრედის საზოგადო კრებაზედვე უნდა აირჩიონ პასუხისმგებელი მდივანიც. ყველა ამ პირობების დაცვით, ჩვენ დარწმუნებული ვართ თბილისის ორგანიზაცია წარმატებით ჩაატარებს ბიუროების მომავალ არჩევნებს, რითაც კიდევ უფრო განამტკიცებს თავის რიგებს და გააცხოველებს პარტიულ მუშაობას.

პ. მ—ლი.

პარტმუშაკების განაწილების შესახებ

როგორც პარტიის, ისე კომკავშირის მუშაობის კარგად დაყენების ერთი მთავარი პირობაა, ჩვენი ძალების სწორი განაწილება და გონივრულად გამოყენება. ერთის მხრივ ეს საკითხი თითქოს მოძველებულია, მაგრამ ის დღემდის არსებითად მოგვარებული არ არის, რომ ეს ასეა ამას დაამტკიცებენ ის აუარებელი მაგალითები, რომელნიც გვხვდება პრაქტიკულ მუშაობაში და რომელიც იწვევს მრავალ არანორმალურ მოვლენებს.

როგორ ვიყენებთ ჩვენ პარტიის და კომკავშირის ძალებს? თუ მთლიანად არა, ნახევრათ მაინც ცუდათ. ეს, რა თქმა უნდა, არ ითქმის მხოლოდ ერთ რომელიმე ორგანიზაციაზე, ეს ნაკლი არის ცენტრიდან დაწყებული ჩამორჩენილ სოფლებამდე. განა შეიძლება იმის უარყოფა, რომ ზოგიერთი პარტიული და კომკავშირელი ამხანაგები „თავიდან-ფეხებამდე“ არიან დატვირთულნი?

მე ვლაპარაკობ უთავბოლო დატვირთვაზე. ავიღოთ ერთ-ერთი კომუჯრედი. ერთი ამხანაგი—ბიუროს წევრი, იგივე აგიტპროპორგანიზატორი, იგივე თემკომის წევრი, იგივე პოლიტწრის ხელმძღვანელი, იგივე კომკავშირზე მიმაგრებული პირი პარტუჯრედიდან, იგივე ზოგიერთ კოლექტივის ხელმძღვანელი, დელეგატ-ქალთა კრების ხელმძღვანელი—უჯრედიდან წარმომადგენელი,—ეს პარტიის ხაზით. იგივე ამხანაგი პირდაპირ მოვალეობის აღმასრულებელი საბჭოთა ხაზით. შემდეგ: პროფკავშირის ხაზით, კოოპერატიული ხაზით, ნებაყოფლობითი საზოგადოებების უჯრედის ჩაბმა, სხვადასხვა სხდომებზე აუცილებლივ დასწრება. თუ კომკავშირელია კომკავშირის ხაზითაც ყველა დავალებების შესრულება და არჩევითი სამუშაოს დაუყოვნებლივ შესრულება სხვა საზოგადოებრივი საქმიანობა და კიდევ შეიძლება სხვა ბევრი ამისთანაც.

შემდეგ, აღსანიშნავია ის ორი დამაფიქრებელი ფაქტი, რომელიც ანგარიშ გასაწევია. ასეთი მდგომარეობა ხელს უწყობს კომუნისტ-კომკავშირელთა მეურნეობისაგან მოწყვეტას და აძლიერებს ამხანაგებს შორის ორგანიზაციიდან გასვლის ტენდენციას. ამას გარდა თვითეული ამხანაგი სრულიად სწყდება თვითგანვითარების შესაძლებლობას.

ამის გამო ხშირათ უჯრედებზე ისმება საკითხი ამა თუ იმ „უპასუხისმგებლო“ (რამდენად უპასუხისმგებლოა ეს სხვა საკითხია) ამხანაგის დასჯაზე, პარტიიდან ან კომკავშირიდან გარიცხვაზე. შემდეგ ამისა ინტრიგები, დროის გაყვანა კრებებზე, ჩხუბი, ვადამტერება და ვინ იცის სადამდე არ აღწევს ეს „საქმიანობა“. ეს ყველა იმ დროს, როდესაც ერთ ამხანაგს დატვირთვით სუნთქვა აღარ აქვს და მეორენი კი, რომელთაც მაინც შეუძლიანთ საქმის გაკეთება. უსაქმოდ არიან, მათ არ აძლევენ დავალებებს.

რა გამოსავალი გვაქვს ამ მდგომარეობიდან? ჩვენი პარტიის და კომკავშირის ყრილობების მიერ გამოტანილ დადგენილებებში ხშირათ ვკითხულობთ მითითებებს ძალების გონივრულათ გამოყენების შესახებ ყოველგვარ დარგში და განსაკუთრებით პარტიის ხაზით, მაგრამ ზოგიერთ ხელმძღვანელთა დაუდევრობით ეს ასე არ ტარდება, იმ დროს როდესაც გამოსავალი ამ საქმის ორგანიზაციისა მის ხელშია და ძალათ იხუჭავს თვალებს.

ასეთი არარაციონალური მუშაობით ჩვენ ენერგიას უაზროთ ვხარჯავთ. ცხადია, ამა თუ იმ ამხანაგს არ შეუძლია ყველაფერი გააკეთოს, მას ყველაფრის გაკეთება ვთხოვოთ, სინამდვილეში კი ვერაფერს ვერ აკეთებს.

საქმის ინტერესები კი მოითხოვს ყველაფრის გაკეთებაში ჩამოვიყენოთ ყველა ჩვენი ძალები არა უთავბოლოთ, არამედ რაციონალურად, გონივრულად.

ვ. რულინ.

ჩვენ უჯრედში

(საგარეჯო, გარე-კახ.)

საგარეჯოს თემის პარტიულ კომიტეტი აერთიანებს 2 კომუჯრედს და 1 საკანდიდატო უჯრედს. უჯრედები არის ერთი თვით საგარეჯოში, მეორე სადგ. საგარეჯოში (მუშური კომუჯრედი) და სოფ. მანავში. საკანდიდატო უჯრედი, უკანასკნელი სულ მოკლე ხანია რაც არსებობს.

წრევანდელი მუშაობა ძალიან გაირჩევა წარსულ წლების მუშაობისაგან. მაგალითად დღეს ჩვენი პარტამხანაგები დაინტერესებულნი არიან იმით, რომ მათ შეიძინონ სათანადო ცოდნა და ამით შეძლება ექნეთ გაუწიონ სათანადო ხელმძღვანელობა ღარიბს საშუალო გლეხობას. მაგალითად, ვჰქონდა გახსნილი მოძრავი პოლიტსკოლა, რომელსაც ესწრებოდა პარტიულების საკმაოდ ბევრი რიცხვი. პარტიულები, და კომკავშირლები აქტიურ მონაწილეობას იღებდნენ მეცადინეობაში, კომუჯრედები უწევენ სათანადო ხელმძღვანელობას საბჭოს, კოოპერაციას, გლეხკომს და სხვას. უჯრედებს აქვთ მჭიდრო კავშირი გაბმული კომკავშირის უჯრედებთან.

კომკავშირებს ყავთ გამოყოფილი პარტამხანაგი ქალთა დელეგატის წრების ხელმძღვანელად.

ა. დ—ვი.

მაგრამ ეს „გარემოება“, — პროლეტარიატის დიქტატურის, სოციალისტური მრეწველობისა და სხვ. არსებობა **გადამწყვეტია.** ვინაიდან მიწის ნაციონალიზაციისა, კოოპერაციისა, სოციალისტური მრეწველობისა და სხვ. დროს, ჩვენ გვაქვს შესაძლებლობა არა მარტო დანაწილების პროცესის შეჩერებისა, როგორც ამას ჩავდივართ ეხლა, არამედ, მეურნეობის სოციალისტური უჯრედის განმტკიცებით შეგვიძლია **ვსძლიოთ ეს პროცესი და უზრუნველვყოთ ღარიბი და საშუალო გლეხობის მეურნეობის სოციალიზმისაკენ უშუალო გარდასვლა.**

ოპოზიციას „გამორჩა“ ეს პატარა თავისებურობა, რომელიც სცვლის მთელი საქმის ვითარებას, და ამის შედეგად მიიღო სოფლისა და ჩვენი ქვეყნის პროლეტარიატის დიქტატურის პირობებში განვითარების მთელი პერსპექტივის სრული დამახინჯება.

მაგრამ ვიმეორებ, რომ ამ შემთხვევაში ჩვენთვის მნიშვნელოვანია არა კრიტიკა ამ დებულებათა, რომლებიც წარმოადგენენ უკვე არა პატარა ხიდურებს, არამედ ნამდვილ, **საკმაოდ დიდ ხიდს ტროცკიზმისაკენ.** მნიშვნელოვანია ის სურათი, რომელიც მიიღო ოპოზიციამ სოფლის მდგომარეობისა და განვითარების შეფასებათა და „ანალიზთა“ შედეგად.

თუ სოფლის სამეურნეო ზრდა მხოლოდ კაპიტალისტური ელემენტების ზრდასა და განმტკიცებას ნიშნავს, თუ გლეხობის ფენებად გადაჯგუფებას ისე შორს წაუვია, რომ კულაკი ხდება სოფლის ძირითად ეკონომიურ ძალად, მაშინ დასკვნა მხოლოდ ერთი შეიძლება: სოფლის სამეურნეო ზრდა,-კაპიტალიზმის კალაპოტით მიმართული, წინაღუდგება პროლეტარიატისა და სოციალიზმის აღმშენებლობის საქმეს. გლეხობისათვის ხელმძღვანელობის გაწევის განმტკიცებისა და მისი სოციალისტურ აღმშენებლობაში ჩაბმის მაგივრად ამ შემთხვევაში ვიღებთ გლეხობასთან კავშირის აუცილებლად გაწყვეტას და ჩვენს წინაშე სდგებიან ისეთი სიძნელენი, რომელთა ძლევა ჩვენ არ შეგვეძლია.

განა ამ ხაზით, ამ ძირითადი, პრინციპიალური ხაზით არ მოხდა ახალი ოპოზიციის ტროცკიზმთან გაერთიანება? განა ეს დასკვნა სავსებით არ ეთანხმება ტროცკისტულ დებულებას იმის შესახებ, რომ ხელისუფლების დაპყრობის შემდეგ პროლეტარიატის წინააღმდეგ იქნებიან გლეხთა ფართო მასები? განა აქედან არ გამომდინარეობს ჩვენს ქვეყანაში სოციალიზმის აღმშენებლობის შესაძლებლობისადმი უიმედობა?

თავის თანამოხსენებაში მე-14 ყრილობაზე ამხ. ზინოვიევმა ძირითადი დებულების სახით წამოაყენა შემდეგი თეზისი:

„უდავოდ და ჩვენი სამეურნეო განვითარების მთელი მსვლელობით დამტკიცებულია, რომ ნამდვილად ვაშენებთ სოციალიზმს ჩვენს ქვეყანაში. **ჩვენ ვდავობთ მხოლოდ იმის შესახებ, შესაძლოა თუ არა საბოლოოდ იქმნას აშენებული სოციალიზმი და განმტკიცებული იქმნას სოციალისტური წყობილება ერთ ქვეყანაში, და ამასთანავე, არა ისეთ ქვეყანაში, როგორიცაა ამერიკა, არამედ ჩვენს გლეხურ ქვეყანაში“.**

ამ განცხადების აზრი არავითარ ეჭვს არ იწვევს.

ამხ. ზინოვიევს ეჭვი შეაქვს ჩვენს ქვეყანაში სოციალიზმის აღმშენებლობის შესაძლებლობაში არა იმიტომ, რომ ჩვენ კვლავ ვრჩებით კაპიტალისტურ გარემოცვის პირობებში, არა იმიტომ, რომ სოციალიზმის საბოლოო გამარჯვება არაა ჩვენთვის უზრუნველყოფილი, სწორედ ამ მხრივ,—ამის შესახებ ამხ. ზინოვიევი სიტყვასაც არ სძრავს,—მას ეჭვი შეაქვს სოციალიზმის აშენების შესაძლებლობაში და არა სწამს ეს შესაძლებლობა იმის გამო, რომ ჩვენი ქვეყანა **გლეხურია.**

ყოველივე ზემოთქმულის შემდეგ ოპოზიციის მიერ სოფლის განვითარების გზების განსაზღვრის შესახებ, ეს დებულება აღარაა მოულოდნელი. ასეთი შეფასების დროს, გლეხობასთან კავშირის განმტკიცებისა და მისი სოციალისტურ მეურნეობაში ჩაბმის მაგიერ, აუცილებლად წარმოიშვისპერსპექტივა გლეხობასთან კავშირის გაწყვეტისა და ტროცკისტულ დებულებაზე გარდასვლისა, რომლის მიხედვით, დასავლეთ ევროპის მუშათა კლასის პირდაპირი სახელმწიფოებრივი დახმარების გარეშე, რუსეთის მუშათა კლასი ვერ შესძლებს ხელისუფლების შენარჩუნებას **ჩვენი ქვეყნის შიგნით არსებულ ძალთა ურთიერთ დამოკიდებულობის გამო.**

მუშათა კლასისა და გლეხობის ურთიერთ დამოკიდებულობის პრობლემა ასეთ პირობებში აუცილებლად სწყდება ტროცკისტულად. ლენინის დებულება კი მუშათა კლასისა და გლეხობის ინტერესების „მტკიცე ერთიანობისა“, გლეხობის სოციალისტურ აღმშენებლობაში ჩაბმის შესაძლებლობის შესახებ, სავსებით და მთლიანად ისპობა.

მაგრამ სავსებით ბუნებრივია, რომ ახალი და ტროცკისტული ოპოზიციის თანხმობას ჩვენი რევოლიუციის ძირითადი საკითხების შესახებ, აუცილებლად უნდა გამოეწვია თანხმობა პოლიტიკურ ხაზშიაც.

ახალი ოპოზიციის მიერ ტროცკისტული თვალსაზრისის მიღებას პროლეტარიატისა და გლეხობის ურთიერთობის პრობლემის გადაჭრაში, აუცილებლად უნდა გამოეწვია მისი თვალსაზრისის მიღება პოლიტიკაშიაც.

და ამის ლოდინიც არ დაგვჭირდება. ჩვენი აღმშენებლობის ორ ძირითად, გადამწყვეტ დარგში: სამეურნეო და საბჭოთა აღმშენებლობის დარგში, ახალი ოპოზიცია სავსებით ეთანხმება ტროცკისტული პოლიტიკის ხაზს [7]).

თუ სოფლის განვითარება მიდის ჩვენს წინააღმდეგ, თუ სოფლად ძირითად ეკონომიური ძალად ხდება და უკვე არის კაპიტალიზმი, მაშინ აქედან სავსებით ცხადია, რომ წარმოიშვის მისწრაფება, რომ განსაკუთრებული „გმირული“ ზომების მეოხებით დაუდოთ ზღუდე ამ პროცესებს და „შევსწყვიტოთ“ იგი. მაგრამ ვინაიდან პროლეტარული **დიქტატურის** ძირითადი საფუძველია მსხვილი სოციალისტური (სახელმწიფო — კაპიტალისტური — ოპოზიციის განმარტებით) მრეწველობა, ამიტომ აქედან გამომდინარეობს მრეწველობის, — **რათაც არ უნდა დაგვიჯდეს,** ჩვენ შესაძლებლობათა გაუთვალისწინებლად განვითარების **ხაზი.** აქედან აუცილებლად გამომდინარეობს გლეხობის მეურნეობის „შევიწროების“ ხაზი, მისგან რესურსების მაქსიმალურად „ამოქაჩვის“ მრეწველობის განვითარების დასაჩქარებლად, ვინაიდან ეს მეურნეობა უკვე წარმოდგენილია, როგორც მხოლოდ **სამტრო ძალა,** რომელთანაც ბრძოლაა საჭირო, რომელსაც წინააღმდეგობა უნდა გაეწიოს სწორედ ასეთი „შევიწროების“ საშუალებით და მისი ექსპლოატაციის ხარჯზე მსხვილი მრეწველობის განვითარებით. სიტყვები გლეხობასთან კავშირის განმტკიცების შესახებ ლიტონ სიტყვებად, ტრადიციულ ლოზუნგად იქცევა, რომელსაც არავითარი რეალური შინაარსი არ რჩება.

და პირიქით, ულმობელ კანონად ხდება „პირველყოფილი სოციალისტური დაგროვების“ პოლიტიკა, რომელიც ამხ. პრეობრაჟენსკიმ წამოაყენა, პოლიტიკა გლეხური მეურნეობის ექსპლოატაციისა მაღალი ფასებისა და გადასახადების საშუალებით.

მეორეს მხრით, თუ სოფლად კულაკი არის ძირითადი ეკონომიური ძალა, თუ საშუალო გლეხობა, განსაზღვრულ ნაწილში, წარმოადგენს კულაკის მხოლოდ უმცროს ძმას, მაშინ აქედან აუცილებლად უნდა გამომდინარეობდეს პარტიის პოლიტიკის გადასინჯვა საბჭოთა აღმშენებლობის საკითხებში. კურსი „საბჭოების გამოცოცხლებისა“, კურსი სოფლად საბჭოთა დემოკრატიის განვითარებისა, საბჭოებში ჩაბმა ღარიბ გლეხობასთან ერთად საშუალო გლეხობისაც,—ეს კურსი ოპოზიციონური „წინასწარი დებულებების“ მიხედვით ხდება პროლეტარიატის დიქტატურის პირდაპირ საფრთხედ. ვინაიდან კულაკი სოფლის „ჰეგემონია“, მაშინ საშუალო შეძლების გლეხობის ჩაბმა საბჭოებში, არ შეიძლება იქმნას განხილული სხვა გვარად, თუ არა როგორც საბჭოების გაკულაკება, როგორც შესუსტება და არა გამაგრება პროლეტარიატის დიქტატურისა, როგორც დასაწყისი ამ დიქტატურის გადაგვარებისა მის ქვედა ფენებში. ამიტომ ტყუილად კი არა სცემს ბუკსა და ნაღარას ოპოზიცია იმის გამო, რომ „გლეხურმა სტიქიამ წალეკა საბჭოთა შენობის ქვედა სართულები“. ეს პანიკა, ეს „მყვირალა პესიმიზმი“ სავსებით გამომდინარეობს პროლეტარიატისა და გლეხობის ურთიერთ დამოკიდებულების საკითხის ოპოზიციის მიერ გადასინჯვისაგან.

ამ გადასინჯვის საფუძველზე უნდა გაიზარდოს და იზრდება კიდეც საბჭოების გამოცოცხლების პოლიტიკის უარყოფა და საბჭოთა აღმშენებლობის იმ მეთოდებისაკენ დაბრუნება, რომლებსაც ვიყენებდით სამხედრო კომუნიზმის ხანაში.

არსებითადაც ოპოზიციის ძირითადი წინადადებანი საბჭოთა აღმშენებლობის შესახებ უკვე შეიცავს ამ მომენტებს. ვინაიდან რა არის, თუ არ საბჭოების გამოცოცხლების პოლიტიკის გადასინჯვა, ოპოზიციის მიერ წამოყენებული ხაზი: უნდა მიღწეულ იქმნას „პროლეტარებისა და ნახევრად - პროლეტარების სრული და აუცილებელი გაბატონება“ „გამოცოცხლებულ“ საბჭოებში. პირველი შეხედვით ეს ხაზი გვეჩვენება სავსებით პროლეტარულად და რევოლიუციონურად, რომელიც თითქოს მიზნად ისახავს პროლეტარული დიქტატურის განმტკიცებას და გლეხობისათვის ხელმძღვანელობის გაწევის გაძლიერებას.

მაგრამ **„პროლეტარებისა და ნახევრად პროლეტარების სრული და აუცილებელი ბატონობა“** საბჭოებში ნიშნავს იმას, რომ საბჭოებში ან სავსებით ადგილი აღარ რჩება საშუალო შეძლების გლეხობისათვის, ან იგი იდევნება შორეულ კუთხეში. ამგვარად, ეს ხაზი არსებითად წარმოადგენს ჩვენი კურსის,—საბჭოებში საშუალო შეძლების გლეხობის ჩაბმის კურსის ლიკვიდაციას. იგი წარმოადგენს ისეთ საფუძველს, რომელზედაც უნდა განხორციელდეს საბჭოთა აღმშენებლობა გლეხობის ამ ძირითადი მასის **მონაწილეობის მიუღებლად.**

განა ამ ხაზს არ მივყავართ გლეხობასთან კავშირის გაწყვეტისა და პროლეტარული დიქტატურის შესუსტებისაკენ? განა იგი არ ნიშნავს სამხედრო კომუნიზმის პრაქტიკისაკენ დაბრუნებას, ცდას იმისა, რომ სოფლის საბჭოებში კომუნისტისა და პროლეტარების 100 პროცენტი იქმნას შეყვანილი? და განა იგი არ წარმოადგენს ახალ ფორმაში და ახალ პირობებში განმეორებას ამხ. ტროცკის შეცდომისა პროფკავშირების შესახებ დისკუსიაში, როდესაც იგი ამხ. კამენევის სიტყვით, გვირჩევდა, რომ „უფრო მაგრად მოგვეჭირა სამხედრო კომუნიზმის ქანჩები“ და სცდილობდა, რომ გლეხობასთან დამოკიდებულობის საკითხი გადაეწყვიტა „მუხრუჭების მოჭერით“ და „ზევიდან ადმინისტრატიული მბრძანებლობით“?

განსხვავება მხოლოდ ისაა, რომ ამ შემთხვევაში ამხ. ტროცკი იმეორებს თავის შეცდომას და გლეხობისადმი დამოკიდებულების საკითხში ბორძიკობს ხელიხელ ჩაკიდებული ამხ. კამენევთან და ზინოვიევთან ერთად.

* *

ასეთია ძირითადი მომენტები და კანონზომიერება ახალი ოპოზიციის **უკუსვლისა,** მისი ტროცკიზმისაკენ გარდასვლისა, რომელიც ამხ. ზინოვიევის განმარტებით, „განვლილ ეტაპს“ წარმოადგენს ჩვენი პარტიისათვის.

ოპოზიციის წარმომადგენლები პარტიის უმრავლესობას ბრალს სდებენ იმაში, რომ თითქოს ისინი გადაგვარების გზაზე დგანან და ლენინიზმს შორდებიან. ეხლა ოპოზიციამ შესაძლებლობა მოგვცა თვალსაჩინოდ დავრწმუნებულიყავით, თუ ვინ „სდგას გადაგვარების გზაზე“ ნამდვილად და ვინ დაშორდა ლენინიზმს.

ამ შემთხვევაში ოპოზიციის „გრძნობამ მოატყუა“, რომელიც ხშირად ემართება კაცს, როცა ზღვის ნაპირიდან გასცურავს: მას ეჩვენება რომ ზღვა მოძრაობს, ის კი თითქოს უძრავად სდგას ერთ ადგილას. ოპოზიცია დარწმუნებულია, რომ პარტია მისცურავს ლენინიზმიდან; ნამდვილად კი ოპოზიციამ „გასცურა“, როგორც ეს ყველას შეუძლია ეხლა დაინახოს შეუიარაღებელი თვალითაც.

და საკითხი ეხლა მდგომარეობს მხოლოდ იმაში, თუ რა მანძილზე გასცურავს იგი და რომელ ნავთსადგურს შეაფარებს თავს.

ბ. სტეცკი.

---

[7] ჩვენ აქ არ ვეხებით შინა-პარტიული აღმშენებლობის საკითხებს, ისევე როგორც კომინტერნის საკითხებს, მიუხედავად იმისა, რომ მათ არანაკლებ პრინციპიალური მნიშვნელობა აქვთ და რომ ოპოზიციური ლიკვიდატორობა ამ საკითხებში არა ნაკლებ ღრმაა ვიდრე ჩვენ მიერ განხილულ საკითხებში. მაგრამ ესენი ცალკე უნდა იქნას განხილული.

ახალგაზრდობის საერთაშორისო დღე

მეთორმეტე

ახალგაზრდათა საერთაშორისო დღე დაიბადა სისხლისმღვრელ იმპერიალისტურ ომის დროს.

ახალგაზრდათა საერთაშორისო დღე, იყო სიმბოლო პროლეტარიატის გაღვიძებულ შეგნებისა. იმპერიალისტური ომის წინააღმდეგ 1915 წელს პირველად გამოვიდა ინტერნაციონალური მშრომელი ახალგაზრდობა ქუჩებზე და აღიმაღლა ხმა საერთაშორისო კაპიტალის წინააღმდეგ. ახალგაზრდობა პირველი ეწირებოდა მსხვერპლათ ომს, მას ყოველთვის პირველად მიერეკებოდნენ სასაკლაოზე, და საკვირველი არ არის, რომ ის პირველი გამოვიდა პროტესტით იმპერიალისტური ომის წინააღმდეგ. ახალგაზრდობას სათავეში ჩაუდგა პროლეტარიატის საუკეთესო ხელმძღვანელნი და მებრძოლნი. ახალგაზრდათა საერთაშორისო დღის იდეური და უშუალო ხელმძღვანელნი იყვნენ პროლეტარიატის რევოლუციის დიდი ბელადი ლენინი და მშრომელ ახალგაზრდობისათვის დაუვიწყარი ცეცხლის მფრქვეველი და ბურჟუაზიის ზარის დამცემი დიდი ტრიბუნი კარლ-ლიბკნეხტი.

შემდეგ წლებში ახალგაზრდათა საერთაშორისო დღე, იყო დღე ანტიმილიტარისტულ დემონსტრაციებისა, მუშურ-ახალგაზრდობის ეკონომიურ და კულტურულ ინტერესებისათვის ბრძოლისა. ეხლა საერთაშორისო მდგომარეობა მოითხოვს ახალგაზრდობის გააქტივებულ სიფხიზლეს დადგა ხანა მუსოლინის დიქტატურისა, ჩერჩილ-ბირკენხედის ბატონობისა, პოლიტიკურ ასპარეზს დაუბრუნდა პუანკარე-სისხლიანი, „პუანკარე ომი“. პოლონეთში ბატონობს 1920 წ. „გმირი“ პან-პილსუდსკი, რომლის იმპერიალისტური განზრახვები ყველასათვის ნათელია. ისტორიას ჩაბარდა დღენაკლული „დემოკრატიულ-პაციფისტური ერა“. „ლოკარნოს დაისი“ დაიწყო, ჰორიზონტზე სჩანს იმპერიალისტურ ომის განმხეული ღრუბლები. ახალგაზრდობას სჭირდება მეტი სიფხიზლე. მეთორმეტე საერთაშორისო დღის ლოზუნგი „იმპერიალისტურ ომის წინააღმდეგ“ ისევ აქტუალურია, როგორც იგი იყო ამ თორმეტი წლის წინათ.

კაპიტალიზმის უდღეო სტაბილიზაციის არსებობა შესაძლებელია მხოლოდ მშრომელთა ფართო მასების ხარჯზე. მშრომელთა ექსპლოატაცია ერთად-ერთი საშუალებაა კაპიტალიზმის არსებობისა. ამ ექსპლოატაციას ყველაზე უფრო მეტად განიცდის მუშურ-გლეხური ახალგაზრდობა. ამიტომ ჩვენი დღის მორიგი ლოზუნგია „მუშურ-გლეხური ახალგაზრდობის ინტერესების დაცვა, მისი ყოფა-ცხოვრების და შრომის პირობების გაუმჯობესება კაპიტალისტურ ქვეყნებში“.

მშრომელ ახალგაზრდობის ინტერესების დაცვა შესაძლებელია, მხოლოდ საერთაშორისო მებრძოლ ერთიან მუშურ ფრონტის შექმნით. მაშინ როდესაც საერთაშორისო იმპერიალიზმი შეტევაზე გადმოვიდა მთლიან ფრონტით, მას უნდა აღუდგეს მშრომელთა მთლიანი ფრონტი. ახალგაზრდათა მთლიანი ფრონტის წინააღმდეგ ყველაზე უფრო აქტიურად იბრძვის მენშევიკური ახალგაზრდათა ორგანიზაცია,—სოციალისტურ ინტერნაციონალი. ეს უდღეო შვილი საერთაშორისო გამყიდველებისა, სოციალ-პატრიოტებისა და მევახშე მევაჭრეებისა, რომელნიც პროცენტებს სთხოვენ ინგლისის მუშებს დახმარებისათვის, არის ყველაზე უფრო საშიში მტერი საერთაშორისო ახალგაზრდათა მოძრაობისათვის. ახალგაზრდათა მეთორმეტე საერთაშორისო დღის ჩვენ უნდა მოუწოდოთ ახალგაზრდობას: გამოდით, დაარღვიეთ და დაშალეთ ახალგაზრდათა სოციალისტური ორგანიზაციები, ვისაც სურს ბრძოლა იმპერიალიზმის წინააღმდეგ, დასდექით ახალგაზრდათა კომუნისტურ ინტერნაციონალის დროშების ქვეშ.

ჩვენ გვინდა მთლიანი ფრონტი არა ბიუროკრატიულ ჩინოვნიკებთან ახალგაზრდათა სოციალისტურ ინტერნაციონალიდან, არამედ მშრომელ ახალგაზრდობის ფართო მასებთან. ამიტომ ჩვენ მოუწოდებთ მშრომელ ახალგაზრდობას, ჩამოვიდეს მშრომელთა პირველ სახელმწიფოში, გაეცნოს და შეისწავლოს თუ როგორ სცხოვრობს და იბრძვის აქ ახალგაზრდობა, და იმ პრინციპების ნიადაგზე, რომლებითაც ჩვენ ვხელმძღვანელობთ, სოციალისტურ ქვეყნის შენების საქმეში, გავმართოთ მთლიანი მებრძოლი ფრონტი მუშურ-გლეხურ ახალგაზრდობისა საერთაშორისო რეაქციის და იმპერიალიზმის წინააღმდეგ.

ჩვენ გვსურს რათა ჩვენმა მშრომელმა ახალგაზრდობამ გაიცნოს, თუ როგორ ცხოვრობს მისი ძმები წითელ საზღვრის შიგნით. ჩვენ ავირჩიეთ ჩვენი ქვეყნის მშრომელ ახალგაზრდობის წარმომადგენელი ავსტრიაში გასამგზავრებლად. ის იქ არ შეუშვეს. ბურჟუაზიის დღე ნაკლულობა აქაც მკაფიოთ გამოსჩანს, მას ეშინია ჩვენი ახალგაზრდა დელეგატის სიმართლისა. მეთორმეტე საერთაშორისო ახალგაზრდათა დღეს ჩვენ მოვითხოვთ, რათა მშრომელ ახალგაზრდობის წარმომადგენელი შეშვებულ იქნას ავსტრიაში.

საერთაშორისო სოციალისტურ რევოლუციის გამარჯვება შეიძლება მხოლოდ კაპიტალისტურ ქვეყნების პროლეტარიატის და კოლონიალურ მონების მჭიდრო კავშირის დამყარებით. პროლეტარულ ახალგაზრდობის ბრძოლის შედეგები მჭიდროთ არიან დაკავშირებული კოლონიის ახალგაზრდობის ბედ-იღბალზე. მეთორმეტე საერთაშორისო ახალგაზრდობის დღეს ჩვენი ქვეყნის თავისუფალი ახალგაზრდობა, კვლავ მიმართავს შორეულ და ახლო აღმოსავლეთის მშრომელ ახალგაზრდობას და მოუწოდებს მას იმპერიალიზმის წინააღმდეგ ბრძოლისაკენ.

ის უდიდესი ამოცანები, რომელიც ეხლა სდგებიან ახალგაზრდათა კომუნისტურ ინტერნაციონალის წინაშე შეიძლება გადაჭრილი იქნას მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მისი ყველაზე უფრო ძლიერი სექცია, საკავშირო კომკავშირი, თავის მუშაობას და საქმიანობას წარმართავს სწორ, ლენინურ მიმართულებით. ჩვენი კავშირი გიგანტიური ნაბიჯებით იზრდება. ჩვენს წინაშე ისმება საკითხი ორ მილიონიან ახალგაზრდათა გვარდიის აღზრდისა მეთორმეტე ახალგაზრდათა საერთაშორისო დღეს ჩვენი ვალია გავაღრმავოთ და გავაძლიეროთ მუშაობა ჩვენი ქვეყნის სოციალისტურ აღმშენებლობისათვის. ჩვენი კავშირის მოვალეობაა აღუზარდოს საერთაშორისო პროლეტარიატს, ინტერნაციონალური მებრძოლნი, რომელთაც ესმის, რომ ყოველდღიური „პატარა“ მუშაობა პირველ სოციალისტურ საზოგადოების აშენებისათვის არის ამავე დროს, საერთაშორისო რევოლუციისათვის ბრძოლა. ჩვენი კავშირის წინაშე მდგომი ამოცანები შეიძლება გადაჭრილი იქნეს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ჩვენ შევინარჩუნებთ მუშურ-გლეხურ რიგების ურყეობას, მთლიან ფოლადისებურ ლენინის პარტიის ხელმძღვანელობის ქვეშ.

მეთორმეტე საერთაშორისო ახალგაზრდათა დღეს ჩვენი მორიგი ლოზუნგია: კომკავშირის სოციალისტურ აღმშენებლობის საქმეში მეტი მონაწილეობა, მისი რიგების მთლიანობის შენარჩუნებით, ლენინის პარტიის უშუალო ხელმძღვანელობის ქვეშ.

ვ. მჟავარიანი.

დღევანდელი დღე

საერთაშორისო მშრომელ ახალგაზრდობას წელს განსაკუთრებულ პირობებში უხდება თავისი ბრძოლისა და სოლიდარობის დღის გადახდა.

ინგლისის მემაღაროეთა უმაგალითო გაფიცვა, რომელიც მიუხედავათ რეფორმისტ ბელადების ღალატისა უკვე 4 თვეა გრძელდება, პილსუდსკის დიქტატურა პოლონეთში, კოლონიების ბრძოლა თავისუფლებისათვის, მსოფლიო კაპიტალის საერთო შეტევაზე გადასვლა შრომის წინააღმდეგ, ყველა ეს ახალგაზრდათა მოძრაობის წინაშე აყენებს უაღრესად მნიშვნელოვან ამოცანებს, რომლებიც თავის მხრივ შინაარსს აძლევენ დღევანდელი დემონსტრანტის საერთაშორისო მშრომელი ახალგაზრდობის ლოზუნგებს.

ახალგაზრდათა საერთაშორისო დღე, წარმოშობილი მსოფლიო ომის პერიოდში, მუდამ იყო გამომხატველი, იმპერიალიზმის, მილიტარიზმის წინააღმდეგ ბრძოლისა; პოლიტიკურ ატმოსფეროს დღევანდელი დაძაბვის პირობებში მას უნდა მიეცეს კიდევ უფრო მეტი ანტი-იმპერიალისტური ხასიათი. „ძირს მოსალოდნელი ომი“, აი დღევანდელი დღის ერთი ლოზუნგთაგანი.

მაშინ როდესაც დროებითი სტაბილიზაციის ხანაში მყოფი კაპიტალი საერთო შეტევაზეა გადმოსული პროლეტარიატის წინააღმდეგ, როდესაც კაპიტალისტები 8 საათის სამუშაო დღეს აუქმებენ,—ჩვენ ვხედავთ მუშა-მთლიანი ფრონტის შერყევს, პროლეტარიატის მებრძოლი ძალების დაქსაქსვის სურათს. მეორე და ამსტერდამის ინტერნაციონალების მოღალატეობას მუშათა მთლიან ფრონტისადმი კიდევ ერთხელ მჭერმეტყველურად ამტკიცებს ინგლისელ გაფიცულთა დახმარებისათვის მათ მიერ გაწეული საბოტაჟი. ბრძოლა მუშათა სოლიდარობისათვის, დახმარება ინგლისელ მუშებს,—ჩვენი სადღესო ამოცანაა.

მუშათა მოძრაობის დღევანდელ უაღრესად კრიტიკულ მომენტში ჩვენ მოწმენი ვართ სამწუხარო მოვლენის: კომინტერნის ზოგიერთ სექციებში სხვადასხვა გადახრებმა იჩინეს თავი. ეს მოვლენა გათიშვით ემუქრება პროლეტარიატის ავანგარდის რიგებს და ამგვარად ციხის შიგნიდან გამტეხის როლს თამაშობს. ასეთივე გადახრებია ახალგაზრდათა მოძრაობის რიგებშიაც. ბრძოლა ლენინიზმის ყოველგვარ დამახინჯებასთან, ბრძოლა კომუნისტური რიგების მთლიანობისათვის,—აი რა წარწერა უნდა ამშვენებდეს ჩვენი დემონსტრანტების პლაკატებს.

ა.-კ. ინტერნაციონალის ეხლანდელ ამოცანას მუშა-ახალგაზრდობის დაპყრობისათვის ბრძოლა და ცეცხლ დანთებულ აღმოსავლეთის ახ. მოძრაობის სწორი ხელმძღვანელობა წარმოადგენს.

ჩვენი ქვეყანა ეხლა იმყოფება სოციალისტურ მშენებლობის ხანაში ქვეყნის ინდუსტრიალიზაცია—სოციალიზმის შენების საუკეთესო საწინდარია. ეს გარემოება ავალებს საქ. ლ. კ. კ. [illegible] აქტიური მონაწილეობა მომჭირნეობის რეჟიმისა და სხვა ღონისძიებების ჩატარებაში, რომლებიც მიმართულნი არიან მძიმე ინდუსტრიისათვის საჭირო მატერიალური ბაზის შინაგანი ძალებით შექმნისაკენ, ამ გზით ამოუდგეს გვერდში პარტიას და მასთან ერთად, მისი ხელმძღვანელობის ქვეშ, ერთგულად სწიოს სოციალისტურ მშენებლობის მძიმე უღელი.

კ. ჩარკვიანი.

საბჭოთა საქართველო

დეპეშები

გურიის თაფლი

ოზურგეთი, 4 სექტემბერი. მიმდინარე წელში გურიის მეფუტკრეობამ თაფლის მოცემის მხრით უჩვეულოდ დაიწია. გვიანი გაზაფხულისა და წვიმიანი ზაფხულის გამო ფუტკარს თითქმის სულ არ უკრია. 10—12 ღონიერი ოჯახიდან იკრიდა 1—2 სკა.

მეფუტკრე გლეხმა, რომელიც წინა წლებში 10—12 სკიდან ამოიღებდა 15—16 ფუთ თაფლს, ამ წელში მოაგროვა მხოლოდ ერთი ფუთი. ამჟამად ბაზარზე თაფლი ფასობს გირვანქა 40 კ. გასულ წელს კი 20 კ. იყო.

ძველი მეფუტკრეები ამბობენ, რომ ასეთი თაფლის მოუსავლობა იყო 38 წლის წინათ.

ახალი სკოლა

სიღნაღი, 4 სექტემბერი. ზემო ქედში აშენებენ ხუთთვალიან სასკოლო შენობას. ამ შენობას გლეხები აგებენ რაიონის ხარჯით.

რემონტს უკეთებენ ქოხ-სამკითხველოს შენობასაც.

ბამბის მდგომარეობა

სიღნაღი, 4 სექტემბერი. მიმდინარე წელში წნორისა და კაჭრეთის რაიონში მოელიან სათესილი იყო 400 დეს. ბამბა. ნათესის მდგომარეობა გასულ წელთან შედარებით კარგია. წნორისა და კაჭრეთის რაიონში მოელიან საშუალო მოსავალს, ბოდბეში კი საშუალოზე ნაკლებს.

ყურძნის მდგომარეობა

სიღნაღი, 4 სექტემბერი. ყურძნის მოსავალს კარგს ელიან, მაგრამ სეტყვის გამო მოსავალი ძლიერ შემცირდა. მთელი მაზრა, კარდანახსა, ვაკირსა და ანაგას ვრძა, დაზარალდა სეტყვისაგან. ვენახები გაფუჭებულია 35—80 პროც. მიუხედავად ამისა, მაინც ელიან საშუალო მოსავალს.

თამბაქოს მდგომარეობა

სიღნაღი, 4 სექტემბერი. თამბაქოს მდგომარეობა ძლიერ კარგია. ფოთლების მოკრეფა სანახევროდ დასრულებულია. ამინდი ხელს უწყობს ფოთლების გახმობას. დესეტინაზე მოელიან საშუალოთ 80 ფუთს.

„საზანოს" ხელის შეწყობა უნდა

(წერილი შორაპნის მ.)

ამ თემში არსებობს მეღვინე - მევენახეთა კოოპერატივი, „საზანო" რომელიც ჯერ-ჯერობით ძალიან ცუდ პირობებში იმყოფება. მას არა აქვს საკუთარი თანხა და დაბრკოლების მთავარი მიზეზიც ეს არის. ამ კოოპერატივის საშუალებით ახლო მახლო კუთხეებიდგან ღვინის და არაყის 25 პროცენტი იქნა გასაღებული. სწორეთ ამან გამოიწვია ჩვენ რაიონში ღვინოზე ფასების განმტკიცება.

ეხლა კერძო ღვინის მოვაჭრეები იძულებული არიან გლეხებს მტკიცე ფასი მისცენ ღვინოში. ეს ასეა, მაგრამ მევენახე გლეხები ამ სასარგებლო კოოპერატივს თითქოს განზე გაურბიან და წევრებათ არ ეწერებიან. წევრთა რიცხვი ძალიან მცირეა ამ კოოპერატივში. საჭიროა ყველამ ხელი შეუწყოს „საზანოს" და ჩაეწერონ წევრებათ, გაამაგრონ ის და საშუალება მისცენ თავის თავს, რომ ყოველწლობით არ უვარდებოდნენ ისინი ხელში ჩარჩ-ვაჭრებს. მეორე დამაბრკოლებელი მიზეზი ის არის, რომ ყველა მეზობელ თემებს სურს ეს კოოპერატივი თავის თემში გადაიტანოს, ასეთი ქიშპობა საქმეს აფუჭებს და ზოგჯერ კიდევაც სპობს. ახლის დაარსებისათვის და შექმნისათვის ზოგიერთები იშვიათად ზრუნავენ და თუ გაკეთებულს შეხედეს, მაშინვე თავისათ უნდა მოინდომონ.

ეს კოოპერატივი სწორეთ ჩხარის რაიონის ცენტრში არსებობს. მას კარგათ ემხრობა მევენახეობის თემები, როგორიც არის თვითონ საზანო, თუზი, თავასა და ჩხარი. ქვედა საზანოს ნახევარი ნაწილი და თერჯოლის თემიც კი. გზაც ხელს უწყობს კოოპერატივს ღვინო და არაყი ზესტაფონში ჩაიტანონ. გარდა ამისა საზოგადოება „საზანო" იმყოფება ზესტაფონიდან მომავალ დიდ გზაზე, რომელიც მიემართება ტყიბულისკენ თავასა-მუხურის თემებზე გავლით. ყველამ უნდა იზრუნოს ამ ფრიად სასარგებლო დაწესებულების გასამტკიცებლათ, ეს კი თავდები იქნება ჩვენ რაიონში მევენახეობა-მეღვინეობის დაწინაურებისა.

პლატონ ცინაძე,

წერილები

ნუ დაუშვებთ მახინჯ გადაჭრებს

(ს. ბუკნარი, გურია)

ყველასათვის ნათელია რა დიდ ყურადღებას აქცევს ჩვენი პარტია სოფლად მუშაობის საქმეს. ამ მხრივ დიდი მიღწევები გვაქვს. მაგრამ აღნიშნულმა მუშაობამ არავითარ შემთხვევაში არ უნდა მიიღოს ერთდროული, დაკვრითი ხასიათი. დაწყებული მუშაობა არც ერთი წუთით არ უნდა შენელდეს.

სამწუხაროდ ზოგიერთ შემთხვევაში ადგილი აქვს არა თუ შენელებას, არამედ მიუტევებელ შეცდომებსაც.

მოვიყვანოთ დეფექტების და მოუწესრიგებლობის ზოგიერთი კონკრეტიული ფაქტები: ხშირად თემებში შემოღებულია ეგრედწოდებული „ქვეკომისიების" შტატი, ჯერ ერთი გასაკვირია, საიდან არის აღებული ასეთი სახელწოდება, მე ვფიქრობ ასეთი თანამდებობა, როგორც მიუღებელი, გაუქმებული უნდა იქნეს, ან თუ ის აუცილებელია, უნდა მიეცეს სათანადო სახელწოდება, განსაზღვროს ფუნქციები და შეყვანილი იქნეს შტატში. მისი წლიური ჯამაგირი უნდა შეიტანონ ბიუჯეტში და არა გააწერონ გლეხობას, როგორც ამას ადგილი აქვს ზოგიერთ თემებში, გურიაში.

მეორე საკითხი, ეს სოფლად ვაჭრობის საკითხს ეხება. იშვიათია ისეთი თემი და ხშირად უბანი, სადაც არ ვაჭრობს კოოპერატივი და გლეხკომი და სადაც ხშირად ორივე არ ზარალობდეს. განსაკუთრებით მოსდის ეს გლეხკომს. ეს ზარალი მძიმე ტვირთად აწევება ზურგზე გლეხობას, მაშინ როდესაც ვაჭრობის საკითხი სოფლად შეეძლო ეკისრა კოოპერატივს, ყოველივე დეფიციტის გარეშე, როგორც უფრო ჩამოყალიბებულ ორგანოს.

მესამე მინდა შევეხო გადასახადების მიზანშეწონილად გაწერას. მაგალითისათვის მოვიყვან ბუკნარის თემს (გურია). ამ თემს სასოფლო - სამეურნეო გადასახადი მიმდინარე წელს შეხვედრია 230 მანეთი, რაც უკვე გადაუხდია.

ამის შემდეგ ადგილობრივ საჭიროებისათვის გლეხებზე გაუწერიათ ქვე-კომისიის ჯამაგირი — 240 მანეთი, გლეხკომის დუქნის საფასური 170 მანეთი, და სასოფლო გადასახადი 240 მანეთი. სულ 650 მანეთი. მაშინ, როდესაც ვიმეორებ, მთლიანი სასოფლო - სამეურნეო გადაუხდია თემს მხოლოდ 230 მანეთის რაოდენობით.

დაუშვებელია ასეთი მიზანშეუწონელი თვით დაბეგვრა. ეს კიდევ არაფერი. უფრო საინტერესოა, როგორ არის გაწერილი აღნიშნული თანხა. ფული გაუწერიათ თითქმის თანასწორად. არა უმცირეს 2 მანეთისა და არა უმეტეს ოთხი მანეთისა კომლზე. ამ სოფელში თუმცა კულაკები არ არიან, მაგრამ საშუალო გლეხობა მოიპოვება, რომელთაც შეეძლო უმტკივნეულოთ მეტის გადახდა. მეორე დეფექტი, ისეთ ღარიბ გლეხებს, რომელსაც სასოფლო-სამეურნეო გადასახადი შეხვდა ერთი მანეთი, შეწერილი აქვს 3—4 მანეთი თვითდაბეგვრის სახით. ყოვლად დაუშვებელია ასეთი საზომით მიდგომა გლეხობისადმი, ყოვლად დაუშვებელია ასეთი მუშაობა სოფლად და მე ვიმეორებ ასეთი შეცდომებიდან, ასეთი დეფექტებიდან არც სხვა თემებია დაზღვეული. ადგილზე მომუშავენი მეტ პასუხისმგებლობას უნდა გრძნობდნენ მე13 პარტყრილობის დადგენილებათა ცხოვრებაში გატარების დროს.

ვ. თავართქილაძე.

ზარზმის ეკლესია უპატრონოდაა

(ახალციხის მ.)

ახალციხის მაზრა, მესხეთი ფრიად მდიდარია ისტორიული ნაშთებით (ეკლესია, ციხე-კოშკები და ხიდები), რომელთა შორის თავისი შესანიშნავი აგებულობით, საპატიო ადგილი უჭირავს ზარზმის ეკლესიის შენობას ჩუქურთმებით და უფრო მეტათ ძვირფასი მხატვრობით. დღეს ეს ისტორიული ნაშთი, თითქმის უყურადღებოთაა მიტოვებული. შენობებში საქონელს ამწყვდევენ, ოთხფეხის ორთქლი აფუჭებს და ანოტიანებს ჰაერს. ფუჭდება კედელზე ძვირფასი მხატვრობა, ინგრევა გარშემო კედლები და იკარგება ჩუქურთმის ქვები.

უარეს დღეში არიან სხვა ნაშთებიც, მაგრამ ჯერ - ჯერობით საკმაო იქნება, რომ განათლების სახალხო კომისარიატმა პირველათ ყოვლისა ზარზმის განძი დაიფაროს გაპარტახებისაგან.

გულშემატკივარი.

დაუმთავრებელი საწყობი

(ტყვიავი, გორ. მ.)

ქალაქის მეხილეობის ალორძინების მიზნით წარსულ წელს ხელისუფლებამ გასცა სათანადო თანხა ხილის სამი საწყობის ასაგებად. აღნიშნული თანხა იყო წარმოკავშირის განკარგულებაში და მათაც წარსული წლის აგვისტოში დაიწყეს ჯერ-ჯერობით ერთი საწყობის აგება, ს. ტყვიავში. ამოიღეს მიწა, ამოიყვანეს კედლები, დაიწყეს რკინის კოჭები, გადიყვანეს კოჭებს შუა რამდენიმე თალი და... მიანებეს საქმეს თავი. მთელი წარსული ზამთარი იდგა საცოდავად თავახდილი საწყობი და ივსებოდა თოვლით და წვიმით.

მიმდინარე ზაფხულში წარმოკავშირი ისევ შეუდგა მუშაობას: გადაიყვანეს კიდევ რამდენიმე თალი და ამით გათავდა მთელი მათი მზრუნველობა; „ფული არ არის"-ო, განაცადეს. მიღებული თანხებისათვის სულ სხვა მიმართულება მიუციათ და, სამი საწყობის მაგიერ, ერთიც ვერ დაამთავრეს.

ამავე დროს გამოუვალ მდგომარეობაში ჩავარდა სოფელში არჩეული კომისია: წარმოკავშირის განკარგულებით მათ აამუშავეს ხელოსნები, მუშები და ურმები; მათდამი კომისია დავალიანდა დაახლოებით სამი ათასი მანეთით. რასაკვირველია კომისიას არავითარი საშუალება არა აქვს ამ ვალის გადახდისა, არც სჩანს ვინმე მისი გადამხდელი და ლამის კომისიის წევრები კეტებით ამოსწვიტონ მოვალეებმა.

საწყობი ნავარაუდევია 35—40 ათასი ფუთი ხილის მოსათავსებლად; უკვე დახარჯულია 35 ათასი მანეთი და თუ მომავალი ზამთრისთვისაც ისევ თავახდილი დარჩა, წვიმა-თოვლისგან თალები ჩაწვება, კედლები დაზიანდება და უნაყოფოდ ჩაივლის ამოდენა დახარჯული ფული და შრომა.

თითქმის მთელი საამშენებლო მასალა დამზადებულია, მაგრამ სამწუხაროდ საამშენებლო სეზონი უკვე იპარება, საწყობით სარგებლობის დროც კარზედ მომდგარია, მას კი უფულობის გამო ჯერ გულშემატკივარი პატრონი არ უჩანს.

საჭიროა სასწრაფო ყურადღება, რომ ეს მთელი რაიონის საამაყო განძი არ მოისპოს.

ტყვიაველი.

აბანო უნუგეშო მდგომარეობაშია

(ალპანა, ლეჩ. მ.)

ლეჩხუმის მაზრაში, ალპანის თემში არის სახელგანთქმული სამკურნალო წყალი. ეს წყალი მეფის დროს ჰქონდა ერთ ალპანელ გლეხს დომენტი ფრუიძეს, რომელიც მთავარ გლეხს წარმოადგენდა მთელ კუთხეში. ის ამ სამკურნალო აბანოდან, ცხადია, დიდ სარგებლობას იღებდა. სოფელში ასეთი თქმულებაც არსებობდა, რომ „ფრუიძეს ორი ქოთანი ოქროთი აქვს სავსეო". მენშევიკების დროს იგივე დომენტი ითვლებოდა აღნიშნულ აბანოს მეპატრონედ, ხოლო 1921 წლის შემდეგ აღნიშნული აბანო, რასაკვირველია, ჩამოერთვა ძველ კულაკს. მაგრამ ამ აბანოს არავინ აღმოუჩნდა ერთი კარგი ხელმძღვანელი და სულ ცუდად მიდიოდა მისი საქმე. თვით ყოფილ მეპატრონესაც ჰქონდა გადაცემული, რომ გაეკეთებია, მაგრამ რა კი შეატყო დაბრუნებას ვერ ეღირსებოდა, არ გააკეთა.

წელს ადგილობრივ ხელისუფლებას ეს აბანო ჩამოურთმევია მოიჯარადრესთვის და ჯამაგირით დაუყენებია შიგ ორი ამხანაგი, რომელთა მოვალეობას შეადგენს: გააცხელონ ვანები, აბანონ ავადმყოფები და გამოართვან ფულები. ცხადია ეს აბანოსთვის საკმარისი არ არის. აბანოს ესაჭიროება საკმაო შეკეთება.

აბანოში ამოყვანილია 1½ საჟ. ქა, რომელიც ავსილია წყლით. ირგვლივ არის იატაკი, სადაც მიწა და წყალი ერთმანეთშია არეული და იატაკზე გავლა შეუძლებელია თუ მუხლის თავებამდე ფეხები შიშველი არა გაქვს. ვანებში წყლის შესასვლელად არის მე-18-ე საუკუნის ხის ღარები, რომლებიც უკვე დამპალია. თვით ვანები წარმოადგენენ ამოჭრილ ხის ორმოს, რომელსაც ჩვენში „ლოფიოა"-ს ეძახიან. როდესაც ჩადიხარ ვანაში დამპალი ხის კედელი, უკვე მოხარშულია ცხელი წყლით. შენობის ქვედა სართული ქვისაა, ხოლო ზევით დადგმულია ხის. რომელიც ვშიშობ, რომ ამ ზამთარი ცოცხალი გადარჩეს. თუ გაავდარდა მტერს —უარესი. ყველგან დაგაწვიმს. მიმსვლელ ხალხს მხოლოდ დღისით შეუძლია დაწვეს ამ სახლში, რადგან ღამით იმდენი ბაღლინჯო დახვევა, რომ თუ რიონში არ ჩავიდა, ვერ გაიცილებს.

ვერ ნახავ შენობაში ერთ მაგიდას, რომ პური დასდო და სჭამო. ამის გამო მომსვლელ ხალხმა ან იატაკზე უნდა ისადილოს, ან გარეთ მინდვრებში. ვერ ნახავთ სკამს, რომ დაჯდე და მოისვენო, ან ფეხზე უნდა იდგე, ან იწვე პირუტყვივით.

ყველა ამას, რომ თავი გავანებოთ ერთ მნიშვნელოვან საკითხს მაინც უნდა მივაქციოთ ყურადღება, თუ გვინდა, რომ აბანო სამუდამოდ არ დაიკარგოს. მას ჩამოუდის გვერდით მდ. რიონი, რომელიც დაშორებულია 4—5 საყენით შენობაზე და ადიდების დროს ხსენებულ აბანოს ქვედა სართული და აბანოს ქა ივსება მდინარით, რომლის გაწმენდას რამოდენიმე ხანი სჭირდება. მდინარე აბანოს თანდათან უახლოვდება და წალებას უქადის, თუ მას არ გაუკეთდება სათანადო სიმაგრე.

დროა მიექცეს ყურადღება ამ გარემოებას. ნუ დავღუპავთ აღმასკომო, ასეთ სამკურნალო წყალს, როგორიც არის ალპანის აბანო.

მურის ხიდელი.

„ტროსტების" მოყვარულნი

(აბასთუმანი)

თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს საერთოდ ტყეებს და განსაკუთრებით საკურორტო ტყეებს, ამაზე ზედმეტია ლაპარაკი, ზოგიერთები კი, მიუხედავათ იმისა, რომ იცის ტყის მნიშვნელობა, მაინც შეგნებულად თუ შეუგნებლად ზიანს აყენებს ტყეებს.

საქართველოს კურორტებზე ხშირად შეხვდებით მოაგარაკეებს — ქალსა და კაცს ნაძვის „ტროსტით" ხელში. სად იშოვება ნაძვის ტროსტები? რასაკვირველია, მოაგარაკენი შედიან ტყეში ეძებენ ახალგაზრდა ნაძვს, გადააჭრიან წვრილ თავს, შეალამაზებენ — შეალამაზებენ და აი, უკვე საარშიყო ტროსტიც მზად არის. ასე ნადგურდება ახალგაზრდა ნაძვები.

რა ზომებია ამის წინააღმდეგ მიღებული? თითქმის არავითარი, თუ არ მივიღებთ მხედველობაში იმ გარემოებას, რომ ადგილობრივი სატყეო განყოფილებებმა გააკრეს ხეებზე განცხადება, აბასთუმანში კი, გარდა ამისა, სატყეო კანტორის წინ, ბაღში, სწერია ყვავილებით: „დაიცავით ტყე, ის საფუძველია სიცოცხლის".

ასეთი განცხადებები საქმეს არ შველის, თუ ამ ლოზუნგს სათანადო ზომები არ მოყვა.

საჭიროა სატყეო განყოფილებამ ადმინისტრაციის საშუალებით დააჯარიმოს ყველა ნაძვის ტროსტიანები, და უკიდურეს შემთხვევაში კიდევაც გააძევოს აგარაკიდან.

ნაძვი.

წერილებიდან

ტყიბული (ქუთ. მ.)

„დოქაძე" მილიციელი. ამას წინათ, კვირა დღეს, როცა ტყიბულში გაჩაღებული ბაზრობა იყო, მილიციელი ბებიაშვილი იარაღით ხელში დადიოდა გლეხებში და თითო ჭიქა ღვინოს ყოველ დოქიდან მიირთმევდა. უსასყიდლოთ რასაკვირველია. ამ ჰაშნიკის სინჯვაში ის ისე გამოთვრა რომ, თავი და ბოლო არ გაეგებოდა. ბებიაშვილი ყოველ კვირა დღეს იქცევა ასე. ტყუილა არ ეძახიან მას გლეხები „დოქაძე—მილიციელს".

მიხო საწირელი.

ჩხოროწყუს თ. (ზუგ. მ.)

წყალი ხელს გვიშლის. მართალია სამაზრო აღმასკომის დადგენილებით გაერთიანებული იქნა ლეწურწუმის და ჩხოროწყუს თემები, მაგრამ ამ დადგენილებას ხელს უშლის ხობის წყალი, რომელიც ორ თემ შუა ჩამოდის. წყალზე ხიდი არაა და გლეხები ამის გამო მოწყვეტილი არიან ადმინისტრატიულ და კულტურულ ცენტრს.

გამვლელი.

ს. პატარძეული (გარე-კახ.)

შიშით მალავენ. აქ ხშირია ქურდ-ბაცაცობის შემთხვევები. ამ „ხელობაში" შემჩნეულია რამდენიმე პირები და განსაკუთრებით კი ერთი. მაგრამ ვერავინ ბედავს საეჭვო პირზე აშკარათ ხელის დადებას, რადგან ეშინიათ, სამაგიეროთ უარესი არაფერი გვიყოსო. ადგილობრივ ადმინისტრაციამ ამას ყურადღება უნდა მიაქციოს.

ნაცნობი.

სოფლის ქრონიკა

— **წითელარმიელთათვის** საექიმო დახმარების აღმოჩენის ხარჯების საკითხის გასარჩევად თელავის აღმასკომმა აირჩია ცალკე კომისია.

— **გზების დაცვა.** გორის აღმასკომმა აკრძალა გზების გაჭრა - გადათხრა ცალკე გლეხების მიერ წყლის გასაყვანათ ან სხვა საჭიროებისათვის.

— **უპატრონო მიწები.** დუშეთის აღმასკომმა გამოყო კომისია მაზრაში არსებულ უპატრონო მიწების ასარიცხავად.

— **საექიმო პუნქტის** შესანახად წალვერის გლეხებმა დაიბეგრეს თავი.

— **შრომის ბეგარა.** თელავის მაზრაში დაიწყო შრომის ბეგარის გატარება.

წითელ ჯარში

ახალი ძალები

ქართული წითელი ჯარის ნაწილებიდან მოხდა უმცროს მეთაურების გამოშვება. ჩვენ წითელ ჯარს შეემატა რამოდენიმე ათეული კარგად მომზადებულნი და გაწვრთნილნი უმცროსი მეთაურები, რომელნიც მოკლე ხანში შეუდგებიან ფრიად საპასუხისმგებლო საქმეს წითელ არმიელთა აღზრდას.

საქართველოში გვაქვს ერთი სამხედრო სკოლა, რომელიც ამზადებს მეთაურებს ყოველგვარი იარაღის ნაწილებისათვის. სკოლის დამთავრების შემდეგ ესენი ინიშნებიან საშუალო და დაბალ მეთაურების თანამდებობაზე. ლეგიონებთან არსებული სკოლები კი ამზადებენ ისეთ მეთაურებს, რომელნიც უშუალოდ არიან წითელ-არმიელებთან და უწევენ მათ ყოველდღიურ დახმარებას სამხედრო ცოდნის შეძენაში. ესენი არიან მწყობრის და ათისთავები.

მათი მოვალეობა დიდია და პასუხსაგები. მათ აწევთ მთელი სიმძიმე ახლად მოსულ წითელ არმიელების მომზადების საქმისა. წითელ არმიელებთან ყველაზე ახლო ისინი არიან, მთელ დღეს მათთან ატარებენ, და იციან წითელი არმიელის სულისკვეთება, მათი გაჭირვება, წითელი არმიელის მომზადების დონე და უნარიანობა.

ლეგიონების უმცროსი მეთაურთა მოსამზადებელი სკოლები სცდილობენ მისცენ მომავალ მეთაურებს ისეთი ცოდნა, რომელიც მათ გამოადგებათ ამ საქმისათვის. მათთან სწარმოებს განსაკუთრებული სამხედრო მეცადინეობა. ისინი ეცნობიან საშუალებებს ცოდნის გადასაცემად წითელ არმიელებზე, ეცნობიან სხვადასხვა მეთოდებს და სწავლების ფორმებს.

უნცროსი მეთაური ამასთანავე ერთად უნდა იყვეს პოლიტიკურადაც საკმაოდ მომზადებული, რომ შესძლოს გაუწიოს ერთგვარი ხელმძღვანელობა ჯერ პოლიტიკურ საკითხებში გაურკვეველ წითელარმიელს. სკოლები აქცევენ ამ მხარეს სათანადო ყურადღებას და აძლევენ უმცროს მეთაურებს საკმაო პოლიტიკურ ცოდნას.

ლეგიონის სკოლები შესაფერისად არიან მოწყობილნი, როგორც საჭირო სამეცადინო ნივთებით და მასალებით, აგრეთვე ლექტორთა ძალებით.

სკოლების მსმენელებად ყოველ წლიურად გაწვევის დროს ამოირჩევიან წითელ არმიელებიდან უფრო მომზადებული და აქტიური ამხანაგები.

სკოლების გამოშვების წინ ჩატარებულ იქნა გამოცდები, რომლებმაც მოგვცეს დამაკმაყოფილებელი შედეგები.

ახალგაზრდა უმცროსი მეთაურები მალე შეუდგებიან მუშაობას ჯარის სხვადასხვა ნაწილებში.

ი. ზ.

საერთო ტერიტორიალური შეკრება

საქართველოს ფარგლებში საერთო ტერიტორიალური შეკრება უკვე დაიწყო. საქართველოს ყველა კუთხიდან ცვალებადელნი უკლებლივ გამოცხადდნენ. შეკრების ბანაკში შეხვდებით აფხაზელს, შორეულ მთებიდან ჩამოსულ სვანს და ბორჩალოელ გერმანელს.

მიმდინარე შეკრებაზე გამოწვეულია სამი ჰასაკის ახალგაზრდები 1900, 1901 და 1902 წ. დაბადებულნი. ამათგანს ზოგს უმსახურია წითელი ჯარის რიგებში, ზოგს კი პირველად უხდება სამხედრო მეცადინეობის გავლა.

შეკრების ადგილზე მოსვლისთანავე ცვალებადელნი გატარებულ იქნენ მოკლე დროიან კარანტინში, რის შემდეგაც მათ მიცათ წითელარმიელის ტანსაცმელი და დაიწყო მათთან ჩვეულებრივი სამხედრო და პოლიტიკური მეცადინეობა. სამეცადინო პროგრამა წინასწარ იქნა გამომუშავებული, ხელმძღვანელებიც წინდაწინვე იქნენ განაწილებულნი ასეულებში

ცვალებადელნი დიდის ხალისით შეუდგნენ მუშაობას ბანაკის მოსაწყობად: ასწორებენ კარავებს, ასუფთავებენ მიდამოს. განსაკუთრებული ყურადღებით ეპყრობიან დასასვენებელი ადგილის „ლენინის კუთხის" მოწყობას, ამზადებენ ჩარჩოებს სურათებისათვის, სწერენ ლოზუნგებს, ხატავენ პლაკატებს. ყველას უნდა მიიღოს მონაწილეობა კარვის მორთვა-გალამაზებაში, ყველას უნდა შეიტანოს თავისი წვლილი საერთო საქმეში.

ცვალებადელების სულიერი განწყობილება ჩინებულია. ყველანი მხიარულად არიან და თავისუფალ დროს ატარებენ ბანაკის ახლო მინდორში ცეკვა-თამაშს და სიმღერას. მოცეკვავენი და მომღერალნი კი ბლომათ არიან: არიან მოშაირენი და მეფანდურენიც, რომელთაც თან წამოუღიათ ფანდურები.

სამხედრო მეცადინეობას ყველანი დიდი ინტერესით ეკიდებიან, მეტადრე აინტერესებთ შაშხანა და ტყვიამფრქვევი, ეცნობიან ახალ გამოგონებებს, ქიმიურ ომის წარმოებას და ავიაციის მიღწევებს. ლენინის კარავის სამხედრო განყოფილებები ყოველთვის სავსეა ცვალებადელებით, რომელნიც გულმოდგინეთ სინჯავენ სხვადასხვა იარაღებს და ხელსაწყობს.

ი—ა.

ვაჭრობა აღმოსავლეთთან

მიმდინარე წლის 10 თვის განმავლობაში ა.-კ. სახელმწიფო ვაჭრობის კომისარიატმა სპარსეთში გაიტანა 2.264.600 მან. სხვადასხვა საქონელი, უმთავრესად ნავთის პროდუქტები და შაქარი; წარსულ წელს კი მთელი საოპერაციო წლის განმავლობაში გაიტანა 2.667.000 მან.

წელს სპარსეთთან ვაჭრობაში ჩვენ გვაქვს დადებითი ბალანსი: გატანა აღემატება შემოტანას 939.000 მან.

მიუხედავად ოსმალეთთან ვაჭრობის სიძნელისა, წელს სავაჭრო ოპერაციები მასთან დიდათ გაფართოვდა. ათი თვის განმავლობაში ა.-კ. სავაჭრო კომისარიატმა ოსმალეთში გაიტანა 484.500 მ. საქონელი; წარსულ წელს კი—125.000 მან., ე. ი. თითქმის ოთხჯერ მეტი.

უმთავრეს საექსპორტო საქონელს წარმოადგენს: ნავთის პროდუქტები, შაქარი, სილიკატები და რკინა.

მიმდინარე წლის ათი თვის განმავლობაში ა.-კ. სახელმწიფო ვაჭრობის კომისარიატს სპარსეთში და ოსმალეთში გაუსაღებია სულ 4.424.000 მან. საქონელი.

◆

ბარიტის აღმოჩენა

ს. მ. უ. ს. მოუვიდა ცნობა, რომ საჩხერის რაიონში აღმოჩენილია საუკეთესო ღირსების ბარიტის მადანი.

აღმომჩენ მოქ. მაჭავარიანს მოუხდენია მადანის ანალიზი და მარაგის გამოკვლევა, რამაც დაადასტურა მადანის კარგი ღირსება და გამოარკვია, რომ მარაგი დიდია.

აღმოჩენილი ბარიტის ნიმუშები განსახილველათ გადაეცა სამთო-ქიმიურ კომბინატს, რომელიც ახლო ხანში დაამუშავებს მადანის საექსპლოატაციო გეგმას.

◆

ეკონომიური საბჭოში

მიწად-მოწყობა

საქართველოს უმაღლეს ეკონომიურ საბჭოს განზრახვა აქვს დაამთავროს მიმდინარე წელში ტრესტებში გაერთიანებულ საბჭოთა მეურნეობების მიწების მოწყობა.

ხუთწლიანი გეგმა

საქართველოს უმაღლესი ეკონომიური საბჭო ახლო ხანში შეუდგება ხუთ წლიან საპერსპექტივო გეგმის შედგენას ტრესტში გაერთიანებულ საბჭოთა მეურნეობისათვის. გეგმას საფუძვლად დაედება ცალკე რაიონების ბუნებრივი და ეკონომიური თვისებურებანი. გეგმით, უმთავრესად გათვალისწინებული იქნება საბჭოთა მეურნეობების ეკონომიური და აგრო-კულტურული ზეგავლენა გლეხთა მეურნეობებზე.

კოლექტიური მეურნეობის გასაძლიერებლად

საბჭოთა კავშირის შრომისა და თავდაცვის საბჭომ მიმართა ყველა საკავშირო რესპუბლიკების უმაღლეს ეკონომიურ საბჭოებს დაამუშაონ სასოფლო-სამეურნეო ბანკების საშუალებით კოლექტიურ მეურნეობათა გასაძლიერებლათ სესხების გაცემის საკითხი. ბანკებმა უნდა დაამუშაონ აგრეთვე გრძელვადიან სესხების ფონდის შექმნის საკითხი.

სახალხო მამულების ტრესტი

მომავალ საბიუჯეტო წელში განზრახულია მოეწყოს აფხაზეთის მიწად-მოქმედების სახალხო კომისარიატთან სახალხო მამულების გამაერთიანებელი ტრესტი.

ბრძოლა მომჭირნეობისათვის

უკუღმა გაგებული მომჭირნეობა

რკინის გზის სამმართველოში „უადგილოდ მივლინებები" გააუქმეს, ვითომდა ამით გასწიეს ყაირათი. მაგრამ ეს ასე არ არის. თუ ამდენ ხანს მივლინებებისათვის ცალკე იწერებოდა ჯილდო, დღეს კი 40-50 მანეთი ემატება იმ ჯამაგირს, რომლებსაც ღებულობენ სპეც-განაკვეთით „ნაგრუზკის" სახით, ე. ი. თუ სპეცგანაკვეთით დღემდე ღებულობენ 200 მან., დღეს ღებულობენ 250 მან., მიუხედავათ იმისა, ამ ფულის მიმღები წავა მივლინებაში, თუ არა.

თავის თავად ცხადია, რომ ყველა ეცდება მივლინება აიცილოს, რადგანაც მას უმისოდაც ეძლევა ჯამაგირის ანგარიშში მომატებით 50 მანეთამდე. ამ გვარად თუ დღემდე ეპიდემიური ხასიათი ჰქონდა ხელოვნურად მივლინებების შეზღუდვას, დღეს ასეთი მოსპობილია. მაგრამ... ნამდვილად კი უფრო მეტიც იხარჯება, რადგანაც დღეს ყველა სპეცგანაკვეთზე მომუშავე მოსამსახურეებს 40-50 მანეთი და ზოგს კი უფრო მეტიც ეძლევათ.

ნუთუ ამას ჰქვია ბრძოლა მომჭირნეობისათვის?

რკინისგზელი.

ესეც მომჭირნეობის რეჟიმია

საქართველოს სამთა მადნო პროფკავშირის ცენტრალური გამგეობა პროფსაბჭოს დადგენილებით გადავიდა ქ. ჭიათურაში. აქ, თბილისში კი დარჩა სამთა მადნო მუშაკთა გაერთიანებული ადგილკომი, რომელიც პირველ ხანებში აერთიანებდა სულ სამას მუშა-მოსამსახურეს. მაგრამ ს. მ. უ. ს-ის სახელმწიფო სათბობის მუშა-მოსამსახურეები გადარიცხა საბჭოთა და სავაჭროთა მუშაკების კავშირში და ამის გამო სამთა მადნო კავშირში სულ ცოტა მუშა-მოსამსახურე დარჩა. ამის გარდა მოხდა ზოგიერთ სამთო დაწესებულებების დახურვა და ამჟამად სულ ასი მუშა-მოსამსახურემდე ირიცხება ამ ადგილკომში. მიუხედავათ ამისა, ადგილკომს ჰყავს ერთი პ.-მგებელი მდივანი და მეორე ტექნიკური მომუშავე. პირველი იღებს 130 მან., მეორე (ტექნიკური მომუშავე) 60 მან.

ახლახან დაარსდა კიდევ სამთა მადნო ქ.-რაიკომი, რომელიც სულ აკავშირებს ას მუშა-მოსამსახურეს. საქ. სამთა მადნო კავშირის ცენტრ. გამგეობამ რაიკომში თანამშრომელთა რიცხვი გაადიდა ორი კაცით. ერთი მათგანი მდივნად არის და იღებს 120 მან. და მეორე რეგისტრატორ-შიკრიკად, იღებს 45 მან.

ახლა, როდესაც ყოველ საბჭოთა დაწესებულებებში ტარდება მომჭირნეობის რეჟიმი, და იმ დროს, როცა მუშა-მოსამსახურეთა რიცხვი ძლიერ მცირდება ჩვენს კავშირებში, რის გამოც, რასაკვირველია შემოსავალიც მცირეა, რა საჭიროა რაიკომის თანამშრომელთა ასე გადიდებული რიცხვი?

მათი ჯამაგირების და სხვადასხვა ხარჯების დაფარვას უნდება რაიკომის მთელი შემოსავალი.

ახლა ოთხი ხუთი თანამშრომელი ზის კანცელარიაში, და თითქმის ნახევრად უსაქმურები ბაასში ატარებენ დროს.

ამას უნდა მიაქციოს ს. პ. კ. საბჭომ ყურადღება და მომჭირნეობის რეჟიმი აქაც უნდა ჩაატაროს.

მუშფაკელი მაღაროელი.

პრესა მომჭირნეობის შესახებ

სპეციალიზაციის მტერი

მუშაკების კვალიფიკაციას უდიდესი მნიშვნელობა აქვს მომჭირნეობის გატარებისათვის. ხელ კიდევ ისმება ჩვენს წინაშე მუშაკთა ამიტომ ამ ამოცანასთან დაკავშირებით ერთ-ხშირი გადაყვან-გადმოყვანის დაუშვებლობის საკითხი, რაიც უარყოფით გავლენას ახდენს სოციალისტურ აღმშენებლობის საქმეზე. გაზეთი „კოოპერატივნაია ჟიზნ"-ი ამის შესახებ სწერს:

—მუშაკთა ხშირი გადაყვან-გადმოყვანის მტკივნეული მხარეები მდგომარეობს იმაში, რომ ეს გადაყვან-გადმოყვანა საგრძნობ ზედმეტ ხარჯებს იწვევს აფერხებს აპარატის მუშაობას და ამცირებს მუშაკთა კვალიფიკაციის დონეს... ერთის დანიშვნა ბუნებრივათ იწვევს მეორეს მოხსნას ან სხვა თანამდებობაზე გადანაცვლებას. აქედან წარმოსდგება სამგზავრო, დღიური და სხვა ხარჯები. მუშაკის გადასვლა სხვა ადგილას იწვევს მუშაკის ოჯახის გამგზავრებასაც, რაც აორკეცებს ხარჯებს და ზოგჯერ რამდენიმე ათასსაც კი აღწევს...

რომ ასეთი ცვლილებები ცუდ გავლენას ახდენენ თვით საქმეზე, ამას მტკიცება არ სჭირდება. ამ ცვლილებებისაგან იქმნება აპარატის ხელმძღვანელების უპასუხისმგებლობა, ირღვევა დაწესებულების ნორმალური მუშაობა და იწყება შეფერხებები. აპარატის ზედა ფენის მერყეობა, ხელმძღვანელების ხშირ ცვალებადობას, არ შეუძლია გავლენა არ მოახდინოს დანარჩენ მუშაკებზე და ამრიგათ არ დასცეს შრომის ნაყოფიერება.

რას აძლევს ეს გადაყვან- გადმოყვანა თვით მუშაკებს? პირველყოვლისა სპეციალურ ცოდნის შეძენის შეფერხებას, რაც უნდა ნიჭიერი და მოსაწონი თვისების არ იყვეს მუშაკი, ერთი სპეციალიზაციიდან მეორეზე გადახტომა, მას ზარალის მეტს არაფერს შემატებს".

დღეს სპეციალიზაციის საკითხი განსაკუთრებული მნიშვნელობით სდგას ჩვენს წინაშე, რადგან სოციალისტურ მეურნეობის რეკონსტრუქცია, ჩვენი ძირითადი კაპიტალის გადახალისება - განახლება არის არა მარტო ნივთიერ შესაძლებლობის, არამედ კვალიფიციურ მუშა-ხელის საკითხიც. ამიტომ მუშაკთა ხშირი გადაყვან-გადმოყვანას, როგორც სპეციალიზაციის ერთ საშიშარ მტერს, სასტიკი ბრძოლა უნდა გამოეცხადოს.

თევზი

6 სექტემბერს საბჭოთა კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომისიის მიერ მოსკოვში მოწვეულია საკავშირო რესპუბლიკების მიწადმოქმ. სახ. კომისარიატის თათბირი თევზის მრეწველობის და თევზთა მოშენების საკითხის მოსაწესრიგებლად. თათბირი გამოიმუშავებს თევზის მრეწველობისა და მისი მოშენების ახალ წესს.

საქართველოს მიწადმოქმედების სახალხო კომისარიატი შეუდგა საქართველოს მდინარეებისა და ტბების ხასიათის გამოკვლევას თევზის მოსაშენებლად. გამომკვლევი მუშაობა დასრულდა და გამოირკვა, რომ ჩვენი მდინარეები და ტბები ვერ უწყობენ ხელს თევზის მრეწველობის განვითარებას. ამას გარდა ჩვენში არ არის დაცული თევზის წესიერი ჭერის საქმე, რის გამო მოსალოდნელია მისი მარაგის სრული განადგურება. ამის გამო საქართველოს მიწადმოქმედების კომისარიატს განზრახვა აქვს ახალ საბიუჯეტო წლის ხარჯთ-აღრიცხვაში შეიტანოს თევზის სპეციალური საჯიშოების მოწყობა რამდენიმე ადგილებში. ამ საქმის მოსაწყობად მიწადმოქმედების სახალხო კომისარიატს განზრახვა აქვს მოიწვიოს თევზის მოშენების მცოდნე სპეციალისტები.

მებამბეობა

ამას წინედ საქართველოს მიწათმოქმედების კომისარიატთან შესდგა კომისია მიწათმოქმედების და საქართველოს მებამბეობის კომიტეტის წარმომადგენლებისაგან, რომელსაც დავალებული ჰქონდა გამოერკვია მებამბეობის მდგომარეობა საქართველოში. ამ მიზნით კომისიას უნდა მოეხდინა ბამბის ნათესების გამოკვლევა. ჯერ-ჯერობით გამოკვლევა ჩატარდა ბორჩალოს მაზრაში, რომელიც ჩვენში მებამბეობის ცენტრს წარმოადგენს. კომისიის დასკვნით, ბამბის წრევანდელი მოსავალი ბორჩალოს მაზრაში საშუალოა და მოსავლის შემცირებას ადგილი არ აქვს. მიუხედავათ ამისა, წელს მოსალოდნელი იყო ბამბის მოსავლის გადიდება. ამას ხელი შეუშალა იმ გარემოებამ, რომ გლეხობას არ ჰქონდა საშუალება მოერწყო ბამბის ნათესები უწყლობის გამო. ამ მხრივ განსაკუთრებით დაზიანდა ბამბის ნათესები ხრამ-ალგეთის რაიონში და განსაკუთრებით გერარხში. გაყვანილ არხებში უწყლობას ჰქონდა ადგილი. ძლიერ დაზარალდა ნათესები ამის გამო: ქეშალაში, კოსალოში, ივანბეგლიში, ქოშაში, ყიმისში, იმირში, მანტაშევკაში, ყულარში და სხვ. სოფლებში.

კომისიის გამოკვლევით უწყლობას არხებში ქრონიკული ხასიათი აქვს.

ბამბის ნათესების და მოსავლიანობის მდგომარეობის უზრუნველსაყოფად საქართ. საგეგმო კომისიამ მიმართა საქართველოს წყალსადენის სამმართველოს მოაწესრიგოს წყლის მომარაგების საქმე ბორჩალოს მაზრაში.

მეცნიერება და ტეხნიკა

სოფლის მეურნეობის მავნებლები

ბურტყლიანი ტილი

საქართველო სოფლის მეურნეობის ქვეყანაა. მისი მდიდარი ბუნება იგუებს თითქმის ყოველგვარ კულტურას, რომელსაც კი ადგილი აქვს მცენარეთა სამეფოში. ამ კულტურათა შორის საკმაოდ საპატიო ადგილი უჭირავს მეხილეობას. განსაკუთრებით ამ ბოლო ხანებში, იმ რაიონებში, სადაც კი ამ დარგს გასაქანი აქვს, დიდი ყურადღებით და პატივისცემით ეპყრობა ჩვენი გლეხობა, ვინაიდან მეხილეობამ საგრძნობლად წელში გაასწორა და გააუმჯობესა მისი მატერიალური მდგომარეობა, მიუხედავად იმისა, რომ ეს დარგი ასეთი შემოსავლიანია, უცოდინარობისა და მომზადებულ პირთა უყოლლობის გამო, ივი ძალიან ცუდ მდგომარეობაში არის ჩავარდნილი. რომ გადახედოთ იმ მეხილეობის რაიონებს, სადაც ყოველწლიურად ასი-ათას ფუთობით გაქონდათ საექსპორტო ხილი—დღეს სულ სხვა სურათს დავინახავთ. ხილის ბაღები იმდენად მოდებული არიან სხვადასხვა მავნებლებით, რომლებიც ისეთ დიდ ზიანს აყენებენ ხეხილს, რომ რამოდენიმე წლის შემდეგ უკვე შეუძლებელი იქნება საექსპორტო ხილის იმ რაოდენობით გატანა, რამდენიც აქამდე გვქონდათ.

ამ მავნებელთა შორის ყველაზე საყურადღებოა ბურტყლიანი ტილი. (სურათი 1), რომელსაც უდიდესი ზარალი მოაქვს ხილის ხეებისათვის. ყველასათვის ცნობილია, თუ რა დიდი ზარალი მოუტანა ფილოქსერამ მევენახეობას: ბევრ მეურნეს აალებინა მან ხელი ვენახის გაშენებაზე. ასეთივე საგრძნობი ზარალი მოაქვს ბურტყლიან ტილს მეხილეობაში. თუ შეიძლება ასე ვსთქვათ, ის ვაშლის ფილოქსერაა. როგორც ფილოქსერის, ისე ბურტყლიან ტილის სამშობლო ამერიკაა, განსაკუთრებით კი ჩრდილოეთ-ამერიკის შეერთებული შტატები. იქიდან ნამყენის გადმოტანის დროს გამოყვა აღნიშნული მავნებელი და მოედო ყველგან. ფილოქსერასთან ბრძოლის წარმოება უფრო ადვილი შეიქნა, ვიდრე ამ მავნებელთან, განსაკუთრებით კი ძველ ბაღებში, სადაც ბრძოლა მასთან ტეხნიკურადაც კი მოუხერხებელია. ბურტყლიანი ტილი აზიანებს, როგორც ნორჩ ნაზარდებს (სურ. 2), დედა-ტოტებს (სურ. 3), ისე ფესვებს (სურ. 4). მთელი კოლონიები იკალათებენ ერთ ადგილას, სწუწნიან წვენს, არღვევენ ქსოვილებს, ამცირებენ საკვებ-მასალას მცენარეს და ხელს უშლიან მის ზრდა-განვითარებას, რასაც შედეგათ მოჰყვება ხოლმე ნაყოფის დაუსრულებლობა, შეუფერადობა, სიმჭკნარე და სხ. რამოდენიმე წლის შემდეგ კი ამას მისდევს თვით ხის სრულიად გახმობა.



როგორც ხედავთ ეს მავნებელი საკმაოდ სახიფათო ყოფილა ჩვენი მეხილეობისათვის, რისთვისაც საჭიროა სათანადო ზომების მიღება. მრავალია ზომები, მაგრამ ყველაზე ძალიან გავრცელებულია ნავთ-კირის ემულსია, თუმცადა ამ უკანასკნელსაც არ მოაქვს დამაკმაყოფილებელი შედეგები, განსაკუთრებით ხნიან ბაღებში. ფესვების წამლობა ამავე ტილის წინააღმდეგ დამწვარი კირით, ესეც უნაყოფოა. ამისათვის საჭიროა გამოიძებნოს ისეთი რადიკალური ღონისძიება, რომელიც მართლა დამაკმაყოფილებელი იქნება. 1) უპირველესად ყოვლისა საჭიროა შერჩეულ იქნეს ისეთი ჯიშები, რომლებიც ეწინააღმდეგებიან ამ მავნებელს, 2) სანერგედან მიღებული ნამყენი არ უნდა იყვეს დაზიანებული ბურტყლიანი ტილით და თუ დაზიანებულია აუცილებლივ უნდა ექნას დეზინფექცია გოგირდ-ნახშირბადით, 3) ბაღი უნდა გაშენდეს ისეთ ადგილას, სადაც ნიადაგი ნაკლებ სინესტეს შეიცავს, 4) ვინაიდან ბურტყლიან ტილს ფრენა არ შეუძლია და ის გადააქვს ერთ ადგილიდან მეორეზე ქარს, ამისათვის აუცილებელია მათ შესაჩერებლად ბაღის ღობის გარშემო დაირგოს სამი რიგი მაღალ ხეების, 5) და თუ ბურტყლიანი ტილი მაინც გაჩნდა ბაღში, საჭიროა დასაწყისშივე მოსპოთ ემულსიით

რაც შეეხება გამძლე ჯიშებს, უნდა ითქვას, რომ ევროპიული ვაშლის ჯიშები თითქმის ყველა ზიანდება ამ ტილით. რასაკვირველია, არის ზოგიერთი ისეთი ჯიშებიც, რომლებიც უფრო ეწინააღმდეგებიან და ნაკლებად ზიანდებიან როგორიცაა: რაზმარინი, სარისინაფი, ბანანი, ორლეანის რენეტი. ადგილობრივ ჯიშებიდან კი სრულიად ეწინააღმდეგებიან კეხურა, ახალციხის აბილაური, სირმა, ზერტულა და მთელი რიგი სხვა ჯიშებისა. მაშასადამე, როგორც სჩანს უნდა გაშენდეს ისეთი სამრეწველო ჯიშები, რომლებიც სრულიად ან კიდევ ძალიან უმნიშვნელოდ ზიანდებიან აღნიშნულ მავნებლით. რაც შეეხება ნერგს, უნდა ითქვას, რომ ბურტყლიან ტილს უყვარს ნორჩი ნამყენები, იკალათებენ მათზე და ბაღში გადარგვისას თან გადასდევენ, ამისათვის ბაღის გაშენების წინ საჭიროა ნერგის შეძენა ისეთ სანერგოში, სადაც ბურტყლიან ტილს სრულიად ადგილი არა აქვს, რის გამოც საჭიროა ნამყენის ყიდვის დროს, როგორც კრონის, ისე ფესვების ყურადღებით დათვალიერება, რომ არც ერთი დაზიანებული ეგზემპლიარიც არ ერიოს. იმ შემთხვევაში, თუ დაუზიანებელი ნერგი ვერ იშოვეთ, საჭიროა მთელი სანერგე მასალის დეზინფექცია. დეზინფექცია უნდა მოხდეს შემდეგნაირად: უნდა დამზადდეს ფიცრული კამერა, ან ჩვეულებრივ ფიცრული ბეღელი, გამოილესოს ივი საქონლის პატივ-ნარევი თიხით, რომ არც ერთ ჭუჭრუტანა ცარიელი ადგილი არ დარჩეს ჰაერის მოძრაობისათვის. ბეღელში მოთავსდეს სადეზინფექციო მასალა და აორთქლონ გოგირდნახშირბადი შემდეგნაირად: ბეღლის ყოველ ერთ კუბიკურ საჟენზე ოთხი გირვანქა გოგირდნახშირბადი. აღნიშნული სითხე ჩასხმულ უნდა იქნას თიხის ჯამებში. ისე რომ სითხის სისქე ერთ გოჯს არ აღემატებოდეს. რამოდენიმე ჯამი უნდა დაწყობილი იქნეს 1 ნახ. არშინის სიმაღლეზე, გამოიხუროს მაშინვე კარები და ისევე აილესოს, როგორც კედლები, ისე იატაკი. ეს სითხე აორთქლდება და თავის სიმძიმის გამო დაეშვება დაბლა. გაუჯდება ნერგის ყველა ნაწილებს და დახოცავს ტილებს. დღე და ღამის შემდეგ ბეღელს ხსნიან, ანიავებენ და ამის შემდეგ შეიძლება ნამყენის გადატანა მიწაში. ვინაიდან გოგირდ ნახშირბადი აფეთქებას იწვევს, ამისათვის ყოვლად დაუშვებელია ბეღლის ახლოს ცეცხლის გაჩენა ან თუთუნის მოწევა.

რაც შეეხება საბაღე ადგილის შერჩევას, უნდა ითქვას, რომ ბურტყლიანი ტილი მრავლდება და მასთანვე საგრძნობლად უყვარს ნესტიანი ადგილი, რისთვისაც საჭიროა მისთვის ხელსაყრელ პირობების მოსპობა.

მაშასადამე, უნდა შეირჩეს ისეთი ადგილი, რომელიც ნაკლებ სინესტეს შეიცავს და მასთანვე ნიადაგის ქვედა ფენი წყლის გამტარია, დაქანება ჩრდილო-სამხრეთით. რასაკვირველია, არც ერთი საგრძნობელი დაქანება, რომ წვიმების დროს მოსალოდნელი იყვეს ნიადაგის გადარეცხვა. ბაღის მოშენების შემდეგ კი ნიადაგი პერიოდულად გადაბარული უნდა იქნას, წინააღმდეგ შემთხვევაში ბალახეულობა, რომელიც ხეებს ქვეშ ამოდის ნიადაგიდან აორთქლებს სინესტეს და ამით ხელს შეუწყობს ბურტყლიან ტილის განვითარებას, გარდა ამისა ბალახი თავის არსებობისთვის ხეს ართმევს ნიადაგიდან საკვებ მასალას, ამით ხე სუსტდება, იძლევა ნაკლებ და დაბალ ხარისხის მოსავალს. ამასთანავე მავნებელი სუსტ ხეს უფრო ადვილად აზიანებს. ამისათვის საჭიროა მოვსპოთ ის ხელის შემწყობი პირობები, რომელიც ანვითარებს და ამრავლებს ბურტლიან ტილს. ხის ყველა დაზიანებული ადგილები და ნაპრალები უნდა დაიფაროს ბაღის მალამოთი, ვინაიდან ასეთ ადგილებში ტილი სიამოვნებით ბუდობს. იმ შემთხვევაში, თუ ახალგაზრდა ბაღში ტილი მაინც გაჩნდა, საჭიროა ზომების მიღება მის მოსასპობათ, ნავთ-კირის ემულსიით. რაც შეეხება ამ ძველ ბაღებს, სადაც ბურტყლიან ტილს ფეხი საგრძნობლად აქვს მოკიდებული და ტოტები სრულიად დაკოჟრებულია, მას უკვე აღარაფერი ეშველება; შეიძლება მებაღემ კიდევ რამოდენიმე წლით ისარგებლოს მისი მდარე მოსავალით და შემდეგ კი გაჩეხოს და ახალ ადგილს გააშენოს.

ამგვარად თუ დავიცავთ ყველა ზემო ჩამოთვლილ პირობებს, მოგვეცემა საშუალება ავიცილოთ თავიდან ის დიდი მოსალოდნელი ზარალი, რომლის მოტანაც შეუძლიან ბურტყლიან ტილს.

აგრ. ი. ბათიაშვილი.

ტეხნიკა მომავალში

უხილავ გამოსხივებათა გამოყენება

დიდი ხანი არ არის მას შემდეგ, რაც დაიწყო შესწავლა იმ ტალღისებურ რყევათა, რომელთა ერთ სახეს უფრო მეტი სიგრძე აქვს, ვიდრე წითელი ფერის სინათლის სხივების ყველაზე გრძელ ტალღას, მეორეთ კი—უფრო ნაკლები, ვიდრე ყველაზე მოკლე იისფერ სინათლის სხივებს. გამოკვლევათა ორივე სფერო თანდათანობით ფართოვდებოდა. აღმოჩენილ იქნა რყევათა ახალი სახეები, რომლების არსებობა წარმოდგენილიც კი არა ჰქონდათ: ინფრა—წითელი ჰერცის ტალღები, ულტრა-იისფერი, რენტგენისა და გამმა—სხივები (რადიო-აქტიური წარმოშობის). ამ რყევათა ჯგუფების თვისება მეტად განსხვავდება ერთმანეთისაგან. მაგრამ უკანასკნელმა გამოკვლევებმა ამოავსო მანძილი, რომელიც ამ ჯგუფებს ერთმანეთისაგან აშორებდა და ახლა ჩვენს წინაშე იშლება მოვლენების განუწყვეტელი და მეტად გრძელი რიგი თანდათანობითი გადასვლით.

პროფ. ბერტოლო

ფიზიკის ახალი დარგების გაგებამ მოკლე დროის განმავლობაში უკვე მიგვიყვანა სასწაულ მიღწევებამდი ტეხნიკაში და ამის წყალობით არაჩვეულებრივის სისწრაფით იზრდება ადამიანის ძლიერება და ახალ საფუძვლებზე ეწყობა ძველი საზოგადოებრივი ურთიერთობანი. მაგრამ ეს ცოტაა: ამ მოვლენათა რიგის დამტკიცებული განუწყვეტლობა აიძულებს მეცნიერულ აზრს შეეცადოს კიდევ უფრო გააგრძელოს იგი (მოვლენათა რიგი); ფიზიკურ ლაბორატორიებში მრავალი მეცნიერები მუშაობენ იმ იმედით, რომ მომავალში დაბოლოს აღმოაჩენენ, დაუფლებიან ისეთ ტალღებს, რომლებიც პირდაპირ არიან დაკავშირებული ადამიანის აზროვნებასთან და ნებისყოფასთან.—და, მაშასადამე, შესძლებენ მათ დამორჩილებას

გამოსხივებანი, რომლებიც იძლევიან



პროფ. ბერტოლომ დაამტკიცა, რომ მცენარეულობის ზრდა - განვითარება წმინდა ფიზიკო - ქიმიური პროცესების შედეგია. სურათზე ნაჩვენებ მილებში მოთავსებულია თესლები, რომლებზედაც პროფ. ბერტელო მოქმედებდა ულტრა - იისფერი სხივებით.

სპექტრს თეთრი სინათლის წყაროებიდან, გამოიკვლიეს რამდენიმე, ერთმანეთისაგან დამოუკიდებელი მეთოდებით, და აღმოჩნდა, რომ ეს სპექტრი გრძელდება ორივე მხრივ იმავე გამოსხივებათა სახით, რომელსაც ვერ ამჩნევს ჩვენი თვალი. ასეთია ერთის მხრივ ულტრა-იისფერი და მეორე მხრივ—ინფრა-წითელი გამოსხივებანი.

ულტრა-იისფერი სხივები

მათი არსებობა ირკვევა ფოტოგრაფიული ფირფიტის საშუალებით. თეთრი სინათლის ყველა წყაროები იძლევიან ულტრა-იისფერი სხივების ერთგვარ რაოდენობას და მით უფრო მეტის პროპორციით, რამდენათაც მაღალია იმ სხეულის ტემპერატურა, რომელიც ანათებს. ასე მაგალითად, ვოლტას რკალი გაცილებით მდიდარია ულტრა-იისფერი სხივებით, ვიდრე სანთლის ან ჩვეულებრივი ლამპის ალი. მეტად ძნელია იმაზე მაღალი ტემპერატურის მიღწევა, ვიდრე ვოლტას რკალის ტემპერატურა და ეს გარემოება აბრკოლებს ულტრა-იისფერი სხივების მიღებას თეთრი სინათლის წყაროებიდან.

სხვადასხვა შემადგენლობის მრავალი ნივთიერებანი ადვილად ნთქავენ ულტრა-იისფერ სხივებს. მათ აკეთებენ ისეთი ნივთიერებანიც კი, როგორიც არის შუშა ან წყალი, რომლებიც ჩვეულებრივი სინათლის სხივებს ატარებენ. გაზებიც კი ნთქავენ ამ სხივებს მნიშვნელოვანის რაოდენობით. გამონაკლისს შეადგენს მხოლოდ ორი მაგარი სხეული: ქვარცი და ზოგიერთი, უფრო და ძლიერ იშვიათი კრისტალები მალლეათისა (**плавиковый шпат**). ულტრა-იისფერი სხივების შესასწავლად ამზადებენ პრიზმებს ან ქვარციდან ან მალლეათიდან. რათა გაზმა არ შთანთქას სხივები, ცდებს ახდენენ ჭურჭლებში, რომლებიდანაც გამოქაჩულია ჰაერი.

ულტრა-იისფერი სხივების დამახასიათებელ თვისებას წარმოადგენს ის გარემოება, რომ ისინი გავლენას ახდენენ სხეულებზე, იწვევენ ქიმიურ რეაქციას.

ქიმიური მოვლენათა უმრავლესობაზე ჩვეულებრივი, ხილული სინათლე ძლიერ ნელა ახდენს გავლენას და მეტად ძნელია ამ ზეგავლენის ძალის გაზომვა. ჩვეულებრივი სინათლის გავლენის ერთ-ერთი სახის შესაწავლამ მიიყვანა მეცნიერება ამ მოვლენის განსაცვიფრებელ გამოყენებამდი — ფოტოგრაფიამდე საერთოდ რომ ვსთქვათ, რამდენათაც ახლოა სხივები ულტრა-იისფერ სხივებთან, იმდენათ უფრო ენერგიული სინათლის ზეგავლენა და განსაკუთრებით იზრდება ულტრა-იისფერი სხივების დარგში.



საკვებ ნივთიერებათა მომავალი ქარხანა

ამ ქარხანაში პროფ. ბერტოლოს და გოდეშონის იდეით, ქიმიური გზით მცენარეულობის შაქრის მისაღებათ გამოყენებული იქნება ულტრა-იისფერი სხივების ენერგია.

ულტრა-იისფერი სხივები და თანამედროვე და მომავლის ქიმიის საოცრებანი

მეცნიერი დანიელ ბერტელო აღნიშნავს, რომ სინათლის რყევათა სიხშირის შედარება შეიძლება ტემპერატურის მნიშვნელობასთან სითბოს მოვლენებში. ძლიერ გახურებულ სხეულებიდან შეიძლება მეტი მექანიკური ენერგიის მიღება, ვიდრე ნაკლები ტემპერატურის მქონე სხეულებიდან. სინათლეც მით უფრო მძლავრათ მოქმედობს, რამდენათაც მეტია მის რყევათა სიხშირე, მაღალი სიხშირის სინათლის სხივების ქიმიური გავლენა შეიძლება შედარებული იქნეს მაღალი ტემპერატურების გავლენასთან. ზოგიერთ შემთხვევებში ქვარცის ლამპას სინდიყის ორთქლით მოქმედი ელექტრონული ფეჩის მაგიერობას უწევს. ჩვეულებრივი ტემპერატურის პირობებში წყალი წარმოადგენს ქიმიურად უმოქმედო სითხეს. ძალიან გახურების შემდეგ კი წყალი იშლება შემადგენელ ნაწილებად და იძლევა წყალბადისა და მჟავბადის მექანიკურ ნარევს, რომელიც (წონის ერთეულზე ანგარიშით) ჩვენ მიერ ცნობილ ერთ-ერთ უძლიერეს ამაფეთქებელ მასალას წარმოადგენს. ულტრა-იისფერი სხივები იწვევს წყალის ასეთივე გადაქცევას დაბალი ტემპერატურის პირობებში. ჩვეულებრივი ტემპერატურის დროს ნახშირმჟავა გაზი წარმოადგენს ინერტულ, ქიმიურად — უმოქმედო გაზს. მაღალი ტემპერატურის ან ულტრა-იისფერი სხივების ზეგავლენით ნახშირმჟავა გაზი იშლება და იძლევა მჟავბადისა და ნახშირბადის სიმჟავის მგრგვინავ ნარევს.

ულტრა-იისფერი სხივების მაღალი ენერგია მეცნიერებმა დანიელ ბერტელომ და გოდეშონმა გამოიყენეს იმისათვის, რომ მიეღოთ იგივე ქიმიური მოვლენა, რომელიც ბუნებაში ქლოროფილის წარმოშობას იწვევს. თუ მაგალითად, ნახშირმჟავა-გაზის ხსნილს წყალში მოვაქცევთ ულტრა-იისფერი სხივების გავლენის ქვეშ, პირველად მოხდება ერთგვარი დაშლა: ნახშირმჟავა-გაზი დაიშლება ნახშირბადის მჟავათ და მჟავბადათ, წყალი კი—წყალბადათ და მჟავბადათ. მაგრამ ნახშირმჟავას გაზი, ასე ვსთქვათ წარმოადგენს, არასრულ შეერთებას, რომელიც სცდილობს შეივსოს და ულტრა-იისფერი სხივების ზეგავლენით ურთდება წყალბადს. ეს რეაქცია ხდება, როგორც ქიმიაში ამბობენ „წყალბადისა და ნახშირბადის მჟავას შობის მომენტში". ამის შედეგია მთელ-რიგ ცვლილებების შემდეგ მცენარეულობის შაქრის მიღება. ეს შაქარი, საუცხოვო საკვები ნივთიერება, არაჩვეულებრივის სიმარტივით წარმოიშობა ნახშირმჟავა-გაზისა და ჰაერში დაგროვებული წყალის ორთქლის ხარჯზე.

სხვა რეაქციებს შორის, რომელთა მოხდენა მოახერხა დანიელ ბერტელომ — ულტრა-იისფერი სხივების ზეგავლენით, მოვიხსენიოთ იმ სინტეზს, სადაც ძირითად ნივთიერებათ წარმოადგენენ ნახშირმჟავა-გაზი და გაზისებური ნიშადური (ამმიაკი). ულტრა-იისფერი სხივების ზეგავლენით, ამ ორი გაზის ნარევი იძლევა მარტივ ოთხმაგ ქიმიურ შენაერთს, სახელდობრ კი—ჯანგ-მადიდს, რომელიც წარმოადგენს მთავარ მასალას ცილოვან ნივთიერებათათვის, რომლებიც ცოცხალი-მატერიის ქსოვილების საფუძველს წარმოადგენენ.

ულტრა - იისფერი სხივები შლიან აგრეთვე ორგანიულ სხეულების უმრავლესობას. როგორც ჩანს, „ფოტოლიზი", ე. ი. დაშლა სინათლის ზეგავლენით, ბუნებაში უფრო ხშირ და საერთო მოვლენას წარმოადგენს, ვიდრე „ელექტროლიზი", ე. ი. დაშლა ელექტრონების ზეგავლენით.

ამას გარდა, ის გარემოება, რომ ულტრა-იისფერი სხივები კლავენ ბაქტერიებს, უნდა მიეწეროს იმას, რომ ამ სხივების ზეგავლენით იშლება ცილოვანი ნივთიერება. მიკრობებსა და ფერმენტებს ძლიერ ჩქარა შლის ულტრა-იისფერი სხივები, ამიტომ ქალაქის წყალსადენების სადგურებში ამ სხივებით სარგებლობენ წყალის გასაწმენდათ.

უნდა აღინიშნოს, რომ ამ სხივებით სარგებლობა ძლიერ სახიფათოა: ივი იწვევს „დასიცხვას" (**солнечный удар**) და თვალების ანთებას.

თერმინით „ულტრა-იისფერი" სხივები აღნიშნავენ გამოსხივებათა არა მარტო ერთ რომელიმე სახეს, არამედ მათ მთელ ჯგუფს. ამ ჯგუფის ცალკე წევრები ისევე დიდათ განსხვავდებიან ერთმანეთისაგან, როგორც წითელი სხივები განსხვავდებიან ყვითელი ან ლურჯი სხივებისაგან. — სახელდობრ — თავისი სიგრძით.

გამოკვლევათა მეთოდების გაუმჯობესებამ შესაძლებლად გახადა სულ უფრო და უფრო მოკლე სხივების წარმოშობა და შესწავლა. მისი სპექტრის გამოკვლევის დროს პირველი მკვლევარები აღწევდნენ 30 მილიმიკრონის (მილიმიკრონი—მილიმეტრის მემილიონედი ნაწილი) სიგრძის ტალღებამდი; 30 წლის წინათ ფრანგმა ფიზიკოსმა კორნიუმ ნაპერწკლების სპექტრის ფოტოგრაფიულად გადაღების დროს შესძლო 185 მილიმიკრონის სიგრძის ტალღების მიღება. გერმანელმა მეცნიერმა შუმანმა და ამერიკელმა მეცნიერმა ლეიმენმა მიიღეს 50 მილიმიკრონის სიგრძის ტალღები. მილიკენი კიდევ უფრო შორს წავიდა და აბსოლუტურ სიცარიელეში ელექტრონული დაცლების საშუალებით მიიღო 14 მილიმიკრონის სიგრძის ტალღები.

ინფრა-წითელი გამოსხივებანი

ინფრა - წითელი გამოსხივებათა შენიშვნა შეიძლება ძალიან მგრძნობიარე თერმომეტრის საშუალებით. მათი მიღება კი ძლიერ ადვილია. ამ სხივებს გამოჰყოფს თეთრი სინათლის ყველა წყარო. ყველა სათბობი მოწყობილობანი დიდის რაოდენობით გამოყოფენ ამ სხივებს და ჩვენ ამ გამოსხივებათა ზღვაში ვცხოვრობთ.

ინფრა - წითელი სხივები სრულიად ინთქებიან წყალში, განსაკუთრებით მაშინ, თუ უკანასკნელში გახსნილია სპილენძის მარილები. ამ სხივებს იჭერენ აგრეთვე: ქვარცი, შუშა და მალლეათი. ქვა-მარილში კი ეს სხივები თავისუფლად გადიან და ამიტომ მათ გამოსაკვლევათ პრიზმებს ქვა-მარილიდან ამზადებენ.

ადვილი შესანიშნავია და გამოსაკვლევადაც ადვილია ისეთი გამოსხივებანი რომელთა ტალღის სიგრძე რამდენიმე მიკრონს უდრის (მიკრონი — მილიმეტრის ერთი მეათასედი). მაგრამ საჭიროა მეტად ზუსტი და დაკვირვებული ცდები ისეთ გამოსხივებათა საიზოლიაციოთ (გამოსაყოფათ), რომელთა ტალღის სიგრძე ამ მიკრონს აღემატება. ასეთ გამოსხივებათათვის ნივთიერებათა უმრავლესობა არაგამჭირვალეა. ძლიერ გრძელი ტალღების მქონე ინფრა - წითელი სხივები დიდი ხნის განმავლობაში ვერ გამოიკვლიეს არსებული ხელსაწყობების საშუალებებით, თუმცა მათ მრავლათ გამოყოფენ ჩვენს გარშემო მყოფი ყველა საგნები.

რუბენსმა მოახერხა ასეთი სხივების გამოყოფა მალლეათიდან გაკეთებულ ფირფიტაზე სხივთა რთული კონის ტყორცნით. ეს სხივთა კონა შეიცავდა დიდი რაოდენობით გამოსხივებათ გრძელი ტალღებით. ფირფიტიდან განიტყორცნებოდა ისეთი სხივთა კონა, რომელიც შესდგებოდა 25 მიკრონის სიგრძე სხივებიდან. ყველა დანარჩენი სხივები კი ინთქებოდა ფირფიტის მიერ. თუ ამრიგათ მიღებულ სხივთა კონას კიდევ შეახვედრებენ გზაზე მალლეათის ფირფიტას, ამით კიდევ უფრო უმჯობესდება სხივთა შერჩევა. მთელ რიგ ასეთი შერჩევების შემდეგ რჩება ერთნაირი სიგრძის — 25 მიკრონი — სხივებიდან შემდგარი კონა.

90 ან 100 მიკრონზე მეტი სიგრძის სხივების თვისებათა შესასწავლათ საჭიროა მუშაობა ისეთივე ხელსაწყობებით, რომლებიდანაც სრულიად გამოქაჩულია ჰაერი, ვინაიდან უკანასკნელი დიდის რაოდენობით ნთქავს ასეთ სხივებს. ამჟამად რუბენსის მიერ გამოკვლეულ სხივების უდიდესი სიგრძე უდრის 300 მიკრონს.

ინჟ. მ. ა. კოხ.

ოტტო ლილიენტალი

(დაღუპვიდან 30 წლის შესრულების გამო)

წარსული წლის 9 აგვისტოს შესრულდა 30 წელიწადი თანამედროვე ავიაციის მამათმთავარის ოტტო ლილიენტალის დაღუპვის დღიდან. მის ცდებამდი გამომგონებლები ტაატით იკვლევდენ გზას. და მხოლოდ ლილიენტალის შემდეგ იწყება ახალი ხანა, როცა სავსებით გადაიჭრა ჰაერზე მძიმე აპარატებით ფრენის პრობლემა. ლილიენტალი არ სცდილობდა იმის გაუმჯობესებას, რაც გამოიგონეს მანამდი. იგი იყო ნოვატორი და ავიაციაში ეძებდა ახალ გზებს.

ოტტო ლილიენტალი

მისი იდეა გენიალურიც იყო და იმავე დროს არაჩვეულებრივათ მარტივი. „სანამ საფრენი აპარატის დამზადებას დავიწყებდეთ, საჭიროა ფრენა ვისწავლოთო",—ამბობდა ლილიენტალი. ეს აზრი, რომელიც ერთის შეხედვით პარადოქსალურათ მოგვეჩვენება, სინამდვილეში არაჩვეულებრივათ სწორი და ნაყოფიერი აღმოჩნდა.

პირველ ხანებში ლილიენტალი არაჩვეულებრივის სიფრთხილით აწარმოებდა თავის ცდებს. მან გააკეთა ფრთები, რომელიც ღამურას ფრთებს წააგავდა, გაუკეთა თავის აპარატს კუდი ჰორიზონტალური და ვერტიკალური ზედაპირით და დაიწყო ცდები ამ აპარატის საშუალებით გასაფრენათ ჯერ ერთი მეტრის სიმაღლიდან, შემდეგ 2 3 და ასე. 5 მეტრის სიმაღლიდან ლილიენტალმა ჩქარა შესძლო 6—7 მეტრის მანძილზე გაფრენა. თავის აპარატს ის მართავდა, როგორც ფრინველი—სიმძიმის ცენტრის გადანაცვლებას ახდენდა ფეხების მოძრაობის საშუალებით.

თავისი პირველი მიღწევებით გატაცებულმა ლილიენტალმა ბერლინის ახლო გააკეთა ჯერ 15 მეტრის სიმაღლის მქონე გორაკი (ეს იყო 1894 წ).. და შემდეგ 30 მეტრის სიმაღლის. როცა ქარი არ იყო, ლილიენტალი ახერხებდა 100 მეტრის მანძილზე გაფრენას, ქარში კი ზოგჯერ უფრო მაღლა აფრინდებოდა, ვიდრე მის მიერ გაკეთებული გორაკი იყო. ფრენის დროს სარგებლობდა იმავე წესებით, როგორც ფრინველები და რომლითაც სარგებლობენ ახლა პლანერებით (უმოტორო ჰაეროპლანებით) ფრენის დროს.

1891—1895 წ. წ. განმავლობაში ლილიენტალმა 2.000-დი ასეთი გაფრენა მოახდინა. ანგარიშებს თავისი გაფრენების შესახებ ის ბეჭდავდა ჟურნალებში, მაგრამ მის წერილებს ბევრი არავინ აქცევდა ყურადღებას.

საინტერესოა, თუ როგორ აღწერს ლილიენტალი თავის შთაბეჭდილებებს გაფრენიდან:

„ქროლვის დროს სრულიად არ არის საჭირო ენერგიის დახარჯვა. საჭიროა მხოლოდ აპარატის მართვა სიმძიმის ცეტრის გადანაცვლების საშუალებით. გაფრენა გორაკიდან ან მთიდან უდიდეს სიამოვნებას წარმოადგენს და იგი სასარგებლოა ყოველმხრივ ყველასათვის, სპეციალისტი იქნება იგი, თუ საქმესთან სრულიად გაუცნობელი კაცი. არ მოიპოვება არც ერთი სახის სპორტი, რომელიც მოითხოვდეს ამდენს მოხერხებას და სისწრაფეს, რომელიც ასე ანვითარებდეს ყველა გრძნობებს, მამაცობასა და ნებისყოფას".

თავისი აპარატის თანდათანობითი განვითარებით ლილიენტალი, ალბათ, მივიდოდა ისეთი ჰაეროპლანის გამოგონებამდი, როგორიც იყო ძმ. რაიტის პირველი აეროპლანი, მაგრამ 1896 წ. 9 აგვისტოს ერთ-ერთი ცდა საბედისწერო შეიქნა მისთვის. საფრენი აპარატი გადაბრუნდა და მძლავრათ დაეცა მიწაზე. ლილიენტალი დაშავდა და მეორე დღეს მას საშინელ წვალებაში ამოხდა სული.

მაგრამ ამ პირველმა მსხვერპლმა არ შეაშინა ისინი, ვინც თვალყურს ადევნებდა ლილიენტალის ცდებს. გავიდა 7—10 წელიწადი ლილიენტალის სიკვდილის შემდეგ და ჯერ ამერიკაში (ძმ. რაიტ.). შემდეგ ევროპაში (სანტოს-დიუმონ. ფარმან. ბლერიო და სხვ.) ამზადებენ საფრენ აპარატებს ლილიენტალის ცდების საფუძველზე.

პატარა ფელეტონი

მომჭირნეობა თავისთვის

შეიყარენ ერთხელ დათვი,
მგელი, ტურა და მელია,
კოლექტივი შეადგინეს
(ყველა დიდი მშრომელია).
ითათბირეს და ურთ-ერთში,
დაჰყვეს ასე სამუშაო:
დათვს, მგელს, ტურას—ნადირობა,
მელას ერგო საკუჭნაო.
თანხმობით და გარჯილობით
ჰქონდათ ერთხან ყოფა ტკბილი.
დათვი თათით მუშაობდა,
მგელის, ტურის სჭრიდა კბილი.
მელას გარდა, სანადიროდ
გადიოდა ადრე ყველა,
ნანადირის მოტანაზე
სჭირდებოდათ ხშირად შველა.
სადილის დროს ბრუნდებოდენ,
ზოგი რით და ზოგი რითა,
შეხვდებოდა მელა-კუდა
მათ ღიმილით უტიფრითა.
ლაქლაქობდა, ლაქუცობდა,
ყველას ფეხქვეშ ეგებოდა,
წკმუტუნით და ცუნცულითა
ხეს და მიწას ედებოდა.
ნანადირევს აართმევდა;
ბინისაკენ წაიღებდა
გზაში ჩუმად ფლიდი მელა
მსუნაგ მუცელს გაიძღებდა
გააწყობდა შემდეგ სუფრას,
რაც კი იყო მოიტანდა,
დაჯდებოდა სხვებთან ერთად,
„პატიოსნად“ ისევ სჭამდა.
ამნაირად იყო იგი
მოწყობილი ტკბილად, მშვიდად.
მოთაფლული ენა ჰქონდა
ამ ცხოვრების გზათ და ხიდათ.
მაგრამ ზნეს და ჩვეულებას
ვერ გადახებ ვერც ბგურით:
მელას გული გაებერა
სხვებისდამი მტრობით, შურით.
სთქვა: ეს მომწონს უსათუოდ,
რომ ერთგულად შრომობს ყველა,
ტყეში მთელ დღეს ნადირობენ,
ჩაიქციეს გულ-ნაღველა.
მაგრამ რა ვქნა... მე რა მერგოს,
ნანადირევს მთლად რომ სჭამენ?!
მოხერხებით თუ დავტყუებ,
თორემ ნებით არ იზამენ.
იმათზე მეტს თუ ვერ ვირგებ,
რის მელა ვარ, რის ჭკვიანი.
მე ვერ უნდა მოვატყუვილო
ბრიყვი დათვი ბანჯგვლიანი?!

* *

ერთხელ, როცა კოლექტივის
ჩვეულებრივ იყო სხდომა,
თავის გეგმის ასრულება
მელა-კუდამ მოინდომა.
ნება სთხოვა მორიდებით,
(დათვი იყო თავმჯდომარე)
და სიტყვა სთქვა მჭერმეტყველად,
სიტყვა მჭრელი და მქუხარე:
„კოლექტივს“-ო განაცხადა,
დიდი რიხით კუდა მელამ“
„ძლიერ დიდი ხარჯები აქვს
ეს შევიგნოთ უნდა ყველამ.
ახლა ყველა მომჭირნეობს
და ჰკვეცავენ ყველგან ხარჯებს,
სმა-ჭამას, რომ უკლოთ ცოტა,
ეს მე მგონი ჩვენაც გვარგებს
მე საჭიროდ მიმაჩნია,
დავამყაროთ რამე წესი:
ჩვენში უნდა იყოს ვინმე,
მნე ან სახლის უხუცესი.
ნანადირი მას მთლიანად,
რაც კი იყოს ჩავაბაროთ
და ამ რიგად ჩვენი საქმე
მოვაწყოთ და მოვაგვაროთ.
იმ უხუცესს დავავალოთ
შეინახოს მუდამ წილი,
შავი დღისთვის რომ თაროზე,
არ შემოვდოთ ხოლმე კბილი“.
მელას თქმული ყველას მოსწონს
წინაამდეგ მიდის ტურა,
მან მელიას საქციელში
ეშმაკობა დააყურა.
„უხუცესი რომ გვჭირია,
ეს არ იწვევს ჩვენში დავას,
მაგრამ გატყობ მელა-კუდა
შენ ისუქებ ამ გზით თავს“!
მაშინ მელამ კვლავ ითხოვა
მოკრძალებით ისევ სიტყვა,
ოსტატურად მოუარა
და სხვაგვარად დასვა კითხვა:
„თუ ინებებს კოლექტივი
დამაკისროს მე ეგ საქმე,
მაშინ ტურა თანაშემწეთ
დამჭირდება სწორედ აქ მე“.
ითათბირეს, იკამათეს,
დაადგინეს ასე ბოლოს:
—მელა იყოს უხუცესი,
საქმეს იმან უთავბოლოს.
თანაშემწედ და დამხმარედ
დაენიშნოს იმას ტურა,
მათ განსაზღვრონ: შესანახად,
ან საჭმელად იყოს თუ რა.
მელამ ასე მოხერხებით
გაიტანა თავის ლელო,
მაგიერად მას და ტურას
ბლომად შეხვდათ „გასამრჯელო“.
ხარჯი—მგელს, დათვს შეუმცირეს
(მომჭირნეა ძლიერ მელა)
რაც გადარჩა თვით მიირთვეს,
შენახვისთვის ვიღას ცხელა.
ახლა მგონი მელა კუდა
აწყობს კიდევ ახალ ხრიკებს,
სურს, რომ ტურა „გააცუროს“,
საქმეს ამ მხრივ „აჭახრიკებს“.

* *

ვიცით ასე, მელასავით,
„მომჭირნეობს“ ხოლმე ზოგი:
შეამცირებს ხარჯებს, მაგრამ
მისთვის მიაქვს დანაზოგი.
ეხლა კარგად შეიგნოს და
შეითვისოს უნდა ყველამ:
დათვის თათს ქვეშ განუტევა
სული თვისი ფლიდმა მელამ.

ხოზიკა.

სახალხო მამულები

აჭარისტანის მიწადმოქმედების სახალხო კომისარიატთან მოეწყო საბჭოთა მამულების სამმართველო. სამმართველომ გამოიმუშავა საკუთარი წესდება, რომელიც მოკლე ხანში იქნება დამტკიცებული საქ. საგეგმო კომისიის მიერ. მამულების სამმართველო აერთიანებს 46 ნაციონალიზაცია ქმნილ მამულს, რომლის სივრცე 172 დესეტინას შეადგენს. მამულებზე გაშენებულია კულტურული მცენარეები: მათ შორის 54 დესეტინა მიწა უჭირავს ჩაის პლანტაციებს, 52 დესეტინაზე მოშენებულია მანდარინები, 36 დესეტინაზე შერეულად არის მოშენებული მანდარინა და ჩაი, 2 ნახევარი დესეტინა მიწა უჭირავს ლერწამის ნაშენს, 11 დესეტინა უჭირავს ხილს; მამულების დანარჩენი სივრცე სახნავ-სათეს ადგილებს და ტყეს შეიცავს. სამმართველოს ცნობით, მამულებში მოშენებულ კულტურულ მცენარეებს კარგი მოსავლის პირი უჩანთ. მამულების სამმართველოს მიღებული აქვს ზომები მამულების დასაცავათ.

დარაბები

თბილისის აღმასკომის უძრავ ქონებათა სამმართველოს განკარგულებაში ამჟამად იმყოფება 12.000 დარაბა, რომლიდანაც ქალაქს აქვს დიდი შემოსავალი.

დარაბები ქირავდება უმთავრესად სავაჭროების მოსაწყობათ, მაგრამ განაპირა უბნებში, სადაც სავაჭროების სიუხვეა, ხოლო საცხოვრებელ ბინების სიმცირე—დარაბები ქირავდება საცხოვრებლადაც.

სულ თბილისში გაქირავებულია 9.192 დარაბა; აქედან უფასოდ გადაცემულია ღარიბებზე 863. კერძო პირებს ქირაში გადაცემული აქვთ 6.519 დარაბა, კოოპერაციას—529 ხოლო დანარჩენი — სხვადასხვა ორგანიზაციებს..

კერძო პირებზე გადაცემულ დარაბებიდან ქართველებზეა — 1913 დარაბა, სომხებზე — 3.413, რუსებზე — 294 და მუსლიმანებზე — 501.

ყველა გაქირავებული დარაბები საშუალოთ იძლევიან 300.000 მანეთზე მეტ შემოსავალს ყოველთვიურათ.

„ინდო“

ამხ. ჯანიბახჩიევის მოხსენება

გუშინ ფოსტა - ტელეგრაფის მუშაკთა კავშირის საოლქო გამგეობის პლენუმზე ინდო-ევროპიულ სატელეგრაფო ხაზზე მიმდინარე გაფიცვის შესახებ მოხსენება გააკეთა ამიერ-კავკასიის საგაფიცვო კომიტეტის თავმჯდომარემ ამხ. **ჯანიბახჩიევმა.**

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ ჩვენი გაფიცვა იქნება პირველი გაფრთხილება ყველა იმ კონცესიონერებისა, რომლებიც საბჭოთა კავშირში მუშაობენ. „ინდო“-ს პატრონები კაპიტალისტ-კონცესიონერები შეეცადენ კოლონიალური პოლიტიკის წარმოებას ჩვენში, მაგრამ „ინდო“-ს ხაზზე გაფიცვის გამოცხადებით მათ აღვირახსნილობას ლაგამი ამოვსდევით. გაფიცვა გამოცხადებული იყო ფრიად მნიშვნელოვანი მიზეზებით, რაიც გამოიხატებოდა კონცესიონერების მიერ შრომის კანონმდებლობის დარღვევაში და ფოსტა-ტელეგრაფის მუშაკთა ცენტრალური კომიტეტის კანონიერი მოთხოვნილებების უარყოფაში.

1924—25 წელში ჩვენ მოგვიხდა უსიამოვნება „ინდო“-ს ადმინისტრაციასთან, მაგრამ ახალი კოლექტიური ხელშეკრულებების შემდეგ უთანხმოებას ბოლო მოეღო.

გავიდა ხანი და კონცესიონერებმა კვლავ დაარღვიეს ხელშეკრულების ზოგიერთი მუხლები.

მომხსენებელი ეხება „ინდო“-ს ადმინისტრაციის მუშებთან დამოკიდებულების საკითხს და ასახელებს მრავალ მაგალითებს იმისას, თუ როგორ ყოველმხრივ ავიწროებდა „ინდო-“ს ადმინისტრაცია თანამშრომლებს.

გადადის რა თანამედროვე გაფიცვის წარმშობ მიზეზების დახასიათებაზე, მომხსენებელი აღნიშნავს, რომ „ინდო“-ს ადმინისტრაციამ უარი გვითხრა თანამშრომლებზე მივლინების დღიურების მიცემაზე.

ჩვენი მოთხოვნილების მეორე მუხლი ეხება პატარა სადგურების კონტროლიორებსა და მანტიორებისათვის ჯამაგირების 20 პროც. გადიდებას. ეს საკითხი ამჟამად მეტად მწვავეთ სდგას. წარსულ წელს ჩვენ შევსძელით დიდი სადგურების მუშებისათვის ჯამაგირების ერთი მესამედით გადიდება, სადაც ამჟამად ხელფასის მინიმუმი უდრის 80 მანეთს, ხოლო მაქსიმუმი კი—250 მანეთს. პატარა სადგურების თანამშრომლები 40 მანეთზე მეტს არ ღებულობენ.

ჩვენ „ინდო“-ს ადმინისტრაციასთან მოვითხოვდით ახალ კოლექტიური ხელშეკრულების დადებას, სადაც შევქონდა ეს ორი მუხლი. ათი თვის განმავლობაში სწარმოებდა ეს მოლაპარაკება, მაგრამ შეთანხმებას ვერ მივაღწიეთ. ამის შემდეგ გადავსწყვიტეთ გაფიცვის გამოცხადება, რაიც მოყვანილ იქნა სისრულეში ამ წლის 22აგვისტოს,ღამის 12 საათზე.

შემდეგ მომხსენებელმა გააცნო პლენუმს გაფიცულთა ის მედგარი ბრძოლა, რომელსაც ისინი აწარმოებენ კაპიტალისტ-კონცესიონერების წინაამდეგ.

დასასრულ მომხსენებელმა სთქვა: ჩვენი კავშირის თვითეული წევრის მოვალეობაა მატერიალური დახმარება აღმოუჩინონ „ინდო“-ს თანამშრომლებს. მე დარწმუნებული ვარ, რომ ეს დახმარება თქვენს მიერ აღმოჩენილი იქნება.

ამხ. ჯანიბახჩიევის მოხსენების გარშემო პლენუმმა ერთხმად მიიღო შემდეგი

რეზოლუცია

დაევალოს პრეზიდიუმს პლენუმის სახელით ორი მოწოდების გამომუშავება. ერთი გაეგზავნოს „ინდო“-ს გაფიცულებს, ხოლო მეორე კი—ფოსტა-ტელეგრაფის მუშაკებს გაფიცულთათვის დახმარების აღმოჩენის შესახებ.

მისალმება გაფიცულებს

საგაფიცვო მთავარმა კომიტეტმა მიიღო მრავალი მისალმებანი „ინდო“-ს გაფიცვის გამო.

ლენინგრადის ჩრდილოეთ სატელეგრაფო დიდი სადგურის მუშებისაგან მიღებულია შემდეგი შინაარსის დეპეშა: „გისურვებთ სრულ გამარჯვებას დაწყებულ ბრძოლაში, იყავით მტკიცედ. ჩვენ თქვენთან ვართ“.

ფოსტა-ტელეგრაფის კომისარიატის მუშა-მოსამსახურეებისაგან მიღებულ დეპეშაში ნათქვამია:

„ჩვენ ღრმად დარწმუნებული ვართ, რომ გაფიცვა თქვენდა სასარგებლოდ დასრულდება“.

პრესა გაფიცვის შესახებ

საგაფიცვო მთავარი კომიტეტის თხოვნით, ამიერ-კავკასიის გაფიცვის კომიტეტის მიერ გაგზავნილია ადესაში სრული კომპლექტი ადგილობრივ გაზეთებისა, რომლებშიაც იყო მოთავსებული გაფიცვის ანგარიშები.

როგორ მიმდინარეობს გაფიცვა

ამიერ-კავკასიის საგაფიცვო კომიტეტის ცნობებით: გაფიცვის მეცამეტე დღე ჩატარდა მშვიდათ. მდგომარეობა უცვლელია. გაფიცულებს დაურიგდათ ერთდროული დახმარება.

გლეხთა სახლში

გლეხთა სახლის გამგეობა მოლაპარაკებას აწარმოებს სამხედრო დაწესებულებებთან უვადო შვებულებაში მიმავალ წითელარმიელთა გაცილების შესახებ გლეხთა სახლის საშუალებით.

სახლის გამგეობა იმუშავებს გეგმას, რომლითაც გათვალისწინებულია სახლში მიმავალ წითელ არმიელთა მოპატიჟება, მათთვის ლექციების გამართვა, საღამოების მოწყობა და კინო-სურათების ჩვენება.

წასულ წითელ არმიელებს დაურიგდებათ წიგნაკები სოფლის მეურნეობაზე და სხვა საკითხებზე.

მუშფაკელები

ამიერ-კავკასიის შრომის კომისარიატმა საჭიროთ სცნო იმ მუშფაკელებისათვის, რომლებიც სწავლობენ წარმოება-დაწესებულებებში მუშაობასთან ერთად, დაწესდეს შემცირებული სამუშაო დღე. სახელდობრ 8 საათის მაგივრათ, მუშფაკელები უნდა მუშაობდენ 6 საათი. სათანადო დადგენილების პროექტი შედგენილია და გადაეცემა დასამტკიცებლათ ა.-კ. სახალხო კომისართა საბჭოს.

ახალი ლაბორატორია

ს. მ. უ. საბჭომ საბოლოოდ გადასწყვიტა ახალი დიდი ქიმიურ-ტეხნიკური ლაბორატორია გახსნას ყოფ. მე-4 თამბაქოს ქარხნის შენობაში (მუხრანის ხიდთან).

ლაბორატორიაში გაერთიანდება სამთო განყოფილების ლაბორატორია და სხვა ახლათ შეყიდული ლაბორატორიებიდან. ს. მ. უ. საბჭომ დაავალა ინჟ. ა. დევდარიანს დაათვალიეროს ის ლაბორატორიები, რომელთა შეძენაც განზრახულია ახალი ლაბორატორიისათვის.

ამ დღეებში შეიძინეს საზ-ბა „ჩემო-“ს მდიდარი ლაბორატორია, რომელიც საუკეთესოდაა მოწყობილი სამთამადნო ანალიზებისათვის.

ახალ ლაბორატორიასთან განზრახულია აგრეთვე მოეწყოს ტეხნიკური ანალიზების განყოფილება. ვინაიდან ასეთი განყოფილება ერთად-ერთი იქნება ამიერ-კავკასიაში, ამიტომ საჭიროთაა ცნობილი მისი კარგათ და ფართოდ მოწყობა. საჭირო აპარატები და მოწყობილობანი შეძენილ იქნება საზღვარგარეთ.

გარდა ამისა ლაბორატორიასთან გაიხსნება ავრეთვე ტყიბულის ნახშირის შესწავლის განყოფილება. ამისათვის საჭირო მოწყობილობათა შესაძენათ გადადებულია 30.000 მანეთი.

ექსპედიცია მყინვარზე.

საქ. გეოგრაფიული საზოგადოების ექსპედიცია, რომელიც ახლა სტეფანწმინდაში იმყოფება, გადმოგვცემს შემდეგს:

„უამინდობის გამო ექსპედიცია ამჟამად იმყოფება სტეფანწმინდაში. 1-ლ სექტემბრიდან დღემდე ბურუსი იყო და განუწყვეტლივ სწვიმდა.

მიდამო დაიფარა თოვლით. ღამით, 2 სექტემბერს სოფელშიაც მოთოვა. ტემპერატურამ დაიწია 0,1 მენაკამდე. დღეს ბურუსი გაიფანტა და პირველად დავინახეთ მზის სხივებით გაბრწყინებული მყინვარის წვერი. ცა მოწმენდილია. ხვალიდან ექსპედიცია შეუდგება მწვერვალზე ასვლას.

ექსპედიციის ხელმძღვანელი

ჯაფარიძე.

მატარებლის დ მტვრევა

მარელისის ხაზზე

გუშინ, 4 სექტემბერს, დილის 7 საათზე და 20 წუთზე სადგ. მარელისიდან გაიგზავნა მატ. № 347—44 პატარა ცისტერნის შემადგენლობით. მარელის-მოლითის შუა მე-15 ვაგონი ასცდა ლიანდაგს და 6 ცისტერნი დაზიანდა. მიზეზი გამოწვეული იყო ორთქლმავლის ძლიერი მიწოლით.

ამ შემთხვევის გამო სახალხო მატ. № 13 დაკავებულ იქნა მარელისში, მატ. № 195—ხარაგოულში, მატ. № 349—ძირულაში, მატ. № 150—მოლითში, და მატ. № 192 და 352—ხაშურში.

ხაშურიდან მოითხოვეს დამხმარე მატარებელი. შემთხვევის ადგილზე გაემგზავრა მოძრაობის დარგის უბნის უფროსი.

დამატებით გადმოცემული დეპეშიდან სჩანს, რომ მატ. № 347-ს ერთი ცისტერნა გადამცდარა ხაზს ჯერ კიდევ ხარაგოულ-მარელისის შუა და იგი ამოუღიათ მემანქანეს და კონდუქტორთა ბრიგადას საკუთარი საშუალებებით, რასაც გამოუწვევია საფოსტო მატ. № 4-ს დაკავება ხარაგოულში. იგივე ვაგონი გადავარდნილა შემდეგ ხაზიდან მე-201 კილომეტრზე მარელის-მოლითის შუა და თან გადაუტანია 5 ცისტერნა, რომელთაგან ერთი გადავარდნილა გვერდზე.

მიღებულ ზომებით მოძრაობა აღუდგენიათ ნაშუადღევის 2 საათზე და 5 წუთზე.

ორთქლმავლის გადავარდნა

3 სექტემბერს ბაქოს მე-2 სადგურზე მატარებლების მიმოსვლის დროს ლიანდაგიდან გადავარდა ორთქმავალი.

შრომის დაცვა

საკავშირო შრომის კომისარიატის საინსპექტორო განყოფილების გამგემ ამხ. ვინნიკოვმა მოახდინა შრომის პირობების გამოკვლევა ამიერ-კავკასიაში. ამხ. ვინნიკოვმა გამოკვლევის შედეგად აღნიშნა, რომ შრომის დაცვა მოისუსტებს. ამის მთავარი მიზეზია შრომის ინსპექციის შტატის სიმცირე. არ სწარმოებს გეგმიანი მუშაობა შრომის დაცვის დარგში. ხშირია შემთხვევები წარმოება დაწესებულებების ზერელე დათვალიერებისა. შრომის ინსპექტორები უნდა აწარმოებდენ უფრო ღრმა გამოკვლევას. კერძოთ საჭიროა გამორკვევა იმისა, თუ რამდენათ სისწორით და მთლიანად ასრულებდენ წარმოება-დაწესებულებანი ადრე მიცემულ დავალებებს, რა მდგომარეობაშია ზედმეტი სამუშაოები, სწარმოებს თუ არა უბედურ შემთხვევათ სწორი აღრიცხვა და სხვა.

აღნიშნულია, რომ ზედმეტ საათებში მუშაობასთან ბრძოლა ვერ სდგას სათანადო სიმაღლეზე. განსაკუთრებით ბევრია ეს მუშაობა აზერბეიჯანში. ამასთანავე ერთად უბედურ შემთხვევების აღრიცხვა თავის დროზე არ არსებობს.

ამხ. ვინნიკოვის აზრით, საჭიროა მთელი რიგი ღონისძიებათა გატარება ამიერ-კავკასიაში შრომის დაცვის სათანადო სიმაღლეზე დასაყენებლათ.

გზა და გზა

(მგზავრის შთაბეჭდილებები)

ბახმარო

„აგარაკი ბახმარო,
გაგასუქებს გამხდარო“.
(ხალხური).

ძველად როცა ოსმალოები საქართველოში გადმოდიოდენ, თავს ესხმოდენ მშვიდობიან მცხოვრებთ და აწიოკებდენ, ხშირი იყო ქალების მოტაცებაც.

იმ დროს თურმე გურიაში განთქმული ლამაზი ქალი იყო, სახელად მარო. ისეთი ლამაზი და მშვენიერი იყო თურმე ეს ქალი, რომ სახელი და ქება მისი მშვენების ოსმალეთშიაც კი გადავიდა.

და აი ერთმა ოსმალმა ვაჟკაცმა შეკაზმა თავისი ტაიჭი, წამოიყვანა მაყრიონი და გადასწყვიტა მაროს მოტაცება.

ბევრი იარეს, თუ ცოტა იარეს, გურიამდე მოაღწიეს. მარო ქალის ოჯახსაც მიაგნეს და ახლობელ ტყეში მიიმალენ.

საღამოს, როცა ბინდი დაეშვა მთებს და ბარსაც მოახვია შავი ნაბადი, მიმალული ვაჟკაცები ტყიდან გამოვიდენ.

მაროს კი ჩვეულებად ჰქონდა თურმე: საღამოს, სახლის აივანზე გამოვიდოდა, მშვენიერ ნაწნავებს მხრებით გულზე გადმოიგდებდა, ხელში ჩონგურს აიღებდა და მარტოდ-მარტო მღეროდა.

სწორედ ამ დროს მოუსწრეს ოსმალებმა მას, შეხვიეს, შეჰკრეს და ისე ჩუმად გააპარეს, რომ არვის გაუგია და არც დაუნახია.

ოსმალებმა გაქუსლეს, ბევრი იარეს თუ ცოტა, განთიადისას მივიდენ იმ ადგილას, რომელსაც ახლა ბახმარო ჰქვია. მოჯადოვებულნი მშვენიერი სანახაობით, დაბინავდენ იქ და შეისვენეს. მთელი ღამის ნამგზავრთ ძილი მალე მოერია. ეძინა ყველას, ფხიზლობდა მხოლოდ ქალი მარო, რომლისათვის შეკრული ხელ-ფეხი გაეხსნათ. ტყე, სადღა წაგვივა.

მაგრამ ქალს თურმე არც ტყისა და არც ვაჟკაცების შიშებია იმდენად. ჩუმად ადგა ნაბადი მოისხა და გაიპარა. როდესაც ოსმალებს გაეღვიძათ მარო უკვე არ იყო. გაიკვირვეს ქალის გაბედულობა. ეძებეს ტყეში მარტოკა, რომ გაიპარა და წამოიძახეს:

ბახ მარო[1])

მას შემდეგ ამ ადგილს ბახმარო დაერქვა.

ასე მიამბო დოსტმა ყურშუმამ ლეგენდა ბახმაროს შესახებ და იქვე დაუმატა მეორე ვარიანტი.

— ასეც ამბობენ ჰოვ, რომ თურმე ქალს რომ გაქცევა განეზრახა, ბიჭს ხანჯალი დაედვა მისთვის გულზე და ეთქვა:

— ბახ მარო. ე. ი. ამ ხანჯალს ხომ ხედავ, გულში დაგსობ, თუ გაპარვა მოინდომეო.

არსებობს კიდევ ბევრი ვარიანტები, ბევრი ზღაპარი ბახმაროს შესახებ, მაგრამ, რომელია მათ შორის სიმართლესთან ახლოს ვინ იცის.

ის კი ცხადია: ბახმაროს სახელი ქართველ ქალ მაროსთან არის დაკავშირებული და მოტაცების ვერსიაც ჭეშმარიტებასთან ახლოს უნდა იყოს.

ბახმაროს აღმოჩენა შედარებით ახალი ამბავია.

ექ. ინგოროყვა ასე მოგვითხრობს ამ ამბავს: „30 წლის წინეთ ოზურგეთში სცხოვრობდა ექიმი დავიდიანცი. მაშინ მან ინახულა ორი ავადმყოფი, რომლებიც შეპყრობილნი იყვნენ ჭლექით (ფილტვების) და ჰქონდათ სხვათა შორის პირიდან სასტიკი სისხლის დენა. ერთი მათგანი იყო მღვდელი **ნ. კ.**, რომელიც ახლაც ცოცხალია.

ამ ავადმყოფებს არ ჰქონდათ საშუალება სადმე ცნობილ აგარაკზე წასულიყვნენ და ამის გამო ექიმმა ურჩია მათ სადმე მაღალ ადგილას წასვლა. ეს ავადმყოფები გაჰყვენ მწყემსებს ტყეში და, როგორც შემდეგ გამოირკვა, ზაფხული გაატარეს ბახმაროს რაიონში. შემდეგ ისევ ეჩვენენ ექიმს. დავიდიანცის განცვიფრებას საზღვარი არ ჰქონდა იმ საოცარ ცვლილების გამო, რომელიც მომხდარიყო ავადმყოფთა ფილტვებში ჰაერის გავლენით.

ექიმმა დავიდიანცმა კარგად გამოჰკითხა აღნიშნულ ავადმყოფებს, თუ რა ალაგას იყვნენ ისინი, შემდეგ, როგორც მაზრის ექიმმა, მოსთხოვა მაზრის უფროსს მხლებლები და რაინდულ სიმამაცით გაემგზავრა იმ ადგილის საძებრად. დიდი განსაცდელის შემდეგ მიაკვლია დავიდიანცმა ბახმარო და პირველად სთქვა, როგორც ექიმმა, რომ აქ უნდა მოეწყოს აგარაკიო და პირველი სახლი ბახმაროზე მან აგო“ [2]).

ასეთია ბახმაროს აღმოჩენის ისტორია.

2.027 მეტრის სიმაღლეზე მთების მწვერვალებზე გადაშლილა ეს მართლაც მშვენიერი კუთხე, შეზავებული ზღვისა და მთის ჰაერით, მწველი მზით და წიწვიანი ტყეებით.

უკვე ღამდებოდა, როცა ბახმაროს გადავადექით თავზე. ნელი წვიმა ნემსივით ესობოდა სველ ტანისამოსს, ხოლო მთის ნისლი, რომელიც ხან გაუვალ ზღვად გადაწვებოდა თვალწინ, ხან კი ნელი ნიავის გრილ გამოქროლვით მიაშურებდა მოღუშულ ცას, გვეგებოდა თავაზიანად ფეხქვეშ, გვეხვეოდა მზრუნველობით და გვიპატიჟებდა თითქოს სტუმართ მოყვარე მასპინძელი.

უახლოვდებით აგარაკს და ყრუ ხმაური, ხმაური 1.500 სახლში მომწყვდეულ 10—12 ათასი მოაგარაკის, უცნაურად ეხამუშა ტყის სიმშვიდეში განებივრებულ ყურებს.

ხანგამოშვებით ქარი აიტაცებს ნისლის ზეწარს და თვალწინ იშლება აგარაკის ახალგაშენებული ნაწილი, გადაყვითლებული ახალი სახლებით და მოღუშულ დარშიაც ბზიალა ფიჭვის ყავარით.

უცქერი ამ სახლებს, უცქერი ყავარს და ნაწილობრივ გასაგებია ბახმაროს ირგვლივ იშვიათი ტყის სავალალო და სამწუხარო მდგომარეობა.

როცა დაბლობში მოსწყდები გუბაზოულს, გაარღვევ აღმართს და „ჩხაკოურას“ დასტოვებ უკან, მთის კალთებზე ამაყად წელში გამართულ ტყეში შეყოფ თავს.

თავიდან თეთრ-ტანა თელა, მუქი ცაცხვები ჩამომწკრივებულან ულევ რაზმებად. ოდნავ არხევენ ისინი ტოტებს, შრიალებენ ფოთლები და თითქოს გაუთავებელ საამო ზღაპრებით ართობენ ერთმანეთს და თან დაღლილ მგზავრს, აღმართში ქშენით, რომ მიალაჯებს ზანტად, ესალმებიან ამწვანებულ ტოტებით.

მიიწევ ზევით და თითო ოროლა ნაძვფიჭვი ხვდება მწვანე წიწვებით,სტუმრად მოსული ფოთლიან ტყეში. თანდათანობით ხშირდება წიწვი და შუა ფერდს ზევით თვალი უკვე იშვიათ ფოთლებს თუ დაინახავს. სწორ ანძებსავით სდგანან ნაძვები და ფიჭვები. თვალი ხარბად მისდევს ხის აღერილ ტანს, ასე ლაჟვარდით, რომ აღმართულა მთის ნოყიერ კალთაზე. მისდევს და... გული ტკივილებს გრძნობს, როცა ხის კანს ვიღაც ბოროტ ხელით დაკობილს ხედავს. თითქოს სტირის ხე და იცრემლება ჭრილობა ძირთით. ბევრს წვერები აქვს გადამხმარი, ბევრი გამხმარა კიდეც მთლიანად, ხოლო ძირს, თითქოს ბრძოლის ველზე ცხარე ომის შემდეგ დახოცილი მეომრები,—დაყრილან უპატრონოდ გიგანტი მორები... და ლპება ასეთი განძი.

მოუვლელია ტყე. უგუნურები განზრახ სჩეხენ ხეებს, რომ შემდეგ მოსჭრან, სახლის მასალად გამოიყენონ, ან თუ ფიჭვია ყავარი აჭხადონ მასზე.

სჭრიან ხეებს და მოუვლელობით ბახმაროს ირგვლივ შემორტყმული იშვიათი ტყე ნადგურდება, იჩეხება, ოხრდება.

რაღათ ივარგებს ბახმარო ისე, თუ მის გარშემო მცველი, ერთგული და სურნელებით აღსავსე ნაძვ-ფიჭვნარი გაიჩეხა.

ვინღა მოაშვერს უშიშარ გვერდს მთის ქარს, მოვარდნილს, ვინღა დაიფარავს ზომიერებას ბახმაროს ჰავის, ან ბახმაროს მწველი მზით შეწუხებულმა მოაგარაკემ სადღა შეაფაროს თავი სიცხეში.

ხომ დაშრა მაშინ ანკარა ცივი წყაროები ბახმაროს ირგვლივ, მთის კალთებზე, გზაში რომ ყოველ ნაბიჯზე მოჩუხჩუხებენ გაუთავებლათ.

უკვე დაღამდა და მოედანზე აენთო გაზის ფანარი.

უდაბურ ტყეში გაანათა კულტურის სხივმა.

დაღლილი გზით, შეწუხებული სიცივით ბინას დავეძებდით მე და ჩემი ჩალანდარი, ვპოულობთ და ვიძინებთ ისე, როგორც თითქმის არასოდეს დაგვიძინია.

* *

დარიანი გათენდა დილა. მთებს ირგვლივ თავზე ნისლი თითქოს ქუდებით წამოუხურავთ. მაღალია მთა. ალბად თუ სცივა იმას ქოჩორზე და სათბობად ნისლი წამოიფარა.

ლურჯ, პრიალა ცის თაღზე მზე იცინის და დაბლა მწვანე ბალახი, ტყეც იღიმება, როგორც ბავში ნამტირალევი. წამწამებზე ჯერ დილის ნამი არ შემრობია და თითქოს ცრემლი რგვალ მარგალიტად დაჰკიდებია.

კვლავ ხმაურობს ბახმარო. დილაა ადრე და ხალხი ბაზრისაკენ მიემართება სანოვაგისათვის.

წელს აქ სიძვირეა. ძალიან ბევრი მოაწყდა ხალხი და ალბად ამით აიხსნება. ოთახები, ბინები დაკავებულია, ყველგან. სახლის ჭერებზეც ასულან აქა-იქ, რადგან ოთახში ტევა არ არის.

რამდენია მოაგარაკე?

ზოგ-ზოგის აზრით ცხრა ათასი უნდა იყოს, ზოგს კიდევ 12—13 ათასი ჰგონია. აღწერაც მოუხდენიათ, მაგრამ აგარაკი მუდამ დღე ივსება და ზოგიც მიდის უკან ბარისაკენ.

ბევრია ხალხი.

გურია მთელად აქ არის თითქმის. წამოსულან ოჯახებით, წამოუყვანიათ ძროხა, ღორი, ქათმებიც არის აგარაკებზე აქა-იქ.

ბათომიდან, ქუთაისიდან, თბილისიდან, სამეგრელოდანაც ამოსულან სააგარაკოდ. რუსებიც არიან, თუმცა მცირეოდენი. წლიდან-წლობით მატულობს ნომსვლელთა რიცხვი და ბახმარო იზრდება, ფართოვდება.

ათიოდე წლის წინ ვყოფილვარ აქ. მოედნარის გარშემო იყო სახლები. ახლა ვერ იცნობ.გაზრდილა ბახმარო და კვლავ გაიზრდება. მაგრამ... ტყე?!

უსუფთაობა დიდია აქ წელს. აგარაკზე და ტყეში თავისუფლად დანავარდობენ ცხენები, ძროხები, ღორები, ანაგვიანებენ ყველაფერს. კანალიზაცია გაყვანილი არ არის და ყოველ სახლს თავისათვის აქვს მოწყობილი საპირფარეშო.

შორიდან გაკვირდება კიდეც ადამიანი, სადარაჯო ბუტკებსავით სდგანან ისინი და... სწამლავენ ჰაერს.

დიდი მოწყობა, დიდი გაუმჯობესება ესაჭიროება მას კიდევ, და მუშაობაც როგორც სჩანს სწარმოებს ამ მხრივ.

აგარაკს ირგვლივ ღობით უვლიან; უგეგმოდ სახლი აღარ შენდება, ხოლო წინეთ აგებულს,უთავბოლოდ,თვითეულ პირის გემოვნებისა და ხასიათის მიხედვით, აღებინებენ და გეგმის მიხედვით ადგმევინებენ. განზრახულია მოედნის გათხრა-გაფართოება. არ ვიცი, მხოლოდ კანალიზაციის საქმე როგორ უნდა მოგვარდეს. ყურადღება კი უნდა მიექცეს ამას. და სასმელ-წყალსაც უნდა გაყვანა ბახმაროს მხარეზე. წელს აქ შენდება სანატორიუმი, საავადმყოფო. აგებულია აჭარისტანის განათლების მუშაკთა დასასვენებელი სახლი. ავთოაქისთვის „სახმედვაჭრობას“ აუგია ახალი შენობა. ფოსტაა მხოლოდ ძალიან ვიწრო, ერთ ოთახში გამომწყვდეული და ხალხს წვიმაში გარეთ უხდება ხშირად ლოდინი.

ასეთია დღეს ბახმარო და მიუხედავად ამისა, რომ ის მოუწყობელია, უმადური ხრავინ მიდის მაინც ამ მთიდან. ექიმების თქმით ჭლექიანებს და მალიარიით შეპყრობილთ ძლიერ უხდება ბახმაროს ჰავა.

ექ. ინგოროყვას თავის პატარა ნაშრომის, რომელიც ზემოდ დავასახელეთ შესავალში, დაუწერია: „კაცობრიობის საშინელი მტერია ტუბერკულიოზი, ტუბერკულიოზის უსაშინელესი მტერი არის ბახმარო“. ამ მოსაზრებას მთელი რიგი მაგალითებით ამტკიცებს შემდეგ ექიმი.

ბახმარო დიდი განძია. კიდევ მეტი იქნება ის,როდესაც გზა-ტკეცილი [3]) დასერავს ასავალ მთების ფერდებს და ავტომობილი აგუგუნდება წიწვიან ტყეში.

—გაიოლდება მაშინ იქ ასვლა და დღეს ბევრთათვის მიუწვდომელი. ის გადაიქცევა მშრომელთ ჯანმრთელობის დიდ სამჭედლოდ.

ვ. ქორღოშელი.

---

[1] დახე მარო.

[2] ექ. ინგოროყვა „აგარაკი ბახმარო“.

[3] ხევ-ერკეთის თემების თაოსნობით, „მჟავე წყალზე“ გავლით დაწყებული გზა ამჟამად დამთავრებულია. ამგვარად „მჟავე წყლიდან“ ცხენით ასვლა უკვე არ არის ძნელი მომავალ წლისათვის ეს თემები საურმე გზას გაიყვანას გვპირდებიან. **ვ. ქ.**

მუშათა ცხოვრება

ჩვენი კეთილდღეობა ჩვენ შრომაზეა დამოკიდებული

(სურათი—სინამდვილე)

— ვანო! ვაიგე ახალი ამბავი, რომ ჯამაგირს გვიმატებენ?

— გავიგე, ბესო, გავიგე! ეს მართლაც სასიამოვნო ამბავია. ეტყობა ჩვენი აღმშენებლობა კარგად მიდის წინ, რომ საშუალებას იძლევა ჯამაგირების მომატებისას. პირადათ მე არა მერგება-რა, მაგრამ სხვას ხომ ერგება და ესეც სასიამოვნოა.

— როგორ თუ შენ არაფერი გერგება! აბა არც მე მერგება. მაშ, რის მომატებაა, თუ ჩვენ არა გვერგება-რა?

— ეს ასეც უნდა იყოს, ჩემო ვანო! ჩვენ ასე თუ ისე ას მანეთზე მეტს ხომ ვაკეთებთ თვეში. მე სამი სული მყავს სარჩენი. სიძვირეკი არ მეთქმის. არც შენ გყავს ჩემზე მეტი სარჩენი, მაგრამ აი ჩვენ მეზობელს სიკოს ხომ იცნობ. სიკოს რვა სული ყავს შესანახი და ღებულობს თვეში სულ 50 მანეთს. როგორ უნდა შეინახოს მან ასე დიდი ოჯახი?

— აი იმ პეტრეს კიდევ ნაკლები ჯამაგირი აქვს. იგი 30 მანეთს ღებულობს.

— აკი ამბობს ამხ. რიკოვი, რომ ზოგი ფიქრობს მოუმატოს სხვადასხვა დარგის მუშებს, ხოლო ზოგი-კი მოსპოს ყოფილი [illegible] დაბალი კატეგ. ჯამაგირები. მე რომ მკითხავდენ ნეც აი მეორე აზრს მივემხრობოდი. აი გაზეთებშიც დაისვა ეს საკითხი. აშკარაა, ყველას გვეკითხებიან გამოვსთქვათ ჩვენი აზრი. მეც სიამოვნებით უარს ვამბობ მომატებაზე და უთმობ ჩემ წილს დაბალი კატეგორიის მუშა-მოსამსახურეთ.

— კარგად ლაპარაკობ, ბესო! არ შემიძლია არ შემოვუერთდე შენს გონიერსა და ამხანაგურ წინადადებას, მაგრამ მართალი გითხრა, შენ რომ გორლაც ცივი წყალი გადამასხა თავზე და იმედი დამიკარგე. მე კი ვოცნებობდი, რომ ერთ-ორი თუმანი მაინც მომემატებოდა, ამით ცოტაოდენს შავი დღისთვის გადავირჩენ-მეთქი.

— კარგია, ვანო, შავი დღისთვის რამე გადანარჩუნო,—გადასდო, მაგრამ შენ ამხანაგს და მეზობელს რომ პურის ფული აკლია, ამაზე არ უნდა ვიფიქროთ? ჩვენ ყველანი ერთ ქარხანაში ვმუშაობთ. რა ვუყოთ, რომ მე, შენ და მესამე, მეოთხე კაი ხელობის მუშები ვართ. გამოცდილები ვართ. აი პეტრე და სიკოც ხომ ჩვენ გვერდში ვგვიდგანან. უფრო ძნელსა და შავ სამუშაოს ასრულებენ. ჩვენზე უფრო ჯაფაში არიან და ჩვენზე ნაკლებს-კი ღებულობენ. მე მართალი გითხრა, მეზიზღება. დილით ადრე ერთად მოვდივართ, ერთად ვმუშაობთ. საღამოსაც ერთად ვაწყებთ სამუშაოს თავს. მოვა ჯამაგირის დრო და აი ათი-თორმეტ თუმანს ჩავიჩხრიალებ ხელში და სიკო-კი ოთხ-ხუთ თუმანს, ე. ი. ორჯელ, სამჯელ ჩემზე ნაკლებს. ეს ასე არ უნდა იყოს. ეს უნდა გამოსწორდეს. დიდ ავიღოთ ჩვენ უფრო მოწინავე ხელოსნებმა მეტი. ავიღოთ მეტი სამი-ოთხი თუმანი და არა იმდენით მეტი, როგორც ეს დღეს ხდება.

— შენ, ჩემო ბესო, სამართლიანად მსჯელობ. სავსებით უერთდები და ვეთანხმები შენს ამხანაგურ წინადადებას.

— მე-კი არა, ვანო, საბჭოთა წესწყობილების დროს ეს ყველას ვალია. აკი ჩვენმა მთავრობამაც, დიდი ხანია, მიაქცია ამას ყურადღება და, იმედია, ამჟამად კიდეც მოიყვანს მას სისრულეში.

— ყველა კარგი, მაგრამ რას იტყვიან ჩვენი სპეცები? დაეთანხმებიან ისინი შენს აზრს?

— ჩვენ სპეცებს არ ვეხებით. სპეცებმა მიიღონ თავისი სპეცური ჯამაგირი, მე სახეში მყავს მუშები. დაბალი და მაღალი კატეგორიის ამხანაგები, აქაა საჭირო რამდენიმეთ ჯამაგირების გასწორება.

სპეცებმა საქმე აკეთონ და მათთვის ჩვენ ფულს არ დავიშურებთ, თუმცა ჩვენში დარჩეს ვინმე და ამ სპეცებში, რომ ერთი „ჩისტკა“ მოხდებოდეს არ მეწყინება, რადგან დღეს „სპეცი“-ს სახელწოდება ძალიან გახშირდა და გაიაფდა კიდეც.

ახალი ჯამაგირების მომატება, რა თქმა უნდა, დიდ ხარჯს გამოიწვევს. ამას დათვალიერება უნდა, თორემ შეიძლება ამ გარემოებამ გამოიწვიოს საქონლის სიძვირე. რომ ეს არ მოხდეს! საჭიროა ყველა მშრომელის მიერ დიდი მეყაითობა და ენერგიის გამოჩენა წარმოების ასაწევად. კიდევ უფრო უნდა [illegible] რით ჩვენი შრომა, უნდა სავსებით მოვსპოთ ლოთობა, ზარმაცობა, [illegible] და [illegible] ჩვენ მალე დავდგებით [illegible] ჯამაგირის მომატების წინაშე. [illegible] ყველაფერი ჩვენს შრომაზეა დამოკიდებული. ეს უნდა ვიცოდეთ ყველამ.

მუშა ს. დოლიძე

ა.-კ. რკინის-გზის მოძრაობის დარგში

(კულტურული და პროფესიონალური მუშაობა)

ამ უკანასკნელ ექვსი თვის განმავლობაში მიტინგი მოწვეულია ერთხელ, რასაც დაესწრო 475 მუშა. საერთო კრება მოწვეულია 4; გარჩეულია 13 საკითხი. დაესწრო 2,556 მუშა-მოსამსახურე. დელეგატური კრება შესდგა 4, გაირჩა 18 საკითხი.

პლენუმის სხდომა იყო 7, გაირჩა 38 სხვადასხვა საკითხი.

გაზეთების გამოწერის საქმე

გაზეთების გამოწერის საქმე ამჟამად კარგ დონეზე დაყენებული. გამოწერილია „კომუნისტი“ 815 ც., „მუშა“ 177, „რაბ. პრავდა“ 67 და სხვა... 200 ცალი. გამოწერილია სხვადასხვა ლიტერატურული წიგნები.

მუშები თვითგანვითარების საქმეს ძალიან ეწაფებიან. სამკითხველოს საქმე კარგ დონეზეა დაყენებული. პლეხანოვის სახელობის კლუბში ჩაწერილია 108 კაცი. ხოლო ორჯონიკიძის სახ. კლუბში—48 კაცი.

2 პროც. ანარიცხი თებერვალში შემოვიდა სულ 737 წევრისგან 1.274 მან. და 55 კაპ., მარტში —863 წევრ. 1.435 მან. 82 კ. აპრილში —618 წევ. —1.088 მან. 92 კ. ორპროცენტიანი ანარიცხი შემოსულა სულ 4.225 მან. 98 კ.

შემოსულია აგრეთვე ადგილკომში სხვადასხვა თანხები 1.664 მან. 57 კ.

ადგილკომმა გაატარა ცხოვრებაში ყველა დადგენილებები; მოგვარებულია აგრეთვე ხელფასის დროზე დარიგების საკითხი.

საერთოდ სად. თბილისის მოძრაობის დარგის ადგილკომი ნაყოფიერ მუშაობას აწარმოებდა.

მუშკორი ი. ჯავახიშვილი.

სურამის აგარაკები

ხაშურიდან სურამი სულ სამ ვერსზეა, მაგრამ საგრძნობი განსხვავებაა ამ ორ ჰავით მდიდარ ალაგებს შორის.

გახვალ თუ არა ხაშურიდან მაშინვე რაღაცა სხვანაირი სასიამოვნო, გრილი და მსუბუქი ნიავი მოგიბერავს. სულიერი მდგომარეობა უკვე იცვლება. რაც უნდა დარდზე იყო,—გულზე მოგეშვება. გავიწყდება გამოვლილი სიცხეები, უსიამოვნებანი და ეხვევი ამ დიად ბუნების ტალღებში. სურამის მდებარეობა, სურამის ჰავა, სურამის ბუნების გაშლილობა, და მისი ჯანსაღობა თავდებია იმისა, რომ მას დიდი მომავალი აქვს. არც დღის აკლია სურამს სახელი და სტუმრები, მაგრამ უნდა ითქვას, რომ აქ უფრო მუშა-მოსამსახურენი და ისიც ხელმოკლეები იყრიან თავს.

— როგორ? საავარაკოდ წავედი და ისიც სურამში?—გესმით ხშირად აქა-იქ.

ამიტომ უმეტესობა ეტანება—ბორჯომ-წაღვერ-აბასთუმან-ბაკურიანს.

ჩვენ სრულებით სახეში არ გვაქვს სურამის ქებით რაიმე ზიანი მივაყენოთ ზემოდასახელებულ ჩვენ მშვენიერსა და სამაყო ბორჯომ-ბაკურიან-აბასთუმანს. მაგრამ საჭიროა მივაქციოთ ხაზი გაუსვათ იმ გარემოებას, რომ სურამს აქვს ისეთი თვისება-უპირატესობანი, რის გამო მას უნდა ეჭიროს უფრო დიდი ალაგი. მას უნდა სწყალობდნენ უფრო მეტი მოაგარაკენი.

სურამს უნდა ექცეოდეს ყურადღება. სურამი არ უნდა იყოს მარტო სურამლებზე დაყრდნობილი.

სურამი რესპუბლიკის საუკეთესო ალაგია. ის ერთად-ერთი ალაგია მთელი ამიერ-კავკასიის მრავალ ციებიან ალაგებში დაავადმყოფებულთა ისევ გასაჯანსაღებლად. სურამიც ხედავს და გრძნობს ამას.

სურამი ამ ბოლო დროს მიხედილა, რომ მარტო ბუნების სიმშვენიერე-სიმდიდრით ვერ მიიზიდავს მოაგარაკეთა „მშვენიერ თვალებს“ და შესდგომია სხვა გზების გამონახვას. ის არის ქალაქის და მისი არე-მარის გაწმენდა-გალამაზება, გაშვენიერება.

სურამლებს აუგიათ მშვენიერი, ლამაზი და კოხტა საზაფხულო მუშათა კლუბი-თეატრი, უკვე შემოულობავთ ადგილი, დიდსა და ფართე ეზოში, სადაც ფეხბურთელებიც პოულობენ სათამაშო ალაგს და პიონერებიც.

შენდება ბაღი ყვავილებით, თუმცა კლუბს თან აკრავს დიდი მშვენიერი ტყე. ერთი სიტყვით სურამი მიდის წინ. სურამი შენდება; სურამი ლამაზდება.

ჩვენ შემთხვევა გვქონდა დავსწრებოდით აქაურ საბჭოს კრებას და უნდა სიამოვნებით აღვნიშნოთ, რომ სურამის მმართველობის აქტივის წინსვლა, ეტყობათ საქმისადმი ენერგიული და მიზანშეწონილი მიდგომა.

ადგილობრივი გლეხობა ჩაბმულია მუშაობაში და ის ბეჯითად ადევნებს თვალყურს ყოველ ნაბიჯს საბჭოთა აღმშენებლობისას.

ქალაქი და სოფელი ერთად, მეგობრულად, ერთგულად მიდიან წინ საუკეთესო მომავლისაკენ.

სურამს წელს ბევრი მუშა-მოსამსახურე იწვევს. სურამი მათ მშობლიურად უმასპინძლდება.

ძველი მუშა.

კოლოფების ქარხანაში

25 აგვისტოს კოლოფების ქარხანა „ინტერნაციონალში“ მოწვეულ იქნა ამავე ქარხნის კომუჯრედის, ახკომკავშირის და უპარტიო მუშების გაერთიანებული კრება. კრებას დაესწრო 180 მუშა-მოსამსახურე დღის წესრიგში იდგა შემდეგი საკითხები: 1. **მომჭირნეობის რეჟიმის** შესახებ და მიმდინარე საკითხები.

მომჭირნეობის რეჟიმის შესახებ მოხსენებით გამოვიდა ამავე ქარხნის წითელი დირექტორი ამხ. **ფრიდონოვი**, რომელმაც გააცნო კრებას მთავარი პირობები, მომჭირნეობის რეჟიმის ცხოვრებაში გასატარებლად. „მომჭირნეობის რეჟიმი—ამბობს ფრიდონოვი, აქვს ხანგრძლივი ხასიათი, მან თავის ყოველდღიურ მუშაობაში უნდა ჩაითრიოს დიდი რიცხვი მუშებისა საწარმოო თათბირების საშუალებით.“

შემდეგ მომხსენებელს მოჰყავს ამავე ქარხნის ცხოვრებიდან კონკრეტიული მაგალითები სიმულიანტების ბიულეტენიკები“-ს მიერ სამუშაო დღეების უბრალოდ გაცდენის შესახებ. ის აგრეთვე შეეხო პროდუქციის ხარისხსაც; ამავე დროს ფრიდონოვს მოჰყავს ციტატები—ამხ. რიკოვის მოხსენებიდან, რომელიც დეტალურად ეხება ზემოთ დასახელებულ საკითხებს.

მოხსენების შემდეგ, მუშებმა მისცეს მომხსენებელს მრავალი შეკითხვები და კამათშიც მიიღეს მონაწილეობა. მომხსენებელმა გასცა ყველას ამომწურავი პასუხი.

ფრიდონოვის მოხსენების გარშემო კამათში საერთო კრებამ დაადასტურა ქარხანაში შრომის დისციპლინის დაცემის ფაქტები, რამაც საგრძნობლად იმოქმედა პროდუქციის ხარისხზე და გამოიწვია სამუშაო დღეებს უმიზეზოდ გაცდენა.

ამიტომ ქარხნის კომუჯრედის, ახკომკავ. და უპარტიო მუშების გაერთიანებული კრება ადგენს:

1. მიღებულ იქნეს სასტიკი ზომები იმ მუშების წინააღმდეგ, რომლებიც არღვევენ შრომის დისციპლინას და უმიზეზოდ აცდენენ სამუშაო დღეებს.

2. ეთხოვოს ქარხნის ადმინისტრაციას და ქარხკომს, რათა მათ ჩაატარონ მუშებს შორის ფართო კამპანიები—განსაკუთრებული მოხსენებით მუშების წარმოებასთან დამოკიდებულების ირგვლივ;

3. მიექცეს განსაკუთრებული ყურადღება საწარმოო თათბირების გამოცოცხლებას და მათ მუშაობას მომჭირნეობის რეჟიმის ცხოვრებაში გასატარებლად;

4. მიეცეს წინადადება ქარხნის კულტკომისიას და რედკოლეგიას, რათა მათ ქარხნის წითელ კუთხეში გახსნან საწარმოო კუთხე და გაზეთში კი მომჭირნეობის რეჟიმის განყოფილება;

5. ვინაიდან არის შემთხვევები, როცა დამზღვევ სალაროს ექიმები სამუშაოდან ბიულეტენით გაანთავისუფლებენ ხოლმე „არა ავადმყოფ“ მუშებს და ზოგიერთ „ნამდვილად ავადმყოფ“ მუშებს კი ექიმი თავისი სურვილისდა მიხედვით ბიულეტენზე ხელს არ უწერს, რის გამო მუშებს შორის ადგილი აქვს სამართლიან უკმაყოფილებას, ამიტომ აღიძრას შუამდგომლობა პარტიის რაიონულ კომიტეტის წინაშე, რათა მათ აღძრან დამზღვევ სალაროში საკითხი ზემოდ აღნიშნულ მოვლენის გამოსასწორებლად.

სასურველია და საჭიროც არის, რომ ასეთი მოხსენებები,—მომჭირნეობაზე, ჩატარებულ იქნას როგორც ფაბრიკა-ქარხნებში, აგრეთვე საბჭოთა სხვა დაწესებულებებშიაც.

მუშკორი—ვანო.

ასეთი მოხელეებისგან უნდა გაიწმინდოს რკინისგზა

17 აგვისტოს ბორჯომიდან მიემგზავრებოდა სამი ავადმყოფი პატარა ცემის სანატორიუმში. მათ აიღეს სამგზავრო ბილეთები ცემამდის (და არა პატარა ცემამდი, რადგან ის ბაქანია). მატარებლის დაძვრისთანავე მგზავრები შეეკითხენ კონდუქტორს, რომ მათ ბილეთებით მიეიდოდენ თუ არა ისინი პატარა ცემში, მიიღეს პასუხად, რომ მათ დიდ ცემში უნდა აიღონ კიდევ ბილეთები სადგ. საკოჭამდი.

მივედით ცემში; გადმოხტა ერთი მათგანი და გაეშურა სალაროსაკენ ბილეთების შესაძენად, მაგრამ სალარო დაკეტეთ რევიზორის განკარგულებით. ის მოდის რევიზორთან და სთხოვს, რათა დართოს ნება მოლარეს ბილეთის გაყიდვის, რევიზორი უარს ეუბნება იმ მოსაზრებით, რომ ვაგონში სივიწროეა და როდესაც მოხოვნილი განუმარტავს მას, რომ ბორჯომიდან მოდიან ისინი, ადგილიც აქვთ და ბარგიც იქ უწყვიათ და გარდა ამისა, აქ, ცემში, ორმოცდა ათ კაცამდე ჩამოხტა და ბილეთების მთხოვნელი კი ხუთი-ექვსი კაციაო,—ამაზე **რევიზორი კალმახელიძე** გაბრაზდა და უზრდელად მოიშორა ეთხოვნელები.

აღნიშნული მოქალაქენი არ ჩამოვიდენ მატარებლიდან და განუცხადეს კონდუქტორს, რომ ისინი უბილეთოთ მიდიან, რადგან ასეთი არ მისცეს სალაროში და სთხოვეს, რათა ბაქანის ბილეთები მაინც მიეცათ. მათ უარს არავინ ეუბნებოდა.

დაიძრა მატარებელი და ნაცნობი რევიზორიც უმალ გაჩნდა მათთან და მოსთხოვა თითოეულ მათგანს ოთხ-ოთხი მანეთი ჯარიმის სახით. მგზავრები უხსნიდენ იავიათი მდგომარეობას და სთხოვდენ, რათა თითოეულისთვის ბაქანის ორ-ორი ბილეთი მიეცათ და უსამართლო ჯარიმა მოეხსნათ.

რევიზორი დაჟინებით მოითხოვდა ოთხ-ოთხ მანეთს, წინააღმდეგ შემთხვევაში ემუქრებოდა დაპატიმრებით და ბაკურიანში წაყვანით; ამ დროს ერთი მათგანი ეუბნება რევიზორს: „დაპატიმრებაზე და პატარა ცემის იქით წაყვანაზე კი რა მოგახსენოთ. მხოლოდ შიდგინეთ ოქმი და მოგვიწერთ ხელსო“. ამოიღო შინსახკომიდან მიცემული მანდატი, რომ ის ერთ-ერთ სამაზრო აღმასკომის თავმჯდომარეა და მიიწოდა ასეთი. ამაზე რევიზორმა ზედაც არ დახედა, და უპასუხა: „მე შენთან ლაპარაკი შევსწყვიტე და [illegible] სურვილი არა მაქვს ხმა გავცე, ვიდრე მიგიყვანდი, სადაც საჭიროა და მერე მე ვიცი“-ო.

მოქალაქემ შეინახა მანდატი და უთხრა: „ეხლა რაც გსურდეს ის ქენი“-ო.

ცემიდან პატარა-ცემამდე რევიზორი მათ არ მოშორებია. ორი-სამი კონდუქტორიც იქ იდგა და ელოდებოდენ მის განკარგულებას.

აგერ მივედით პატარა ცემში. ავადმყოფებმა აიღეს ბარგი და დააპირეს გადმოსვლა, მაგრამ რევიზორი ჩაუდგა კარებში და არ უშვებდა მათ. ასტყდა აურ-ზაური. საქმე კიდევ ცუდად ხელით შებრუნდა? მივიდა: სანატორიუმიდან გამოსული ექიმებიც ჩარიენენ და ვინ იცის რანაირათ ვათავდებოდა საქმე, რომ რევიზორს ხელი არ აელო თავის განზრახვაზე.

მართალია ბოლოს საქმე კომპრომისით გათავდა. მგზავრებმა აიღეს ბილეთები რაც მათ მოითხოვეს დიდ-ცემში და ინციდენტი ამით დამთავრდა. მაგრამ ასეთი შემთხვევები ხშირია როგორც ბორჯომ-ბაკურიანის გზაზე, ისე სხვაგანაც და ეს მშრომელ მასაში სამართლიან საყვედურს იწვევს.

დამსწრეთაგანი.

ხშირად ასეთი შინაარსიანი საღამოები

11 აგვისტოს ამხ. ს. ორჯონიკიძის სახელობის მუშათა კლუბში ღია ჰაერზე ადგილობრივ ქართულ დრამწრის მიერ, ვ. ნინიძის რეჟისორობით და მონაწილეობით დაიდგა რამიშვილის ორი მოქმედებიანი პიესა „დედინაცვალი“ და წარმოდგენის შემდეგ გაიმართა პიესის გმირების ლიტერატურული გასამართლება. უნდა სიმართლე ითქვას, რომ ამ კლუბმა მიმდინარე საზაფხულო სეზონში ერთი საუკეთესო ადგილი დაიჭირა თბილისის კლუბებთა შორის.

აღნიშნული სეზონი კი ერთი საუკეთესო საღამოთაგანია,რომელიც კი გამართულა ამ კლუბში წერეულს.პიესა მატერიალურად და ცოცხლად ჩატარდა. შემსრულებელნი ერთი-მეორეს ეცილებოდნენ უკეთესობაში. სამაგალითოთ შთაბეჭდილებით ავსებდა პიესის მსვლელობას გუგული ვუნდი და მხატვრულად მოწყობილი ხელოვნური წყარო სცენაზე.

წარმოდგენას აუარებელი მშრომელი ხალხი დაესწრო და პიესამაც საუკეთესო შთაბეჭდილება დასტოვა ყველაზე. საზოგადოებამ ოვაციებით დააჯილდოვა რეჟისორი ნინიძე, რომელიც ამავე დროს **ხალამპრეს როლს** თამაშობდა და თავისი მოხდენილი თამაშით აღტაცებაში მოიყვანა ხალხი.

წარმოდგენაზე უფრო მეტი ინტერესი გამოიწვია საზოგადოებაში ლიტერატურულმა გასამართლებამ, რომელიც მშვენივრად იქნა მოწყობილი რეჟისორის ვ. ნინიძის მიერ შესაფერისი ინსცენიროვკით.

სასამართლოს თავმჯდომარეობდა ამხ. ვალ. ვაშაკიძე, წევრები იყვნენ: ირ. ბოლქვაძე, მეფარიძე, ცხადაძე, ლექ. აზრებშილეიბდა და კალანდია. ბრალმდებლებ: ამხ. გ. დანდურუ[illegible] და მელაძე, იცავდა დომ. არონიშიძე. საბჭოს წინაშე წარსდგა ხალამპრე (ვ. ნინიძე) საზოგადოებიდან კამათში მონაწილეობა მიიღეს: ი. იმედაშვილმა, მ. კობახიძემ, ალ. იოსელიანმა და სხვებმა.

საზოგადოთ, უნდა აღინიშნოს, რომ ამხ. ნინიძის მოწვევის შემდეგ დიდი გადახალისება დაეტყო ჩვენი კლუბის ქართულ დრამწრეს. ის არ ზოგავს არც დროს, არც ენერგიას და არც შრომას, რომ კლუბის ქართული წრე ღირსეულად ემსახურებოდეს რკინისგზის მუშა-მოსამსახურეებს და ასეთი მუშაობის საუკეთესო დამამტკიცებელი იყო 11 აგვისტოს დადგმული საღამო.

მუშკორი ძია—ლევან.

ეს დეფექტები უნდა გამოვასწოროთ

აბასთუმნის მე-5 სანატორიაში იმყოფება 95-დე ავადმყოფი დამზღვევ სალაროს ხარჯზე. თითო ავადმყოფის შესანახად იხდის სამმართველო თვეში 170 მან. დღეში 5 მ. 70 კ. სოც. დაზღვ. სამმართველოს მიერ კურორტის სამმართველოსთან დადებულ ხელშეკრულების თანახმად, სანატორიაში უნდა იყვნენ ექიმები უმაღლესი კვალიფიკაციის. მაგრამ გარდა ექ. აბაკელიასი, რომელიც ხანგამოშვებით გვსინჯავს, ყველა პრაქტიკანტები და შარშანდელ სწავლა დამთავრებულნი არიან. ამათ არ აქვთ არავითარი გამოცდილება ექიმობაში. არ შევეხები სანატ. გამგეს, ექიმ ლომინაძეს, რომელიც ავადმყოფებს არ სინჯავს და მხოლოდ საჭმელებს სინჯავს და ყოველთვის მოსწონს. არ ყოფილა შემთხვევა, რომ სადილი „დაიწუნოს“.

არის შემთხვევა როდესაც ავადმყოფს წამალს უწერენ, მაგრამ ეს რჩება ქაღალდზე და წამალს კი არ გვაძლევენ და ეხსნებიან, ვერ ვიშოვნეთო.

რაც შეეხება სმა-ჭამას, რაც უმთავრესია აქ ავადმყოფებისათვის, ამაზე რომ ლაპარაკი ზედმეტია. იხარჯება თითო ავადმყოფზე დღეში 1 მ. 58¾ კ. ექიმის განცხადებით ⅛ კაპ. დააკლეს მომჭირნეობის რეჟიმის ჩატარებით. ამას აკლდება, რასაკვირველია, ის, რაც მოჯამაგირეებმა უნდა მოიგონ. ერთი ვიღაც მოიჯარადრე აივაზოვს აუღია სურსათ-სანოვაგის მიწოდების საქმე. მან კი თავისი საყოფი მოგება აიღო და ეს საქმე კიდევ მეორე პირს გადასცა. ამ ნაირად ჩვენამდი შეიძლება მოაღწიოს ერთი მანეთის სურსათმა და ისიც უვარგისი, ვინაიდან ხშირია შემთხვევა, რომ მოიჯარადრეს სურსათი უვარგისია. მაგრამ სანატორია იძულებული ხდება მიიღოს უვარგისი სურსათი, რადგან სხვა არ იშოვება და არც სამისო ნება და თანხა აქვს მას.

ყოვლად შეუძლებელი და არც დასაშვებია ბინის და მოსამსახურის შესანახად იხარჯებოდეს თვეში თითო ავადმყოფზე 4 მ. და 12 კაპ. რას გვერჩიან, 5 მ. 75 კაპ. დღეში ვიხდით 2 მანეთს მაინც გვაჭმონ და დანარჩენი ეყოფა სხვა ხარჯებსო ამბობენ ავადმყოფები. ვინ უწყის, რამდენი მუქთა-ხორას ინახავს ჩვენი ფულები. ყველას თითო-ოროლა სტუმარი ჰყავს აგარაკზე. წადი და გაუწიე კონტროლი ქუხნიდან მიაქვს საჭმელი, თუ ცალკე ყიდულობს იგი იმისთვის, ვისთანაც ის სცხოვრობს სახაზინო ბინაში.

ავადმყოფებს ხშირად უარს აცხადებენ ჭამაზე მისი უვარგისობის გამო და მშიერ რჩებიან. მაგ. ამხ. ბრამიანს ორი დღეა არაფერი უჭამია და იმის მაგიერ, რომ ავადმყოფი დააწყნარონ, გაწყრომით ემუქრებიან.

საჭმელის მომატება თუ ვინმემ მოისურვა, შეიძლება დაგიმატონ ჩაი უშაქროთ, სუპი უხორცოდ და პური.

ვისაც კარგი ჭამის მადა აქვს, ის ეზიზღებათ და სულ ლაპარაკობენ ბევრს ჭამსო.

იყო შემთხვევა, როდესაც ავადმყოფმა მოითხოვა ხიზილალის შეცვლა კვერცხზე და „ხაზეიკისაგან“ მიიღო ასეთი პასუხი—„კური ეშმო ნე სნესლი“-ო.

რასაკვირველია, ასეთი ადამიანისაგან ყოფ. პოლკოვნიკის აბესაძის ცოლისაგან მეტს რას უნდა მოველოდეთ და კიდევ კარგი, რომ ჯერარ მოგვწამლა.

საკვირველია, რატომ ნიშნავს კავშირი ასეთ „ხაზეიკებს“ სანატორიუმებში. ნუ თუ იმაზე უფრო ღირსეული უმუშევარი და ჩვენი ხელისუფლების ერთგული არ ყავდა მედსანშრომის კავშირს?

არ არის წყლის დასალევი ჭიქები საკმარისი. ჭამის დროზე წყალზე უხდება ზოგიერთებს სიარული. ავადმყოფები არ არიან ავადმყოფობის და მიხედვით დახარისხებული. ერთმანეთში არეული არიან. კიდევ ბევრი რამე შეიძლება ითქვას, მაგრამ ჯერ-ჯერობით ესეც კმარა.

თუ გაიგეს, რომ თბილისიდან ვინმე ჩვენი უთროსი ამხანაგები მოდიან, იმ დროს „ჭირის ორმოში ვართ“ და როგორც წავლენ, მაშინვე შეიბლებიან.

ჩვენ ვიცით, რომ აქ პირობების გაუმჯობესება ჩვენ აღარ მოგვისწრებს. მაგრამ ჩვენ უფრო გვაინტერესებს ის მდგომარეობა, რომ ჩვენზე ბევრი იხარჯება და ჩვენამდი არ აღწევს და ეს რომ რჩებოდეს ისევ ჩვენ სოც. დაზღვევის სალაროში. ჩვენ ამითაც დიდი კმაყოფილი ვართ, მაგრამ სალარო გვეცალიერდება და „სხვის სალაროს“ ემატება. აი ეს არ არის სასურველი.

ავადმყ. მონდობილობით ვ. ლოსაბერიძე.

ჩვენი მუშათა კლუბი მუშაობს

დიდი ხანი არ არის მას შემდეგ, რაც ამხ. ს. ორჯონიკიძის სახელობის კლუბში ქართული დრამატიული წრე დაარსდა მუშათა სცენის მოყვარის ამხ. **ბიქტორ ნინიძის** ხელმძღვანელობით. ენერგიული მუშაკის წყალობით დრამ-წრემ მიიღო თავისი სახე. იგი ჩამოყალიბდა საზაფხულო სეზონისათვის, სადაც 25-ზე მეტი მუშა-მოსამსახურე სცენის მოყვარენი ითვლებიან. აქედან საგრძნობი ნაწილი ახალგაზრდობაა.

ამჟამად ორჯონიკიძის სახელობის კლუბთან არსებული ქართული დრამწრე როგორც არის წელს, ჯერ არც ერთ მუშას არ ახსოვს. იყო წრე ზამთრის სეზონში, სოსო რომანიშვილის ხელმძღვანელობით, მაგრამ იგი თავის დანიშნულებას ვერ ასრულებდა ზარმაცი რეჟისორის ხელში. მას სრულიად არაფერი მუშაობაც კი არ უწარმოებია, რის გამო რომანიშვილი გამგეობამ მოხსნა, ხოლო ნინიძეს მოსვლის შემდეგ მდგომარეობა საგრძნობლად შეიცვალა და თვით ხალხი მეტის პატივისცემით ეპყრობა მას. მისმა გამოსვლამ **სტუმარ-მასპინძლობაში ტაშის** ქუხილი და ოვაციები გამოიწვია.

„გაჭირვების ტალკვესი“ ისე მოხდენილად დადგა ნინიძემ, რომ ხალხი ასე გაიძახოდა—„ნეტავ კიდევ დაიდგმებოდეს ამისთანა წარმოდგენები“-ო.

ამხ. ნინიძის მუშაობა ყოველმა შეგნებულმა მუშამ იცის.

„სტუმარ-მასპინძლობ“-ის დადგმის გამო მან მიიღო კლუბის გამგეობის სახელით ყვავილებით შემკული თაიგული იმიტომ, რომ მისმა მოხდენილმა თამაშმა „ნიკიფორე ატაკუტას“ როლში მოხიბლა საზოგადოება.

სასურველია მომავალშიც ასეთივე ტემპით და ლამაზად გაგრძელდეს კულტმუშაობა აღნიშნულ მუშათა კლუბში.

მუშკორი ი. განცხენებული.

მუშათა ქრონიკა

— **ჯილდო სხვა მუშებსაც მიეცემათ.** სად. თბილისის მოძრაობის დარგის პლენუმმა დაადგინა, ეთხოვოს უბკავშირს, რათა ის ჯილდო, რომელიც უორგდენობოდა ქალაქის სადგურის თანამშრომლებს განაწილებული იქნეს აგრეთვე საკუთრის სადგურის მუშებზეც.

— **კამპანია ლოთობაზე.** ბორჯომის პროფბიურომ დაადგინა, რათა ლოთობასთან ბრძოლის მიზნით ჩატარდეს კამპანია.

— **კინო-აპარატი.** ხაშურის საუბნო პროფკავშირმა საჭიროდ ალიარა შეიძინოს სად. ქიათურის კლუბისთვის კინო-აპარატი.

— **მიღებულია ცნობად.** სად. თბილისის მოძრაობის დარგის პლენუმმა დაადგინა: მიღებულ იქნას ცნობად უბკავშირის მიერ გამოგზავნილი ახალი სატარიფო-საადრიცხვო ფურცელი № 100—08—34—5.

— **თათბირში ჩაბმა.** ინჟენერ-ტეხნიკოსთა სექციის საგზაო ბიურომ მიმართა საუბნო ბიუროებს ჩააბან თავისი წევრები საწარმოო თათბირებში.

— **დეკორაციებისთვის.** ხაშურის საუბნო პროფკავშირმა სად. ხარაგოულის კლუბს გადასცა 400 მან. დეკორაციების შესაძენად.

— **ტელეფონის დადგმა.** ამხ. ს. ორჯონიკიძის სახელობის კლუბის გამგეობამ დადგა ახალი ტელეფონი, რომელიც იმუშავებს რკინისგზის ხაზით.

— **სკამების შეძენა.** ხაშურის საუბნო პროფკავშირმა დაადგინა შეიძინოს რკინისგზის კლუბისთვის 120 სკამი.

— **რადიო-წრების დაარსება.** სენაკის რკინისგზის სამპროფბიურომ გადასწყვიტა დაარსოს რადიო-მოყვარულთა წრეები.

— **1.800 კლუბის წევრი.** ამხ. ს. ორჯონიკიძის სახელობის კლუბი ამჟამად აერთიანებს 1.800-ზე მეტ კლუბის წევრებს. სწარმოებს კიდევ ჩაწერა.

— **6 თვის განმავლობაში.** რკინისგზის საავადმყოფოში 6 თვის განმავლობაში დელეგატური კრება მოწვეულ იქნა 43-ჯერ.

— **120 მანეთი.** ამხ. სერგო ორჯონიკიძის სახელობის კლუბის პლენუმის გამგეობამ ყოველთვიურად გადასდო 120 მანეთი სამკითხველოს მოწყობისათვის.

— **აბანოს ქვაბის დაწვა.** რაც დაიწვა რკინისგზის აბანოს ქვაბი უკვე ორი თვე მოინც იქნება. მის გაკეთებაზე კი არავის ფიქრობს. საჭიროა, მისი დროზე გაკეთება.

მუშკორთა კრება. 7 სექტემბერს მოწვეულია სად. თბილისის მოძრაობის დარგის მუშკორთა, კედკორთა და პარტკორთა საერთო კრება.

— **მეცხრე ნომერი.** სად. თბილისის მოძრაობის დარგის კულტკომისიამ გამოუშვა კედლის გაზეთი „ნიშანსვეტი“-ს მორიგი მეცხრე ნომერი.

— **11 წევრი.** ბ. ძნელაძისა და ი. ოქროვის სახელობის კლუბის გამგეობა შესდგება 11 წევრისაგან და 4 კანდიდატისაგან.

— **იურიდიული კონსულტაცია.** პლეხანოვის სახელობის კლუბში მოეწყო იურიდიული კონსულტაცია მუშებისათვის.

პროფკავშირებში

საბჭოთა და სავაჭროთა მუშაკების კავშირში

(ბრძოლა უმუშევრობასთან)

ბრძოლა უმუშევრობის შესამცირებლად ჩვენ კავშირში მიმდინარეობდა სამი მიმართულებით:

მატერიალურ დახმარების საქმეში კავშირმა მიიღო აუცილებელი ზომები, რომელიც გამოიხატებოდა ყოველდღიურ და ერთდროულ ფულად და ნატურალურ დახმარებაში.

მაგალითად: 1 იანვრიდან 1 აგვისტოს ჩათვლით **ჩვენ მიერ გაცემულია 15.459 მანეთი. დახმარება მიიღო—4.426 კავშირის წევრმა, საგზაო დახმარება—1.226 მან. მიიღო 231 კავშირის წევრმა. აღნიშნულ დახმარების გარდა უმუშევრები ღებულობენ სადილს სასადილოდან, რომელიც მოწყობილია ჩვენ კავშირთან**

შვიდი თვის განმავლობაში სადილის და სასადილოს შტატის შესანახად ჩვენ მიერ გაღებულია 8.042 მანეთი 81 კაპ.

სულ ჩვენ მიერ დახარჯულია შვიდი თვის განმავლობაში უმუშევრების ფონდიდან—**25.436** მანეთი და 46 კაპ.

უმუშევრების ფონდში სულ შემოვიდა **22.436** მან. გადახარჯულია სხვა ფონდებიდან 3000 მანეთი.

უმუშევართა კვალიფიკაციის ასაწევად

ჩვენი უმუშევრების კვალიფიკაციის ასაწევად ჩვენ მიერ გაწეულია შემდეგი მუშაობა:

გაათავეს მემანქანის კურსები და გაგზავნილია სამუშაოზე 50 კაცი, გაათავეს ბუხჰალტერიის კურსები 49 კაც., გაგზავნილია სამუშაოზე 38 კაც., გაათავეს სტენოგრაფიის კურსები 5 კაც. ამჟამად სწავლობს მემანქანის კურსებზე 12 კაცი, ბუხჰალტერიის კურსებზე 9 კაცი, კოოპერატიულ კურსებზე გაგზავნილია სულ 18 კაცი, გაათავეს ჯერ-ჯერობით 6 კაცმა, მათ შორის ორი გაგზავნილია სამუშაოზე.

საქმის მწარმოებლის კურსებზე გაგზავნილია 11 კაცი.

შრომის დახმარების ფარგლებში ჩვენ მიერ მოწყობილია გასულ წლიდან მცვლელობითი პრინციპის მიხედვით და გადაცემულია შრომის სახალხო კომისარიატისათვის შემდეგი შრომის კოლექტივები: წერითი დახმარების კოლექტივი, სადაც მუშაობს მორიგეობით 100 კაცი, ყოველ 6 თვის განმავლობაში ხდება მორიგეობის შეცვლა. ამნაირად ამ კოლექტივში გაიარა 150 კაცმა და ამჟამად მუშაობს 100 კაცი.

გამაგრილებელი წყლის კოლექტივი (მინერალური წყლები), სადაც მუშაობს ამჟამად 26 კავშირის წევრი.

დავალებათა კოლექტივში ჯერ-ჯერობით მუშაობს 18 კაცი, მაგრამ რამოდენიმე თვის შემდეგ კოლექტივში სამუშაოდ შევა 100 კაცამდე.

საერთოდ ყველა კოლექტივებში არის მოთავსებული 144 კაცი.

პირველი და მთავარი საკითხი, რომელსაც უნდა მიექცეს საკავშირო ორგანიზაციების და კერძოდ ჩვენი კავშირის ყურადღება, არის კავშირის წევრ უმუშევრების კვალიფიკაციის აწევა. აქ მარტო კავშირი თავისი მცირე საშუალებებით შორს ვერ წავა. სახელმწიფო ორგანიზაციებმა ამიტომ ჩვენ უნდა გაგვიწიონ ფულის სახით დახმარება.

აღნიშნულ კითხვას ჩვენ ვსვამთ ჩვენი კავშირის ცენტრალური კომიტეტის წინაშე, რათა უკანასკნელმა გაიღოს შესაფერისი საშუალებანი.

ჩვენ უნდა ვაწარმოოთ სასტიკი კონტროლი, რომ გავატაროთ ცხოვრებაში 100 პროც. კოლექტიური ხელშეკრულების პუნქტებისა, რომელიც ითვალისწინებს პირველ რიგებში კავშირის წევრის მიღებას სამუშაოდ. ამ მიმართულებით ადგილკომებმა უნდა დაიკავონ წინა პოზიციები, მედგრად საბრძოლველად შრომის და კოლექტიური ხელშეკრულებების ყველა დამრღვეველთან.

ჩვენ სასტიკი ბრძოლა უნდა გამოუცხადოთ ყოველგვარ პროტექციას.

კავშირმა უკვე შეადგინა გეგმა, რომელიც მდგომარეობს იმაში, რომ მოწყობილ იქნას საზოგადოებრივი საჩვენებელი გასამართლება იმ პირთა საწინააღმდეგოდ, რომელნიც სცემენ კავშირის ავტორიტეტს კოლექტიურ ხელშეკრულების შრომის კანონთა დარღვევით.

აუცილებლად უნდა ავამაღლოთ ავტორიტეტი შრომის ბირჟის მეურნეობის თვალში. მივიღოთ ზომები, რომ მეურნეებმა მუშის ძალის დასაქირავებლად მიმართონ საშუამავლო ბიუროს.

ერთი ძირითადი ამოცანათაგანი, რომელიც სდგას კავშირის წინ, ეს არის შრომის კოლექტივების ქსელის გადიდება და მოწყობა ახლო მომავალში სავაჭრო კოლექტივების.

ნ. ღლონტი.

პროფმუშაობის ქრონიკა

პროფსაბჭოში

— **საბიუჯეტო მუშაობაში მონაწილეობის მისაღებათ.** პროფსაბჭოს პრეზიდიუმმა იმსჯელა სახელმწიფო მომარაგებაზე მყოფ მომუშავეთა ხელფასის შესახებ 1926—27 წელში. მან საჭიროდ სცნო, რათა კავშირებმა ენერგიული ზომები მიიღონ საბიუჯეტო მუშაობაში. დაევალა ყველა კავშირების წარმომადგენლებს საბიუჯეტო კომისიებში მონაწილეობის მიღებისას მტკიცედ დაიცვან პროფსაბჭოს მიერ მიცემული დირექტივები და საკითხის გარშემო აზრთა სხვადასხვაობისას თავიანთი განსაკუთრებული აზრი ოქმში შეიტანონ. საბჭოთა და სავაჭრო მუშაკების კავშირის პ.-მ. მდივანს ამხ. **ნიკო ღლონტს** დაევალა პროფსაბჭოს წარმომადგენელთან, ამხ. **გ. ბუაძესთან,** ერთად მონაწილეობა მიიღოს საბიუჯეტო კომისიის მუშაობაში.

—**აჭარისტანისთვის 10.000 მან. მიცემის საკითხი.** აჭარისტანის პროფსაბჭოს პრეზიდიუმმა შუამდგომლობა აღძრა საქართველოს პროფსაბჭოსთან საზოგადოებრივ სამუშაოების საწარმოებლად 10.000 მან. მიცემის შესახებ. ეს თანხა უნდა მიეცა საქ. შრომის სახალხო კომისარიატს საზოგადოებრივ სამუშაოების თანხებიდან. საქართველოს შრომის სახალხო კომისარიატის რწმუნებული აჭარისტანში ამ თანხას მოახმარდა ქ. ბათომის დასავლეთ ნაწილში წყალსადენის მაგისტრალის გაყვანის საზოგადოებრივი მუშაობის სახით შესრულებას.

პროფსაბჭოს პრეზიდიუმმა იმსჯელა ამ საკითხზე და თანხის უქონლობის გამო ჯერ-ჯერობით მიცემაზე თავი შეიკავა.

— **გაზ. „მუშა“-სადმი დავალიანების საკითხი.** პროფსაბჭოს ყოველდღიური ორგანო გაზ. „მუშა“-ს ვალი მრავალ პირს მართებს. ვალის აკრება ძნელდება, რადგან მოვალეები არ იხდიან.

პროფსაბჭოს პრეზიდიუმმა იმსჯელა ამ საკითხზე და წინადადება მისცა გაზ. „მუშა“-ს კანტორას მოკრიბოს სხვადასხვა პირებზე დარჩენილი დავალიანება და თუ ისინი უარს განაცხადებენ გადახდაზე, მაშინ საქმე უნდა გადასცეს სასამართლოს.

— **აქვთ თუ არა უფლება მაზრის აღმასკომების კომუნალურ განყოფილებებს შრომის სასახლეებში მოთავსებულ კავშირებიდან საბინაო ქირა აიღონ და სასახლეების გამგებლობაში ჩაერიონ?** ქუთაისის აღმასკომის კომუნალურ მეურნეობის განყოფილებას ქუთაისის შრომის სასახლე (პროფკავშირების სახლი) შეუტანია მუნიციპალიზაცია ქმნილ სახლების სიაში. კომუნალურ განყოფილების მუშაკნი ამაზეც არ დაკმაყოფილებულან და ადგილობრივი კავშირებისათვის საბინაო ქირა მოუთხოვიათ.

ქუთაისის სამპროფბიურომ ამის შესახებ აცნობა პროფკავშირთა საბჭოს.

პროფსაბჭოს საორგანიზაციო განყოფილებამ განუმარტა ქუთაისის სამპროფბიუროს, რომ არსებული კანონმდებლობის მიხედვით (იხ. საკავშირო შრომის კომისარიატის **„იზვესტია“ № 13. გვ. 25. დადგენილება 1925 წ. 23 თებერვლის თარიღით**) შრომის სასახლეები პროფკავშირების სრულ გამგებლობაშია, არავის უფლება არა აქვს მათ საბინაო ქირა გადახდევინოს გარდა საკავშირთაშორისო ორგანოების. შრომის სასახლის შენახვაში პასუხისმგებელია საკავშირთაშორისო ორგანო, რომელიც საბინაო ქირას იღებს კავშირებიდან და ახმარს შრომის სასახლეს.

— **დუშეთის მაზრაში საალმშენებლო კავშირის დაარსებაზე აღმშენებელთა კავშირის ც. გამგეობამ უარი სთქვა.** დუშეთის სამპროფბიურომ საკითხი დასვა საქ. პროფსაბჭოს საორგანიზაციო განყოფილებაში აღმშენებელთა კავშირის დუშეთის სამაზრო განყოფილების დაარსების შესახებ. პროფსაბჭოს საორგანიზაციო განყოფილება შეეკითხა აღმშენებელთა კავშირის ცენტრ. გამგეობას ამ საკითხზე. მან დასაბუთებული უარი სთქვა განყოფილების დაარსებაზე.

შვებულება ამხ. ალ. ფანცხავას

საქ. პროფსაბჭოს მდივანს ამხ. ალ. ფანცხავას 28 აგვისტოდან მიეცა ორი კვირის შვებულება.

— **საქ. მუშათა პროფესიონალურ მოძრაობის ისტორიისათვის.** არალეგალურ კავშირებში მომუშავე მუშა — **ჩიტო თხილაძემ** საქართველოს პროფსაბჭოსთან არსებულ საქ. მუშათა პროფესიონალურ მოძრაობის ისტორიის შემსწავლელ კომისიას მოუტანა თავისი მოგონებები არალეგალურ და 1907 წ. ლეგალურ ბეჭდვითი საქმის მუშაკთა პროფკავშირის შესახებ. მან კომისიას გადასცა აგრეთვე იმ დროინდელი საწევრო წიგნაკი, საგაფიცვო და საწევრო გადასახადის ქვითარები.

ქრონიკა

ამხ. ოსინსკის ჩამოსვლა

გუშინ საქართველოს სამხედრო გზით თბილისში ჩამოვიდა საბჭოთა კავშირის ცენტრალურ სტატისტიკურ სამმართველოს უფროსი ამხ. ოსინსკი.

თბ. აღმასკომში

— **გადასახადი.** დღემდე თბ. მაზრაში სავსებით აკრეფილია სასოფლო-სამეურნეო გადასახადის ძველი წლების ნარჩენი—18.908 მ. რაოდენობით.

— **თვალის საექიმო.** წალკის საავადმყოფოსთან გაიხსნა თვალის საექიმო კაბინეტი, საცა გლეხებს ეძლევათ უფასო დახმარება.

— **ნიაღვრებთან ბრძოლა.** კეთილმოწყობის განყოფილებამ შეადგინა ნიაღვრებთან მებრძოლი რაზმი, რომელიც იმუშავებს ქალაქის ფარგლებში.

— **ტრამვაის მოტორიანი რონოდების რიცხვი** მომავალი წლიდან აყვანილი იქნება 110-მდე. ამჟამად მუშაობს 70 რონოდა.

— **კოჯორის რკინიგზის გაყვანა,** გეგმის მიხედვით, დამთავრდება 1933 წლისათვის. დღე და ღამეში ზაფხულობით იმუშავებს 12 წყვილი მოტორიანი რონოდა, ზამთრობით 3 წყვილი. (ტრამვაი გავა ყოველ 1—2 საათში).

სახალხო განათლება

— **განათლების კომისარიატის წინაშე გორის** აღმასკომმა აღძრა შუამდგომლობა გორის ცხრაწლედისათვის პოლიტგანათლების განხრის მიცემის შესახებ.

— **გადასახადისაგან განთავისუფლება.** ბორჯომის მუშათა უბნის შრომის სკოლების მოწაფეები (მუშების შვილები) განთავისუფლებული არიან სწავლის ფულის გადასახადისაგან.

—**მასწავლებელთა გამოცდები.** გორის მაზრის განათლების განყოფილებამ დაარსა საექსპერტო კომისია მაზრაში მომუშავე მასწავლებელთა ცოდნის შესამოწმებლად.

— **ხაბავშო ბაღი.** წალვერის თემალმასკომმა განათლების კომისარიატის წინაშე აღძრა შუამდგომლობა ადგილობრივ საბავშო ბაღის გახსნის შესახებ

— **დაბალი ტიპის მევენახეობის** სასწავლებელი წელს გაიხსნება ორ ადგილას: კახეთში და შორაპანში.

ჩაუბარებელი დეპეშები

მინერალურ-ვოდიდან—კურანიანს, სურამიდან—ბორშაჩოვს, დერბენდიდან—ჯანიანს, ცხინვალიდან—ტერ-სტეპანოვს, მოსკოვიდან—ალამალი-ოღლის, ქუთაისიდან—სულაძეს, მოსკოვიდან—ხანანიანს, ტაშკენტიდან—გოგლიძეს, პოლტორაცკიდან—ბოლსტმანს, სამტრედიიდან—კალაძეს, აბასთუმნიდან—ავგუსტის, მანგლისიდან—მიქელაძეს, გერუსიდან—ტატევოსიანს, ვლადიკავკავიდან—ივანოვსკის, ერევანიდან—გრუზეკს.

სხვადასხვა

— **ახალი წიგნი.** რედაქციამ მიიღო სომხეთის პროლეტარულ მწერლის აკოპ აკოპიანის ლექსთა და მოთხრობათა კრებული. წიგნი სუფთადაა გამოცემული.

— **სამხატვრო წრეების შეჯიბრება.** ორშაბათს, 6 სექტემბერს, საღამოს 7 საათზე მუშათა ცენტრალურ კლუბში დანიშნულია სამხატვრო წრეების ხელმძღვანელთა და ამავე წრეების მამასახლისთა კონფერენცია წრეების მომავალი შეჯიბრების გარშემო საკითხების დასამუშავებლად.

ყველა ხელმძღვანელებისა და მამასახლისების დასწრება სავალდებულოა.

— **მალიარიის დისპანსერი.** თბილისის ჯანმრთელობის განყოფილება თბილისში ხსნის მალარიის დისპანსერს.

— **ქაღალდის მრეწველობის** მოსაწყობათ საქ. საგეგმო კომისიამ გამოითხოვა 1.500.000 მან.

— **საბინაო ამხანაგობა.** თბილისში დაარსდა ახალი საბინაო-საამშენებლო ამხანაგობა „წინ“, რომელსაც სახლის ასაგებათ ტროცკის ქ. მიეცა თავისუფალი მიწის ნაკვეთი.

შემთხვევები

— **მკვლელობა.** 2 სექტემბერს სოფ. დურუნუკში მოჰკლეს აირაპეტა ოგანიანი.

— **შეპყრობა.** 2 სექტ. შეიპყრეს გიორგი ეგანგულოვი, რომელმაც ბრძანების ქუჩაზე მცხოვრებ მადოიანს მოპარა სხვადასხვა ნივთები.

— **გზაზე.** 2 სექტ. კოჯრის გზაზე თამარ პოლიქაძეს მოპარეს ჩემოდანი და სხვადასხვა ნივთები.

— **სასტუმროში.** 3 სექტ. სასტუმრო „განჯაში“ გაქურდეს ალიფაშა აბასოვი, ქურდი შეიპყრეს.

— **ჯიბგირი.** დესიმონოვის მოედანზე შეიპყრეს ჯიბგირი მიხეილ ტალჩინი.

— **ქურდობა.** 3 სექტემბერს ლენინის ქუჩაზე გაქურდეს კარაგოზიანის სახელოსნო. წაიღეს 100 მან. საქონელი.

— **ამავე დღეს** გაქურდეს იმავე ქუჩაზე მიხეილ გოგიშვილის ბინა.

თვითმკვლელობა

გუშინ დაახლოებით დილის 11 საათზე, მოქ. საყვარელიძის ბინაზე (ბარიატინის ქ.) ესტუმრა [illegible] ფლიპოვიჩის ქალი ავიდა სახლის ჭერზე და „ნაგანის“ სისტემის რევოლვერის ორჯერ გასროლით თავი მოიკლა.

თვითმკვლელმა დასტოვა წერილი, რომელშიაც ნათქვამია, რომ მან თავი მოიკლა ავადმყოფობის გამო.

წერილში ნათქვამია აგრეთვე, რომ მის თვითმკვლელობაში არავის ბრალი არ მიუძღვის.

უბედური შემთხვევა

გუშინ, დაახლოებით დილის 10 საათზე, ტრამვაის ვაგონი თავისუფლების მოედნისაკენ მიმავალი ეორესის და კამოს ქუჩის კუთხესთან, წითელი თეატრის წინ დაეჯახა საგუშაგოზე მყოფ მილიციელს **ივანე გარსიაშვილს** და მძიმედ დააშავა.

დაშავებული გადაგზავნილია საავადმყოფოში.

ვატმანი ალი მამედოვი დაპატიმრებულია. კვლევა-ძიება სწარმოებს.

სასამართლო

საზიზღარი მკვლელობა

10 სექტემბერს აღმოსავლეთ საქართველოს ოლქის სასამართლოში გაირჩევა **ბოქტორ ციხისთავის** საქმე.

ციხისთავს ბრალდება **ელენე ქაჯაიას** მოკვლა.

ამა წლის 18 მარტს, ღამის 12 საათზე, სასტუმრო „ნოე“-ში ციხისთავმა „ნაგანის“ სისტემის რევოლვერით მოჰკლა ელენე ქაჯაია.

წინასწარ გამოძიების დროს ბრალდებულმა ციხისთავმა თავი არ სცნო დამნაშავედ და დასძინა, რომ წინედ ქაჯაიას ქალთან კარგს განწყობილებაში იყო და სქესობრივი კავშირიც ჰქონდა.

მან განაცხადა, რომ მის ბინაში ქალმა თვით მოიკლა თავი.

წინასწარი გამოძიებით გამოირკვა, რომ ბრალდებულის ჩვენება სიმართლეს არ შეესაბამება.

დაზარალებულის მიერ ბრალდებულისადმი მიწერ წერილებში არც ერთი სიტყვა არ არის ნათქვამი იმის შესახებ, რომ ქაჯაიას ქალს ქმარი სძულდა.

მოწმეთა დაკითხვით გამოირკვა, რომ ციხისთავმა მკვლელობა ჩაიდინა იჭვიანობის ნიადაგზე წინასწარი განზრახვით.

„თბილი კამპანია“

6 სექტემბერს აღმოსავლეთ საქართველოს ოლქის სასამართლოში გაირჩევა თამარა **მგალობლიშვილის, გიორგი იობაშვილის, ერვანდე ქიტესოვის, ალექსანდრე ანდრიევის** და ვასილ ქავთარაძის საქმე.

ამა წლის დასაწყისში აღმჩენილ იქნა, რომ თბილისში მზადდება ყალბი მარკები, გაუქმებულ ძველი მარკებისაგან სათანადო ნიშნის ქიმიური გადარეცხვის საშუალებით. სათანადო კვლევა-ძიების მოხდენის შემდეგ გამოირკვა, რომ ფოსტა-ტელეგრაფის თანამშრომელი თ. მგალობლიშვილი 5-6 თვეა, რაც ასაღებდა საფოსტო მარკებს.

გამოირკვა აგრეთვე, რომ აღმასკომის შენობაში „აბლაკატობას“ ეწეოდა ანდრიევი, ქიტესოვი და იობაშვილი უწერდენ მოქალაქეებს თხოვნებსა და განცხადებებს. თავიანთი მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით, ბრალდებულნი წინასწარი შეთანხმებით მუშაობდნენ და მარკებს ფართე ბაზარი მოუპოვეს. იმ დროს, როდესაც მათი შემოსავალი გაიზარდა, ყველა ისინი საპატიმრო სახლში მიაბრძანეს.

გამოწვეულია მოწმეები და ექსპერტები.

სასჯელის შემსუბუქება

აღმოსავლეთ საქართველოს ოლქის სასამართლოს სესიამ დავით **ხელაშვილს** ყაჩაღობისათვის მიუსაჯა უმაღლესი სასჯელი დახვრეტა.

ხელაშვილმა საკასაციო საჩივარი შეიტანა უზენაეს სასამართლოში.

უზენაესმა სასამართლომ ოლქის სასამართლოს დადგენილება ძალაში დასტოვა.

ხელაშვილმა საქართველოს ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტს სთხოვა სასჯელის შემსუბუქება.

ცაკის პრეზიდიუმმა დაადგინა: დავით ხელაშვილს უმაღლესი სასჯელი დახვრეტა შეეცვალოს ათი წლით თავისუფლების აღკვეთით სასტიკი იზოლიაციით.

სახლები

ბოლო ხანებში ძლიერ გახშირდა ქალაქის განაპირა უბნებში დაუგეგმავ ადგილებზე სახლების აგება. განსაკუთრებით ლენინის უბანში (ნაძალადევში). ყოველგვარი ნებართვის გარეშე აგებენ სახლებს, რომლებიც უფრო ქოხებს წააგავთ. სახლებს აგებენ ღამ-ღამობით, მათი აღება შეიძლება მეორე დღესვე ადმინისტრატიული საშუალებით, მაგრამ ვინაიდან ასეთი სახლების ამგებნი, მუშები არიან, მათ წინაღმდეგ არ მიმართავდენ ასეთ ზომებს ბოლო ხანებში კი ამგვარმა სახლების აგებამ ფართე ხასიათი მიიღო, როგორც ლენინის, ისე სხვა უბნებში.

თბ. აღმასკომმა დაადგინა სასტიკათ ებრძოლოს ასეთ თვითნებობას და აცნობა სამილიციო უბნებს სასტიკათ ადევნონ თვალყური თავიანთ უბნებში დაუგეგმავ ადგილებში სახლების აგებას. ამავე დროს აღმასკომმა დაადგინა დააჩქაროს დაუგეგმავ ადგილების დაგეგმა.

დახმარება ავადმყოფებს

ჯანსახკომის ცნობით, ივლისის განმავლობაში მთელ რესპუბლიკაში საუბნო ექიმებს დახმარება აღმოუჩენიათ 53.096 ავადმყოფისათვის; აქედან მარტო თბილისში 26.680 კაცისთვის.

ამ რიცხვში სოციალური სნეულებებით დაავადებულა 9.233; ავადმყოფებში ყველაზე უფრო გავრცელებულია მალარია (6213 ავადმყოფი), ქლექი (1885 ავადმყ.), ათაშანგი (391 ავადმყ.).

საერთოდ ავადმყოფობათა რიცხვში სოციალური სნეულებანი შეადგენენ 17.39 პროცენტს.

აღმოჩენილ ავადმყოფებში 14.227 კაცი ოჯახში მწოლიარე იყო. მარტო თბილისში კი დახმარება აღმოუჩინა 6.690 მწოლიარე ავადმყოფს.

სამკურნალოთ ჩამოდიოდენ ჩვენში აგრეთვე მეზობელ რესპუბლიკებიდან; უმთავრესათ სომხეთიდან და აზერბეიჯანიდან.

სანატორიუმები

ა.-კ. დაზღვევის ცენტრალურმა სამმართველომ შეიმუშავა დასასვენებელი სახლების და სანატორიუმების გაფართოება-აღმშენებლობის გეგმა 1926-27 წლისათვის. ეს გეგმა განიხილა ა.-კ. პროფსაბჭომ, რომელმაც საჭიროთ სცნო გეგმის გაფართოება.

ა.-კ. პროფსაბჭოს აზრით საჭიროა ახალი გეგმის შედგენა იმ ვარაუდით, რომ 1926-27 წელში ათასი დაზღვეულიდან 10 გატარებული იქნეს სანატორიუმებში, ხოლო 30 დასასვენებელ სახლებში.

პროფსაბჭომ დაადგინა მოითხოვოს, რომ 1926-27 წლის განმავლობაში დასასვენებელ სახლების და სანატორიუმების აშენება-გაფართოებისათვის გადებული იქნეს 400.000 მან.

განზრახულია მტკიცე ხარჯთ-აღრიცხვის შედგენა, რისთვისაც ამორჩეულია კომისია ამხ. ამხ. შეფტელის, იაშვილის და გოდაბრელიძის შემადგენლობით.

სულით ავადმყოფნი

ფსიქო-ნევროლოგიურ ინსტიტუტში ამჟამად მოთავსებულია სულ 107 სულით ავადმყოფი.

აქედან 42 მწვავე ავადმყოფია, ხოლო ქრონიკული—64.

ავადმყოფების მკურნალობა სწარმოებს რამოდენიმე სისტემით. უკანასკნელათ დიდი ყურადღება ექცევა შთაგონებით (ჰიპნოზი) ექიმობას.

არქეოლოგიურ სიძველეების აღმოჩენა

ამ რამოდენიმე დღის წინათ სოფ. ნატახტარის ახლო, მიწის გათხრის დროს, ადგილობრივ მცხოვრებ არჩილ სოხაშვილს აღმოუჩენია ქურში შენახული არქეოლოგიური მნიშვნელობის სიძველენი.

როგორც ფიქრობენ, ქურში უძველესი დროის ნაკეთებია და შენახული ნივთებიც შესაძლოა ეკუთვნიან შორეულ ხანას. ქურში აღმოჩნდა: ოქროს დიდი ბეჭდები, ოქროდან გაკეთებული მტრედის მაგვარი ფრინველი, დიდი ოქროს სამაჯური, ძვლის ხანჯალი, ძვირფასი თვლები და სხ. გარდა ამისა იქვე აღმოაჩინეს ქალის და კაცის ჩონჩხები.

მუზეუმის მუშაკთა სამეცნიერო სამუშაოებზე წასვლის გამო, აღმოჩენილ ნივთების მეცნიერული შემოწმება ჯერ არ მომხდარა.

პოლიტგანათლება

საქართველოს პოლიტგანათლების მთავარ სამმართველოს მიერ 1926-27 სამოსწავლო წლისათვის შემუშავებულ გეგმის მიხედვით, საქართველოში პოლიტგანმანათლებელ დაწესებულებათა ქსელი შესდგება: წერა-კითხვის უცოდინარობის სალიკვიდაციო 2.202 პუნქტისა, მცირე მცოდნეთათვის 290 სკოლისა, პოლიტანბანის 123 სტაციონალურ სკოლისა, 478 ქოხ-სამკითხველოსა, პოლიტანბანის 82 მოძრავ სკოლისა, 63 ბიბლიოთეკისა, მაღალი ტიპის 23 სკოლისა, 17 მუშურ-გლეხურ საღამოს კურსისა, 13 საღამოს საბჭოთა პარტსკოლისა, მოძრავ 17 კინოსა, 4 კლუბ-სახალხო სახლისა, 1 მუზეუმისა და სკოლის გარეშე მუშაკის ერთი სახლისაგან თბილისში. ამ ქსელს დასჭირდება: ქოხ-სამკითხველოს 482 გამგე. 2.141 მასწავლებელი წერა-კითხვის სალიკვიდაციოთ, 333 მასწავლებელი მცირემცოდნეთა სკოლებისათვის. 123 მასწავლებელი პოლიტგანათლების სტაციონალურ სკოლებისათვის. ბიბლიოთეკის 66 გამგე. მაღალი ტიპის სკოლების, საღამოს კურსების, საღამოს საბჭოთა პარტსკოლების და სხ. მასწავლებლები.

პოლიტგანათლების მთავარ სამმართველოს ხარჯთ-აღრიცხვით, მომავალ სამოსწავლო წელს ზემოაღნიშნულ დაწესებულებათა შტატის შენახვას დასჭირდება—502.802 მან.

გეგმა და ხარჯთ-აღრიცხვა პოლიტგანათლების მთავარ სამმართველოს მიერ წარდგენილია საქართველოს ცაკში.

ახალი 9 წლედი

საბურთალოს მცხოვრებლებმა გადასწყვიტეს საბურთალოში არსებული 7 წლედი გადააკეთონ თავისი ხარჯით 9 წლედათ. ადგილმდებარეობის და მცხოვრებთა სოციალური შემადგენლობის მიხედვით სკოლას ექნება აგრონომიული ან კოოპერატიული განხრა. მშობელთა წრე მცხოვრებლების დახმარებით შეუდგა უბნის ცენტრში სახალხო სახლთან მდებარე ნახევრად ჭაობიანი ადგილის ამოშრობას, სადაც იწარმოებს მოწაფეთა პრაქტიკული მეცადინეობა. ადგილი აქვს 2 დესეტინა სივრცე. მუშაობა თითქმის დამთავრებულია. ადგილი შემოღობილია მავთულით. დამდეგ სასწავლო წლიდან ადგილი გადაეცემა სკოლას.

ამ ადგილზე ბაღ-ბოსტნის გაშენებით, პირველყოვლისა მოისპობა ჭაობი და ამავე დროს ამოდენა ადგილის ბაღად ქცევა უბანს დაამშვენებს და გააჯანსაღებს.

იურიდიული რჩევა-დახმარება

კანონიერია თუ არა ასეთი მოთხოვნა

კითხვა

მე ვარ საქართველოს ერთ-ერთ სახკომატის თანამშრომელი და წასული ვარ შვებულებაში სოფელში დასასვენებლად.

ამ სოფელში მუშაობა სწარმოებს გზის შესაკეთებლად, რისთვისაც შემოღებულია 5 დღის მუშაობა თითეულ სრულწლოვან მცხოვრებლებზე.

მეც მომცეს წინადადება, ან ვიმუშაო ხუთი დღე, ან გადავიხადო 6 მან. 75 კაპ.

გთხოვთ მიპასუხოთ, მე, როგორც დასასვენებლად ჩამოსული მუშაკი, ვალდებული ვარ თუ არა მივიღო მონაწილეობა ამ ბეგარის გატარებაში?

საწევრო წიგნაკი № 269.

პასუხი

დაუსვენებელი და განუსაზღვრელი შრომა მომუშავის სხეულ ძალზე ასუსტებს და ღალავს; ეს კი ამცირებს მომუშავის ენერგიას, და მისი შრომის ნაყოფიერება ეცემა; იგი ადრე ხდება შრომის ინვალიდი და მძიმე ტვირთად აწვება სახელმწიფოს სალაროს. აი სწორედ იმისათვის, რომ მომუშავეს დიდი ხნით შერჩეს ჯანმრთელობა, შრომის უნარი, გონება-მახვილობა და სხ. **შრომის კანონთა კოდექსით დაწესებულია, გარდა ყოველ კვირეული ერთი დღით დასვენებისა, ყოველწლიური მორიგი შვებულება (იხ. შრომ. კან. კოდ. მუხ. 114),** რომელიც უნდა იქნეს მშრომელის მიერ გამოყენებული, როგორც დასასვენებელი დრო, რომლის განმავლობაში მან ნამდვილად უნდა დაისვენოს, აღადგინოს თავისი ძალ-ღონე და ჯანმრთელი დაუბრუნდეს თავის სამუშაოს. მორიგი შვებულება შრომის კანონმდებლობის თვალსაზრისით მხოლოდ ამას უნდა მოხმარდეს.

ამიტომ თქვენ, როგორც დასვენებაში მყოფი მორიგი შვებულებით, არა ხართ ვალდებული მოიხადოთ შრომითი ბეგარა.

კანონიერია თუ არა ჩემი შვილის მოთხოვნა

კითხვა

მე ვცხოვრობ დაბა ხაბუმეში (ზუგდიდის მაზრა), ვარ მოხუცი 75 წლისა, ცოლი ჩემი არის 70 წლისა; გვყავდათ რამოდენიმე შვილები, მხოლოდ ორის მეტი (ერთი ვაჟი და მეორე ქალიშვილის), დაიხოცენ. ვაჟიშვილმა ვერ მოისურვა ჩემთან ყოფნა და 1920 წელს გაგვეყარა და ცალკე დასახლდა. [illegible] ოჯახში ქალიშვილითურთ და დიდი ვაი-ვაგლახით ვირჩენდით თავს; გაყრილი შვილისაგან არავითარი მოხედვა არ მქონდა.

წარსულ წელს შემოვიყვანე ზედ სიძე. გაყრილი შვილი წინააღმდეგობას მიწევს და მეუბნება, რომ იგი როგორც ვაჟიშვილი მემკვიდრეობის მამის ქონების, რომელიც ვითომ და მას ეკუთვნის.

მაქვს უფლება თუ არა ზედ სიძის მოყვანის, (ე. ი. ჩემი ასული თავისი ქმრითურთ გვყავდეს ჩვენ, როგორც ერთად-ერთი მარჩენალი, და ჩვენი სიკვდილის შემდეგ დარჩენილი ქონება დარჩეს მათ).

გლეხი კვაჩირია შენგელია.

პასუხი

თანახმად მიწის კოდექსის მუხ. 40-ის შენიშვნისა, ჩასიძებულს აქვს იგივე უფლება კომლის საერთო მიწის და ქონების სარგებლობაში, როგორც ძირითად წევრს (ე. ი. როგორც თქვენ შვილებს), თქვენ კომლზე (თქვენ სიცოცხლის დროს). არა აქვთ თქვენ შვილებს არავითარი უფლება. (იხ. დეკრეტი № 28-ის მუხ. 128). ამას გარდა, თანახმად სამოქალაქო სამართლის კოდექსის მუხ. 21-ის—პირველ შენიშვნისა, თქვენ გაქვთ სრული უფლება თქვენი ქონება (გარდა მიწა-ტყისა) რაც მუშათა და გლეხთა სახელმწიფოს საკუთრებას წარმოადგენს— (იხ. მიწ. კოდექსი მუხ. 2) ანდერძის წესით გადასცეთ იმათ, ვისაც თქვენ დაინახავთ საჭიროდ, და კანონით მემკვიდრეობის უფლება (იხ. იქვე მუხ. 418) მოუსპოთ თქვენ შვილს—(ვაჟს).

კანონიერია თუ არა ადმინისტრაციის მოქმედება?

კითხვა

რამოდენიმე ხნის წინედ გამიქურდეს ბინა. მე ეჭვი მქონდა ერთ-ერთ ჩემ მეზობელზე, რომელიც მართლაც ამის გამო დაიჭირეს, საქმე გაირჩა სასამართლოში. თვითონ მეც, როგორც მომჩივანი ვიყავი დაბარებული სასამართლოში და ერთი დღე გამიცდა. მე ვმუშაობ ფიზიკურ შრომის მუშად ა.-კ. რკ. გზ. ერთ-ერთ დარაჯში. ადმინისტრაციამ უარი მითხრა ამ გაცდენილ დღის ხელფასის გაცემაზე.

გთხოვთ ახსნა-განმარტებას, კანონიერია თუ არა ადმინისტრაციის მოქმედება?

რკინისგზელი პავლე სამ—ნია (წიგ. № 145825).

პასუხი

ადმინისტრაცია მართალია. შრომის კანონთა კოდექსის მუხ. 78 ამ შემთხვევაში თქვენზე არ ვრცელდება. იგი ითვალისწინებს მხოლოდ ისეთ შემთხვევას, როდესაც მუშა-მოსამსახურე გამოიწვევა სასამართლოში, როგორც მოწმე ან ექსპერტი და სხ. მხოლოდ ამ უკანასკნელ შემთხვევებში მას ენახება სამსახურის ადგილის ხელფასი საშუალო რაოდენობით. თქვენ კი სასამართლოში გამოდიხართ თქვენ პირად საქმეზე, როგორც მხარე, სისხლის და სამოქალაქო სამართალთა ძიებებით, ამიტომ ხელფასი სამსახურის ადგილას არ შეგენახებათ.

პარტიული და საბჭოთა კალენდარი

— ს. კ. პ. ლენრაიკომი იტყობინება, რომ ორშაბათს, 6 სექტემბერს, დილის 9 საათზე რაიკომის შენობაში შესდგება რაიკომის პრეზიდიუმის სხდომა.

დასწრება პრეზიდიუმის ყველა წევრებისა სავალდებულოა.

— საქართველოს ახალ. ლენ. კომკავშირის თბილისის **კომიტეტი** იუწყება, რომ სამშაბათს, 7 სექტემბერს, დილის 9 საათზე შესდგება **ს. ა. ლ. კ. კ. თბილისის კომიტეტის საორგანიზაციო კოლეგიის სხდომა.**

საორგანიზაციო კოლეგიის წევრთა დასწრება სავალდებულოა.

— **ნორჩ პიონერთა თბილისის ბიურო** იუწყება, რომ სამშაბათს, 7 სექტემბერს, დილის 9 საათზე შესდგება **ნორჩ პიონერთა თბილისის ბიუროს პრეზიდიუმის სხდომა.**

პრეზიდიუმის წევრთა დასწრება სავალდებულოა.

— საქართველოს კომუნისტურ პარტიის (ბ) თბილისის ქალაქის რაიკომი იტყობინება, რომ ორშაბათს, 6 სექტემბერს, საღამოს 6 საათზე რაიკომის საორგანიზაციო განყოფილების შენობაში მოწვეულია საორგანიზაციო თათბირი.

საორგანიზაციო თათბირის ყველა წევრის დასწრება დანიშნულ დროზე სავალდებულოა.

— ორშაბათს, 6 სექტემბერს, დილის 8 საათზე თბილისის კომიტეტის მდივნის ამხ. **ასრიბეკოვის** კაბინეტში შესდგება იმ კომისიის სხდომა, რომელიც სააგიტაციო-საპროპაგანდო კოლეგიის სხდომაზე იყო გამოყოფილი ფიზკულტურის ორგანიზაციების მუშაობის შესახებ გაკეთებულ მოხსენების შემდეგ.

სავალდებულოა ამხ. მხითაროვას, ტესტილეცის, კიდაიშის, კიკნაძის და ბახტაძის დასწრება.

— დღეს, 5 სექტემბერს, დილის 9 საათზე საქართველოს კომუნისტური პარტიის (ბ) თბილისის კომიტეტის მიერ მოწვეულია თემკომების მდივნების თათბირი თემის აღმასკომების თავმჯდომარეებთან ერთად.

დღის წესრიგი: 1. საკავშირო კომუნისტ. პარტიის (ბ) ცენტრალურ კომიტეტის და ცენტრალურ საკონტროლო კომისიის პლენუმის შედეგები, 2. მოხსენებები ადგილებიდან, 3. პარტიის ამოცანები სოფლად, 4. ერთიან სასოფლო-სამეურნეო გადასახადის შესახებ და 5. ადგილობრივ ბიუჯეტის შესახებ.

— ორშაბათს, 6 სექტემბერს, საღამოს 6 ნახ. საათზე თბილისის აღმასკომის დარბაზში შესდგება საქართველოს კომუნისტ. პარტიის **თბილისის კომიტეტის გაფართოებულ პლენუმის გაგრძელება,** რაიონულ კომიტეტ. პლენუმების, საქ. კომ. პარტიის თბილისის ორგანიზაციის დიდ უჯრედების, ცენტრალურ პროფკავშირების თავმჯდომარეების და მდივნების და სამეურნეო დაწესებულებათა ხელმძღვანელების (კომუნისტების) თანდასწრებით.

დღის წესრიგშია კამათი ამხ. დოლიძის მოხსენების გარშემო მომჭირნეობის რეჟიმის შედეგების შესახებ.

— საქართველოს კომუნისტ. პარტიის თბილისის ორგანიზაციის **პროპაგანდისტთა კურსების** მორიგი მეცადინეობა შესდგება სამშაბათს, 7 სექტემბერს, საღამოს 6 საათზე.

1) ქართული ჯგუფი — აგიტ.-პროპმუშაკის ცენტრალურ კაბინეტში.
2) სომხური ჯგუფი—მე-3-ე რაიონის პარტიულ კლუბში.
3) რუსული ჯგუფის მეცადინეობა არ შესდგება.

— საქართველოს კომუნისტური პარტიის (ბ) თბილისის კომიტეტის საგიტაციო-საპროპაგანდო განყოფილების **თვითგანათლების ბიუროს სხდომა** შესდგება ორშაბათს, 6 სექტემბერს, დილის 11 საათზე, თბილისის კომიტეტის სააგიტ.-საპროპ. განყოფილებაში.

საზაფხულო
აპოლო
(ბაღი „არტო“, პლეხ. № 105).
საზაფხულო
ეთერი
(სახელმწ. ოპერის ბაღში)
ნ. 1613 0—23

ცნობილი სურათის ,,სტამბოლელი მთხოვარა“-ს
გმირი პრისცილა დინ
სურათში
ШАХ и МАТ
მზადდება დასადგმელად: „დაბრკოლებათა წინაალმდეგ“
შეუდარებელი მერი პიკფორდ საუკეთესო სურათში
დოროტი ვერნონ
(„დოროტი ვერნონ“ არაჩვეულებრივი წარმატებით სარგებლობს“—Кино Неделя“ № 83)

„კომუნისტი“-ს მთავარ კანტორისაგან
„კომუნისტ“-ზე და „ახალ სოფელ“-ზე პროვინციაში ხელისმოწერა მიიღება
შემდეგ გაერთიანებულ განყოფილებებში:
1. ხაშურში—განყ. გამგე მათე გოგუაძესთან—მთელი გორის მაზრისთვის.
2. ჭიათურაში—განყ. გამგე გ. გოგელიასთან—მთელი შორაპნის მაზრისთვის.
3. ქუთაისში—განყ. გამგე მ. ტყაბლაძესთან—ქუთაისის და ახლო მდებარე რაიონებ.
4. ხონში—განყ. გამგე ჩემიასთან—ქ. ხონი და ახლო მდებარე რაიონებისათვის.
5. სამტრედიაში—განყ. გამგე ლ. გოგელიასთან—სამტრედია და ახლო მდებ. რაიონ.
6. სენაკში—განყ. გამგე. ესებუასთან—ქ. სენაკი და ახლო მდებარე რაიონებისათვის.
7. აბაშაში—განყ. გამგე მიქაძესთან—დ. აბაშა და ახლო მდებარე რაიონისათვის.
8. ფოთში—განყ. გამგე მგალობლიშვილთან—ქ. ფოთი და ახლო მდებ. რაიონისათ.
9. ბათომში—„კომუნისტი“-ს კანტორაში გოგეშვილთან—მთელი აჭარისტანისთვის.
10. ოზურგეთში—განყ. გამგე ეპიფ. ცეცხლაძესთან—მთელი ოზურგეთის მაზრისათ.
11. თელავში—განყ. გამგე რევაზოვთან—მთელი თელავის მაზრისათვის.
12. სიღნაღში—განყ. გამგე ა. მდივანოვთან—სიღნაღის მაზრისათვის.
13. ზუგდიდში—კილასონიასთან.
14. სოხუმში—„კომუნისტი“-ს კანტორაში ცხაკაიასთან—მთელი აფხაზეთისათვის.
15. ველისციხის და გურჯაანის რაიონში—განყ. გამგე ესტატე შიშნიაშვილთან.
0—1
„კომუნისტი“-ს მთავარი კანტორა

მიმდინარე წლის 12 სექტემბერს
დღის 12 საათზე აღმასკომის 1-ლი საბჭოთა სახლის (სასახლის სასტუმროს) შენობაში დანიშნულია,
საჯარო ვაჭრობა
რომელზედაც გაიცემა პირველი ხარისხის ბუფეტი ყოველივე თავისი მოწყობილობით. დაწვრილებითი პირობების გაცნობა შეიძლება ამავე სასტუმროს კანტორაში საღამოს 8—10 საათ. პუშკინის ქ. № 4 ტელ. № 9—13 და 5—12. ნ. 1742 3—2

სათვალეების მორგება
უფასოდ
ექიმ სპეციალისტის მიერ „სახმედვაჭრობის“ ოპტიკურ განყოფილებაში დღის 1—4-დე. პლეხანოვის გამზირი № 106 (ყოფ. მიხეილის პროსპექტი) ტელ. 13—63. 25—1

ფინსახკომთან არსებული
საფინანსო კურსები
(მოსკოვის საფინანსო კურსების პროგრამით)
საგნები: ფინანსიური მეცნიერება, პოლიტიკური ეკონომია, ეკონომიური პოლიტიკა, სტატისტიკა, ბანკის, ბირჟის, ვაჭრობის, კოოპერაციის თეორია და პრაქტიკა, ტრანსპორტი, ეკონომიური გეოგრაფია, საქართველოს ეკონომიური და ფინანსიური მდგომარეობა, საქართვ. ეკონ. გეოგრაფია, საქონელთმეტყველება, სოციალური სანიტარია, კანონთმეტყველება, საბჭ. აღმშენებლობა, ბუნების მეტყველება, ახვარიშთ-მეცნიერება (ბუხჰალტერია), კომერციული კორესპონდენცია.
მიიღება უგამოცდოთ საშუალო დამთავრების მოწმობით. გადასახადი ნახევარი წლის 60 მან.: 40 მან. განცხადებასთან, დანარჩენი სწავლის დაწყებისას. მცირე ჯამაგირიანთათვის შეიძლება შეღავათი გადახდის ვადებში. რემონტის გამო სწავლა 28 ენკენისთვიდან დაიწყება. განცხადების მიღება გრძელდება 25 ენკენისთვემდე. მისამართი—ფოსტით განცხადება, ფული: წულუკიძის ქ. (ყოფ. კრუზენშტეინის) № 10, სასამართლოს პირდაპირი კუთხე. კანცელარია ღიაა დილით 9—2 საათ. და საღამოთი 5—7 ნახ. საათ.
საფინანსო კურსების ადმინისტრაცია.
3519 3—1

კონტრაგენტების საყურადღებოდ
გაზ. ,,კომუნისტი“-ს
მთავარი კანტორა
აცხადებს ყველა კონტრაგენტების საყურადღებოდ, რომ 5 სექტემბრისათვის აუცილებლივ უნდა დაბრუნებულ იყოს დარჩენილი, გაუყიდავი სხვადასხვა ჟურნალ-გაზეთები და წიგნები, ჩვენ მიერ გასასყიდათ გადაგზავნილი.
თუ აღნიშნულ ვადამდე გადმოგზავნილი არ იქნება გაუყიდავი ლიტერატურა იგი ჩაითვლება გაყიდულათ და შემდეგ უკან აღარ მიიღება კანტორის მიერ.
7—1 უფ. გაზ. „კომუნისტი“-ს მთავარი კანტორა

სახელმწიფო სახალხო მუსიკალური სასწავლებლები
როიალის, სკრიპკის, სიმღერის, მუსიკის თეორიის, გარმონიის, სოლფეჯიოს და ალმოსავ. ინსტრუმენტის კლასით
განცხადებების მიღება 1 სექტემბრიდან. შესავალი გამოცდები 10 სექტემბრიდან. სწავლა დაიწყება 15 სექტემბერს.
მისამართები
1-ლი სასწვლ.—კეცხოველის ქ. (ყოფ. ლორის-მელიქოვის) № 6.
2-რე სასწავლ.—კალინინის ქ. (ყოფ. ნიკოლოზის) № 45
3-მე სასწავ.—კალინინის (ყ. ნიკოლოზის, მილიუტინის კუთხე) № 83.
4-ხე სასწავ.—ლუნაჩარსკის (ყოფ. კადეტის) № 6.
5-თე სასწავ.—მოსკოვის ქ. № 16, კურსკის ქ. კუთხე. 3534

საბჭ. და სავაჭრო მუშაკ. პროფკავშირის
საანგარიშო მეცნიერებათა კურსები
ცხადდება მსურველთა საყურადღებოთ, რომ **მეცადინეობა დაიწყება 20 სექტემბერს.** განცხადებების მიღება და ჩაწერა სწარმოებს აღნიშნულ კავშირის № 78 ოთახში ყოველდღე დილის 10—2 საათამდე; იქვე სწარმოებს ყოველ-გვარი ცნობების მიღება. 3537

განათლების მუშაკთა კავშირის ცენტრ. გამგეობა
უმუშევარ მასწავლებელთა კვალიფიკაციის გამოსარკვევად ახდენს
უმუშევარ მასწავლებელთა რეგისტრაციას.
უმუშევარი მასწავლებლები უნდა გამოცხადდნენ სათანადო ანკეტის შესავსებად 6 სექტემბრიდან 12-დე მუშათა სასახლის მე-4 სართულზე. ოთახი № 87, დილის 9 საათიდან დღის 2 საათამდე.
ვინც საპატიო მიზეზის გარეშე რეგისტრაციაზე არ გამოცხადდება, კავშირიდან გამორიცხული იქნება.
რეგისტრაცია ეხება მხოლოდ მასწავლებლებს.
ნ. 1744. საორგ. განყ. გამგე პოლოხოვი.

მოწაფეთა საყურადღებოთ
გამოვიდა და იყიდება
ფ. ი. მიხალევსკის
„პოლიტიკური ეკონომიის დაწყებითი კურსი“
(ქართულ ენაზე)
მისამართი: გაზ. „კომუნისტის“-ს მთავარი კანტორა, რუსთველის პროსპექტი № 34
0—1

ექიმი ა. დ. კეკელია
სიფილისი, ვენერიულ და კანის სნეულება.
მიღება 9—11 დილ. 6—8 საღამ.
პლეხანოვის პრ. № 116.
სასტუმრო „ნოე“-ს პირდაპირ.
348 25—1

ექიმი მეგრაბიანცი
ფილტვების, ჭლექის და გულის სნეულებანი
ციების საგანგებო მკურნალობა ელექტრო-შუქით რენტგენის სამკურნალო კაბინეტში
სურათების გადაღება და რენტგენის სხივებით წამლობა. მიღება ყოველდღე დილ. 9—1 და საღ. 6—8 საათ.
ენგელსის ქ. № 23. ყოფ. ბებუთოვის ქუჩ., № 23, 25—1

ექიმი ჯალალოვი
ანის და ვენერიული ავადმყოფობანი, სიფილისი.
შეშხაპუნება „914“. ტრიპერის და მისი შედეგების წამლობა
ავადმყოფ. მიღება დილ. 6 ნახ.—8 საათ., საღამოს 5-დან—9 საათამდე ქალები 12—2 საათ. დღის.
მისამართი: კამოს ქუჩა, № 19 (ყოფ დიდი მთავრის ქ.), ვორონცოვის ყოფ ლი ძეგლის მახლობლად. 25

ექიმი შუხმანი
სიფილისი, ვენერიული სნეულებანი და მათი შედეგები.
მიღება დილის 7—8 საათამდე და საღამოს 5—7 საათამდე. კ. ცეტკინის (ყოფ. ელისაბედის) ქ.№ 89
25—

წყლებით სამკურნალო
(ხაზინის ქ. № 1)
ახლად შეკეთებულია და მუშაობს ყოველდღე, დილის 6 საათიდან საღამოს 7 საათამდი.
წყლის მკურნალობის ყველა მეთოდები ტარდება გამოცდილი ექიმი-სპეციალისტის ხელმძღვანელობით
ავადმყოფობანი: ნივთიერებათა გაცვლა-გამოცვლის მოშლა, ნიკრისის ქარები, რევმატიზმი, ნევრასტენია, ნევრალგია, ნევრიტები, გულის და სახსრების ავადმყოფობა
პირველად მოსულ ავადმყოფთა მიღება დილის 8—10 საათამდე.
25—3 ნ. 1650

ექიმი ი. ი. გერიშვილი
ვენერიული, საშარდე—სასქესო ორგანოების, სიფილისი და კანის ავადმყოფობა
დილით 9—1 საათ., საღამოს 5—8 ს ქალებისთვის ცალკე შესავალი. სასტუმრო „ნოე“-ს პირდაპირ მიხეილის შესახვევი, № 8.
25—1

ექიმი ა. ს. ფონ-ირტელი
ხეილის პროსპექტი, № 10, (ვორონცოვის ხიდის მახლობლად, ყოფ. „ბო-მონდი“).
გარდა საექიმო, სიფილისის და ქირურგიულ ავადმყოფობათა (სიმსივნეების ბუასილის, სქესობრივი სისუსტე, ტრიპერის) სპეციალისტი. ავადმყოფობის მიღება დილის 8 საათიდან 12 საათამდე და 4—7 საათამდე.

ექიმი
გ-ტ ი. მირიანაშვილი
შინაგანი და ბავშვთა სნეულებანი.
მიღება დილ. 8—10 საათამდე. საღ. 7—8 საათამდე.
ორჯონიკიძის ქ. (ყ. ანდრეევის), 74. მე-6 საბჭოთა (ყ. ვაგზლისა) აფთიაქის ახლოს. 25—1

ექიმი მ. ა. ლუკოვეცკი
სიფილისი, კანის და ვენერიული ავადმყოფობანი.
ავადმყოფების მიღება დილის 9 საათიდან—11 საათამდე და საღამოს 5 საათიდან—7 საათამდე, ქალების მიღება 11 საათიდან 12 საათამდე. 2 საპიორის ქუჩა, № 35 ყოფილი კადეტ. კორპ. უკან. 25—

დავკარგე დამზღვევ კასის წიგნაკი № 4433 სარქის არუთინისძე მღებროვის სახელზე, ჩ. გ. 3530

დავკარგე კავშირის წიგნაკი № 216 შალვაშვილი ბაბულას სახელზე, ჩ. გ. 3529

დავკარგე პარტბილეთი № 498817 ი. ბარამიძის სახელზე, ჩ. გ. 3526

დავკარგე მეტრიკული ამონაწერი № 36 მარგარიტა მჭედლიძეს სახელზე, ჩ. გ. 3527

დავკარგე ქალ. ლომბარდის ქვ. № 12706, და 9306 ლიუბა კონსტანტინის ასული ხუნდაძის სახელზე, ჩ. გ. 3538

დავკარგე მეტრიკული ამონაწერი № 1681 თინათინ მიხეილის ასული კობულაშვილის სახელზე, ჩ. გ. 3531

დავკარგე ჩოხატაურის ჰუმანიტარული ტექნიკუმის დამთავრების მოწმობა № 144 და მეტრიკული ამონაწერი შალვა ზოსიმესძე ანთაძის სახელზე, ჩ. გ. 3533

დავკარგე მატრიკული სოციალ ეკონომიური ფაკულტეტის და კავშირის წიგნაკი ევტიხი სურგულაძის სახელზე, ჩ. გ. 3536

დავკარგე 7-დ. წლედის კურს დამთავრების მოწმობა № 31, მეტრიკული ამონაწერი № 21 და სოციალური მდგომარეობის მოწმობა № 1190, ნატალია ბეგლარის ასული მაცაბერიძის სახელზე, ჩ. გ. 3538

ქ. თბილისის მე-4 უბნის სახ. სასამართლოს აღმასრულებელი ქ. პოტემკოვსკი

აცხადებს, რომ 1926 წ. 9 სექტემბერს, დილის 9 საათზე, გიორგი ხიზანიშვილის ბინაზე, სტრელკოვსკის ქ., რკინის გზის ლიანდაგს გადაღმა, გაიყიდება პირველი **საჯარო ვაჭრობით** ხიზანიშვილის ვალში აწერილი ბუფეტის განჯინა და კამოდი, შეფასებული 55 მან.

ქ. თბილისის შრომის სასამართლოს აღმასრულებელი გ. ბალდასაროვი

ამით აცხადებს, რომ 9 სექტემბერს 1926 წ. დღის 2 საათზე სახლში № 110 კალინინის ქუჩაზე **საჯარო ვაჭრობით** გაყიდის ბრუნო ფრანკეს მოძრავ ქონებას: სახლის ავეჯეულობას შეფასებულს 633 მანეთად, ტერეზა მირზოევის და ვერა ერმაკოვის ვალის დასაკმაყოფილებლად თანახმად ქ. თბილისის შრომის სახალხო სასამართლოსაგან 1 სექტემბერს 1926 წ. თარიღით, № 3482 გაცემულ აღმასრულებელ ფურცლისა. 3535

ცაგერის უბნის სახალხო სასამართლოს აღმასრულებელი ნემსაძე

ამით აცხადებს, რომ 17 სექტემბერს 1926 წ. ნაშუადღევის 1 საათზე სოფ. ნაკურალეში—ეპიფანე გიორგის-ძე გოლეთიანის სახლში დანიშნულია **საჯარო ვაჭრობა** უკანასკნელის მოძრავი ქონებისა, რომელიც შეიცავს: 1) მუხის ხის ბეღელს, 2) სასიმინდე-ნალიას გადასატანათ, 3) რკინის კრაოტს, 4) სამ სელის სკამს, 5) ერთს მაგიდას და 6) ერთს სპილენძის ქვაბს; შეფასებ. 174 მან. ლეჩხუმის მაზრის დამზღვევ პუნქტის პრეტენზიის დასაკმაყოფილებლათ, თანახმად ლაილაშის უბნის სახალხო სასამართლოსაგან 26 თებერვალს 1926 წ. თარიღით № 229, გაცემულ აღმასრულებელ ფურცლისა. 3539

ცაგერის უბნის სახალხო სასამართლოს აღმასრულებელი ნემსაძე

ამით აცხადებს, რომ ა. წ. 18 სექტემბერს ნაშუადღევის 1 საათზე სოფ. ცხუკუშერს ანდრია და გრიგოლ სვანიძეების სახლში დანიშნულია **საჯარო ვაჭრობა** უკანასკნელების მოძრავი ქონებისა, რომელიც შეიცავს: 1. ცაცხვის ხის ბეღელს, 2. ერთი ხის უბრალო სახაბაზოს გადასატანათ, 3. თუჯის საშვალო ქვაბს, 4. ერთს მაგიდას, 5. სამ ტაბურეტკას, 6. ერთს ხის ტახტს, 7. ერთს სკამლოგინს, 8. ერთ ხანჯალს და 9. ერთს ფარდაგს; შეფასებ. 94 მან. 50 კაპ. მექვენის ეპოს ვალის დასაკმაყოფილებლად, თანახმად დასავლეთ საქართველოს ოლქის სასამართლოსაგან 12 ივნისის 1925 წ. თარიღით № 7356, გაცემულ ფურცლისა. 3539

სტამბა „კომუნისტი“, კამოს ქ. 68